

114  
1998/3



ქართული  
ლიბრეოთეკა

# მეცნიერება



5—6

---

1998

# გნათობი



წელიწადი 74-ე

№ 5-6

1998 წელი

## საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო

### შინაარსი

#### პროზა, კოეზიკა

მთარ ზილამე — ლექსები	3
ნიჟონე ჯაფარიძე — კონვერტი, მოთხრობა	6
დალილა გიგინეიძე — ლექსები	20
რეალ ნილაჩავა — ლექსები	23
გიორგი ბიბაური — ლექსები	25
ქიქოთა აღიაშვილი — მგლები?! მოთხრობა	27
აშიკან ხაბაზი — ლექსები	40
ალექსანდრე ბაბური — ლექსები	42
ჯემოე ჯიბიანი — უღისა, მე-14 ეპიზოდი, თარგმანი და კომენტარი ნიკო უიასაშვილიძე, გაგრძელება	44
მეფე ირინეკო — ახალი მოტივადრე, პიესა, ფრანგულიდან თარგმნი დავით კახაბერაძე	65

#### კრიტიკა, კულტურისტიკა

ლელა მინსურაძე — ტიპიურიანი რომანი	78
მერი გადრიანაშვილი — ჯალათისა და მსხვერპლის მიტანა მინიელ ჯაფარიშვილის „ჯაჟოს სიზნებზე“	84
მეფე რომანა — რუსი სამღვდელთა ბრძოლა ქართული ეკლესიის კულტურის წინააღმდეგ	88

#### მეცნიერება

აპაი სინთიპიძე — ოცობარცვლიანი სტროფი „ვეფხისტყაოსანში“	100
რუსოლან ნილუაშვილი — კულტურისა და ხელოვნების წინააღმდეგობის წინააღმდეგობა	108
მანანა მთილაძე — IV ს. ქართლის მფრთხა რიზი და „მფრთხა ცხოვრების“ „მომავალი ქართლისათვის“ მიმართების საკითხი	117
ლევან ზარდაშვილი — ქართული იარაღის ისტორიიდან	127

#### ხელოვნება

ზინა კვიციანიძე — რიზი ანტიკონი	132
---------------------------------	-----

#### ფაქტები

რეალ კვიციანიძე — საქართველოს მწერალთა კავშირი 1917-1997, გაგრძელება	148
---	-----

#### რამენი

გიორგი შაველაშვილი — შედგომები რომ არ გადმოვიდეს	155
--	-----



მთავარი რედაქტორი

თამაზ შილაძე

სარედაქციო საბჭოს

მარიამ აგიაშვილი

აკაკი მინდიაშვილი

მანანა შიქელაძე

გივი სულაბაური

მზია შატბერაშვილი

ვაჟა ჩორდელი (პ/მგ. მდივანი)



25018

როსა ჭილაძე

### ლ ე ქ ს ე ბ ი

წიგნიდან „ბახსოვდეს სიმრისეზე“

...

შენც უნდა გწამდე, შენც უნდა შენდო,  
რომ გამსახურებდე ყველგან და მარად.  
ერთსა ვთხოვ მხოლოდ, სულ ასე ენთოს  
ჩემი კენახი, წყარო და ფარა.

ვენახში ღვინოს დაწვრავ შენთვის,  
ფარაში შენთვის შევარჩევ ბატკანს,  
წყაროში ფეხებს დაგბან და ფერხით  
ათნაირ სანთელს დავინთებ ათვან.


აღონდ, ამ მოებზე (დიადო ღმერთო!),  
ასე ლამაზად და ასე წყნარად,  
თუკი თავისით არ ჩაქრა, ენთოს  
ჩემი კენახი, წყარო და ფარა.

1963

...

უცებ გაიჭრიაღებს გარინდული ფიჭვი.  
კიდევ ერთ მოვონებას ჩამოსცივია წიწვი.  
ჩაკარგული სივრცეში, როგორც ტყეში — ხიწვი,  
შენთვის ზიხარ, ნებბერტბ... თან უღმერთოდ იწვი  
სიშარტოვის კოცონზე...

1995



\* \* \*

წარსულის ფერფლით სავსე ურნების  
 ერთფეროვანი ჩამთაერდა ჯერი  
 და მაინც მწვდება მწარე სურნელი  
 ჩემს გაჩენამდე ჩამქრალი კერის.

ცხოვრება ისევ მიხსნის იარებს,  
 წამლის მაგიერად, ზედ მარილს მაყრის  
 და მაინც მესმის კარის ჭრიალი  
 ჩემს გაჩენამდე დანგრეულ სახლის.

1997

\* \* \*

ამახობაში, ზღვრამდეც მივუღი.  
 შე მგონი, ხუნიც მეცა ხუღარის.  
 შენლა ხარ ჩემი ბოლო იმედი  
 და ჩემი ბოლო ნათესაფუდარი.

ოღონდ, შენ ჩემო ბოლო იმედი  
 და ჩემო ბოლო ნათესაფუდარი,  
 ვინც შე გამწირა და გამიმეტა,  
 იმას ვეკუთვნი კვლავ... სამუდამოდ.

ირგულივ წარსულის წყვდიადი მაკრავს  
 და მივისწრაფი თავქვე ხალისით.  
 გული კი ფეთქავს, ჯერ ფეთქავს, მაგრამ  
 რიღასთვის ფეთქავს, თვითონ არ იცის.

1998

### დაპირფარული მობივი

ნეტავ, ვინ არის ეს შაოსანი  
 პირქუში ქალი,  
 ჯოხის ამარა  
 რომ დასდგომია უკაცურ ბილიკს,  
 კაბის კალთით რომ აუთრევია  
 მისივე ჩონჩხის მაგვარი ძეძვი  
 და მიდის, მიდის, არც იცის, საით.  
 იქნებ ბედკრული საქართველოა,  
 ჩვენს გულებიდან გამოდევნილი?!  
 ჩაჭიდებული ჟამთახელის ბორბალს  
 ჩვენი გულისთვის და, პირველ რიგში,  
 ისევე ჩვენგანვე უარყოფილი?!

ის არის ალბათ. სხვა ვინ იქნება?!  
 აბა, რად შევეკრითი წამით ვველანი,  
 რად შევეკოცდა, მორიელივით,  
 შიში განკითხვის და აღსასრულის?!  
 ალბათ მობეზრდა ჩვენი ფუსფუსი,  
 არაფრის გამო და არაფრისთვის,  
 ჩვენი უაზრო ქვილ-ხივილი,  
 ჩვენი უმიზნო აყალ-მაყალი...  
 და მიდის, მიდის, არც იცის, საით,  
 რომ დაეგუდოს გამწყრალ ხატივით,  
 სადმე, კლდეებში და ვინულებში.  
 მაინც არ არის ჩვენი საშველი,  
 თუ ისევ იმან არ მოგვაქცია  
 გზასაცდენილნი და დაქსაქსულნი.  
 თუ ისევ იმან არ გაგვახსენა,  
 რანი ვიყავით და რანი დაერჩით.  
 თუ ისევ იმან არ გვაპატია  
 ეს გულგრილობა გახაოცარი.  
 მაგრამ ჯერ მიდის... ჯერ გამოხედვაც  
 არ უნდა ჩვენსკენ...

1998



სიმონ ჯაფარიძე

## კონკრეტი

მოთხრობა

ვიფელის კომკიდან მთელი პარიზი ხელისგულდევით მონანდა, აქეთ სენა თავისი ხიდებით, იქით ღვთისმშობლის ტაძარი, პისტროები, რესტორნები, მაღაზიები, ნაირფერად განახნაბებული კაზინოები და წითელფარნიან პორტუგალიზების კარში გამოშვებულ მღვდომი ნახევრად შიშველი ლამაზმანები. ქალების მეტი რა უნახავს, მაგრამ ფრანგებს მაინც სხვა ეშხი აქვთ, ტანსოულტილ, მკერდსასვე ქალს აირჩევენ, თვალის ერთი შევლებით რომ მოგანდომებს თავს და დაუეწიყარ დროს გაგატარებინებს. ნეტაუი რა ეღირება ემ სიამოვნება?...

კაკო ნამორაძე დღეისწორს პარიზში უნდა წახულიყო და თავში მხოლოდ ეს უტრიალებდა. ორმოცდაათს გადაცილებული კაცი პირველად გადიოდა საზღვარგარეთ, თანაც პარიზში, ამის გამო, დიდიდანვე საზეიმო განწვობა შეეპარა, უცხო და ამავე დროს, ნაცნობ ქვეყანაში მიემგზავრებოდა. ნაცნობი ეთქმის ბავშვობიდანვე „სამ მუსეკტერს“. „გრაფ მონტე-კრისტოს“, „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარს“, მოპასხანის მოთხრობებს რომ წაიკითხავ და ამ წიგნების სამყაროში მოუქცევი. სკოლის შემდეგ სამსახიობო ფაქულტეტი დაამთავრა, მაგრამ თეატრში არ დააფასეს, მხოლოდ მეორეხარისხოვანი როლებს

ათამაშებდნენ, დიდი რეჟისორის სიტყვები კი, იმის შესახებ, რომ არ არსებობს მეორეხარისხოვანი როლები, არსებობს მეორეხარისხოვანი მსახიობებიო, რასაკვირველია, თავის თავზე არ მიუღია და განაწყნებული, კინოსტუდიაში, ადმინისტრაციულ სამუშაოზე გადავიდა. აქ უფრო იღბლიანი გამოდგა, მართალია, ფილმში არ გადაუღიათ, მაგრამ სამედიკოლოდ, პარტიაში მიიღეს, მერე კი შემოქმედებითი გაერთიანების დირექტორად დააწინაურეს, თუნცა თავის მოწოდებად მხოლოდ მსახიობობას თვლიდა და თეატრში დაბრუნებაზე ოცნებობდა. როცა სცენაზე მთავარ როლს შეასრულებდა, იქნებოდა ტაში და საყოველთაო აღიარება იმისა, რომ აკაკი ნამორაძე მართლაც დიდი მსახიობია, შემდგომ ცხოვრებას კი განუწყვეტელ ტაშის გრიალში წარმოიღვენდა ხოლმე. დრო კი უღმობლად გადიოდა, კაკო ორმოცდათორმეტისა გახდა, მაგრამ თეატრში გადასვლა ჯერჯერობით ვერ მოახერხა. კინოსტუდიაში, მაინც დირექტორი იყო, „ეოლგა“ ემსახურებოდა, ხელფასის გარდა პრემიებსაც იღებდა, თეატრში კი, ამდენს არაუინ მისცემდა. ამის გამო, თბილ ადგილსაც რასაკვირველია, ვერ შევლია, მაგრამ ხელოვნება ხომ მსხვერპლს მოითხოვს და ისიც, ხელსა-



ყრელ დროს ელოდა ოცნების განსახორციელებლად. მხატვრულ ლიტერატურას იშვიათადღა კითხულობდა, სამაგიეროდ, დეტექტივმა გიტაცა, ბავშვობისდროინდელი სიყვარული კი აქამდე შემორჩა, ხშირად უოცნებია, ნუთუ ისე უნდა მოეკვდებოდა. — პარიზი ერთხელ მაინც არ ვნახო. იმ დროს, ასეთ რამეზე ფიქრიც კი დანაშაულად ითვლებოდა, მაგრამ სტალინის სიკვდილის შემდეგ მფლობელობა შეიცვალა, „რკინის ფარდა“ აწივს და საბჭოთა ტურიზტმა „დამპალი კაპიტალისტური სამყარო“ ახილა. როცა კინოსტუდიისა საფრანგეთის ტურისტული საგზურება მიიღეს კაცოც ჩაეწერა, ანკეტები შეავსო, შერე პოლიკლინიკაში ვისინჯეს, ვენდისპანსერში შარდისა და სხვა უხერხული ანალიზები ჩატარეს და ჯანმრთელობის ცნობაც მისცეს, პარტოული რეკომენდაციის მისაღებად რაიკომში გასაუბრება გაიარა, ცეკასიც გაეხაუბრნენ, დარწმუნდნენ რომ საზღვარგარეთ არ დარჩებოდა (რასაც სამშობლოს დაღატად თვლიდნენ) და მოგზაურობის ნება დართეს. ვახარებულს, გადატანილი უხაამოვნებანიც კი დააეწედა, ბილოსდაბოლოს საოცნებო პარიზსაც იხილავდა და ნანატრ ღამაზმანებსაც.

საამური ფიქრები ორმა მამაკაცმა შეაწვევტინა, როგორც საკუთარ კაბინეტში ისე შემოვიდნენ და მისაღმელი მაგიდის სხვადასხვა მხარეს დასხდნენ. ინტუიციამ მაშინვე უკარნახა, რომ ესენი, კარგ საქმეზე არ მოვიდოდნენ, ორივეს ნაცრისფერი, ერთნაირი კოსტიუმები ეცვა და ერთისგან სწორედ იმ ოდეკალონის მძაფრი ხუნი ისცემდა, ცხვირი რომ გაუღიზიანა, თვითონ ხახულწოდება კი ვერ გაიხსენა.

— ჩვენ, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტიდან ვართ, — ხვეწროვანი ბარიტონით წარმოთქვა ერთმა ისე, რომ მისკენ არც გამოუხედავს — ანუ „სუკიდან“, რეგორც სამწუხაროდ, მავანი გვიწოდებს.

„სუკის“ ხსენებაზე ელდა მცა, გაახსენდა რომ დილით, კარგად მოწველიდმოკარკლული თიხმამიმე შეჩქვდა, ეს ცუდად ენიშნა, ამბობდნენ, ცუდი თვალი აქვსო, თუმცა კაცოსთვის არაფერი დაუშავებია. ნეტავი რისთვის მოვიდნენო, გაიფიქრა, შეეცადა ადელევება არ გამოეხატა, მაგრამ მაინც წამოცდა, მე არ მითქვამსო.

— თქვენზე არც გვიფიქრია, ბატონო აკაცი, მავანზე მოვახსენებთ, — დაამშვიდა ბარიტონმა და მცირე პაუზის შემდეგ, ვითომ სხვათაშორის, თავისთვის ჩაილაპარაკა: — ბოროტი ენები ამბობენ, პარიზში შესანიშნავი ბორდელებიაო.

ამკარად პარიზში წახვლის გამო მოაკითხეს, მაინცდამაინც, ბორდელის ხსენება კი არ ესიაამოვნა, თითქოს ხაძრახის ჩანაფიქრს მოუხედნენო და გაღიზიანებულმა დააფილა, ამბობენ, ვიფელის კომპიცი არისო.

— თქვენ ფიქრობთ რომ ეიფელის კომპი ბორდელზე საინტერესო საჩახავია? — ჩააცივდა ბარიტონი.

— გააჩნია, ვის რა აინტერესებს. — ბორდელი ყველას აინტერესებს. აკრძალული უფრო საინტერესოა, თუმცა, თქვენ, პარიზში აკრძალულსაც ნახვით, აუკრძალავსაც და აღმათ, პატარა დავალების შესრულებასაც მოახერხებთ, ბატონო აკაცი.

„სუკთან“ საქმე თავის დღეში არ მქონია (მამამისის რეაბილიტაციის საბუთის აღებას თუ არ ჩავთვლით), რაღა, მაინცდამაინც, ის შეარჩიეს ამ დავალების შესასრულებლად. არადა, სუკლები კარგ საქმეს რომ არ დაავალბდნენ ესეც იცოდა, უარის თქმა კი გაუჭირდებოდა, რატომ უნდა მიეცა ამათთვის რაიმე საბაბი, როცა უმიზეზოდაც, ყოველ ნაბიჯზე შეეძლოთ ფეხის გამოღება, ყველაფერს რომ თავი დაეანებოთ, მასაც „მავანად“ ჩათვლიდნენ. ამათგან ყველაფერია მოხალღნელიო, იფიქრა.

— თქვენ სუ აღელდებით, ბატონო აკაკი, მართალია, სუკის თანამშრომლები ვართ, მაგრამ ისეთი არაფერს დაგავალდებთ, რაც ჩვენს სამშობლოს ავნებს, ბოლოსდაბოლოს, ჩვენც ხომ ქართველები ვართ და მკვანზე ნაკლებად არ გვიყვარს სამშობლო. — მკვანში, ალბათ სუკის დამძახებულს გული-სხმობდა, ამ დროს, მეორე სუკელის უშველბელ ყვრს მოკრა თვალი, ვერცერთ ბგერას რომ ვერ გამოაპარებდი, ამას სამშობლო ყურით უყვარსო, გაიფიქრა და გული დაწყდა, სწორედ ასეთი ხალხი რომ იხუმებდა სამშობლოს სიყვარულს.

— პაკეტი უნდა გაგატანოთ პარიზში, — უთხრა ბარიტონმა. „პაკეტი“ ხმადაბლა და ისე მრავალმნიშვნელოვნად წარმოთქვა, თითქოს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ზაიდუმლო ხაზუთს ატანდა არ უნდოდა კაკოს რაღაც საეჭვო პაკეტის თრევა, მაგრამ ამას თუ არ გააკეთებდა, ხელს შეუშლიდნენ, მას კი ძალიან უნდოდა პარიზის ნახვა და აღარ იცოდა რა ექნა.

— ხულ ესაა. — ბარიტონმა ანახდად ხუთკაპიკიანი საფოსტო კონვერტი აჩვენა, საიდან გაჩინა, ეს ვერ შენიშნა, გარდა ამისა, პაკეტი, ბანდეროლივით მოზრდილი შეკვრა ევონა და ჩვეულებრივი კონვერტი რომ დაინახა, რაღაც გარკვეული შეებაც კი იგრძნო. ბარიტონმა კონვერტი წინ, მაგიდაზე დაიდო, კაკომ ისევ იმ ოდგეალონის სუნი იგრძნო, დიდთავა დირექტორის სახელი რომ ერქვა, თვითონ სახელი კი ვერაფრით გაიხსენა. — მსახიობებს ჩინებულ მახსოვრობა გაქვთ, მთელ შექსპირს ზეპირად წარმოთქვამთ. თქვენ, ბატონო აკაკი, ასე არ დაგტვირთავთ, მხოლოდ რამდენიმე რემარკის დაზეპირება მოგიწევთ. — თითის მსუბუქი ბიძგით კონვერტი მაგიდაზე გააცურა, თითითვე უკან დააბრუნა, ხელი დააფარა და კაკოს გამოხედა. — დაეალება, ზოგადად ასეთი სახისა: პარიზის ერთ-ერთ კაფეში გამონდება მამაკაცი, რომელსაც პოჯა-

კის მარცხენა ჯიბეში ედებოდა გარეთი „ფიგარო“, თქვენ დაუწყებულე პაროლს, ის პაროლითვე გიპასუხებთ და მხოლოდ ამის შემდეგ გადასცემთ პაკეტს. — კაკომ, უნებლიეთ, გამოსართმევად გაიშვირა ხელი, ბარიტონმა, როგორც ჩანს, ეს თანხმობის ნიშნად ჩათვალა, მაგრამ კონვერტი მაინც არ მისცა. — კაფეს, ანუ შეხვედრის ადგილს ჰქვია „შამპანიონი“, მისამართია — მონტესკიეს ქუჩა, ოცდაერთი, მონტესკიეს ოცდაერთი. შეხვედრის ადგილზე უნდა მიხვიდეთ ოცდაორ აპრილს, ჩვიდმეტ საათზე. ახლა კი მთავარი, პაროლები. — ერთი სიტყვაც რომ არ გამოაპაროდა, დაძახული უსმენდა და ამის გამო, თავი ასტკივდა. — თქვენი პაროლია ღრიაჩკალი, ღრი-ან-კა-ლი, იმისი — კირჩხიბი, კირჩხი-ბი.

— კირჩხიბი ჩემი ზოდაიქია.

— მაგას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა, პაროლი არ უნდა შეგეშალოთ და მხოლოდ სწორი პაროლის მიღების შემდეგ გადასცემთ პაკეტს. — კონვერტს რატომღაც პაკეტს უწოდებდა, ალბათ, უფრო დიდმნიშვნელოვნად რომ მოეჩვენებინა, კონვერტთან შედარებით პაკეტი ხომ გაცილებით სოლიდურად გამოიყურებოდა. ის მამაკაცი უინლააო, დაინტერესდა კაკო. ჩვენი კაციაო, მიუგო და მცირე პაუზის შემდეგ ჰკითხა, შეგიძლიათ გაიშვიროთო. ამას კლებილი ხომ არ ევონივარო, ეწეინა, თუმცა პაროლები მაინც აერია. ბარიტონმა შეუსწორა, გაამოვრებინა და კონვერტიც მხოლოდ ამის შემდეგ გადასცა. კონვერტი ჩვეულებრივზე მძიმე ერქვნა, თან იმ ოდგეალონის სუნიც ახდიოდა და მაგიდის კიდეზე დადო. ბარიტონს, როგორც ჩანს, არ მოეწონა კონვერტის ადგილმდებარეობა, ეს ძალიან მნიშვნელოვანი პაკეტია, თვალის ჩინივით უნდა გაუფრთხილდეთო და ამის შემდეგ, განსაცვიფრებელი რამე უთხრა: — წართმევის მცდელობას თუ შეამჩნევთ, პაკეტი იმწამსვე უნდა გადაყლაპოთ.

— ულუდოდ ხინკალსაც ვერ ვწვლავ და ამას რანაირად გადავწყლავ? — ბარტიონის ნათქვამი ჯერ ხუმრობა ეგონა.

— პაკეტი მტერს თუ ჩაუვარდა, ბატონო აკაკი, ხინკალსაც და, მითუმეტეს, ლუღსაც, კარგახანს ვეღარ მიირთმევთ.

ეს უკვე ფარული მუქარა იყო, არ ეგონა დაეალება ასეთი სახიფათო თუ აქნებოდა, მაგრამ უკანდახევაც არ ხურდა, იფიქრებდნენ შემინდო. მართალია, კონვერტის გადაყლაპვას სულაც არ აპირებდა, მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის მაინც იკითხა, რანაირად უნდა გადავწყლავო.

— ეს ძალიან ადვილია. — ბარტიონმა თაბახის ფურცელი თეატრალური წესტით აწია, აი, თქვენი პაკეტიო, ჯერ შუაზე გაზია, ნახევრები ერთმანეთს დაადო, კვლავ გადაზია და ასეთნაირად, ნაკუნებად დაანაწევრა, მუშტში მოაქცია, მერე თითები გაშალა, ხელისგულზე კაკლისტოლა გორგალს დაამტვრვა და კაკოს რომ ეგონა, ახლა კი გადაყლაპავსო, თითები მუშტად შეკრა, ხელი მსახიობივით აღმართა, ხანმოკლე პაუზის შემდეგ თითები ისევ გაშალა და ნაკუნები უკლებლივ, ფარფატით ჩაემუნენ კინოფირის მრგვალ კოლოფ-ხაფურფლეში. ეს ნომერი პროფესიონალი ილუზიონისტივით ისე მოხდენილად ჩაატარა, თითქოს მთელი სიცოცხლე ცირკში გამოდიოდა და კონვერტსაც, რასაკვირველივ, იოლად გადავლტავდა.

— ეს ამბავი, ბატონო აკაკი, იმედია ჩვენს შორის დარჩება, — გააფრთხილა ბარტიონმა, ბედნიერი მგზავრობა უსურვა და ამჯერად, ხელიც ჩამოართვა, რაც კაცომ ნდობის გამოცხადებად ჩათვალა და გულში ესიაშოვნა კიდევ. ისინი რომ წავიდნენ, ოდგოლონის სუნიც გაქრა. კონვერტი ჯერ დაყნოსა, ორივე მხრიდან გულდასმით დაათვალიერა, ხისკე გაუხინჯა, მერე სინათლეზე გახედა, თუმცა საუკეთესო ვერაფერი აღმოაჩინა, ისიც კი იფიქრა, ფაქიზად გავზხ-

ნი და ისევ შევაწებებო, მაგრამ ვერ გაბედა, ვაითუ ჩაიხსოს, <sup>მეტი</sup> <sup>შევა</sup> <sup>ჯიბეში</sup> რაც შეიძლება ღრმად მოაიათეს და დილიც ისე საიმედოდ შეიკრა, როგორც განსაკუთრებით საიდუმლო საბუთს შეეფერებოდა. კონვერტი განსაკუთრებით საიდუმლო რომ არ ყოფილიყო, მაშინ ორი სუკელი არც გამოყვებოდა, პაროლებსაც არ მისცემდნენ და რაც მთავარია, გადაყლაპვას არ დაეალებდნენ, მხოლოდ ის ვერ გაიაზრა, რატომ უნდა გადაყლაპა, როცა შექცელო დაეზია ან დაეწვა, მერე კი მიხედა, უკცარი თივდასხმის (შემთხვევაში); მხოლოდ გადაყლაპვას მოასწრებდა და ზინიდან ასეთი, მართლაც უადრესად მნიშვნელოვანი დაკლება სწორედ მას მიანდეს, ამან, საღდაც გულის სიღრმეში პატიუმოფერუობის ციციკნა ჭია გაუღვიძა. მეორე მხრივ კი, ასეთი ეჭვიც ღრღინდა: რატომ უნდა შეესრულებინა სუკის დაკლება, ამათ ხომ მაშამისი, ოცდაჩვიდმეტში სულ ტყუილებრალიოდ გადაასახლეს, ბიჭამისი დახვრიტეს და ეინ მოთვლის კიდევ რამდენი ადამიანი გააუბედურეს, მაგრამ ეს ეჭვი ტვინში გუწინდა, ციციკნა ჭიამ კი გულში გაიფაშუნა და თვითკმაყოფილების სასიამოვნო შეგრძნება წარმოშვა... ასე იყო თუ ისე, ვინაიდან ასეთი მნიშვნელოვანი დავალება იკისრა, უნდა შეესრულებინა კიდევ

აეტბოუსში ჯიბე რამდენიმეჯერ მოისინჯა, შინ კი კონვერტი საწერი მაგიდის უჯრაში ჩაკეტა და შავი ნაჭრით შუბლწაკრული ცოლის მგლოვიარე ხახე რომ დაინახა, გუნება საბოლოოდ წაუხდა. დაფნის ფოთოლივით ხმელი დედაკაცის მიმჭენარა ხახე მუდამ უკმაყოფილებას გამოხატავდა, ბუზღუნით, გაუთავებლად დაიარებოდა აქეთ-იქით და ფლოსტებს იატაკზე მიაფართხუნებდა. კაცი გუნებაში ფუნას ეძახდა, ხმამაღლა კი — ვერ უბედავდა. ოცდარვა წელი გავიდა მათი ქორწინების შემდეგ და არ ახსოვდა, თუნდაც ერთხელ მაინც ფუნას რამე მოსწონებო-



და, პარიზი რომ ენახა, იქაც უკმაყოფილო დარჩებოდა.

— ამას წინათ ფრანგული ოდეკოლონი რომ მარუქებს, სად შეინახე?

— რად გინდა, პარიჟში მიგაქვს?

კაკო მკარადა გამოაღო, ოთხკუთხე ფლაკონზე „monsieur ROCHAS“ ამოიკითხა და გაახსენდა... დიდთავა: როშა ბაბაღუა, ფილმის დირექტორი, რომელიც ერთ კინოსურათზე ხაბი ფილმისთვის გათვალისწინებული ფულის გადახარჯვით იყო ცნობილი და ყველას გასაკვირად, ამისთვის არაფერ სჯიდა. ოდეკოლონი თავსახური მოხსნა, მძაფრმა სუნმა ცხვირი აუქაჟა და გაბმულად დააცემინა.

— აქი ცოლის წაყვანა ქრ შეიძლება? — ნიშნის მოვებით წარმოთქვა ფუნამ. — ანაკომ მითხრა, კორკობა-შვილის ცოლმა, მეც მივედივარო პარიჟში.

— ის კინოსტუდიის თანამშრომელია, ქალო, რით ვერ გაიგე?!

— ძალიან რომ მოგეწადინა, ჩემთვისაც იმსოვიდი ერთ საგზურს.

მან, პარიზში ფლოსტების ფართხუნით მიმავალი ფუნა წარმოიდგინა და შენდა აკლიხარ „პარიჟსო“, გამოაჯავრა.

— იმ გათახსირებულს ხომ მიათრევ?

— ფუნას თვალები გაუწვრილდა. კაკოს შევეარბულიც კინოსტუდიაში შემოიბდა, ცხადია, ფუნას ვიღაც ატყობინებდა ქმრის სასყვარულო ამბებს, სსყვარლის პარიზში წაყვანა კი ნამეტანი მოუვიდათ.

— სულ გადაირიე, ქალო?! — ისედაც დამაბული ვითარება რომ არ გამწვავებინა ოთახიდან გავიდა და კარი გაიჯახუნა. ფუნას უკვე დიდი ხანია ვუღარ იტანდა, მისი ფიზიკური არსებობაც კი აღიზიანებდა, ამის გამო, შინ გვიანობამდე არ ბრუნდებოდა, დილით, დედაკაცის მოკამული სიფათი რომ არ დაენახა სახლიდან ადრე გადიოდა, შაბათ-კვირას კი საყვარელთან ატარებდა. ასე, უკვე თითქმის თორმეტი წელი

ცხოვრობდა, მიეჩნეოდა და რომის შეცვლა არც უფიქრია, ამის წინააღმდეგის პატრონი კაცისთვის მტკიცე კონკურების წესის შეცვლა იყო. უფრიდან კონკურტი ამოიღო და ისე დაფინანსებით ჩააჩერდა, თითქოს შიგ მოთავასებულ ტექსტს ასეთნაირად გამოიკითხავდა, შეწებებული კიდე ფრჩხილით მოუსხინჯა, მაგრამ ცდუნება დამლია და კონკურტი კვლავ გულის ჯიბეში ჩაიღო. ამის შემდეგ დავალება ვაიმპორა, მაგრამ პაროლები ისევ აერია და კონსპირაციისთვის ბლოკნოტის ფურცელზე უკელმა დაიწერა. ახლა, კონკურტიან ერთად, წესით, ეს ფურცელიც უნდა გადაეყვანა. პერანგი გამოიცვალა, გაღამაზდა, მერე შამპანური იყიდა და საყვარელთან გაემურა.

ერთი კვირის თავზე მოსკოვში მიფრინავდა, მარჯვენა გულის ჯიბეში უცხოური პასპორტი და ხუთასი ფრანკი ეღო, მარცხენაში კი — საიდუმლო კონკურტი. ჩახაყლაპი კონკურტი პაროლებთან ფურცელთან ერთად დიდ კონკურტში მოათავსა, პიჯაკის სარჩულიდან მის შეხებას გრძნობდა და გულიც დამშვიდებული ჰქონდა. ყოველი შემთხვევისთვის, ამოკრავდა კი უნდოდა, მაგრამ შერცხვა, პარიზში სოფელელივით გაცრილი ჯიბით ხომ არ წაეღო.

მოსკოვის აეროპორტის საბაჟოში იხერჯაულა, ვაითუ კონკურტი ჩამომართვანო, მაგრამ ყველაფერმა კარგად ჩაიარა. აქ, მათ ოცკაციან ჯგუფს ვიღაც პირქუში რუსი დაემატა. ეს კაცი თვითმფრინავში მის ზურგსუკან დაჯდა, მოეჩვენა რომ თუთვილთვალეობდა და პაროლები აღარ გაუმეორებია, ვაითუ წამომცდებო, შპარგალკის ამოღებაც ვერ გაბედა, მიელი გზა მხოლოდ კონკურტის გადაცემის გეგმას ადგენდა. ხედავ ხუთ საათზე საიდუმლო აგენტს უნდა შეხვედროდა, ამიტომ თადარიგიც დილიდანვე უნდა დაეჭირა. მარტო იმ კაფეს მოძებნას, ვინ, იცის, რამდენ დროს მოანდომებს, მთავარი კი მაინც პაროლებია, კაკო ეტყვის ღრიანკალიო,



ის უპასუხებს კირჩხიბიო, გადასცემს ამ კონვერტს და დაეალებაც შესრულებული იქნება. ნეტავი ვინაა ის კაცი, ჩემი ფრანგულით რამეს თუ გაავაგებინებო, იფიქრა ნამდვილ ფრანგთან ხომ არასდროს უღაპარაკია.

პარიზის აეროპორტში ისეთი ნისლი იდგა, ვაკუვირდა კიდეც, ასეთ ამინდში როგორ ვიფრინეთო, ავტობუსის ფანჯრიდან კი ქოლგიანი პარიზელებისა და განათებული ვიტრინების მეტი ვერაფერი დაინახა. ვახშმის მერე კალაქში გასეირნება მოინდომა, მაგრამ კუკავისგან ცივი უარი მიიღო, ჯგუფის გარეშე სიარული არაფრით არ შეიძლება, რომ დაიკარგო პასუხს იხვე მე, ჯგუფის ხელმძღვანელს მომთხოვენი. პარიზში, დღეს თუ არა, ხვალ მაინც გასეირნებდა, კონვერტის გადასაცემად კი ალბათ, არ გაუშვებდნენ. ერთხანს ფოიეში დაბორიადობდა, მერე ქუჩაში გამვლელებს ათვალიერებდა. შორს, რძიხფერ ნისლში, მიმზიდველად ციმციმებდა იდუმალებით მოცული ღამის პარიზი და ვინ გაიგებდა, კაზინოებისა და ბორდელებისკენ რომ გაეხეია, მაგრამ კონვერტი გაახსენდა და ვედარ გაბედა, მართლა არ დაეკარგო. სასტუმროს წინ გაიარ-ვაშიოიარა, შიდაზიის ვიტრინაში ფეხსაცმელები დაათვალიერა და ნომერში დაბრუნდა. კუკავა საწოლზე წინ გადახრილი იჯდა, როგორც იქნა, ღამის წინაღმდეგობა დაძლია, ფეხსაცმელი გაიძრო და ფეხით საწოლის ქვეშ შეაგურა.

— ელიზბარ, ხვალ ჩემი ბიძაშვილი უნდა ეინახულო, ამდენ ხანს ომში დაღუპული გვეგონა, თურმე ცოცხალი ყოფილა და აგერ, პარიზში არ ცხოვრობს. — თვითონვე გაუკვირდა, ასეთი ცოცხალი ტყვილი რომ მოიგონა. კუკავამ თითქოს დაუჯერა კიდეც. მერე გაახსენდა, რომ დილიდანვე ლენინის სახლი უნდა ენახათ, დასწრება აუცილებელი იყო, ამის შემდეგ კი შეეძლო წახულიყო, ოღონდ გააფრთხილა, შე არაფერი არ ეციე, ჩავიწერენ საქმეში

და საზღვარგარეთ ცხვირს აღარ გაგაყოფინებენო. ვინ ჩამიწერდა, ვინაა ჩემი და, რაზეც კუკავამ უცნაურად მომხმუნდა, ირგვლივ მიმოიხედა, მისკენ მოიწია და ხმადაბლა გააღო: ყველა ჯგუფზე, კვებუდან თითო კაცია მიმაგრებული ფარულ მეთვალყურედ, ჩავიშვებს და პარიზი კი არა, თბილისიც სანატრელი გაგიხდებაო, კაკოს ვგონა, რომ ჯგუფის მეთვალყურე მხოლოდ კუკავა უნდა ყოფილიყო, კიდეც ვიღაც თუ იქნებოდა — არც უფიქრია. თუ ვინ იყო ეს მეთვალყურე, ალბათ, თვითონ ჯგუფის ხელმძღვანელსაც არ ეცოდინებოდა, რომ სცოდნოდა კიდეც, მაინც არ ეტყოდა, ამიტომ აღარც უკითხავს.

დილით წვიმა ცრიდა და ბურუსის გამო ავტომანქანები ანთებული ფარებით მოძრაობდნენ. პირქუში, იმჯერად უკვე გამოზნულად, კვლავ მის უკან დაჯდა. კაკო ცდილობდა ეიფელის კომქისტების მაინც მოეკრა თვალი, მაგრამ ნაცრისფერი ფარდის მიღმა თითქმის არაფერი ჩანდა. ლენინის სახლში არც შესულან, გარედან დაათვალიერეს და გიღს, ქერათმიან ფრანგ ვოკონას გაუგნენ. პირქუშისგან თავი შორს ეჭირა, ჯგუფს ბოლოში მისდევდა, ძველებურ შენობასთან როცა შეჩერდნენ და გიღმა ღაპარაკი დაიწყო, — დრო იხელთა, მარშალიოს სვეტს ამოეფარა, დაახანა, მერე შენობას შემოუარა და სწრაფი ნაბიჯით გაეცალა იქაურობას. თავი სამშვიდობოს რომ დაიგულა, ვიღაც კაცს ჰკითხა, მონტესკიეს ქუჩა როგორ მოენახო, იმანაც აუხსნა და კმაყოფილი იმით, რომ ფრანგს გააგებინა და თვითონაც ყველაფერი გაიგო, მეტროში ჩავიდა და უსაფრთხოებისთვის რამდენიმე მატარებელი გამოტოვა. თავის გაჩერებაზე გადმოვიდა. მართალია, არავინ მოსდევდა, მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის, კუღის ჩამოცილების დეტექტივებში ამოკითხული ზერხი გამოიყენა, რომელიდაც სადარბაზოში შევიდა და კარს უკან დაიმალა. არამც თუ სადარბაზოსთან, სახლის წინაც კი არ-

ავინ შექერებულა, ცოტა ხანში ვარეთ გამოვიდა, მიიხედ-მოიხედა და გზა გააგრძელა. მონტესკოს ქუჩაზე „მაშინიონს“ ადვილად მიაგნო. კაფე ცარიელი იყო, ვიტრინის ძიღმა, ქუჩაში შავლაბადიანი მამაკაცი შენიშნა, პირქუშად ჩითვალა, გამოუდევნა, მაგრამ ის სადღაც გაქრა. დაბეჯითებით ვერც იტყოდა, რომ ნამდვილად პირქუში დაინახა, დროც აღარ ითმენდა, ამიტომ ისევ კაფეში დაბრუნდა, პირით კარისკენ დაჯდა და მოლოდინად იქცა — ხუთს სამი წუთი აკლდა. ახლავს იგრძნო პერანგიც რომ დასველებოდა, კონვერტი დროებით შარვლის ჯიბეში გადაიტანა, პიჯაკი ვასპრობად სკამის ზურგზე გადაკიდა, ოფიციალტს ყავა შეუკვთა, პაროლები გადაიშორა და კარს მიახერდა. ცოცხალი საიდუმლო აგენტი არასდროს არ უნახავს, საინტერესოა, ფრანგი იქნებოდა თუ რუსი, შეიძლება ხულაც ქართველი ყოფილიყო. არადა, ქართველ აგენტთან შეხვედრა, თანაც პარიზში, უბრალო ამბავი როდია, კაკოც ხომ იმასავით დიდმნიშვნელოვან საიდუმლო დავალებას ასრულებდა, რომლის შესახებ მხოლოდ დეტექტიურ რომანებში თუ წაუკითხავს. ეს რომ გაიფიქრა, შივნით ისევ საამურად გაიზმორა ის ცრქნა ჭრ და ასეთი მოსაზრება გაუნდა: „იქნებ ჩემი მოწოდებაც სწორედ ესაა, აქ მე ვასრულებ მთავარ როლს... მთელი სიცოცხლე მხოლოდ ერთი მთავარი როლი, ოღონდ მაყურებლის ვარემ“. თავისი თავი რეზიდენტად, განსაკუთრებით საიდუმლო, სახელმწიფო დავალების შესრულების დროს წარმოიდგინა და ციქნა ჭია მეტი მონღოებით ამომრავდა. საინტერესოა, მაინც რა დავალებაა ასეთი?.. კონვერტს თუ გადასცემს, მერე რაღას გაიგებს, მთელი სიცოცხლე სანანებლად დარჩება, ნეტავი წამეკითხო. ბედი უნებლიეთ ჯიბისკენ გაექცა, მაგრამ გვიანდა იყო, ხუთი სრულდებოდა და აგენტი ეს-ესაა უნდა გამოჩენილიყო. ოცი წუთი ისეთ დამაბულ მოლოდინში

ვაატარა რომ თავი უსწრებლად შეხედო. ლევი აერია და საშინდელად მიმსჯელა. სოსისი შეუკვთა და ვინაიდან მთელი ყურადღება კარისკენ ქონდა მიპყრობილი, ისე სწრაფად შესანსლა, გემოც კი ვერ იგრძნო. ამასობაში ექვსი საათიც შესრულდა, მაგრამ არამც თუ საიდუმლო აგენტი, საერთოდ, არავინ შემოსულა. არადა, საიდუმლო აგენტები შეხვედრის ადგილზე არასდროს იგვიანებენ, ან მოდიან, ან არა, რაც განსაკუთრებულ შემთხვევაში ხდება, ეტყობა, ახლა სწორედ ასეთი შემთხვევა გახლდათ. მართალია, მისი ბრალი არ იყო, მაგრამ გული მაინც დაწყდა, ასეთი მნიშვნელოვანი დავალება რომ ვერ შეასრულა.

— პარდონ მუსიე, ქართველი ბრძანდებით? — მაგიდასთან შეუღევაშა, პირხმელი, ძვირფას, ბაც კონსტუმში გამოწყობილი მამაკაცი იდგა, ფრანგული სუნამოს გამაბრუებელ სურნელს აფრქვევდა, შავი ბაფთის ქვეშ კი რაღაც თვალისმომკრულად უბრწყინავდა. პიჯაკის მარცხენა ჯიბეში არავითარი გაზეთი არ ედო, მოუღვარე რაღაცა კი, ქოქათა პერანგზე მიმაგრებული უზარმაზარბრილიანტიანი გულსაბნევი აღმოჩნდა. ვინაიდან კაფეში არავინ იყო და ვარდნაც არავინ შემოსულა, ისეთი შეგრძნება გაუნდა, თითქოს მამაკაცი იატაკიდან ამოიზარდა.

— ვრათი მალაქია კინწურეიშვილი, — რიხით წარმოთქვა მალაქმა, პირხმელმა მამაკაცმა და თავი ოდნავ დახარა. კონსტუმის ნაცვლად ჩოხა-ახალუხი რომ ჩაექცა, ნამდვილი იმერელი თავადი იქნებოდა. კაკოც გაეცნო და სკამი გამოუწია, დაბრძანდითო.

— კინწურეიშვილი თუ გსმენიათ, თალიკო, მოანგარიშედ ნამუშევარა კინოსტუდიაში? — შეეკითხა იგი. თალიკოს კი იცნობდა, მათი გავრთიანების ბუღალტერი იყო, მაგრამ ამან საიდან ვაიგო რომ მე, კინოსტუდიაში ვმუშაობო.



— პატრიკა სათხოვარი მაქვს თქვენთან, მუსიე აკაკი, თუ არ შეწყუბუნდებით, რასაკვირველია. — პარიზელი ვრავი იმერულად რომ უქცევდა, ამანაც გააკვირვა, მისმა თხოვნამ კი ეჭვიც აღუძრა.

— ერთი პაკეტი მინდა რო გადასცეთ ჩემ დეს.

— ეს რომელი პაკეტი... — კინალამ ისიც წამოცდა, კონვერტი რომ აღმოჩნდა? გამოირკვა რომ დისთვის, პაკეტით ტანსაცმლის გაგზავნას ამირებდა, მერე თავისი თავგადასაკალიც უამბო. ომის დროს გერმანელებთან ტყვედ ჩავარდნილა, ბანაკიდან გამოპარული ფრანგ პარტიზანებთან მოხვედრილა და მათთან ერთად იბრძოდა ფაშისტების წინააღმდეგ, ომის შემდეგ კი აქაური ქალი შეურთავს და საფრანგეთში დარჩენილა. ოცდახუთი წელი მისიანები დაღუპულად თვლიდნენ, მაგრამ სუბიმივილების ანსამბლი პარიზში რომ ჩამოსულა, იმათი პირით შეუთვლია თავისიანებისთვის, ცოცხალი ვარო, ახლა თავისი მბროუნების გამგლევენება არ ხერდა, ვინაიდან საქართველოში ხამშობლოს მოღალატედ ითვლებოდა და მოშობდა — კომუნისტებმა თუ ვაიგეს ცოცხალი რომ ვარ, მე კი ვერაფერს დამაკლებენ, მაგრამ, შეიძლება ჩემს დას დაუშაონ რამეო. სიფრთხილის გამო, პაკეტის ფოსტით, ესე იგი, ოფიციალური არხით გაგზავნას თავს არიდებდა, საქართველოდან ვინმე ჩამოსულ სანდო ადამიანს თუ მონახუცდა (რაც იშვიათად ხდებოდა) გაატანდა კიდევ ეს ამბავი რომ მოიხმინა, კუჭკავსთვის ნათქვამი ცოცხალი ტყვილი გაახსენდა, თავისი მონაგონისა და სინამდვილის დამთხვევამ გააოცა, კინწურეიშვილიც ომში დაღუპული ეკონათ, მაგრამ ცოცხალი, პარიზში აღმოჩნდა და იქ, უცნაურმა აზრმა გაუელვა, იქნებ მართლა ჩემი ბიძაშვილიაო, თუმცა ნათესაობაში ასეთი ვერავინ ვახსენა და ეს ვარაუდი უარყო, იმერული ვრავის მონაყოლში მხოლოდ იმან დააუკუა, პი-

როვნების გამგლევენება რაღაც კერძოა, მისი ხამშვი ქვეყნის ხალხმა რა ვაიგო, ნეთუ სუკი უღარ შეიტყობდა, უნდოდა ეთქვა, ტყვედ ნამყოფებს სტალინის დროს სჯიდნენ, ახლა კი ამ ხალხს და მათ ნათესაებს აღარაუინ ერჩისო, მაგრამ გადაიფიქრა, აღ ევონოს პაკეტის წაღება მუხარებო.

— მოგეწონათ პატივი? — შეეკითხა კინწურეიშვილი.

— ჯერ არც მინახავს...

— დღეს, მუსიე აკაკი თქვენ ნახავთ ნამდვილ დამის პარიფს, ჯერ რულეტკა დაეაზრიალოთ ჩემს კახინოში, გემრიელად მივირთვით ჩემს რესტორანში, მერე კი ბორდელოში უავერთოთ რასაკვირველია.

ბორდელოც თქვენიაო, უნდოდა ეკითხა, მაგრამ მოერიდა, წინადადება კი იმდენად მიცდუნებელი იყო, რომ სახიამოვნო შეგრძნება დაუფულა, თითქოს ჩემს გულში იჯდო, მერე კუჭკვა გაახსენდა, ისედაც ხულ ჯგუფის გარეშე დაედივარ და კიდევ ბორდელოშიც რომ დამინახონ, მორალურად არამდგრად ჩამთვლიანო და მოიწყინა. მთულ ჯგუფსაც დაეპატივებდი, მარა ვიცი, რომ საბჭოთა ტურისტებისთვის ბორდელო აკრძალულიაო, გაიღიმა, კაკო კი ვერ მიხვდა, ხუმრობდა თუ მართლა ამირებდა ამის გაკეთებას. მერე თავისი ხევიზიტო ბარათი მისცა, თუ გადაიფიქრებთ, დამირეკეთ, თუ არადა, ხვალ, შეად საათზე, აქვე შევხვდეთო.

სადილის დანახარჯი გადახდილი აღმოჩნდა, როგორც ჩანს, კინწურეიშვილმა გაისტუმრა, ნამიანი პიჯაკი ჩაიცვა და გარეთ გამოვიდა. დღეს, ყველგან პირქუში ელანდებოდა, მიიხედ-მოიხედა, საეჭვო რომ ვერავინ შენიშნა ქუნას გაუყვა, ვანათებულ ვიტრინებს ათვალეირებდა, მერე გახეთების ჯიხურში პორნოგრაფიულ ფურნალს მიანერდა. ფერად ყდაზე მიშველი ქალი იყო გამოსახული, დათვალეირება უნდოდა, მაგრამ მოერიდა და მხოლოდ ფასი ეკითხა. პარფუმერიის მაღაზიაში სა-

ვერლისთვის ფრანგული სენიო იყიდა და ჯიბეში ორი ფრანკი დადო. თავისი ვარუდით ეფულის კომპიანი მიემართებოდა, მაგრამ ისეთ საინტერესო ქუჩაზე მოხვდა, სპეციალურად რომ ეძებნა, ალბათ, ვერც მიაგნებდა. ტროტუარზე შევწინდინი, მოკლევადიანი, ძალიან შეღებილი ქალი ადგა და თუმცა სუსტი სქესის განმასხვავებელი სხეულის ყველა ასო თითქოს თავის ადგილას პქონდა, რაღაც მაინც ეჩითარა, მხრები თემოებზე საგრძნობლად ფართო ეჩვენა, მერე კი მიხვდა, მამათმავალი რომ იყო, ასე ამკარად, აღარაფრის არ ცხვენათო, გაიფიქრა და გაოცებული მიანერდა. ამან ჯერ კეკლესად გამოხედა, მერე დაუბღვირა, კაკო შეცბა და სასწრაფოდ გაეცალა. უოტა მოშორებით, თითო-თითოდ ან წყვილებად შევწინდინი, ამჯერად, ნამდვილად მსუბუქი ვოფაქცევის ქალები იდგნენ და გამოძწევად უღიბოდნენ, ამის შემდეგ ნანახმა კი ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: ვიტრინაში, სკამზე, ფეხიფეხადადებული, მიღად შიშველი ქალი იჯდა, ქვედატანზე შემოვლებულ ვიწრო, შავ ზოლს თუ არ ჩავთვლიდით. გავგებული მიჩერებოდა მკერდსავსე, გრძელფეხებიან ღამაზმანს, რომლის ყიდვაც, როგორც ჩანს, ყველას შეეძლო, ვისაც კი ფული გააჩნდა, მერე ირგვლივ მიმოიხედა ამ უხერხულ მდგომარეობაში ვინმემ არ დამინახოსო, თუმცა გარშემო არავინ ჩანდა და ისევ იმ ქალს მიანერდა.

Bonjour monsieur, ქალი გნებავთ? — მოესმა ფრანგულად და ისე შეცბა, თითქოს დანამაულზე წაასწრეს. მის გვერდით დაბალი, სარკესავით მელიოტი მამაკაცი ვიტრინას მიჩერებოდა, ყოველი შემთხვევისთვის, იმისი პიჯაკის მარცხენა ჯიბისკენ გააპარა თვალი, მაგრამ გახეთის მსგავსი ვერაფერი შენიშნა და რომელი ქალიო, იკითხა. ფანტასტიკური ქალი თქვენთვისო, მუსიკა, გულიმა მელიოტმა, ამწუთას, კაკოსთვის არ არსებობდა ამაზე ფანტასტიკური

ქალი, ალბათ, ამას გულისხმობდა, მაგრამ მელიოტმა იმედი ვერცხვინა, ამაზე უკეთესია და უდიდეს სიამოვნებას მოგანიჭებთო, ასპროცენტინი გარანტიაცი მისცა, რომ ყოველგვარი დაავადებისგან დაზღვეული იქნებოდა, ვინაიდან მისი ცოლი იყო. კაკოს ვეონა რომ მოესმა, ან ვერ გაიგო და როცა მელიოტმა გაუმეორა, ნამდვილად ჩემი ცოლიაო, გავგებული მიანერდა, მერე კი შეეკითხა რამდენი ეღირებოა. მელიოტმა, ერთი საათი შევიდას ფრანკად დააფასა და როცა კაკო ვიტრინის ქალის ღირებულებით დაინტერესდა, ბევრად ძვირიაო, მიუგო. გულდაწყვეტილი, ისევ ვიტრინაში გამოფენილ, მისთვის მიუწვდომელ ქალს მიანერდა და ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს იდგებოდა ასე, ბორღელის უფარნო, მაგრამ წითელმინიანი, იღუმალებით მოცული კარიდან ჯანიანი მამაკაცი რომ არ გამოსულიყო და შიგნით არ მიეწვიტ, რა იცოდა ორალირი ფრანკის მქონე საბჭოთა ტურისტს თუ ეპატივებოდა.

ერთი საათის შემდეგ, როგორც იქნა მიავსო თავის სასტუმროს. კუჭავისგან შეიტყო რომ პირქუში, თავიდან ჯგუფთან ერთად იმყოფებოდა, მერე კი აღარ უნახავს. სველი პიჯაკი გასაშრობად სკამის ზურგზე გადაკიდა, ჯერ ცხელი შხაბი გადაივლო, მერე დაწვა და, მუხუცდავად იმისა, რომ ორი საბანი დაიფარა, მაინც ვერ გათბა. დამე ვიტრინის შიშველი ქალი დაესიზმრა, მერე ნიხაში გამოწყობილი გრაფი. კინწურე-იშვილი, სიცხისგან პირი უშრებოდა და წყალს სვამდა ხოლმე.

დილით, მთელ სხეულში სისუსტეს გრძნობდა, წამოდგომის თავიც კი არ პქონდა. მაღალი სიცხე გაქცხო, უთხრა კუჭკვამ, ასპარინს შეპირდა და ქალაქის დასათვალიერებლად გასწია. მთელი დღე თვალდახუჭული იწვა და თავის თავზე ბრალსობდა, რაღა მაინცდამაინც პარინში გვეცვდი, ნამდვილად ამ კონვერტმა დამთარხაო. ცხალია, პარინს დღესაც ვერ დაათვალიერებდა, კინწურ-



რეიშეილს კი აუცილებლად უნდა შეხვედროდა. თავს ძალია დაატანა, წამოდგა, გაიარ-გამოიარა, ფანჯარასთან შეჩერდა, ოდნავ თავბრუ დაეხეა, საწოლზე ჩამოჯდა, შეისვენა, მაგრამ მაინც არ დაწვა, ჩაიკცა და სასტუმროდან გამოვიდა. კონსპირაციის თავი აღარ ჰქონდა, დროდადრო თავს იმხნევებდა, არ უნდა წახვლიო და დასახული მიზნისკენ მიემართებოდა. „შამპინიონს“ ადვილად მიავსო, დიქტულ დროს კინწურეიშვილიც გამოჩნდა, თუმცა ხელში არავითარი პაკეტი არ ეკავა, უდიშოდა და ირგვლივ სუნამოს სურნელს აფრქვევდა, მერე სწორედ ის პორნოკურნალი აჩუქა, წუხელ რომ მოეწონა, საიდნო, გაკვირებული დარჩა, მაგრამ პაკეტითი ესეც შემთხვევითობად ჩათვალა და აღარაფერი უკითხავს.

— პაკეტს კი შეგპირდით, მუსხე აკაკი, მარა ვერაფრის ყიდვა ვერ მოვახწარი, — ისე მოუბოდიშა, თითქოს კაკოს ძალიან უნდოდა ამ პაკეტის თრევა. პირიქით, გაუხარდა კიდევ ასე რომ მოხდა, მაგრამ სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა. — მაგის ნაცვლად წერილს გავატანთ ჩემ დასთან. — ჯიბიდან კონვერტი ამოიღო და კაკოს მიაწოდა. ისევ ეს კონვერტით, დაქვევებული ხელში მიაჩერდა, მერე გამოართვა, ზედ პეტისფხვური წარწერა ამოიკითხა, „თალიკო კინწურეიშვილს პირადად ხელში“-ო, პიჯაკის შიგა ჯიბეში, საიდუმლო კონვერტთან მიათავსა, მოეწევა რომ კინწურეიშვილმა კონვერტს თვალი მიაყოლა და იხანა, ამ ჯიბეში არ უნდა ჩამედო. იმის შემდეგ გრაფმა გულსაბნევი მოიხსნა, ხელისგულზე დაიღო, თითები მუშტად შეკრა, შეუბერა, მერე ნელა გაშალა, ცარიელი ხელი აჩვენა და თქვენ ჯიბეშიაო, მიანიშნა. ჩემს ჯიბეში რა უნდაო, გაუკვირდა, ხელი უნებლიედ კონვერტებთან ჯიბისკენ გაქცა, მაგრამ იმან დააჩუხტა, მანდ კი არა, ვარე ჯიბეშიო და კაკოს ისეთი შეგრძნება გაუჩნდა, თითქოს ამ კაცმა იცოდა, რომ მას შიგა ჯიბეში საიდუმლო კონვერტი

ჰქონდა შენახული. თითქოს ციხე-სიმახეში ჩააცურა, გულსაბნევი კონვერტს ალმოჩინა და გაოცებული მიაჩერდა. ბრილიანტმა ჯერ ოქროსფრად გაიბრწყინა, მერე ცისფრად აკაფდა, გაყვითლდა, გამწვანდა, იისფერი ვახდა და ისეთიბრად ილივლივდა, რომ მონუსხულივით თვალი ვერ მოწყვიტა.

— ნიორფერი ბრილიანტია, — შენიშნა კინწურეიშვილმა, — ვის ხელშიც მოხვდება, იმისი თვალის ფერს მიიღებს, რახაკვირველია. — მოდი ვხინჯავო, ვიფიქრს კაკომ და ჯადოსნური გულსაბნევი ზედ ქალსტუხზე დიშავრა.

— გალურჯდა... თალიკოზე რაფრად შეიღებება ახლა? — თითქოს თავის თავს შეკვითხა კინწურეიშვილი, სადღაც შორს, კაკოს მიღმა გაქცა მზერა და ხედავანარემა ღიმილმა გადაურბინა.

— ექვსხევერი კარატია ეს ბრილიანტი და ხუთი მილიონი ფრანკი ღირს, გაყიდის ამას თალიკო და იგილის რაცხას-თქო, ვიფიქრე. მასე არ ჯობია, მუსხე აკაკი? — როგორც ჩანს, კინწურეიშვილი აპირებდა გულსაბნევი მისთვის გაეტანებინა, ეგლა მაკლდო, იფიქრა, თან გაუკვირდა, ასეთ ძვირფას რამეს რომ ანდობდა, უკვე იცოდა — არ წიღებდა, მაგრამ მაინც დაინტერესდა, ხუთმილიონიან ბრილიანტს სახლვარზე რანაირად გადაიტანო.

— ვალსტუხზე თუ გექნებათ მასე, ბიუტერიას იფიქრებენ, აჰა, ვინ წარმოიდგენს რო ჩამდვილია ამოღუნა ბრილიანტი? — ცალკე კონვერტზე ვინერვიულეო, წამოცდა, გრიფმა კი ისე გაიკვირვა, კონვერტი რაღა ხანერვიულეოაო, ვითომ, არც იცოდა რომ კაკოს ჯიბეში საიდუმლო კონვერტიც ედო. გულსაბნევი მოიხსნა, პაწაწინა თვალს მიაჩერდა, ეს ხომ მთელი ქონება იყო, რომელიც მას არასდროს არც ჰქონია და აღბათ, არც ექნებოდა, გრაფი კი შაურიანივით ათამაშებდა ამხელა სიმდიდრეს და თავისუფლად შეეძლო ასევე თამაშით, დაუნახებლად შეეღოდა ხუთ მილიონს, რა ენადღებო-

და, გარდა ამისა ხომ რესტორანს, კაზინოსა და ბორდელსაც ფლობდა, მას კი ჯიბეში მხოლოდ ორი ფრანკი ედო, ეს პაწაწინა თვალი მისი რომ ყოფილიყო, იცოცხლე ვაიხარებდა... დანამდვილებით არც კი იცოდა როგორ გამოიყენებდა, თუმცა ამხელა სიმდიდრის მქონეს, ცხადია, ეს არ ვაუჭორდებოდა და გულიც კი დაწყდა, პატრონს როცა დაუბრუნა.

— ქართველები ვიკრიბებით ხოლმე აქ, სამშობლოს ვიხსენებთ და ჩვენ ნოსტალგიას ვიქარებთ ამით. — თვალბეჭდით წამით სევდა ჩაუდგა, მერე ისევ გახალისდა. — დღეს ხომ შეგვიძლია რულეტკა დავაბზრიდით ჩემ კაზინოში, მაღაქიას რესტორანშიც მივირთმევთ, მერმე კი საუკეთესო ბორდელშიც გავვართოთ, რასაკვირველია, მასე არ ჯობია, მუსიე აკაკი?

ჯობდა რომელია, ამაზე საინტერესო ადგილას სადღა წაყიდოდა, მაგრამ ყოყმანობდა, ბორდელში ასეთი დაფინანსებული პატიფი რატომღაც საუჭიროდაც კი მოეჩვენა. პაკეტის ნაცვლად, ბარიტონით ამანაც კონვერტი რომ გადმოხსნა, დაუფშავთ, უბრალო დამთხვევა იყო, მაგრამ პორნოგურწლის ჩუქვბაც შემთხვევითობად ჩათვალა?.. ზედმედ ამდენი დამთხვევა წინასწარ მომზადებულს უფრო წააგავდა, თავად გრაფიც ხომ არც ისეთი გულუბრუნლო ჩანდა, ხუმბილიონიანი ბრილიანტი სრულიად უცნობი ადამიანისთვის რომ მიეზღო. მოკლედ, ორჭოფულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, ცილიანაც უნდოდა კაზინოშიც, რესტორანშიც და მითუმეტეს, საუკეთესო ბორდელშიც წაყოლოდა, მაგრამ ეჭვების გამო ვერ ბედავდა, თან ერიდებოდა, ეს კაცი მართლა, გულით თუ ეპატიფებოდა, შეიძლება წყნობდა კიდევ და მოუბოდიშა, დღესაც შეუბლოდა ვარო.

— რას იზან, მუსიე აკაკი, უკეთ თუ გახდებოდა, უეჭველად დამირეკეთ. — მადლობა გადაუხადა, დაემშვიდობა და წაყიდა.

პორნოგურწალი მორეკავს, ელვიაში ამოიღო და გარეთ გადუქვიდა, ბუდის ირონიით ჯიბეში უკვე ორი კონვერტი ედო, ყოველი შემთხვევისათვის ირველივ თვალი მოაელო, დაღლილობისა და სისუსტის მიუხედავად კვლავ ეოფელის კომპიკსენ გახწია, მაგრამ ვერც კომქს მიაგნო და ვერც ვიტრინიან ბორდელს, რადგან სულ კონვერტებზე ფიქრობდა. იქიდან საიდუმლო კონვერტი გამოაჩანეს, აქედანაც რაღაც საეჭიო კონვერტს ატანდნენ, ვინ იცის, იქნებ რაღაც ფარული კავშირიც კი არსებობდა ამ კონვერტებს შორის?... ისიც არ მოეწონა, კანწურეიშვილმა, საიდუმლო აგენტთან შეხედრის ადგილზე, სწორედ „მამინიონში“ რომ მოაკითხა, ხოლო „იმერელი გრაფი“ კაზინოს, რესტორნისა და განსაკუთრებით ბორდელის მუპატრონედ რომ ასაღებდა თავს, ერთობ საეჭვიოდ მოეჩვენა, საიდან ამხელა ქონებაო, სხვა კითხვებიც გაუნდა, მაგრამ პასუხები ვერ მოძებნა და, მსჯელობაში გართული უნებლიეთ, თავის ხასტუმროსთან აღმოჩნდა, თუმცა აქ დაბრუნება სულაც არ უფიქრია. მერე გადაწყვიტა ასპირინი გადაეღლას და უკეთ თუ გახდებოდა კანწურეიშვილისთვის დაერეკა, მაგრამ ფოიეში პირქეში შენაშნა, მოეჩვენა, რომ ამან თვალი გააყოლა, თავის ნომერში ჩაიკეტა, აბი გადაეღლას და წამოწვა. კარზე დააკაკუნეს, პირქეშიო, გაუელვა, მცირე ხანს ვაუწინდა, კაკუნი როცა განმეორდა ფეთიანივით ტუალეტში შევარდა, სიდუმლო კონვერტი ამოიღო, უნდოდა გაეხსნა, მაგრამ დრო აღარ ითმენდა, შუაზე გახია, ნახვერები ისევ გადახია, რაღაც ღვარძლიანი სიმაოუნებით, აუნქარებლად დაფხრიწა ავბეღითი კონვერტი, ხელისგულზე მოთავსებულ ნაკუწიან დახედა, თუ კარგია თვითონ გადაეღლოსო, წარმოთქვა ბარიტონის მისამართით; ქდალდებს უნტაზში გადაუძახა, ჩარეცხა, შვებით ამოიხუნტა და ისღა ინანა, წაკითხვა რომ ვერ მოახერხა. ფეხაკრფით გამო-



ვიდა ტუალეტიდან, ერთხანს გულის-  
ფანქვალით (ლოდა კაკუნს, მერე კარს  
ყური მიჰყო, ოდნავ გამოალო, ღრუქო-  
დან ვერაუნი შენიშნა, დერეფანშიც არ-  
აინ იყო. კარც ჩაკეტა, ასეთი დამბუ-  
ლობის შემდეგ ერთბაშად მოეშვა, სა-  
კარძელზე წამოწვა და ხანუქარი პორ-  
ნოყურნალი გადაფურცლა.


დილით, ჯგუფთან ერთად ლიონში  
გამგზავრა. ხისუსტემ მთლიანად არ  
გაუარა, თუცა თავს გაცილებით უკეთ  
გრძნობდა, რაგორც ჩანს, ასპირინისა  
უშველა. პარქუში არ ჩანდა, ეტყობა,  
პარიზში დარჩა. ავტობუსის ფანჯარაში  
იქირობოდა, ჩვეულებისამებრ, ზოგ-  
ჯერ გულის ჯიბეს ამოწმებდა ხოლმე,  
ხელში მხოლოდ კინწურეიშვილის კო-  
ნვერტი ხელუბოდა და კმაყოფილება ეუ-  
ფლებოდა იმის გამო, რომ ბარტიონის  
ინსტრუქცია ზუსტად შეასრულა და  
საიდუმლო კონვერტი მოსპოვ. მართა-  
ლია, დავალება მთლიანად ვერ შეას-  
რულა, მაგრამ რა მისი ბრალია, საიდუ-  
მლო აგენტი დანიშნულების ადგილზე  
თუ არ გამოცხადდა. დაუჯერებენ კი,  
რომ მართლა ასე მოხდა?... კონვერ-  
ტი რომ არ მოეპო, ხელში საბუთი  
მაინც შეჩერებოდა, ახლა კი რითი უნ-  
და გაემართლებინა თავი?... მოკლედ,  
ახალი საფიქრალი გაუნდა და მთელი  
გზა წუხდა, სულ ტყვილად დახიუო.

სამი დღის შემდეგ კვლავ პარიზში  
დაბრუნდნენ. ავტობუსი ქალაქში არც  
ჩაჩერებულა, პირდაპირ აეროპორტში მი-  
იყვანა. მიუხედავად იმისა, რომ თვით-  
მფრინავის გაფრენამდე ქვეყნის დრო  
ქონდათ, კუჭკვამ მკაცრად გააფრთხი-  
ლა, აქედან ფეხი არ მოიცივალოთ.  
ერთი კი იფიქრა, მოდი ქალაქში გავალ,  
ეიფელის კოშკს ახლა მაინც შევხედა-  
ვო, მაგრამ ჩანთა ვინმესთვის ხომ უნ-  
და ჩაუბარებინა, ამხელა აეროპორტში  
გზის ვაგნებაც გაუჭირდებოდა — შე-  
აძლება თავის რეისზე დაეგვიანა, სამ-  
გზაურო ფულიც აღარ გააჩნდა და თვი-  
თმფრინავების ცქერით დაკმაყოფილდა.

ტრამზე პირველი ავიდა, სარტყელთან  
მოეწყო, ეიფელის კოშკს მიხედნენ. უნებ-  
ზემოდან მაინც მოეკრძა, უნებ-  
და აქაც გაუცრუვდა, თვითმფრინავი  
თითქოს ბამბის ქულაში მოექცა და  
პარიზიც სადღაც მის ქვემოთ დარჩა-  
ამჯერად, პარქუში კაკოს წინ იჯდა,  
და თითქოს ჯინახეო, ეიფელის კოშ-  
კზე ლაპარაკობდა.

ქემს ჯიბრზე რაღა, მაინცდამაინც,  
ეიფელის კოშკი აჩნდა, მოგზავნილი  
თუ არ არისო?... ამ კოშკზე ოცჯერ  
თუ ავიდა, ბორდელს ერთხელ მაინც  
ხომ უეჭველად ეწვეოდა, არაღა, უბ-  
რალიო ტურისტებს უკრძალავდნენ, სუ-  
კის მეთვალყურისთვის კი ყველაფერი  
ნებადართული იყო, სულ ტყვილად არ  
წყავა კინწურეიშვილს საუკეთესო  
ბორდელში, ვინ რას გაიგებდა, გულსაბ-  
ნეთთან დაკავშირებით კი ძალიან უც-  
ნაურად მოექცა, ისე ეშმაკურად შეა-  
პარებდა და საზღვარზეც ისე ვადატა-  
ნინებდა, რომ კაკო ვერც მიხედებოდა  
ჯიბეში ხუთმილიონიანი ბრილიანტი  
თუ ელო. ვინ იცის, კიდევ კონვერტში  
რა ჩადო. ტუალეტში გავიდა, კონვერ-  
ტი ყურადღებით დააფოკალიერა, მერე  
თითებს შორის დახრისხა, სისქე გაუსი-  
ნჯა, სინათლეზე გახედა, მაგრამ საე-  
ჭვო ვერაფერი აღმოაჩინა. გრაფის სა-  
ვიზიტო ბარათი ზეპირად დაისწავლა,  
იქნებ დამჭირდესო, დაზია და უნიტაზ-  
ში ჩაყარა, პაროლებიანი ფურცელიც  
მართალია, დაგვიანებით, მაგრამ ზედ  
მიავიოლა, ამის მერე უნიტაზი თავისი  
პირდაპირი დანიშნულებითაც გამოი-  
ყენა. ჩარეცხა და ამრიგად, თავისი  
სამარცხენო დავალების მამხილებელი  
საბუთები, უნიტაზის პირდაპირი დანი-  
შნულებით გამოყენების შედეგებთან ერ-  
თად, დიადი საბჭოეთის თავზე გაფან-  
ტა. ამ ოპერაციის შემდეგ სალონში  
დაბრუნდა, პორნოყურნალი ხელჩანთის  
ძირში მოათავსა, კონვერტი კი ხაცვლე-  
ბში ჩამალა. საბაჟო პროცედურის დროს  
მაინც ლელაუდა, მაგრამ ყველაფერმა  
კარგად ჩაიარა.

205





მოსკოვის აეროპორტიდან ავტობუსით მეორე აეროპორტში ჩავიდა, რამდენიმე საათის შემდეგ კი თბილისისკენ მიფრინავდა და განვლილ მოგზაურობაზე ფიქრობდა. მართალია, პარიზში კი იყო, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, თითქოს იქ კონვერტების გადასაცემ-გადმოსაცემად ვაგზავენეს. სწორედ ამ აუბედითი კონვერტის გამო ვერ დათვალე პარიზი და ახლა სინდისი ქეჯნიდა, რომ ხელი მოჰკიდა ისეთ საეჭვო დავალებას, რომლის ნამდვილი მიზანიც კი არ იცოდა. საიდუმლო კონვერტი რომ გაეხსნა, ამას მაინც ვერ გაიგებდა, ვინაიდან მისი დავალება, როგორც ჩანს, მთლიანი ოპერაციის რაღაც ნაწილს წარმოადგენდა, მთელ ოპერაციას კი მხოლოდ სუკის თავმჯდომარე იცნობდა და მთავარ როლსაც ის ასრულებდა, მას კი აქაც, სამწუხაროდ მეორეხარისხოვანი როლი არგუნეს. არადა, რისი გულისთვის დაეთანხმა სუკს თანამშრომლობაზე (ეს კი აშკარად, თანამშრომლობას ნიშნავდა), მხოლოდ იმისთვის, რომ პარიზში გაეშვათ?... შეიძლებოდა კი ამ ბინძურებთან კომპრომისზე წასვლა?... ასეთი კითხვა პირველად გაუნდა, ვინაიდან ყოველდღიურა საზრუნავით დატვირთული, ადამიანების უმრავლესობასავით ისიც დაუფიქრებლად მიჰყვებოდა ცხოვრების ღინებას, დასტირდა თანამდებობა — შევიდა პარტიაში, სწორედ იმ კომპარტიაში, მაშაძისი და კიდევ მილიონობით უდანაშაულო ადამიანი სასიკვდილოდ რომ გაწირა, მოისურვა, პარიზში გასეირნება — დათანხმდა სუკთან თანამშრომლობაზე და დაისაჯა კიდევ, პარიზში იყო და ეიფელის კოშკი ვერ ნახა. ამდენ ნერვიულობას არ სჯობდა სულ არ წასულიყო?...

თბილისში საღამოხანს ჩამოფრინდა. მოგზაურობით უკმაყოფილო ისედაც ცუდ გუნებაზე იყო და ფუნაც რომ წარმოიდგინა, გულს დასძმარა, ნეტავი შინ არ დამხვდესო, მაგრამ იმედი მა-

ლევ ვაეცრუვდა, — თავისი ფანჯრები, სამწუხაროდ, განმარტებული დახვდა. ჯერ კიბეზე ითრევდა ფეხს, მერე თავის კართან იდგა, ხელნათაში განგებ, კარგახანს ეძებდა ვასალებს, როდის-როდის კარიც გააღო, წინკარში გაიწერდა, ერთხანს ტელევიზორის ხმას აფურადებდა, როგორც ჩანს, ფუნა სასტუმრო ოთახში იჯდა, შეუმჩნეველად სამზარეულოში გასვლაც კი დააპირა, მაგრამ ფუნასთან შეხვედრა გარდუვალი იყო, ეს მძიმე ტვირთი სჯობდა ახლავ მოეშორებინა, თავს სძლია და ოთახში შევიდა. ტელევიზორთან მიმჯდარი ფუნა ოდნავ შემობრუნდა, უკმაყოფილოდ შეეკითხა, როდის ჩამოხვედით და ისევ ეკრანისკენ მიტრიალდა.

— მოგწონა პარიზი? — დამცინაუდ და როგორც მოეჩვენა, ნიშნის მოგებითაც შეეკითხა ფუნა.

— პარიზი, პარიზი! — გამოაჯავრა გაღიზიანებულმა. — ეიფელის კოშკი მაინც მენახა!

ფუნა ვაოცებული მიანერდა, აბა, რაღა ნახეო.

— ბოზები, პედერასტები და სუკის აგენტები!

— ესენი ხომ აქაც უამრავია, პარიზში მაგისტრის რატომ შეწუხდი?... ასეც მოვიხლება, მე რომ არ წამიყვანე! — დაყოლა ნიშნის მოგებით, მაგრამ ეტეობა, ის კი ვერ დაუშვა, რომ პარიზში ნამყოფს შეიძლებოდა ეიფელის კოშკი ვერ ენახა. შენდა აკლდი პარიზსო, გაიფიქრა, მაგრამ ძალიან შიოდა და ლაპარაკი აღარ გაუგრძელებია, მხოლოდ საჭმელი მოიკითხა, თუ გაქვსო. ფუნა სამზარეულოში გაფართხუნდა, ჩაიღანი გაზზე დადგა. კაკომ ჯერ მაცივარი გამოაღო, მერე საპურე, მაგრამ ორივე ცარიელი აღმოჩნდა და შიმშილისგან უკვე კუჭი ახტკოვდა.

— რა ჯანდაბად მინდა ქალო, შენი წყალწყალა ჩაი?! — წამოიძახა უეცრად.

— მოგწერა ჩამოვდივარ-თქო და დავახვედრებდი სადილს, — ასეთი უახ-

რობის წარმოთქმა მხოლოდ ფუნას შეეძლო, მაგივარიც ისე გამოადო, ვითომც არ იცოდა რომ შიგ არაფერი იყო.

— სწორედ წერილები და კონვერტები მაკლდა ახლა იქ!

— იმ ვათახსირებულს ხომ მიწერე?!  
— ფუნას გამელოტებულ კეფაზე პირველად შენიშნა დაუდევრად დახვეწული, თანგისფერი ნაწნავი, ამ სრულიად ზედმეტი დედაკაცის მიმართ უცერად ისეთი ზიზღი და სიძულვილი გაუნდა, რომ ცემაც კი მოუნდა და მარჯვენა ხელი უცნაურად აეჭაუა.

— ფუნა ხარ, ნამდვილი ფუნა!!! — იღრიალა ანაზღად, დედაკაცის გოგნებული თვალები დაინახა, ხელჩანთა გადაიკიდა და კარი გაიჯახუნა.

ტაქსი გააჩერა, მძღოლს საყვარლის მისამართი უთხრა და უცებ დამშვიდდა, წარმოიდგინა როგორ გაუბრწყინდებოდა სახე ქალს, მას რომ დაინახავდა

და გული უჩვეულო სიხარულით აკეცო, როგორ მომნატრებინა ეს მშობლიანტის გულხაზნევიც კაცისი წიგნის ფილიყო, მხოლოდ ამ ქალს აჩუქებდა, მერე მისთვისვე ნაყიდი ფრანგული სუნამო გაახსენდა, ჩანთაში ხელი ჩაყო, ფლაკონი თავის ადგილას, მთელი და უგნებელი დახვდა და დამშვიდდა. რასაკვირველია, სუნამო ზეთმილიონიან ბრილიანტს ვერც კი შეედრებოდა, მაგრამ რას იზამ, სიყვარული ჭლისთვის ესეც ლამაზი საჩუქარიაო. არადა, ამ მშვენიერი ქალის ნაცვლად, ფუნას მოცამულ სიფათს რატომ უნდა უცქიროს?... ეთქვით კონვერტი „სუკის“ ზეწოლით წაღებინეს, პარტიაშიც იძულებით შევიდა, მაგრამ ფუნასთან ყოფნას ვინდა აძალებს?... კიბეზე რომ აღიოდა, უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა, — შინ აღარ დაბრუნდებოდა, არ ვეტყვი, რომ აეროპორტიდან ჯერ საზღში მივედი, ამით უფრო მეტად გავაზარებო და ზარს თითი დააჭირა...



დალილა ბედიანიძე

### ქარს აჯახუნებენ

ვერ ვიტან, როცა კარს აჯახუნებენ,  
ასე მგონია, მე მომიჯახუნეს კარი და სიცივეში გარეთ დამტოვეს.  
და არ შემიშვეს სამოთხეში.  
კარის მიჯახუნება აბჯრის წხრიალს მაგონებს,  
მგონია, კარს მიღმა დიდ საიდუმლოს მიმაღავენ  
იისფერი ქალები და თითბერის კაცები.  
მგონია, მე მიმაღავენ სიციცხლის სიღამაზეს.  
ვერ ვიტან, როცა კარს აჯახუნებენ,  
ასე მგონია, კარს იქით დღესასწაულია,  
მე კი არ შეპატივებთან, არ მეღიან.  
კარის ჯახუნი შევახე უარს მაგონებს,  
მკვახეს, უზრდელურს და მოკლედ მოჭრილს.  
მგონია, აბჯარს ისხამენ და საომრად ემზადებთან.  
მე უცხოსაც არ მივეჯახუნებ კარს.  
უცნობია და გავიცნობ,  
რომ გავივო, შეიშვება შინ თუ — არა.  
მიჯახუნებული კარი ქალაქის დაკეტილ ჭიშკარს მაგონებს,  
რომელსაც ჯარი მისდგომია ახალბად და ვერ იღებს.  
ვერ ვიტან როცა, სადმე კარს აჯახუნებენ.

### პ ა ნ ა შ ვ ი დ ი

არჩილ ხულაყურა

ახლა მოვლენ ფარშევანგებივით მოკაზმული ქალები  
და მდღემარე კაცები,  
თითქოს ცირკში იყვნენ,  
კუბოს ირგვლივ საპატიო წრეს დაარტყამენ,  
მერე კი გასვენებას გარეთ დაელოდებთან.  
აქა-იქა სიცილიც იელვებს და მზიარული ლაპარაკიც,  
ჰათ უხარიათ ერთმანეთის ნახვა, უხარიათ, რომ ცოცხლები არიან,  
ეს კი წევს მკვდარი და უმწეო.

მან სიკვდილით კიდევ ერთხელ შეკრიბა ხალხი.  
 ადრე ის ლაპარაკობდა და ხალხი უსმენდა.  
 ახლა კი პანაშვიდზე მომხელელები ლაპარაკობენ და ის უსმენს.  
 მიცვალებულებს ყველაფერი ესმით  
 და თან მიაქვთ, რომ არასოდეს დაავიწყდეთ.  
 რამდენ სიმართლეს ეხდება ფარდა,  
 რამდენი რამე იცვლება მიცვალების შემდეგ  
 და ენატრებათ მიცვალებულებს გულწრფელი სიტყვა, ალალი ცრემლი.  
 ვინ ანუგეშებს მგლოვიარე ცოლსა და შვილებს,  
 ვინ შეუცვლის მამასა და ქმარს.  
 ვისთვის შეხვედრის ადგილია პანაშვიდი,  
 ვისთვის კაცთან სამუდამოდ გამოთხოვება.  
 მიწის ზემოთ ვინ დარჩენილა!  
 ვინ იქნება შემდეგი?  
 ვინ წაუღებს ახალ ამბავს საიქიოში?  
 „ეს არის ჩვენი ქართველობა“ — წერდა ერთი —  
 „ერთ პანაშვიდზე ნახავ თურმე მთელ საქართველოს.“  
 საქართველოს, რომელსაც უხარია, რომ ისევ ცოცხალია.

### ქარი

ქარი მაგონებს ოჯახიდან გაქცეულ კაცებს,  
 გზაზე რომ ლეწავს ბრაზით ყველაფერს.  
 ასე ჰკონია არასოდეს შეურიგდება,  
 უკან დასახვე გზას რომ მოიჭრის  
 და ხელების ქნვეით რომ გარბის.

მაგრამ სულ მალე მოენატრება ოჯახის სიტბო,  
 დაცხრება, ჯდება და სავეარელ ოჯახს იგონებს.  
 მერე ნელ-ნელა ფეხაკრეფით მიიპარება  
 და ფანჯრიდან იჭვრიტება საკუთარ სახლში.

იქ მას ელიან, კარგად იციან,  
 რომ გაბრაზება არ გასტანს დიდხანს.  
 ერთხელ იქნება, დამშვიდდება და მობრუნდება.  
 ფანჯრის რაფაზე ირბევინ ქოთნის ყვავილები

და პუდელიც კართან ისე გაწოლილა ეტფობა, ელის.  
 ნუ იცი ხოლმე, ქარო, ასეთი გაბრაზება.  
 ნუ იცი ხოლმე ასე ატეხვა, ცოლის თვალები ხომ გახსოვს სველი?  
 ხომ გახსოვს შეილის თვალებში შიში.

დედის თვალებში ხვეწნა-მუდარა.  
 ოღონდ დაბრუნდი, აბა, ვინ გიშლის!  
 ამით შენს გარდა არა უნდა რა.  
 ქარი მაგონებს ოჯახიდან გაქცეულ კაცებს.

პატარა დედა კერავს  
 შეილის პატარა კაბას.  
 მარტი საბურველს ბერავს,  
 ქარი უფეხა ზღაპარს.

მღერის პატარა მამა,  
 შექხარის ციცქნა პირმშოს.  
 დამცხრალი ფერთა გამა  
 არ გააღვიძოს, შიშობს.

ხარობს პატარა ბებო,  
 ხარობს პატარა ბაბუ.  
 გოგოა ხანაქებო  
 და ვველა არის ყაბულს.

პატარა დედა კერავს  
 გოგოს პატარა კაბას.  
 მარტი საბურველს ბერავს,  
 ქარი უფეხა ზღაპარს.



### რობაიჰები

რადიო მწიგნობარს 50 წელი შეუსრულდა. ვერაღვეს „მწიგნობარს“  
რადიო მწიგნობარს პოეტს ღირსშესანიშნავ თარიღს და უსურვეს  
შემოქმედებით წარმატებებს.

...  
რატომ ჩამოწვა ჩვენს სერებზე პირქუში ღამე?  
უნდა დაეზაფეთ, უნდა ერთად ეილონოთ რამე,  
აკი მზეცებიც ზაფხებიან, როცა გვალვია  
და წყალს ყველანი საზიარო გუბიდან სვამენ.

...  
თეთრს დაეძებდი, საბოლოოდ ხელთ შემჩნა შავი,  
კეთილს ველტვოდი — საბოლოოდ ხელთ შემჩნა ავი,  
თითქოს განგება ჩემს ხურვილებს შიფრავს უკულმა:  
წყალს გავექციე — ამოგყავი ხანძარში თავი.

...  
ენას კბილს ვაჭერ, თუმცა ღვინო დავლიე შუმი,  
ყაყანა ღუქანს მირჩეენია გარემო ჩუმი.  
მე ორი დიდი მასწავლებლის მოწაფედ ერჩები:  
დედა ლაპარაკს მასწავლიდა, ცხოვრება — ღუმილს.

...  
თავისუფლებამ ჩაიღურის წყალი დალია,  
გუბნებიან: ტყე კი არა, ეს ნაკრძალია!  
ასე ებმება კაკანათში ჩიტი, რომელმაც  
მანამდე ფრთებით გაამტკვრია ოქროს გალია.

...  
მოშურნის ჯიბრზე, ვინც საჩემო გზები ჩაკეტა,  
ხიდეები დაწვა, სახლი ციხედ გადააკეთა,

არათუ მოვკვდი, ცას ვარსკვლავად გამოვკაკრე  
და მწუხრშეპარულთ ნიშნსაც უკვებ ახლა აქედან.

ერქნულნი  
ზღლირთქან

უსაქმურებთან მოედანზე ბინდის გინებას,  
საეჭვო ფუსფუსს, ნაძალადეუ გულმოდგინებას,  
მე ვამჯობინე შინ ამენიო მცირე სანთელი...  
მას ვიმყოფინებ, რაც სანემოდ ღმერთმა ინება.

მზად ხარ ადიდო თუნდაც ქრისტე, თუნდაც ალაჰი,  
ოღონდ როგორმე გადალახო გადასალახი.  
გვიანტის მხრებზე შენ შედგომა მისთვის გჭირდება,  
რომ ზედ უტიფრად შეაწმინდო ფეხის ტალახი.

როცა დაღლილი მწუხრისპირზე შინ დაბრუნდები,  
ფიქრს მიეცემა და თანდათან უფრო რწმუნდები:  
პატარა ქურდებს იჭერენ და ციხეში სვამენ,  
მათ დამჭერებთან ღვინოს სვამენ დიდი ქურდები.

იგავი თუნდაც, თუნდაც ალვა ედემში ზრდილი,  
თუნდ მეფისწული, თუნდ სულ ბოლო გლახაკის შეილი.  
ვით ბედისწერას, ვერ წაუხვალ აწრდილს საკუთარს...  
ო, ქვეყნად მარტო სულის ნათელს არა აქვს ჩრდილი!

ხალახი ნიჭი, ღმერთო ჩემო, რას ეხარჯება!  
მთელი ქვეყანა ღამისაა იქცეს ჩარჩებად.  
ჩვენს შემდეგ თუნდაც ქვამ ითოვოს! — ვიტყვოდი, მაგრამ,  
ჩვენს შემდეგ, მგონი, ქვა რომ არის, ქვაც არ დარჩება.

წარსულს ჩაბარდა უმფოთველი დღეები მშვიდი,  
აჰა, საცაა ჩაინგრევა ჩვენს შორის ხიდი.  
ბედნიერებადაკარგული მე ვფიქრობ ახლა:  
თუ კი ვიდექი შუა წყალში, ჭას რისთვის ვთხრიდი?





პირველი პიპაური

# მიხსლოვა ოცდამეერთი საუკუნესთან

გიორგი გიგაურს 70 წელი შეუსრულდა. ფურცალ „სინათლის“ რედაქცია ულოცავს პოეტს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და უსურვებს შექოქებულებით წარმატებებს.

## მიხსლოვა ოცდამეერთი საუკუნესთან

ოცდამეერთე საუკუნეს  
ვეუბლოვდებით  
ზოგნი ქირქილით,  
ზოგნი მღერით.  
ზოგნი გოდებით.

ზოგს ბოროტება ახალისებს,  
ზოგსაც სიკეთე,  
არაკაცებმა  
გვარ-სახელიც გადაიკეთეს.

ცდილობენ, მაგრამ  
დანაშაულს ვეღარ მალავენ,  
ვეღარ აგნებენ  
სახვადიო საფრენს, ხანავეს...

ვეელა გარეწარს  
ვერ მიიღებს ოცდამეერთე,  
გინდ დაიქსაქსონ,  
დანაწილდნენ,  
გინდაც შეერთდნენ.

ვაული გაუღის  
მათ სიმუხთლეს  
და სისხლით თრობას,

ამას რად უნდა გაოცება,  
განსჯა და ბჭობა.

აღმართს დაღმართიც  
თან რომ ახლავს  
დღეს ყველამ იცის,  
იცის, მტრის ფეხქვეშ  
სააღმართო ბილიკი იწეის.

სიკეთის მთესველ  
კაცთა გვერდით  
უფალი თუა,  
ამ ქაოსიდან გაყვანაზე  
არ ეტყვის უარს.

ღვთისმშობლის წილ-ხვედრ  
მიწა-წყალზე  
მზე დამკვიდრდება  
და შორს გასტყორცნის  
საქართველოს უკედავ დიდებას...

ოცდამეერთე საუკუნე  
უნებობს სიმართლეს,  
გაჟვე, სიმართლის სინათლეში  
შენც მოინათლე.



## ილიას ოპელისკთაჲ

ეშმა ეწვია წინამურს ტყიანს,  
ჩაშლილ-ჩამეწყრილ ფერდობებს ვერანს  
და წინამურთან ნასროლი ტყვია  
არაგვის ველზე გასწივის ჯერაც.

ტყვიით დაცხრილა ძეგლი პოეტის  
არაეინ იცის, ვინ ან როგორმა,  
იცრუმლებიან თრიმლის რტოები  
და ბოროტების ზევი შოგორავს.

მან აქ მკორედ მოქლა ბლია,  
ვაითავისა მოდგმა ტყუურთა,  
მამულ-დედული ვაუწირია,  
აღამის მოდგმა იქცა იუდალ...

ეშმა მიჰყვება ფლატეებს ტყიანს,  
ნადირთა ბუნავს ვილაცა ზეერავს  
და წინამურთან ნასროლი ტყვია  
არაგვის ველზე ნავარდობს ჯერაც.

## იმედის ნანგრევები

წლების დინებით დამძიმდა სული,  
შწირი იმედის ნანგრევზე ვდგავარ,  
არეინ ასრულებს ჩემს ნება-სურვილს,  
არ ზედება ჩემზე  
წამოსულ მღევარს.

მოეწინდი კაცს და  
მოეწინდი უფალს,  
ივრის ჭალებს და  
იკვლიე-იაღნოს,  
რატომ შექეცი, დაისო, უბრად,  
რა დაგიშავე, დილაჲ მზიანიო.

სიცოცხლის ყველი გავიდა, ალბათ,  
საფიცარს რაკი აღარ ვახსოვარ,  
მოძველის დღეებს  
ფიქრებით ვლამბავ  
და ბოლო გროშებს  
ვამღვე მათხოვარს...

უკვე იმედის ნანგრევზე ვდგავარ  
და რწმენა დნება,  
ვით თოვლის გუნდა, —  
მე მარტო უნდა დაეუზღვი მღევარს,  
სიკვდილსაც მარტო დაეუზღვი უნდა.

## ღმერთმა ინებოს...

კოდორის ჩურჩულს მიუგვდ ყური,  
ბიჭების ამბავს ვიამბობს სწორად, —  
როგორ ამაღლდა მებრძოლი სული,  
მოსისხლეს როგორ შეუდგა ძრწოლა.

ნახსლარები იმტვრევენ ხელებს,  
ნაკუნარები ითხოვენ შევლას,  
დევილი კერას გახედავს, მერე  
ქედიდან ქედზე გაწედება მზერა.

პატრონი უნდა მამულს, ნიადაგ,  
ვის აქვს უფლება მუხლზე დაცემის,

იმრავლოს ჯიშმა სამუშიათა,  
რომ აილაგმონ არაკაცები...

შინ დაბრუნების რეკენ ზარები,  
მოთმენის წყარო უკვე დამშრალა,  
თავისუფლების ვახსენ კარები,  
მამა-პაპათა გაჰყვე გზაშარას.

მთა ივერიის,  
ზეირთი კოდორის,  
წინ გავიშლიან იებს, გმირებო,—  
სიძარბოებს ვამბობ განა, მოგონილს,  
და ასრულება ღმერთმა ინებოს.



## მ გ ლ ე ბ ი ?!

### მოთხრობა

ბუბლიკის ცენტრალურ სააქადემოფო ბანაკში ხმა დაირბა, ზნამენკიდან გაქცეული ერთ-ერთი პატიმარი დაიჭირეს და ფსიქიატრიულ განყოფილებაში წვესო. ვვლას გვეგონა ცემით იყო შერყეული, მაგრამ ჭკუიდან სულ სხვა მიზეზით გადასულიყო. საქმის ვითარება სხვადასხვა წყაროებით დადგინდა. ზოგი მისივე მონაყოლით, ხანამ გონი ქონდა, ზოგიც მოწმეებითა და ნაპოვნი „ნივთმტკიცებებით“. ისე რომ, რასაც ახლა მოგიყვებით სრული, სიმართლეა.

ორმა „კანონიერმა“ ქურდმა ტყეში მოკლა კაცი, რაზედაც დიდი სასჯელის დამატება ელოდათ. ამიტომ სცადეს თავისათვის გაქცევით ეშველათ, ფიქრისა და მომზადების დრო არ ქონდათ. გადაწყვიტეს მესამე, „სახორცე“ წაეყვინათ და წასულიყვნენ. ეს მესამე „მუფიკი“ იყო, კაცი-ზორბა და ფიზიკურად ძლიერი. ამ მუტრუკს აკვიდეს მთელი ტვირთი: რამდენიმე „პაიკა“, პატიმრის დღიური პურის ულუფა, სათადარიგო ტანსაცმელი, სახელდახელოდ, ჩუმად მოგროვილი სხვა საკვები და... დაუსხლტნენ ზედაშხედველებს. ყველამ იცოდა, რომ მათი დღე მოკლე იყო. ასე ნაუცბათივად გაქცევა სულ რამდენიმე დღეში ან დატყვევებით მთავრდებოდა ან სიკვდილით.

ამჯერად გაქცეულნი დიდი ხნით შერჩნენ „თაეისუფლებას“. მათი კვალი არადა არ ჩანდა. ბევრმა იმედიც კი გამოთქვა, გააღწიესო. ამის საფუძველს ჯერ ის იძლეოდა, რომ ბანაკის შესახველელში როგორც ყოველთვის, ვერ დაყარეს მათი გეგმები. ვერც ნადირისაგან დაჭმულთა ძელებს მიავნეს. გამოძიების მიერ ზუსტად დადგენილი მათი საკვები კი სამ-ოთხ დღეზე მეტ ხანს არ უნდა ყოფნოდათ. დიდი გამოზოგვით, პა და პა ერთ კვირას გასწვდებოდათ, მათი გაქცევიდან კი ორ თვეზე მეტი იყო გასული. თვით ძიებასაც შეეპარა ეჭვი, ვაითუ გააღწიესო. სინამდვილეში კი საქმე სულ სხვაგვარად წარიმართა.

სამი კაცი შეუმჩნეველად მოსხლტა პატიმრების საერთო კოლტს. დანაკლისი იმავე დღეს გახდა ცნობილი, მაგრამ გაქცეულებს ვერ მიაკვლიეს. თუმცა არც ძალიან შეუწუხებიათ თავი. ასე მოუმზადებელი გაქცევა, ორიოდღე დღეში მთავრდებოდა. თუ ჯარისკაცები დაიჭერდნენ, ან მოკლავდნენ, ორ კვირიდან შევბულებას მიიღებდნენ სამშობლოში. თუ მათ გადაურჩებოდნენ, მოსახლეობას ვერსად წაუვიდოდნენ. „კოლნებიც“ მკვდარსა და ცოცხალში ერთნა-

ირ ვასამრჯლოს, ორმოცდაათ მანეთს იღებდნენ. ხშირად თავად შიშხილით გაწამებული, შიშით დაზაფრული გაქცეულები მიადგებოდნენ ხოლმე რომელიმე ბანაკს და ნაბარდობდნენ, რადგან არც მღვეარი ჯარისკაცი და არც დამჭერი მოსახლე გაქცეულს ხათაბულად არ გაიხდიდა. მათ ხომ რამდენიმე ათეული კილომეტრი უნდა ეტარებინა გაქცეული, რომ სათანადო ორგანოებისათვის ჩაებარებინა. ვხაში კი გაქცეულს შეიძლება თავად მოეკლა დამჭერი, იარაღი აეყარა, აეღო მისი საბუთები, ტანსაცმელი და კიდევ რამდენიმე დღე „თავისუფლებაში“ გაეტარებინა.

მეტწილად გაქცეულს პირველ ტყვიას პირდაპირ ესროდნენ, მეორეს კი — ჰაერში. ვითომ პირველით გააფრთხილებს, მეორეთი კი ან გაქცევისას მოკლეს, ან თავდასხმის მცდელობის დროს.. „ჯიღო“ მაინც ერგებოდათ. არც ორკვირიანი შევბუღება იყო ურიგო და არც 50 მანეთი ფული. იმ დროს შგლის მოკლახზეც 50 მანეთი იყო „ჯიღო“. მერე შგლების ხოცვა აკრძალეს; შგლები შეიცოდეს — გაქცეულები კი არა — ძველი კანონი კანონად დარჩა.

\* \* \*

კარგა ხანს იხეტიალა გაქცეულმა სამეულმა. მალე შემოადნათ სახელდახელოდ აკრეფილი სანოვავე. შიშხილით სიკვდილი ვარდუვალი იყო. მითუმეტეს, რომ ვხა აუბნათ და არ იცოდნენ, საით მიდიოდნენ.

ქურდები უფრო მალე დაეარდნენ. ისინი ფიზიკურად არიფზე ბევრად სუსტები აღმოჩნდნენ.

ქანცგაღწვეტილები ერთ მონადირის ქოხს წააწყდნენ. ყოველგვარი დაზვერვის გარეშე შევიდნენ. ბედზე არავინ დახვდათ. რამდენიმე ნატეხი გამხმარი პურის მეტი არაფერი დარჩენოდათ მონადირეებს. „მშურად“ გაიყვეს. შეჭამეს. მონადირეების მიერ ხაზამთროდ მომარაგებული დახერხილი შეშა

შემოიტანეს და რუსული ლემული გაახურეს. იმ დამეს სამივეს კვებდნენ. დილითაც გვიან გაიღვიძნენ. ლემელს შეუნთეს. ქოხში სამო სითბო დატრიალდა. გარეთ გამოვიდნენ. ისე იქცოდნენ, თითქოს საკუთარ სახლში იყვნენ, აღარაფერს ერიდებოდნენ.

არიფმა ქუდი მოიხადა, თოვლით შეიხილა სახე და ხელები, დანარჩენებმაც მიბაძეს. მერე ისევ ქოხში შებრუნდნენ.

— მაინც „თავისუფლები“ ვართ, თქვა ერთმა.

— ქოხი ვეახურავს თავზე, სითბო ვეაქვს.

— საჭმელი?! — იკითხა ერთმა.

— საჭმელიც გამოჩნდება, ღმერთი მოწყალეა, — იმედს არ კარგავდა არიფი.

— ღმერთი რომ მოწყალეა და სამართლიანი, იმიტომ მეშინია. არ ვეაპატივებს სისხლს: — არიფმა ურუბი ცქვიტა. მან არ იცოდა ამ ტუსალების გამოქცევის ნამდვილი მიზეზი. ტანში უსიამოდ გააჭრფოდა.

— რა იყო, არიფო?! რათ დაიხაფრე ეგრე?! ხო არ გაციებს?! — იკითხა ერთმა ქურდმა.

— არა, ისე.. — უხალისოდ ამოღერდა არიფმა. დიდი ხნით სიჩუმე ჩამოვარდა.

— მორღოთ, ბიჭებო, ვითამაშოთ, გულს გადაუყოლებთ, — წამოიწყო ერთმა.

— რა ვითამაშოთ?! რითი?! — იკითხა მეორემ.

— კეკახიური ძვლები მაქვს, — ანუ გეშა პირველმა.

— შე არ ვიცი თამაში, — თქვა არიფმა.

— მაგის სწავლას რა უნდა, შე არიფო?! ხელებს ხედავ, თელა იცი და სხვა რომ არაფერი მეტნაკლებობა შეგვიძლია ვითამაშოთ.

— არ მინდა! — გადაჭრით თქვა არიფმა.

— არიფი მაინც არიფად რჩება, მორღო, მშაო, შე და შენ ვითამაშოთ.

თამაში დიდხანს ვაგრძელდა. წარმოტება ხან ერთის იყო, ხან მეორის.

იმ ღამესაც მშვიერებსა და დაღლი-  
ლებს მკვდრებით ეძინათ. დილით  
ცოტა გუნება გამოუკეთდათ. სინათლეს,  
თითქოს, იმედიც მოჰყვა. სინამდვილემ  
კი მალე დააქრო ეს იმედი. თანდათან  
იკვთებოდა შიმშილით სიკვდილის შა-  
ში. სიკვდილი ცივი, უხეში, უმოწყა-  
ლო...

— ვითამაშოთ?! — იკითხა კამათლე-  
ბის პატრონმა. ხმა არაუის ამოუღია.  
არიფი ადგა!

— მე გავალ გარეთ, იქნებ რამეს მა-  
ვაგნო?! — ღია კარიდან შემოავლო სიტყ-  
ვა და წავიდა.

— ვითამაშოთ?! — ისევ იკითხა კა-  
მათლების პატრონმა.

— მოიტა! ცოტა გულს გადაუყო-  
ლებთ, — პატარა ფიქრის მერე თქვა  
შეორემ.

— ეინი რომ გავზარდოთ, მაზიანი  
ვითამაშოთ. აი, ჩვენს ძველმანებზე. ისე  
გავა დრო, ვერც გავიგებთ, — ხალისით  
თქვა წამომწყებმა.

წვეილი თამაშს ჩაუჯდა. გარეთ გა-  
ხულმა მჩხერი შეათვლიერა. დანით  
ერთი სწორი, ღამაზი არფა მოჭრა, მე-  
რე ზომაზე დაამოკლა და საბჯენით,  
ნელა გასწია, უმისამართოდ.

— ცეცხლი ქრება იცოდე, — თქვა  
ერთმა, — შეშაა შემოსატანი. მოდი,  
ჯერ შეშის შემოტანაზე ვითამაშოთ.

— შეშას არიფი შემოიტანს. ბანძები  
გენანება?! — იქედნურად ჩაკითხა ძმა-  
კაცს.

— ხანამ არიფი მოვა, ჩვენ დავიყინე-  
ბით. ან მოვა კი? შეიძლება გავაქცე-  
ვიდე გულმა უგრძნოს. მშვიერები ამ-  
ოვწყვდებით.

— რად უნდა გავაქცევი, უკეთეს ად-  
გილს ხად იპოვის?!

ძაღლებს ჩაევაბარებს.

— თვითონ რა, მედლებს მისცემენ?!

— მიდი, მიდი ვაგორე.

— ვინც წავაგოს, ერთი იღლია შეშა  
შემოიტანოს.

— მოვიდა!...

— წააგე! შემოიტა! — თქვა კამათლის  
პატრონმა.

— კიდევ ვითამაშოთ! — უთხრა მე-  
ორემ.

— ჯერ ეს მივილოდეთ, — უთხრა მე-  
მამათ.

წაგებული ნელა აიზლაზნა, კართან  
მილასლასდა, გარეთ გავიდა, კარგა  
ხნის მერე დაბრუნდა თოვლში ამოვან-  
გლული, შეშის ორი ნაჭები მოეტანა.

— ეგ არი, ბიჭო, ერთი იღლია?!  
ათი მაინც უნდა შემოიტანო. — წაგებუ-  
ლი უქმყოფილოდ, მაგრამ უხმოდ გა-  
ტრიალდა. კიდევ ორი შემოიტანა... მე-  
რე კიდევ ორი, — მეტს ვეღარ შემო-  
ვითან. არიფი მოვა, იმას შემოვითანი-  
ნებ.

— კარგა, კარგი, ნუ წამუტუნებ, და-  
ჯე ვითამაშოთ. ბანძები უფრო საინტე-  
რესოა, — თქვა და მოხერხებულად მო-  
კალათდა ტახტზე. წაგებულმა ღუმელს  
შეუკეთა და ისიც წინ დაუჯდა ძმაცაცს.  
განაღდა თამაში.

— ბუმლატებზე ვითამაშოთ.

— მოვიდა, თითო ათას მანეთად შე-  
ვაფასოთ.

— ათასი ცოტაა, ხამი ათასი. დიდ-  
ხანს ვასტანს. გავურობით.

— მოვიდა!

უკვე ბინდებოდა, წინკარში ფეხე-  
ბის ბარტყუნს მოიხმვა. მოთამაშეები გა-  
ყუნდნენ. გაყინული კარი არიფმა  
მღიეს გააღო. დამზღვურებმა შვებით  
ამოიხუნოქეს.

— ხად დაეთრევი?! გინდა რამეს გა-  
დაწყდე?! ჩვენც ჩაგყარო და შენი თა-  
ვიც?! — შეულრინა გამომვლულმა წა-  
გებულმა.

— შიმშილით სიკვდილს ღაგერში  
შებრუნება არ ჯობია?! — მიამიტად იქ-  
ითხა მოსულმა.

— შენთვის ჯობია. ჩვენ ყულფი გვე-  
ლის, — თქვა და ენაზე იკბინა წაგე-  
ბულმა.

— რას ბოდავ, რა ყულფი, რის ყულ-  
ფი?! — „გამოასწორა“ მოგებულმა.

— ნუ იფეფებით, ბიჭებო, მე შექთად  
არ მივლია! — თქვა არიფმა და ჯიბიდან  
თევზის კონსერვი ამოიღო.

— აი კაცი! — ჭყიტეს თვალები მო-

თამაშებმა.

მოსულმა კონსერვი შავიდაზე დადო. მოთამაშეები სხარტად მიცვივდნენ კოლოფს. აღარც სისუსტე და შიმშილი, ემჩნეოდით აღარც ბრახი და ბოღმა.

ერთმა კოლოფი აიღო, გულდასმით შეათვალიერა, დახუნა კიდეც.

— ეა, ნაღდი კონსერვია, აი?! — მერე მომტანს ვადახედა და ღვარძლიანად ჩაილაპარაკა, — იქ რამდენი ცეცხლე?! — მეორე მოთამაშემაც ცქვიტად ახედა.

— რას ამბობთ ძმებო. ხუთი კოლოფი იყო და ხუთივე აქ მაქვს, აჰა, აი, პირში ხომ ხუნი მექნებოდა?! — ჯერ ერთს შეაორთქლა, მერე მეორეს.

სამივემ ყამები დააძრეს. ჯერ წაგებულნი ეწვალა გახსნას. ვერა და ვერ ჩაბერიტა კონსერვის ქილა. მერე მოგებული ეჯაჯგურა. დანა კი ჩაასო კოლოფში, მაგრამ ვეღარ გახსნა. გადმოუგდო ისევ მომტანს და შენ გახსენიო ანიშნა. მან აღვილად მოხადა კოლოფს თავი, კონსერვი აღუშინის ჯამებში სამ ტოლ ნაწილად დაყო და დაითითოევს. მალე მოახუფთაევს ჯამები. არც ერთს არ ეფო უღუფა. ისხდნენ და უხმოდ შესცქეროდნენ ერთმანეთს.

— ბიჭო, სხვა არაფერი იყო, ვარდა ამ ხუთი კონსერვისა?! — იკითხა წაგებულმა.

— ჩაიციე შე მთხოვარო, ვბედობას თავი გაანებე, — შეუღრინა მეორემ საცვლების ამარა დარჩენილ წაგებულს. წაგებულმა ჯერ უნდობლად შეხედა, მერე, უცებ ეცა ტანსაცმლის გროვას, ფათიფუთით დაიწყო ჩაცმა. ეშინოდა, მოგებულმა არ გადაიფიქროსო.

— შენ გუუბნები?! კარგად მოჩხრიკე? კიდე ხომ არაფერი იყო?! — ისევ ჩაეკითხა წაგებულმა.

— მეტი არაფერი, არუიანი ბოთლები და ვირთხის ცურცვლებიდა დარჩა, — ალაღად უპასუხა არიფმა.

— ვირთხაც კაია. ერთ დღეს კიდე გადაგვატანინებს, ვინ იცის, როდის გამოჩნდება იან აქ მონადირეები, — ანუგემა წაგებულმა.

— თუ ასეა, მგლის ნაკვებულნი ვინა? — ორნი უნდა იყვნენ კარგად მომალე, ან დედა-შვილი, — თქვა არიფმა.

— მერე რით უპირებ მოკვლას, მე-ზღვაურის კარაბადინით?! — ბოღმიანი ღიმბრით თქვა წაგებულმა.

— რაკი არის, დაჭერა და მოკვლაც შეიძლება, — უპასუხა არიფმა.

— ჰო, მოვა მგელი და გვეტყვის, ვანია, ხომ შეიძლება შიმშილით მოკვდე, რა იცი, როდის გამოჩნდება მონადირეები?! აჰა, ნიჩაბი და გამოჩნქვე თავიო, — თქვა ისევ წაგებულმა.

— მაგას ამაღამვე მოვიფიქრებ და დილას გეტყვით, — არ გაიტება იხტიბარი არიფმა.

— მაშინ ძმარო, ტყავი შენი იფოს, ხუთ თუმანს მოგცემენ. პირად ანგარიშზე შეგენახება, — ღვარძლით ჩაურთო მოგებულმა.

— ძმებო, მოდი ერთი კიდე ვავხსნათ, ფართი ბეალიდან დაეიწყეთ. ეგვი რომ არ იფოს, იქნებ ბეალ ძაღლები დაგვადგნენ თავზე და ოხრად დაგვარება, — თქვა წაგებულმა.

არიფმა მოგებულს ვადახედა. მოგებულმა ხმა არ ვასცა. არიფმა მეორე კოლოფიც გახსნა და ისევ ზუზივ სამაღ გაყო.

— მგელი კიდე ჰო, ნადირია. ვირთხა როგორ უნდა ვჭამოთ?! თორემ მისი დაჭერა იოლია, — სხვათაშორის ჩაილაპარაკა არიფმა.

— შენ დაიტვირთე და ჭამა როგორ უნდა, შე ვიცი, — უთხრა წაგებულმა.

— როგორ დაიტვირთე?! — იკითხა მოგებულმა.

— ზამთარში კაკანათი გავიკეთებთ?! — თავის მხრივ ჩაეკითხა არიფი, — შე ვიცი, ერთი საყრდენი უნდა და ერთი ბოლოქანქარა. ამ ბოლოქანქარას წვერზე პატარა დამწვარ პურს წამოაკვამ. ყველაფერი ეს, ფეხთან ერთად, დიდი კასრის ზუფის ქვეშ გავწყობა. როცა თავი ღრღნას დაუწყებს, ფეხი გამოეცლება და ხუფი ზედ დაეცემა თავს.

— მერე კასრის ზუფქვეშიდან ვირთხა ვერ გაძვრება?! —

— ვერა, იმიტომ რომ ხუფზე სიმძი-  
მეებს დაეწყო.

— შენ იცი, ჩახრაკულის გაკეთება,  
ჩემზე იფოს.

— მგელს როგორღა დაიჭერ? — იკ-  
თხა მოგებულმა.

— ჯერ არ ვიცი. ამაღამ მოვიფიქრებ.

— ისე, ძმაო, ციხე გამოგონებული—  
გენიოსების აკანია. კარაქის პაპანაქე-  
ბაში შენახვა აქ გვასწავლეს, მაკივარ-  
ზე უკეთ ინახება, წამლის შეშვებაც  
უწყველად აქ მოიგონეს, და კიდევ  
ვინ მოხთვლის რა?! ამასაც კი ჭკუა  
ქონია...

— თანაც ნახე რამხელაა. ცარიელა  
კნთია, — გაიკრიჭა წაგებულმა.

— მე აქ არაფერ შუაში ვარ. კარგია,  
როცა ფიქრის საშუალება გაქვს კაცს  
და იცი, საით უნდა წარმართო შენი  
გონება.

— თუ ასეთი ჭკვიანი ხარ და ვეღ-  
ვან გამოსავალს პოულობ, როგორ და-  
გიჭირეს?! — იკითხა წაგებულმა.

— ჯერ ერთი, მე მინდოდა, რომ და-  
ვეჭირე. რატომ და რისთვის, ვე არავის  
საქმე არ არის. ისე კი ვველა დამნაშა-  
ვემ რომ წინასწარ გაიანგარიშოს ყვე-  
ლა სიტყვა და საქციელი, პატიმართა  
რიცხვი განახევრებული იქნებოდა, მაგ-  
რამ უბედურება ის არის, რომ დანაშა-  
ულზე წასული ჩვენი ძმები, ჩავარდნა-  
ზე არასოდეს ფიქრობენ. შენ რომ პირვე-  
ლი ჩვენებები არ გქონდეს საქმეში, თავი-  
სუფლებას თუ არა, ნახევარ „სროკზე“  
მეტს ხომ არ მიიღებდი?! მაგრამ თავი-  
დან ვე ჭკუა არ გქონდა და არც ვიფიქ-  
რია ჩავარდნაზე. — განუმარტა არიფმა.

— ისე მართალი ხარ, ძუკნავ! — დაე-  
თანხმა ორივე.

ცოტა ხანს იყუჩეს ძმაცაკებმა.

— მოდი ვითამაშოთ, — თქვა მოგე-  
ბულმა. — ხომ დავიბრუნე შენი ძონძე-  
ბი, ეხლა თავიდან დავიწყოთ, დრო მო-  
ვკლავთ. ჩვენი ბოლო მაინც აქ არი. ან  
შემშლილთ ამოგვხდება სული, ან ვინმე  
ჩაგვბოცავს. ახორმოცდაათ მანეთს ან  
თვენახვეურიან შვებულებას მიიღებს.

— ისე, თამაშზე თანახმა ვარ. ახლა  
მე გაგატატელბე. შენ მამის შანსს ატყობ.  
უბრალოდ მოვდის დამცვენი მამა  
ყლოპინდა წაგებულმა.

— მე საქმეს გააკეთებ. ხაფანგის  
ჩხირებს გაუთლი ბელშეორედ, იქნებ  
ხვალ ის ვირთხა დავიჭირო, — თქვა  
არიფმა და წამოდგა, — პირველი წელან  
იქვე დაუთაღე და დაეგდე.

მოთამაშეები შუა აზარტში იყვნენ,  
არიფი რომ ჩხირების თლას მორჩა და  
დაწვა.

ოთახში ორი, ორსართულიანი საწო-  
ლი იდგა. მოგებულს ღუმელზე ეძინა.  
წაგებულს — ოთახის ხიდრემში, პატა-  
რა სარკმელთან, არიფი კარებთან მი-  
წოლილიყო.

მოთამაშეებმა გვიან დაიძინეს, დი-  
ლითაც გვიან გაიღვიძეს. არიფი უკვე  
მზად იყო წასასვლელად.

— საით გაგიწევია, წუნკალო?!

— გელალატობ, გატოვებ?! — იკითხა  
ორივემ თითქმის ერთდროულად.

— წავალ მდინარეს აუწყები. შეიძ-  
ლება კიდევ გადაეწყდე ქობს და რამე  
ვიპოვნო! — თქვა არიფმა.

— აბა შენ იცი.

— მანამდე იმ ქობში ხაფანგი ნახე.  
იქნებ დაიჭირო ვირთხა:

— დღეს ორივეს ვერ მოვასწრებ. ერ-  
თი ზევით არი, მეორე ქვემოთ. ეხლა  
კი წავალ. რაც შეიძლება მეტი მანძი-  
ლის გავლა მინდა მოვასწრო იქით-  
აქეთ.

კარგა შებინდებული იყო, არიფი რომ  
დაბრუნდა ქობში. ახლა კამათლების  
პატრონი დახვდა წაგებულ-გამიშვლე-  
ბული. ორივე მოთამაშე ძალღივით  
იღრინებოდა. მზად იყვნენ დაეხრათ  
ერთმანეთი. ცეცხლი თითქმის ჩამქრა-  
ლიყო.

— ძმებო ცეცხლს მაინც შეუნთეთ  
ხოლმე. ასანთი სულ ორიოდღე ღერია  
და მალე გაგვითავდება. თანაც თავიდან  
ცეცხლის დანთება ძნელია.

არც არყას ქერქია, არც ნავთი და ქა-  
ლაღღღ.

— აიღე და შეუკეთე, — დაუდრინა წაგებულმა.

— მოდი; შეშის შემოტანაზე ვითამაშოთ, — უთხრა მოგებულმა.

— შეშას მე შემოვიტან. თამაში არ გინდათ, თქვა არიფმა, ღუმელი გამოინბრია და რამდენიმე მშრალი შეშა შეუკეთა. მალე ქოხში სითბო დატრიალდა.

— ერთი კონსერვი გაეხსნათ, — თქვა გინდათ, — თქვა არიფმა, ღუმელი გამოიღო.

— ეგ არა, მეორე აიღე. ჩვენ ვწვავლეთ და ვერ გაეხსენით. ქილა კი გაუხვრიტეთ, — თქვა მოგებულმა.

არიფმა მეორე კოლოდი აიღო, გახსნა, ხუფი ახადა. ტომბატიანი წვენი სულ ამომშრალი იყო. გამოეწუნათ. არიფს აღარაფერი უთქვამს. სამ ტოლ ნაწილად გაყო. შეჭამეს.

ქოხში თბილოდა, მაგრამ საცვლების ამარა მაინც ძნელი იყო ყოფნა.

— ბუშლატი მათხოვე, გარეთ მიინდა გასვლა, — თქვა წაგებულმა.

— არა! — მოკლედ მოუჭრა მოგებულმა.

— აღამიანი ხარ, თუ მხეცი. გარეთ მიინდა გასვლა. მე ხომ მთლიანად დივიბრუნე?! — გამოცრა შიშველმა.

— არა მოთქი! — ისევ მოკლედ მოუჭრა მოგებულმა.

— ჩემი მოიხურე, — უთხრა არიფმა. წაგებულმა მოიხურა „ბუშლატი“ და გარეთ გავიდა.

— რად მიეცი?! ქუეა ისწავლოს. როცა თამაში არ იცის, დაეტიოს თავის ადგილზე. ახლა რასაც მიინდა იმას გაეკეთებინებ.

— მაგან ხომ დავიბრუნა წაგებულნი?! — კითხა არიფმა.

— მაგან დავიბრუნა, მე არ ვუბრუნებ — ახეა თამაშის წესი.

— ცოდოა.

— ცოდო როცა მიჩანსლავ მაშინ იქნება, უტიფრად გაიღრიტა მოგებულმა.

— ასე ილად ვაიმეტებ ძმაკაცს?! — იკითხა არიფმა.

— რა ჩემი ძმაკაცია?! ძმაკაცია, წინკარში ფეხის ბურთები მოუჭრა. ქოხში სიჩუბე ჩამოვარდა. ზღურბლზე მოკეზული წაგებული გამოინდა. ღუმელთან მივიდა, ხელეები მოიფშენიტა.

— ორმოცზე მეტი იქნება, — თქვა შემოსულმა.

— აქ ამოეწყლებით შიმშილით და სიცივით.

— შეშის მარავი დიდია, მაგრამ საკმელი არაფერია.

— ნეტა როდის გვიპოვნიან?! —

— შენ რა გენადლეება, ჩვენ „ეიშკას“ თუ არა, 25-25-ს მაინც შემოვტყენიან.

— სიკვდილს ევეცეჯობია, — თქვა არიფმა.

კარგახანს სიჩუბე იყო.

— ღმერთო, კიდეც ვნახე მგლის კვალი. მერე თვალიც მოეკარი. შორიანზე მიტრიალებდნენ, — თქვა არიფმა.

— შენ გარეთ ტანტალს თავი გაანებე, მართლა მგლებმა არ შეგვჭამონ „შეიცოდა“ წაგებულმა.

— ეგ მგლები ჩვენია, მაგრამ ჭამა არ გინდა?! — ჩაილაპარაკა არიფმა.

— როცა შოგშივა, შეჭამ — დაარიგა მოგებულმა.

მეორე დღეს არიფი ხაფანგიან ქოხში წავიდა. ხაფანგი დასხლეტილი დახვდა. კასრის ხუფს ზემოდან ათიოდე აგური ეღო. არიფმა ფრთხილად ახადა კასრის ხუფი. ვირთხა შესაწევი წიწილასავით იყო გაბრტყელებული. არიფს კინლამ გული აერია. გარეთ გამოვიდა. თოვლით მოისრისა საზე, ცოტა შეჭამა კიდეც. მერე ისევ ქოხში შევიდა. ვირთხა გამოშვიგნა. ნაწლავები ზორტით შეკრა, ორივე ფეხის ქუსლებთან მიიბა, ნანადირევი ვირთხა აიღო და თავიანთი ქოხისკენ გასწია. უჭირდა სიარული. თავის სუნმა ისე შეაწუხა კინლამ ვადაავლო.

წინკარში ღიღხანს იბერტყავდა ფეხებს. მერე ქოხში შევიდა. მოთამაშეები ისევ იღრინებოდნენ.

— რა ქენი?! — იკითხეს ერთხმად.

არიფმა ნანადირევი დაანახა.

— კაცი ხარ — ისევ ერთხმად დამახის მოთამაშეებმა.

წაგებულმა მალე გაიტყავა ვირთხა.

არიფმა სისხლიანი ტყავით ჯერ წინკარი მოთხვარა, მერე ტყავი ზღურბლზე გადმოათრია, ოთახს მიუსვ-სოუსვა და ნარქვეშ შეათრია.

ქოხში საშინელი სუნი დადგა. არიფი გარეთ გავიდა, სარდაფში ჩაძვრა, ერთი ძალაყინი, ორი ბარ-ნიჩაბი ამოიტანა. მერე შეშა შემოზიდა.

— პეტია, შენ და სიომა იმ ნარზე უნდა ახვიდეთ.

ერთად უფრო გავიადვილებათ თავის დაცვა. მე ცალკე ვიქნები ჩემს „ნარზე“. ამ სისხლის სუნით, მგლებს შემოვიტყუებთ ჩვენ კი გავინაბებით. ვეცლები კარიც მოუხურო.

— მერე, — იკითხა ორივემ, — რას გვიპირებ მგლებს უნდა შეაკამო ჩვენი თავი?

— მეც აქ არ ვიქნები?! — გამწირდა არიფი — მე რა, თქვენზე ნაკლებ მიყვარს ჩემი თავი?! მომბეზრდა სიცოცხლე?! არა, ძმებო, ამ შემთხვევის ხელიდან გაშვება არ შეიძლება. სხვა ხსნა არ არის. ორი მგელი 10-15 კილო ბორცია, თუ მეტი არა. არ ვიცი მგელი შემოხტება თუ არა ნარზე, მზად კი უნდა ვიყოთ, რას იზამ? გამარჯვებული მეტ ხანს ცოცხლობს. „ნარზე“ არ ამოუშვათ! დანარჩენს საქმე გვარევენებს. ეცადეთ მოქნეულ ბარსა თუ ცულს არ გადაჰყვით. თუ ამოხტა, მგელს პირდაპირ ხახაში მიაგებეთ შესის ნარები. დრღნას რომ დაუწყებებს, მეორემ უნდა იმარჯვოს და თავში ცული უთავაზოს.

— თუ არ შეგვახრამუნებს, კარგია, — თქვა წაგებულმა, — ამ მხარეში კაციჭამია მგლები დაძრწიან.

— სანკა, ნუ ხარ წუწუნა, რაც იქნება, იქნება! — თქვა პეტიაძე. ეს ტაივის კანონია — ძლიერი იმარჯვებს!

არიფმა კარი ოდნავ ღრიჭად დატოვა და თავის საფარში ავიდა. ისე მოეწყო,

იქიდან წინკარიც მოჩანდა და ეზოს ბილიც.

წარქვეშული

— კარგია, — ჩაილაპარაკა მგლებმა მთელი დღე მოლოდინში გაატარებს გამოპარულმა პატიმრებმა. მგლები არხად ჩანდნენ. კარგა დაღამებული იყო, კარი რომ გადაკეტეს და თავიანთი საფარიდან ჩამოვიდნენ.

— ტყუილად ვირჯებით, — თქვა ერთმა.

— ენახოთ, თავვის სისხლიან კვალს განვახლებ, — არიფმა ტყავი მოძებნა.

— დღეს თავვი უნდა ვჭამოთ.

— თქვენ ჭამეთ. მე არ მინდა, — თქვა არიფმა და ზურგი შეაკცია.

წაგებულმა მალე მოხარშული ვირთხა სამად გაყო. ჭამა ყველას გაუჭირდა. ქოხი თავვის სუნით ფარდა. არიფმა ვერა და ვერ დალეჭა ხორცი. დღის ხსენი არ შერწია.

ქოხის ზიზნებმა ისევ თათავიანთი ადგილები დაიკავეს და მოთმინებით აღიჭურვნენ.

ვანია ნარიდან ჩამოხტა. ღუმელი ნეღლი შეშით გააესო. მერე გარეთ გავიდა, მდინარიდან ორი გზობა წყალი ამოიტანა, ამოჩხილი ყინული ისევ გაყინულიყო, ძლივს ამოიღო წყალი. საესე ქვაბებმა ღუმელზე დადგა და თავის საფარ-სათვალთვალოში აბრუნდა.

შუალამე გადასული იყო, მგლის ყმუილი რომ მოისმა. ჯერ ნაწვევტ-ნაწვევტ, მერე — გაბმით.

„ნეტა არ შემოვიდნენ“ — გაიფიქრა წაგებულმა. — „ჯობს შიმშილით მოკვდეს ვიდრე კაციჭამია მგელმა გამოძხრას“.

ყმუილი თანდათან ახლოვდებოდა. მერე ეზოშიც გაისმა. ვანია დამძული მიაჩერდა ღრიჭოს. სულ მალე წინკართან თითქოს სანთლები გაკრთნენ და ყველა გაისუსა.

კარგახანს იტრიალეს მგლებმა წინკარში. თითქოს კართანაც გაკვესა ორმა წყვილმა თვალმა, შემოსვლას კი მიანიც ვერ ბედავდნენ. ღუმელში ცეცხლი მიწნულდა. ღია კარიდან სიცივე ორთქლივით შემოდიოდა.



დიდხანს გაიჭიმა ღამე. თითქოს არ ეთობოდა ქათქათა საწოლი. — ველი, მერე ნელა იკრიფა, კალთები. ცაში ნათელი ჩადგა და მგლის სილუეტებიც გამოჩნდა. თანდათან ახლოს მივიდნენ კართან, შემოიხვედეს, შემოიფშუვლეს კიდევ.

გაუნძრევლად მწოლიარე ბიჭები სიცივისაგან ისე გახევებულნიყვნენ, ფიქრის თავიც კი აღარ ქონდათ. ქვეშეცნულად ხედებოდნენ სხვა გამოსავალი არ იყო.

ბოლოს კარმა გაიჭრიალა, მუქი ნაცრისფერი თავი და თათი გამოჩნდა, ცოტახანს გაჩერდა კარში, შემდეგ ქიხში შემოაბიჯა და უკან მიხედა თითქოს, დედალს, ანიშნა შემოდი, გზა ხსნილიაო. დედალიც შემოყვა. ფრთხილად მიმოიხედა და მამილს გვერდში ამოუდგა.

ვანია იმავე წუთში კარს მიაწეა. მგლებმა გასწრება სცადეს, მაგრამ კარი უკვე ჩაკეტილი იყო. მხეცები აწრიალდნენ. უთავბოლოდ დაიწყეს სირბილი. გაქცეულმა პატიმრებმა თავები წამოყვეს და შეშა და ცული მოიმარჯვეს.

ქიხში ბნელოდა. დილის მკრთალი ხინათლე ერთი პატარა ხარკმლიდანა შემოდიოდა. უთავბოლო სირბილით დოქანცულმა მგლებმა კედები ამოიძუეს, ღრუნას და სირბილს მოუკლეს, ნარებთან მოიკუნტნენ და გაბმით აფშუვლდნენ. მალე ქიხში აუტანელი სუნი დადგა. თავბრუდამხვევი სიმყრალე პირდაპირ ტვინში ურტყამდა პატიმრებს. სიმყრალე მილისიკენ ეწეოდა ადამიანებს, რაც კარგს არაფერს უქადდა; მგლები ჩამინებულბს შეიძლება დასხმოდნენ თავზე. ზედა საწოლზეც აედწიათ და მერე საკითხავი იქნებოდა ვინ დარჩებოდა გამარჯვებული, ვინ ვის შეჭამდა, მგლები ადამიანებს თუ...

შეშინებულმა პეტიათ ერთი ნაჩხი შეშა ესროლა. შიშით თუ შემთხვევით შეშა მიზანს მოხვდა; მგელი რამდენჯერმე შეხტა, თითქოს ნარის ზედა საწოლსაც მისწვდა, მაგრამ ეს ორი ტყლე-

ქიანი, ლახლახა კაცო ისეთი თავგანწირვით იგერიებდა ქვეშეცნულად ცულიც კი მოხდეს.

არიფი ცალკე იჯდა. ძუკნა უბრალოდ დარაჯობდა მის სამყოფელს. არც თავს ესხმოდა და არც თვალს აცილებდა.

ვანიამ ძალაყინის ერთ ბოლოს თავვის ტყავი შემოახვია ალუმინის მათეულით დამავრა და საწოლიდან გადაყო. მამალი მგელი იმ წუთშივე წაეტანა, კინამ კბილიც გაკკრა. ვანიამ დროზე ააცილა, მალლა ასწია. ნადირმა რამდენჯერ სცადა მიწვედინადა ახალ ტყავიან ძალაყინს. ყოველ ნახტომს სიმაღლეს უმატებდა, მაგრამ ვანია მოკრივის მოზომილი რეაქციით მხოლოდ ჩინვირს თუ შიადებინებდა.

მგელი დაიდალა. საწოლთან ჩაცეცქდა. წითელი ხახა დაალო და პირლია, ღრუნით იჭაჭებოდა. ვანიამ პირდაპირ, შვეულად დაუშვა ძალაყინი. ნადირს აღარ უცდია შეხტომა. ღრუნით ელოდა ძალაყინის დაშვებას. მერე უცებ შეახტა. ვანიამ მალლა აწვეის ნაცვლად ძალაყინი მოწვევით ძირს დაუშვა და ნადირს შიგ ხახაში ჩასთხარა.

— „მალადეც!“ — იღრიალეს პეტიათ და სანიამ. ვანიამ შვევით ამოისუნთქა და ძმაცეცებს გამარჯვებულის იერით გადახედა.

— გმირი ხარ! — შეაქო სანიამ.

ქიხში ციოდა. ცეცხლი მთლად ჩამქრალიყო. ვველაზე მძიმე ასატანი მაინც სუნი იყო. ვანიამ შებმული თოკით კარი გამოაღო და თავის საწოლზე მოიკრუნწხა.

ძუკნამ დრო იხელთა და გარეთ გავარდა. გამოქცეული პატიმრები ისევ მალლა ნარებზე ისხდნენ. დრო ძალიან ნელა გადიოდა. კარის ჭრილში ისევ ძუკნა გამოჩნდა. ფეხაკრევით შემოიპარა ქიხში, ზედათან მივიდა და გათრევა სცადა. ამაოდ. ვეებრთელა ძალაყინი მიუღ სხეულში ქონდა გაჩრდილი. პეტიათ ისევ შეშა ესროლა. ძუკნამ წელი ზღურბლზე ძლიეს გადაათრია და წავიდა.



ვანია ნარიდან ძლივს ჩამოფოფებდა. ამდენი ხანი სიცოცხეში მორთხმით ჯდომამ მთლად დააკურტა. თაროსთან მივიდა, სადაც ასანთი ეგულებოდა. არ დახედა. თარო ჩამოვარდნილიყო. ასანთიც ძირს, დაღვრილი წელის გუბეში ეგლო.

— ამ ასანთით ახლა ანთება შეუძლებელია. მთლად ჩამბალა წყალში. თუ გაპრა, შეიძლება ივარავოს კიდევ. ისიც ხაუჭვოა, — თქვა ვანიამ.

— მაშ რა ექნათ?! — იკითხა ხანამ. ხმა აღარავის ამოუღია. ვანიამ ოდნავ გამოაღო კარი. წინკარი მოათვალიერა. ბარდნიდა. შორს ძუკნას შავი ტანი მოჩანდა. ნელა ცილდებოდა ქოხს. ძლივს მიათრევედა მოწყვეტილ წელს. ვანიამ კარი მიხურა და თქვა:

— თოვს, ძუკნა იპარება. სანამ კვალს მთლად დაეკარგავდეთ, მე გავყვები. თქვენ ეს გაატყავეთ. მოვალ და რამეს მოვიფიქრებ, თავისი ხელკეტი და ცული აიღო და გავიდა.

ვანია შორიახლოს მისდევდა დასისხლიანებულ ძუკნას. ხან დაკარგავდა ხედიდან, ხან ისევ წამოეწყოდა. მგელი პატარა ხეში ჩაფორდა. ახლა ხეგალმა მიითრევედა წელს. ვანიამ ადროვა. მგელი ბუნაგში შეძერა. „მეორედ აქ მოხვლა არ ვინდა?! თუ დაერჩი ვაკვირებ. არადა ამ ზორცის დატოვება აფსუსია... ვაი თუ სხვაც იყოს და შემტამონ?! ასეა თუ ისე, ახლავე უნდა მოვრჩე საქმეს“, გაიფიქრა და მგლის ბუნავს წაადგა. სახარული სურათი დახედა. ძუკნა უსულოდ ეგლო სამი ლეკვი კი დედის ძუძუს გულიანად წოვდა. ლეკვებმა საფრთხე იგრძნეს და გაქცევა დააპირეს. ვანიამ ცული მოუქნია... ორს ერთად გადაუნება თავი. მესამე გაიქცა. ვანია აღარ გაჰკიდებია. გვიანდებოდა. წელზე თოკი შეიხსნა დედა-შვილები გადააბა ერთმანეთზე და ათორია. დაბუხებულ ფეხებს ძლივს მიათრევედა მშვიერი და გაფინული კაცი.

ვანიამ ნანადირევი ეზოში დატოვა, ძლივს ათორია ფეხები წინაკარში. რამდენჯერმე ჰკრა მხარი გაფინულ კარს,

გააღო. შევიდა. პეტია და ხანია ერთმანეთს მიხუტებული ისხდნენ წინა კარში.

— ვერ იპოვე?! — იკითხა პეტია.  
— ეზოშია. შემოიტათ. არაფერმა წაიღოს, — ძლივს ამოღერდა ვანიამ და ფეხზე გახდა დაიწყო. ტაშტში წყალი ჩაიხბა, ცივი წყლით დაიბანა და დაიხილა. წყალი ზომაზე თბილი ეჩვენა. კარგაბანს იზილა ფეხები. მერე შეიძშრაღა, ჩაიცვა და ხტუნვა დაიწყო.

— მიდი, რა შემოიტა! — ბრძანა პეტიამ. ვანიას ხმა არ ამოუღია.

ხანია ნელა ჩამოვიდა ნარიდან. გარეთ გავიდა, მგლები შემოიტანა.  
— ლეკვებიც ჰყავდა?! ბუნაგამდე მიყვები?! — იკითხა ხანამ.

პეტიამ იკადრა ჩამოსვლა — ჰობლა, ვეოცხლობთ! — იფერა აღტაცებულმა — ამისთანა კაცი რო გვერდში გყოლებარა გავიკვირდება?! შენ ის თქვი ციცხელი როგორ ავანთოთ?!

ვანია ხტუნვას განაგრძობდა. გახურდა, მოცოცხლდა. ახლა პატარა ქოხში წაღმა-უკუღმა წრიალი დაიწყო.

— პა, ბიჭო! — შეუძახა პეტიამ — თუ დროზე არ გაანძრე ეგ ბოთვერა თავი, ვაკვირებთ. ვანია უხმოდ განაგრძობდა წრიალს.

— აცოლე კაცო, ფიქრობს. ვერა ხედავ?! — უთხრა ხანამ.

— გახეული ბუმლატიდან ბამბა გამომიდეთ, — ბრძანა ვანიამ. ბამბა მიუტანეს. — ზორცის ფიცარიც...

— სად მოგინახოთ ზორცის ფიცარი. აქ რა მალაზიაა თუ საყახბო?! — თქვა პეტიამ.

— კედელზე ჰკიდია, ფანჯარასთან — ვინმარტა ვანიამ. ბამბის ფთილები ნელა, თანაბრად გააბრტყელა, ხელის გულებზე დაიდო და ვადაიხვია. მერე მეორე ფთილა მოამზადა და პირველი შიგ ჩაიხვია, დაღო მავიდაზე და ზორცის ფიცარს გორაობა დაუწყო. ბამბის წერილი ლოლუა უცებ გაშავდა.

მეტე მომივიდა, გადამეწევა, — თქვა თავისთავის ვანიამ და ოთახი მიათვალიერა-მოათვალიერა. რამდენიმე ძველი ქაღალდის ფურცელი ჩაჭმუჭნა, მერე

ლუმელს მიუჯდა და შესანთებად გაამზადა. პეტია და სანია გარს უტრიალებდნენ. ხმას არაეინ იღებდა.

ხინუმე და სიმყრალე ერთმანეთში გაითქვიფა.

ვანიამ ისევ ააზვია ბამბის ფთილები, დიდხანს იწვალა. ბოლოს როცა ფიცრის ქვეშ აგორებული ბამბა გაგლიჯა, პატარა ნაპერწყალი გამოჩნდა და ისევ ჩაქრა. კარგა ხნის წვალუბის მერე გაგლეჯილი ბამბა სულის შებერვით გააღვივა. ნახშირთან და ქალაღებთან მიიტანა. გამუდმებით უბერავდა ხულს. ისეთი შეგრძნება აქონდა, თითქოს თავი გაუსხივდო. მალე ქალაღებს წაეკიდა ცეცხლი. ქალაღების ირგვლივ ნახშირები და არგას გამძვრალი კანი იყო შეწყობილი. ცეცხლი აბრიალდა.

პატიმრები კარგა ხანს ისხდნენ ღუმელთან. ცოტა მოთბნენ და ოთახის დაღებებს მერე შეუღვნენ. პირველ რიგში შეშა შეაგროვებ. მერე თაროები გაასწორეს. ვველაფერი თავის ადგილზე დადეს. ნაშხვრეულები გარეთ გაიტანეს. სისხლი მოწმინდეს. ხვადის შიგანი ვადავდეს და ხორცის დამუშავება დაიწვეს. ჩაკუნული ხორცი თ სავსე ქვაბი ცეცხლზე შემოღვეს.

სითბომ მოთენთა გამოქცეული პატიმრები. სიცივემ და შიმშილმა წამოყო თავი. ჩახრაკული ხორცის სუნმა ხომ ვადარია ბიჭები. პეტია მ ბელი ჩასცა და ერთი ნაჭური ამოიღო. ოდნავ შეუბერა და პირში იკრა. ცხელი და უში ხორცი ძლივს ვაღუჭა, ჩაყლაპა: — ჯერ არ არის მზად — თქვა და ისევ ჩაქინდრა თავი.

შებინდებისას კერძი შემზადდა. ჯამებში ამოიღეს და თქველფა დაიწვეს. პეტია მ და სანიამ თავიანთი უღუფა ნახევარზე დაიყვანეს. ვანია კი იჯდა და ჭამის დაწყებას ვერ ბედავდა.

— ჭამე, ვანკა, ნუ გეშინია, ვირთხაზე გემრიელია. ოო, მე ერთხელ სოფელში თხის ხორცი ეჭამე. სწორედ ისეთი გემო აქვს — თქვა პეტია. — მიდი, მიდი, ასე დიდხანს ვერ ვაძლებ.

ვანიამ ზღაზვნით დაიწყო ჭამა. ხუნი მართლაც კარგი ქმნილებაა. უფრო უკეთესი. რომ ბაზრის ხორცი მგლის ხორცი იყო, ვერც მიხვდებოდა. ერთი ორჯერ გულს მაინც დააზოდა. მალე გადაუარა. მშვენიერ ახალ ხორცს თავვეივით მყრალი სუნი არ ქონდა.

სამივე გემრიელად მოძდა. მიუყარნენ საწოლებზე და ყვლეამოჭრილი ღორებზევით დაიწვეს ხრიალი.

— ააა... — ღრიალით წამოვიარდა ვანია. სხვებმაც გაიღვიძეს. შემინებულუბი წამოცვივდნენ.

— რა არი?!

— რაშია საქმე?!

— სიზმარი ნახე, შე ოხერო?!

— ნეტა, რა დროა?!

ხორცის სიმრავლემ ხიზნებს ყაირათი დააეიწყათ. უცებ აღმოჩნდა, რომ საკვები შემოლეოდათ, არც მონადირე და მგზავრი გამოჩნდა ვინმე. შიმშილით სიკვდილი კვლავ ვადრუკალი იყო.

დროის მოსაკლავად პეტია და სანია ისევ თამაშობდნენ. ვანია არ ერეოდა მათ საქმეში. უფრო სიტყვაბუნწი და გულჩათხრობილი ვაზდა. რამდენჯერმე მდინარესთან ჩაეიდა. თვეზი ნაღდად იყო, მაგრამ რით უნდა დაეჭირასაფიქრალი ვასწენოდა.

მესამე ღლე იღეოდა, ხიზნებს არაფერი ეჭამათ. ვანია, ხელცარიელი ბრუნდებოდა შინ, ქობიდან ლაპარაკი რომ მოესმა, დააყურადა:

— ტანსაცმელი ხომ დაეგბრუნე? გეყოფა. წაგებული მივდივით. შინ წააგე, შენ შეასრულე. მე რომ წამეგო? მაპატიებდი, ძუკნავ? კბილებში ცრიდა სანია.

— თუ არ მომეხმარე, მომერევა — ამოიწკმუტუნა პეტია.

— ღამე მიეპარე, როცა დაიძინებს, უთხრა სანიამ.

ვანიამ თავი ვეღარ შეიკავა, შეაღო კარი და შევიდა, მოთამაშეები ჯერ ხახტად დარჩნენ, მერე ვითომ არაფერი იყო, გულგრილად იკითხეს:

— ვერაფერი იშოვე?!

— არც რამე იშედა?!

ვანიამ მხოლოდ თავი გადააქნია.

— მაშ რა გვეშველება?!

— დავიხოცებით შიმშილით?

ვანიამ პასუხად ახლა მხრები აიწინა. გუნება უფრო წაუხდა. რაშიც აქამდე ეპვი ეპარებოდა, დღეს პირდაპირ დადასტურდა და უკიდურესობამდე დაიძაბა მდგომარეობა. თქვის ჩექმები გაიხდა, ზედ ტილაღები დააწყო და ღუმელზე გასაშრობად შედგა. თავად საწოლზე აბტა და უგუნებოდ მიეგდო. „ჯობს მალე ჩაეძინო, ცოტა დასვენებას მაინც მოეასწრებ“, — ფიქრობდა ვანია და დაღლილს, მართლაც მალე ჩაეძინა.

შუალამე გადახულიყო ფეთიანივით რომ ჭყიტა თვალები. ოთახში უკუნი იდგა. მისი საწოლის მოპირდაპირე კედელში დატანებული ფანჯარა იყო ოდნავ განათებული.

ვანიამ კარგახანს იტრიალა ლოგინში. თვალი ვეღარ მოხუჭა. ის იყო თელემა შეეპარა, შემის ბრაგუნი მოესმა. დაიძაბა. ხმა არავის გაუღია. მთელი სხეულით თრთოდა და დაძაბული უსმენდა სიჩუმეს. ცოტა ხნის შემდეგ, ახლა ვედრო დაბრაზუნდა, ყველაფერი ცხადი გახდა. ვანია მზად კი იყო მაგრამ სხეული ვერ დაიოკა. განუწყვეტლივ უთახთახებდა.

ვანიამ უკვე იცოდა, პეტია სად იდგა. მალე მის საწოლის წინ ღიანი ამოძვრა და ხელი მალა შემართა. როცა დანიანი ხელი ვანიას საწოლზე დაეშვა, ვანია ორივე ხელით წვდა მაჯას.

— ვაიმე! — აღმოხდა პეტიას. ეტყობა არ ელოდა მსხვერპლის მზადყოფნას, ცოტა ხანს გაგრძელდა ეს უხილავი ბრძოლა. ვანია გადმოხტა თუ გადმოვარდა საწოლიდან, ვერ გაიკვებდით. ორივე ერთად მოილო ზღართან. ამ ბრაგვანს პეტიას ხმა მოჰყვა.

— მომკლა ამ ძაღლიშვილ... — ხრილით დაამთავრა.

— მიშველეთ! — ყასიდად დაიყვირა ვანიამ.

— რაშია საქმე?! რომელი ხარ?! — ასევე ყალბად იკითხა სანიამ.

— ქალაღი აიღე და გაანათე — ისევე ყვიროდა ვანია.

ერკენულნი მალე აბრიალებულნი გასულიყვნენ ანათებდა. პეტიას საკუთარი ხელით, თავისივე დანა ქონდა გულში ჩარჭობილი. ვანია მომაკვდავს ზედ ეწვა.

— რა მოხდა?! — ისევე ყასიდად იკითხა სანიამ, — უკ, პეტია მოკალი ბიჭო?!

— მე რა ვიცოდი, ვინ იყო?! ჩემი მოკვლა უნდოდა. მერე საწოლიდან გადმოვარდა და ზედ დავეცი. თავისივე დანა შიგ გულში მოხვედრია... მე რა ვიცოდი, ვინ იყო?! ვინც უნდა ვოფილიყო, უნდა მოვეკალი?! — თავს იმართლებდა ვანია.

ქოხში კარგა ხანს იდგა სიჩუმე. ვანია და სანია ფიქრებში ჩაძირულიყვნენ, ორივეს ერთი საფიქრალი გასწენოდა: „რა ეღონათ?“.

— რა ვქნა ეხლა?! — იკითხა სანიამ.

— რა ჩემი ბრალია?! მკლავდა, ზედ დავეცი და თავისივე დანა დაერჭო გულში. მე რა ვიცოდი?! რა ვქნა?! — წუწუნებდა ვანია.

„სწორედ გაანგარიშებულივით კი გამოვიდა. უკეთესად არც შეიძლებოდა დამთავრებულიყო ეს საქმე“, — ფიქრობდა ვანია.

„რა მამაძაღლი კაცია, ეს როგორ მოახერხა?! თავის მხრივ ფიქრობდა სანია — საწოლიდან გადმოვარდა, ზედ დაეცა და თავისივე დანით მოკლა. ეს შობეღმაღლი ნამდვილად ელოდა ამას.“

— რა ვქნა ახლა?! — იკითხა ისევე ვანიამ.

— ძაღლი ვინც მოკლა, იმანვე გადაათრიოს! — თითქმის ზუმრობით თქვა სანიამ.

ცას ნათელი შეეპარა. მალე ოთახში ჯერ სილუეტები შემდეგ კი სახეებიც გამოიკვეთა.

— წაიღე და სარდაფში ჩააგდე, — თქვა ისევე სანიამ.

— მომუხმარე—მოკლედ მოუჭრა ვანიამ. სანია უსიტყვოდ დაჰყვა მკვლელის სიტყვას. ერთხანს ორივე გაფითრე-



ჩემი მოკვლაც და შეკვამაც? მე დავასწარი, მე მოვერიფ...

...გამამტყუნებ?! მართალია, მე ქრისტიანი ვარ, მაგრამ ჯერ ვერ ავმალღე იქამდე, რომ სხვისი სიცოცხლე ჩემსას ვარჩიო. მე სახარებაში სხვა ქვეტექსტს ვკითხულობ... გიკვირს არა, ამ კაცოჭამიას, როგორ ამბობთ უცხოურად?! კანიბალიო, არა?! სისხლისმსმელი?! განა ჯობდა პეტიას და სანიას მე შევეჭამე?! ისე რა, ღმერთისთვის სულ ერთი არ არის ვინ მოკვდებოდა და ვინ დარჩებოდა?! მითუმეტეს, რომ მე არ მქონია ავი განზრახვა. ამხანაგად გავვევი, შეველა მინდოდა, თავისუფლება მინდოდა. ვიცოდი, რისთვისაც მივევდი და მაინც გავვევი. თავისუფლება ძვირი ფუფუნებაა!... ჰოდა, მეც მინდოდა ჩემი რისკის, სიცოცხლის ფასად შემეძინა ეს ფუფუნება... არა, ვითომ რა უჭირდა ღმერთის ნათქვამს: სისხლი-სისხლის წილ, კბილი-კბილის წილ, თვალი-თვალის წილი... ჰა?! რით არის ცული?! მერე თუ ჩვენი სარწმუნოება ბიბლიას ეყრდნობა, ვითომ რა იქნებოდა ეს ქრისტიანობაშიც შემოსულიყო?! აი, ამიტომ, სახარებაში რომ წერია—მეორე ლოყაც მიუშვირეო, მე აქ, სტრიქონებს შუა, ვკითხულობ- ნუ-

რას უკაცრავად, თუ კიდევ იკავია/მეორედ დარტყმა, შენც დედა უტირეო. ჰა?! როგორია! ასე ან სხვათაგან!

— აგე, აგე, უკვე დაიწვეს წრიალი პეტია და სანიამ. ვვითვალთვალებენ, როდის წახვალ, ერთი სული აქეთ, — წამოხტა და საწოლს ეცა. ბალიშისქვეშედან მუყაოს ფაშა დააძრო, — ეს თავის დასაცავად მინდა. ამით პეტია და სანიას ვაშინებ.

— რა იყო, გიკვირს?! ჰო — მუყაოსია! როცა პეტია და სანია ძალიან გათავებდებოდა ხოლმე, მოკვლას დამიპირებენ, თავს მომამებზრებენ თავიანთი წუნწინით, დაეძრობ ამ მუყაოს ფაშას, დაეანახებენ, დაველერებ და ისინიც გაზეცლებიან. აბა, გიყვები ხომ არ არიან თავი მომაკვლევინონ. — მერე ფანჯრისკენ შეტრიალდა და დაუღერა.

— შეხე, შეხე, როგორ აწრიალდნენ?! ნახე, როგორ ახწრებენ ერთმანეთს?!... მე კაცოჭამია ვარ, არა? მგელი ვარ? შენ რომ ყოფილიყავი ჩემ ადვილას, როგორ მოიქცეოდი?! ეტყოდი მოდით, ძმებო, ყელი გამომღადრეთო? ჰა, რას იზამდი-მეთქი?! შენც ესე ფიქრობ, რომ მე კანიბალი ვარ და ისინი პატიოსანი, უდანაშაულო მკვდრები?! — კიოდა ვანია და მუყაოს ფაშას იქნედა...



**ამირან საბაში**

**ს ა ლ ე რ ა ქ ე**

აჭარაში წინათ ზევზის აყვან  
 ზეზაქალს საღვჩაქეს ზუქნიდნენ

წურწულუბდა სხალთა-ხიხანს,  
 საბაღრე და საუენახე  
 და მიჰქონდა დიდი ნენეს  
 უთეთრესი საღვჩაქე.

მოდიოდა მტერი სარფთან,  
 ქუხდა მაჭახელა მჭახედ,  
 მტრის ჯინაზე დიდი ნენეს  
 კელავ ჩუქნიდნენ საღვჩაქეს.

ფიჭვდებოდა ღამის ბინდი,  
 ვარსკვლავებით მსხმოიარე,  
 წურწულუბდა მშობიარე:  
 „შემინახე, მშობიარე“.

და მიჰქროდა მახარობლად,  
 ბიჭი ცალკე, ჩრდილი ცალკე,

მტრის ჯინაზე აჭარაში,  
 რიგდებოდა საღვჩაქე.

რეკდა ზარი განაბზარი  
 და ყვაოდა თოფის კვამლი,  
 ვით ქართული იავნანა,  
 ქოხებს თაეზე ადგა ზეამლი.

კახაბერთან, გონიოსთან,  
 მომხედურს რომ არ დავეჩოქე,  
 ზედ მეხვია ქართულ სისხლზე  
 შენი თეთრი საღვჩაქე.

დღესაც ჩემი ძელგი სისხლით,  
 ქართულ მიწას დავეჩანჩქე,  
 მომაქვს შენთვის აჭარიდან  
 კიდევ ერთი საღვჩაქე!

**რიზის ღამე**

რიზეს გზაზე მივდივარ,  
 ჩანს სოფელი მძინარე,  
 რიზეს გაღმა მდინარე,  
 უნანიებს მინარეთს.

ვკოცნი თვალთ უძღვებით,  
 ბაღრა-ბოსტან-მიდამოს,  
 მითხარ ვისთან ვიომო,  
 ანდა ვისთან ვიდავო.

ვზაზე ბიჭი პაწია,  
 თვალში ჩემი ნაღველით,  
 ეს პატარა რიზელი,  
 ეს პაწია ქართველი.

ვეკითხები: გურჯი ხარ?  
 შიპასუხებს უარით,

ტაოს ღამე ამ ღამით,  
 მურვანივით ყრუ არის.

ვევედრები, გურჯი ხარ,  
 არც რა ესმის არა და...  
 და ქართული ხელებით  
 ეყვრება „არაბას“.

ვაი, ჩვენი ვაჩენავ,  
 დაღამეზე ნათელის...  
 ტოკავს წარბი შავშელის,  
 კლარჯელის და ხანძთელის.

ვეხვეწები, გურჯი ხარ,  
 შიპასუხებს უარით,  
 ტაოს ღამე ამ ღამით,  
 მურვანივით ყრუ არის.



ბედზე მოსთქვამს მდინარე,  
 მოლა ფივის მინარეთს,  
 ქართველია მოლაც და  
 და სოფელი მდინარე.  
 რიზეს ვზაზე მიედივარ,  
 ვტოვებ ბიჭს და მინარეთს,

მინაღვლებულ ქართულ სიხხლს,  
 ქართის ძარღვში მდინარე,  
 მართლა ასე გძინავს თუ,  
 თავი მოიმძინარე,  
 ვეკითხები მინარეთს,  
 ვეკითხები მდინარეს.

**დოქაბი შროშის ვზაზე**

შროშის შარავზასთან  
 დოქები რომ წანანს,  
 გვეონება მართლა  
 ქართველები ღვანანს.  
 და არწივის მზერით  
 შროშის შარის კოკა,  
 კოკა ღვინისფერი,  
 თვითონ ქართველს მოკვავს...

მღერის, როგორ მღერის  
 გუმბათების ყელი,  
 ტყემლის ტოტზე თეთრი,  
 თებერვალად მღერის...

ეინ გაიგებს წვეს ფიქრს,  
 ან სიმღერას მგონისის,  
 ჯამში ღვინის მზეფით  
 საქართველოს კვოცნიით.

აქ დიოდნენ ვზები,  
 მიდიის და ხეთის,

საქართველოს ბედით  
 სხვაა ღიბის ქელი.

სხვაა ქელი ღიბის,  
 საქართველოს ბედით,  
 ხან გვეძახდა იგი,  
 ხან გვთიშავდა ქელი.

ქართველი ხარ? — მოდი,  
 ან მეგზური ხულად,  
 მისცემია ღოდინს  
 შროშის შარის სურა...

საქართველოს ღოცვად,  
 საღვკრძელო შესვი,  
 აფეადება როცა,  
 ღვინობისთვის მზეფი.

და დოქებიც მიტომ,  
 ღიბის წითელმიწის,  
 საღვკრძელოს ითხოვს  
 გაუტებელ ფიცის.

**„ლაოკოონი ორი ვაჟით“**

ვენახს სხლავდა ზვარში გლეხი,  
 ვენახს ტანი კქონდა გველის.

აღქაჯობდა ქარში კვამლი,  
 ხარს მიქქონდა ველზე კვალი.

გლეხი იყო კახაბრული,  
 ვაენი ჰყავდა ტანით შრთელი.

ხარი იყო აიეტის,  
 კოფოს ესვა კაპუეტი.

მეხრე იყო ტანად კაყი,  
 უყიოდა რვალი ხმაში...

გამახსენდა ძველთაძველი,  
 მახრჩობელა შავი გველით,

ანტიკური ძველი მაშინ:  
 „ლაოკოონი ორი ვაჟით“.

ქარს მიქქონდა ცაში ფუტი,  
 ვონიოს თუ აფსარუნტის.

ამოქქონდა გუთანს გრუნტი,  
 აფსარის და აფსარუნტის.

გამახსენდა ძველთაძველი,  
 მახრჩობელა შავი გველით,

ანტიკური ძველი მაშინ:  
 „ლაოკოონი ორი ვაჟით“.



## ალექსანდრე ვაბუში

...

ბოლო სიტყვა თქვა შენამდე კაცმა,  
ვერ დაგიბრუნებ, მშვიდობით ჩემო!  
ცეცხლისგან ისევე ნაცარი დარჩა,  
თაფლისგან — მწარე სამხალის გემო.

ღვება დღე, ჩვენი გზების გამყოფი,  
ცისა და მიწის შკაცრი სამანით.  
მიმყვება საგზლად იაუარყოფილს  
მოსანატრელი და დასანანი.

წუთია უცხო ბედის მჭედელი,  
ყოფნა — არყოფნის შხამით აწული  
და უნდობლობის მარტყავს კედელი,  
ღლითა და ღამით ამოკარული.

გაუკუღმართდა ღმერთი და ხატი,  
გამორებული ცხადით სიზმარი.  
ვეღარ დაახლვევ მოლოდინს ნატკრით  
და ვეღარც ღიმილს შემომივზავნი.

ღღემდე ბევრ ნატკრას გაუკურე  
სისხლი,  
ბევრი იმედი უტიფრად დავემე.  
მე რწმუნა მოკვალ ბოღმით და ზიხლით  
და უნდობლობით პახუხსაც ვაგებ.

სხვა რაღა ღამრჩა გადასარჩენი,  
ვისი ზეცის მზე დამეფიცება.  
ვეღარ ღამიხსნი, ეს განანენი  
საბოლოოა, არ შეიცვლება...

## ვახტანგ თეთრაულის ხსოვნას

ღღეს გზა შორია გავამდე,  
ცრემლი ახლოა გავადან...  
...ხო, შენ არავის არ გავდი,  
შენაც ვერავენ ვერ გვაუდა.

შენ უფრო ზეცის იყავ და  
ცისა და მიწის ზემოდან  
რა უშურველად გვიყვარდა,  
რა უსასრულოდ გვეკუროდა!

ვარ გავიმეტეთ, ვერ დაეთმეთ  
რაც გულს აკლია ღღევანდელს...  
ჩვენ ვაგრძელებდით ერთმანეთს  
ჩვენი თავიდან ჩვენამდე.

და ფურცელ-ფურცელ ვარგავდით  
ბავშვობას — ღამაზ პერანგას  
და მაინც შენივ თავს გავდი,  
შენით ვერავენ ვერ მგავდა.

რაზომ ვიღვინდა მართალთან  
ცრუსთან გულმოკლულს ნიდაგ...  
მერე ის წლებიც დამთავრდა,  
ჩვენ ცამაც გადაიადრდა.

მაინც ცხოვრებამ გავრთია  
მართალ კაცობის არჩივად...  
შენ წახვედ ერთი კაი ყმა,  
ვინც დაერჩით, ყველა ვალში ვართ.



ეროვნული

„საზოგადოებრივი მუშაობის“  
წიგნისათვის...

...

შენც თუ წახვედი, აქ ვილა დარჩეს,  
ვის ვემდურო და ვის დაუემაღლო?  
ვინ ამიწონის ჯილდოს და ხასჯელს,  
ვისი გულის ხმას მივაფურადო?

რა მათქმევენებს – სიცოცხლე არ ღირს,  
დაიწვას ჩემი მადლით და ცოფით  
და უსასრულო ტკბილ-მწართ  
დაღლილს  
რით გავამართლებ ნატვრას და  
ლოდინს!

მე ყოველდღილა კვნესა მალეიტებს  
და დრო აქ ყოფნის უფრო მცირდება...  
შენ თუ წახვედი, ვინ მიმასპინძლებს,  
ვისი დათმობა გამიჭირდება?!

კვლავ უერთგულე შენს ბედს და  
არჩივს,  
ნაკლულიც იყავ, იყავი სახსეც,  
შენ ისევ ისე მასპინძლად დარჩი. –  
რა გამოვიღევეს მომხველელს და  
წამხველელს!..

დედოფლისწყვაროში ბერდიშვილებს

ბინდება მზერა საციისკრე,  
ახა ქოთქოთობს თქვენს წილად  
ბარი ვიხდებათ არც ისე –  
ხუთისოვ, ვიგიტავ ბეწინავ!

ეს რა დროებამ დაგქროლათ,  
რა ხმალ-ხანჯარი აფარათ!

დაიუკავილა ნავონმა,  
გადაიარა მაყარმა.

ერთ გახარებას ვერ შერჩიოთ  
და გაღლებილი დრო გინჯეთ...  
რადაც ყრუდ მტკივა თქვენს ბედში, –  
ვერც ვერასოდეს მოვიბრუნე!

...

რაც ვიტვირთე და რაც მიძიმეს  
ჩემს ბედისწერას ამართლებს...  
შორი ვარ ერთი ნაბიჯით,  
ახლო – პირქარის აღმართით.

ის მომაქვს, რაიც მანდ დამრჩა,  
რაც დაღლილ თვალებს მინათებს.  
ერთი ტყუილი გადამრჩა,  
გადამრჩა ერთი სიშართლე.

და უნდო იმედს ვადევნებ  
დაბლა კაცსა და მალლა ღმერთს...

რა ღამე შემომათენებს,  
ვისი დღით უნდა დავღამდე.

წუთისოფელი მაღინებს  
და მიადვილებს სიმძიმეს.  
ერთი ლოდინი მაღინებს,  
მიშელის ერთი სიცივე.

გულუბრყვილობას ვინ მიზღავს  
ზეციურს რომ შევეღადაო...  
მახსოვხარ, მაგრამ რისთვისდა,  
ვიყვარვარ, მაგრამ რალა დროს...



## ულისა

მე-14 ნაკვეთი

მისი ხარკი

თარგმანი და კომენტარი  
ნიკო ყიასუაშვილისა

საერთო უკმ თავშესაქცევის შუაგულში დარეკა ზარმა, და ვიდრე ყველა მარჩიელობდა, თუ რა შეიძლება ყოფილიყო მიზეზი ამისა, შემოვიდა მისს კვლანი, ხმადაბლა უთხრა რამდენიმე სიტყვა ჭაბუკ ბ-ნ დიქსონს, მდაბლად დაუკრა თავი სსზოგადობას და გავიდა. ქალის თუნდაც წუთიერმა ყოფნამ თავაწყვეტილ მოქციფეთა შორის, ქალისა, რომელიც შემკული იყო თავმდაბლობის ყველა სიკეთით, ამაღროულად მკაცრი და ლაშაზი, თვით ყველაზედ აღვირაბხნილთაც კი შეაკავებინა თავი უწმინაური ოზუნჯობისაგან, მაგრამ მისმა გასულამ ნიშანი მისცა ბილწისიტყვაობის ამოფრქვევის. მუხმს დალაბქროს, თქვა კოსტელომ, შეზარხოშებულმა წმარვილმა კაცმა. კაი სუკის ნაჭერიას თავს დაუდებ მოსაკლავად, უკვე შეთანხმდით პეუმანზედ. განა არა, შე ძაღლო შენა! იცი კი როგორ უნდა ჭკათთან თორემ არა, ძალიანაც კარგად ვიცი, თქვა ბ-ნმა ლინჩმა. მწუხარე ღეთისმშობლის ქსენონში ლოვინის ამბებში გვარიანად ერკვევიან. კვიმი ო' გარგლი მოწყალების დებს ნიკაიის ქვეშ წაუღიტიანებს ზოღმე, სული ნუ წამიწყდება, ჩემი კეტისაგან ვიცი, რომელიც აგერ შეიდი თუა რაც პილტის მომღლეულად მუშაობს იქ. ღეთის სახელს გაგარძელება. იხ. „მნათობი“ № 3-4.

ფიცებთ, ფეიქო, ქალური პრანჭვითა და ურცხვი ღანჭვა-გრეხით წამოიძახა ლიონისფერელეტიანმა მოთუხთუხისისხლიანმა ჭაბუკმა, ოო, როგორ აღაზნებთ სხეულს! ჭირი ყველას! ღმერთო დიდებულო, სულ ვცახცახებ. ძვირფას მამაო ამიკ-ამიკზე უფრო საშიში ბრძანდებით, ღმერთმანი! ამ კახამ დამახზრჩოს, წამოიყვირა კოსტელომ, მუცელქმნილი თუ არ იყოს ეს ქალი. მე ერთ ქალს იცნობს, მაშინც უბიწოდ გასივდება როგორც კი მე შეაველებს თვალს. მაგრამ ამ დროს წამოდგა ახალგაზრდა ქირურგი, ბოდიში მოიხადა მათი დატოვება რომ უზღებოდა, რადგან სწორედ ახლა შეატეობინა მოწყალების დამ, პალატაში ვიხშობენო. მოწყალე განგებამ ინება და აკმარა ტანჯვა იმ ქალს, რომელიც ამას საქებართი სიმტკიცით იტანდა და რომელმაც შუა ჯანსაღი ბიჭუნა, მე მსურს ვყოთ მოთმინება მათ, თქვა მან, ვისაც არ აქვთ გამბედაობა შექმნან ახალი სიცოცხლე და არ გაანინათ განსწავლულობა რათა ასწავლონ, და აუგს კი იტყვიან კეთილშობილ პროფესიანზედ, რომელიც, ღეთებისადმი პატივის მიგების გარდა, ბედნიერების მინიჭების უდიდეს ძალას წარმოადგენს ღელამიწაზედ. გარწმუნებთ, თუ საჭირო იქნა, შემიძლია წარმოვადგინო ზღვა მოწყმე მისი კეთილ-



შობილის მსახურებისა, რაიც ძრ:ხეას კი არა, არამედ სიამაყისა და ნეტარების ვრძნობას უნდა ბადებდეს ადამიანის გულში. მე არ შემომღია ყურადღება მოქალაქე მათ. როგორ? ჩირქი მოხეობს ასეთ პიროვნებას, ძვარფას მახს კლანს, რომელიც თავისი სქესის მშვენიერებას და ჩვენივის კი ხაოცრებას წარმოადგენს? თანაც სწორედ მაშინ, როცა ყველაზედ მნიშვნელოვანი წამი დაუდგა, როგორიც კი ხუსტ მიწერ არსებას შეიძლება ბედმა არგუნოს? ასეთი ფიქრი არც უნდა გვიკაროს! მე მაძრწუნებს ფიქრი იმ ადამიანური მოღვმის მოზავალზე, რომლის წიაღშიაც ასეთი უკეთური თეხლი მიმოითესა და როცა თვით პორნის პოსპიტალშიაც სათანადო პატრეს არ მიაგებენ დედასა და ქალწულს. გაზოითქვა რა მკაცრი სავედური ესე, ხელის აწევით გამოეთხოვა იქ დამსწრეთ და გაუჩინარდა კარხუკან. ბუბუნი გაისმა საერთო მოწონებისა და ზოგიერთმა მხარი დაუჭირა მდაბლი ღოთბაზარას ვანდენას ყოველგვარი ზედმეტი აურხაურის ვარემე. ეს ვადანწეტალება ადვილად აღსრულდებოდა და რისი ღირსიც იყო იმას მიიღებდა, რომ არ ცდილიყო საკუთარი შეცოდება თავადვე გამოეყვიდა სამინელი ფიცით (წველა-კრულვა არ დაუკლია), რომ სამწყოს ასეთი ერთგული შეილი არასოდეს ჰყოლია. მეხი დამეკეს და ჩამიტანოს, თქვა მან, მე, ფრენკ კოსტელოს, მუდამ ჩანერგილი მქონდა უკეთილშობილესი ზრახვანი, რამეთუ აღზრდილი ვეყავი მუდამეამ პატივი მძვე მაძასა შესსა და დედისა შესსა, რომელსაც ასე ემარჯებოდა სახელდაბლოდ მოემზადებინა მერაბიანი პუღინგი, რასაც მე დღემდისინ სიყვარულით იხსენებს.

მაგრამ დაუბრუნდეთ ბ-ნ ბლუმს, რომელიც შემოსვლისთანავე მოწმე გახდა ზოგიერთი უტიფარი თავსაცილისა, რაც მოითმინა, რადგან იმ ასაკის ნაყოფად მიიჩნია, ბრალად რომ სდებ

ბენ სობრალულს არ სცნობს ახალგაზრდა უქნარები მართლაც მწმუწმე-შეგებით გივობდნენ: მწმუწმე-მწმუწმე-მწმუწმე მათი უთავბოლო კამათის დროს გაისმოდა, ძნელად გასაკვები და ხშირად არცთუ მაინც და მაინც რივიანი იყო; მათს სიფიცხება და შეურაცხყოფელ mots! მისი გონება ვერ პგუობდა; მით უფრო, რომ მათ ქცევას წესიერს ვერ უწოდებდი, თუმცაღა მათი ძალუმი ცხოველური ენერგიის მარავი მათ სასარგებლოდ მტყვევლებდა. მაგრამ ბ-ნ კოსტელოს სიტყვები მიხთვის მიუღებელ ენაზედ გამოითქმოდნენ, რამეთუ გულს ურედა ეს ბილწი, კაცმარიცისევისინამიერი, რომელიც ყურებდაჭრილ გონჯ კუზიანად ესახებოდა, დაბადებიდანვე კბილები რომ დაწყვა და ქვეყანაზედ წინფეხებგამყერილი გაჩნდა, რასაც მის თავის ქალაზე ქირურგის მამას ნაკვალევიც ააშკარავებდა, რამაც დაუბადა აზრი იმ რგოლზე, ქმნილებათა ძეწკეს რომ აკლდა და რასაც ასე დეძებდა ვანსვენებული ბ-ნი დარვინის გამჭრიახი გონება. მან ჩვენივის ღვთითობებული წლების რაოდენობის ნახვეარს ვადააქარბა კიდევ, რომლებიც ვოფიერების აურაცხელ უკუღმართობაში ვაატარა, თან რაკილა თავად წანდახედულთა მოღვმას ვინეკუთვნებოდა და ვანჭვრეტის იშვიათი უნართ იყო დაჯილდოვებული, იმთავითვე უბრძანა თავის გულს დაემლია ბრ:ზი, დაეოკებისა იგი უპ:ლ და მკერდით ეტარებინა ის ყოვლისმძენა, რაც ყბად აქეთ აღებული მდაბალ ხალხს, სულსწრაფთ, სძაგთ და ყველა მიიჩნევს ახატანად, მხოლოდ და მხოლოდ ახატანად. მით მიმართ კი, ვინც ქალის ხუსტ ბუნებაზედ მახვილაკობს (მისთვის სრულიად უცხო მიდრეკილება) ვერც პატიოსან ადამიანებად მიიჩნევა და ვერც კეთილშობილი ოჯახის შეილება; მათ მიმართ კი, ვინც თავმუკავების ყოველგვარ ზღვარს ვადასცდა და დასაკარგავი აღარა დარჩა-რა, ძლიერი მზამსაწინააღმდეგო საშუა-



ლება რჩებოდა გამოცდილების სახით, რათა მათ უტიფრობას დაუყოვნებლივ და სამარცხვანოდ დაეხეუნა უკან. ეს უშლიდა ხელს თანაგრძნობა გამოეჩინა გეზუნებარე ახალგაზრდობისადმი, რომელიც, მიუხედავად ბებრუხანების ჩიფნიფისა და პირქუშთა საყვედურებისა, დასაბამითგანვე ისწრაფვიან (როგორც ამას ხალხთა წერილის წმინდა მწიგნობრის უბიწო წარმოსახვა გამოხატავს) აკრძალული ხილი ივემონ, მაგრამ არასოდეს იქაძდინ არ მივიდოდა, რომ ასეთი უპატივისცემლობა გამოეჩინა კეთილშობილი მანდილოსნის მიმართ, რომელიც მასზედ დაკისრებულ მოვალეობას იხდიდა, რომ დაეასკებათ: თუმც კი მოწყალების დის მიერ მოტანილი ამბავი სწრაფი მორჩენის იმედს უმაკრებდა, მაინც უნდა აღინიშნოს თუ რაოდენ დიდი შვება იგრძნო. როცა შეიტყო, რომ ესოდენ მძიმე განსაცდელის შემდეგ სასიკეთო წინასწარმეტყველებანი აცხადდა და ამით კვლავც დადასტურდა უზენაესის მოწყალება და გულუბნობა.

ამასთან დაკავშირებით, თავისი ფიქრების გასახიარებლად მეზობელს მიმართა და განუმარტა, რომ ამ საკითხზე მისი შეხედულება (რომლის გამოთქმისგანაც მას, ალბათ, თავი უნდა შეეკავებინა) იმაში გამოიხატებოდა, რომ მხოლოდ ცოც გულსა და უგრძნობ სულს არ ეამებოდა ცნობა მისი მორჩენის შესახებ, რამეთუ აქამდე ასე რიგად იტანჯა, თუმცა კი ბრალი არა მიუძღოდა რა. გამოპრანჭულმა ვმანვილმა კაცმა თქვა, ბრალი მისი ქმრისა ასეთ დღეში რომ ჩააგდო, უფრო სწორად, ქმრისა უნდა იყოსო, თუ ქალი მეორე მატრონა ეფესელი არ არისო. უნდა გამცნოთ, თქვა ბ-ნმა კროტერსმა თან მაგიდას დაკრა ხელი, რათა ხშიანობა მიენიჭებინა თავისი სათქმელისათვის. უნდა მოვახსენოთ, რომ დღეს ისევ გამოჩნდა ბაკუნბარდებიანი მოხუცი და ცხვირში ღუღუნებდა, ვეთაფვათ, როგორ არის უილაკლმინა, ჩემი

სიცოცხლო, ასე თქვა. უუთხარი მზადყოფნაში იყავით, კაცმა მანვილმა უნდა მოხდეს-მეთქი. მანვილმა მხელის ჭირიშე! მიკვირს და გამკვირვება, რა პოტენციის მატრონია ეს ბებრუხანა, რომ შესძლო თავისი ცოლისაგან კიდევ ერთი გამოებერტყა. ყველა მის ქებას მოჰყვა, ვისაც როგორ ეხებრებოდა, მხოლოდ გამოპრანჭული ვმანვილი კვლავ თავის ადრინდელ აზრს იცავდა, რომ ეს ვილაკაა და არა მისი კანონიერი ქმარი, წარმატებას მიადრია თავის საქმიანობაში, სასულიერო პირი ან მეწირაღღნე (ფრიალ ღირსეული), ანდა ყოველი ოჯახისათვის საჭირო საქონლით მოვაჭრე მოხეტიალე მეწერილმანე. რაოდენ ხალციანია, მსჯელობდა თავისთვის სტუმარი, ამათი შესანიშნავი უნარი მეტმფსიქოზისა, რომ თვით სამშობიარო ქსენონი და გეამხასექციო თეატრი ასეთი უზნეო ფრაიოლურობის სემინარებად უქცევიათ, რომ მხოლოდ სწავლული ტიტულების მოპოვება საკმარისია, რათა თავის ერთ დახამხამებზედ დროის ყველა ეს უქმი გამტარებელი იმ ზელოვნების ხანმეშო პრაქტიკოსად ვარდაიქცეს, რომელსაც მრავალი გამოჩენილი პირიუნება ყველაზედ კეთილშობილურად რაცხს. მაგრამო, დახმინა, ისევ ხდება, რომ თავს იჩენს ხოლმე გრძნობები, რომელთა დახმობა უხდებათ, რამეთუ პრაერთგზის ვყოფილვარ იმის მოწმე, რომ ამქარი ამქარს იცნობს.

კი მაგრამ რა ნიშნით, რა საფუძვლზედ, თუ შეიძლება კეთილშობილ კეთილშობილ ღორდს, მის მფარველს, ინიშნეს თავს ეს გარმანიელი, რომელმაც ჩვენი მოვარმარებელის წვალობით მიიღო მოქალაქეობრივი უფლებანი, ჩვენი პოლიტიკის უმაღლეს მსახულად? ხად არის ის მაღლიერება, რომლის გამოხატეც მართებს მას ვითარცა ლიბერალურ ქვეშევრდომს? ამასწინანდელ იმში, როცა კი ღუშმანი დროებით უპირატესობას ხარბახნებით მოიპოვებდა, განა თავისი მოღმების ეს



მოლაღიბე არ სარგებლობდა ამით და იარაღს არ მიმართავდა იმპერიის წინააღმდეგ, რომლის მდგმურიც თავად არის, თანაც თავის ოთხ პროცენტს რომ დაქანკალებს? ან იქნებ ესეც დაავიწყდა, როგორც ვველა სხვა სიკეთე, რომლითაც ის სარგებლობს? ანდა იქნებ რაკილა სხვებს ატყუებს, ბოლოს თავად დარჩა გაბრძელებული, თუ ბოროტი ენები არ სწამებენ, საკუთარი თავისათვის სიამოვნების მოგერის ერთადერთი წყარო თვითონვეა? დიდი ვერაფერი თავდაბლობა კეთილშობილი მანდილოსნის, მამაცი მაიორის ასულის, სიძილე ოთახში შეჭრა, ანდა რაიმე ეჭვის შიგანა მის სათნოებში, მაგრამ რაკილა ქმარი თავად იქცევს ამაზედ ჩვენს ყურადღებას (რისი გაცდობაც ამკარად უნდა ერიდებოდეს), დე იოს ასე უბედური ქალი, მას იმდენხანს და ისეთი დაჯინებით ეუბნებოდნენ უარს მის კანონიერ უფლებაზედ, რომ ქმრის საყვედურების მიმართ არ შეეძლო სხვა რამ შერჩენოდა თუ არა იმედგადაწურულის ზოზლი. და სწორედ მას შეეძლო დასცდენოდა საყვედური, მაგ ზნეობრივობის დამცველს, - ჰქმმარობს პელიკანს<sup>2</sup> თავისი სათნოებით, ურცხვად რომ დაივიწყა ბუნებით დაწესებული უფელი და უკანონო კავშირი დაიჭირა საზოგადოების ვველაზედ დაბლა ფენიდან აღვიანოდ შიახლესთან! სახეხი ჯაგრისი რომ არ გამზღარიყო ამ ღამაზმანის მფარველი ანგელოზი, ისეთივე მწარე ხვედრი ერგებოდა, როგორც ეგვიპტელ აგარს!<sup>3</sup> რაც შეეხება სიძიერებს, მისმა ვველასათვის ცნობილმა ახირებულმა სიჯიუტემ სახელი გაუფუჭა და ერთმა აღმყოფებულმა შესაქონლემ ბ-ნი კაფრს თანდასწრებით გვარიანად გამოთათხა უშვერი ბუკოლიკური გამოთქმებით. არაფრით არ ეკადრება ასეთი რამის ქადაგება. განა სახლთან ახლოს არა აქვს ფაშირი, რომელიც ვუთანს ელოდება? მომწიფების ასაკში შექმნილი მავნე ჩვევა დასაძრახისია, ხოლო მოწიფულობაში კი უკვე რჯუ-

ლზედ უმტკიცეს ჩვეულებად იქცევა. თუკი მას სურს უთავბოლოდ უმტკიცეს გალაადის ბაღზამი სტრუქტურულ რეკეტებსა და აპოთეგმებში, რათა განმართელობა დაუბრუნოს ყვითელის-კარტა მამიბტ აზხორცებს, მაშინ მისი საქმიანობა უკვედ უნდა შეეხამებოდეს იმ მოძღვრებას, რომელსაც ახლა მიხედვს. მისი, როგორც მეუღლის, გული ისეთ სიიღუმლოთა საკუჭნაოა, რომელთა გამოიმზურებაზედ უარს იტყვის ზნეუთილი ადამიანი. რომელიმე შემოქმადარი ღამაზმანის მიერ შემოთავაზებულ უწმარობათ ძალუბთ ანუგემონ მიტოვებული და ზნედაცემული ცოლის სანაცვლოდ, მაგრამ ზნეობრიობის ქომავისა და ბოროტებათა მკურნალად მოვლინებული, უკეთეს შემთხვევაში, უზოტიკურა ხეა, რომელიც თავის მშობლიურ აღმოსავლეთში გადმული ფესვებით იზრდებოდა და ჰყვოდა და ბაღზამით იყო გავსილი, მაგრამ უფრო ზომიერ ჰავაში გადმონერგილმა დაქარვა თავისი ფესვების აღრინდელი სიმკერივე, ხოლო მისი გამონაყონი დალა, დამკავდა და ძალა გამოეცალა.

ახალი ამბავი, ბრწყინვალე პორტის<sup>4</sup> ხაკარო ზნე-ჩვეულებათა შესაფერისი წინდახედულებით მოახსენა მეორე მოწყალების დამ მორივე ექიმთა შორის უმრწანებს, ხოლო ამ უკანასკნელმა, თავის მხრივ, დეპუტაციას ამცნო მეგვედროს დაბადება. ხოლო რის იგი ქალთა განყოფილებაში განვიდა, რათა მომყოლის მოცილების საზეიმო ცერემონიალში მიეღო მონაწილეობა საშინაო საქმეთა სახელმწიფო მდივნისა და საიდუმლო საბჭოს წევრთა თანხლებით, დაქანკულნი მღუპარედ რომ გამოხატადნენ ერთსულოვან კმაყოფილებას, ჩვეულებები, რომელთაც ვველში ამოუვიდათ ხანგრძლივი და დარბაისლური ლოდინი და ახლა გახარებულნი არიან, რომ ეს საამო ცნობა ათავისუფლებს მათ ზრდაილობის წესების დაცვისაგან, თან შეანუ და მოახლე იქ არ იყვნენ და დეყოვნებლიყ აატლიკინეს

ენები. ამოვ გაისმოდა ბ-ნ კომისიონერ ბლუმას ხმა, რომელიც მოუწოდებდა მათ სწყნარისაკენ, შერბილებისაკენ, თავშეკავებისაკენ. შეტად ხელსაწერული მომენტი შეიქნა ისეთი მსჯელობის წამოსაწყებად, რაც ერთადერთი მაკავშირებელი იყო, რაც ამ ერთობ განსხვავებული ბუნებს ადამიანებს აერთიანებდა. გამოფატვრის ოპერაციის ყოველი ფაზა თანმიმდევრულად იქნა განხორციელებული: დედი თ ერთი ძმების თანდაყოლილ ურთიერთ ანტიპათია, საკვისრო კვება, მამის, ანდა უფრო იშვიათად, დედის სიკვდილის შემდეგ დაბადება, ჩაიღვზის ძმის მკვლელობის საქმე, რომელიც განსაკუთრებულად გახმაურდა ბ-ნ ადვოკატ ბუშის მგზნებარე სიტყვის შემდეგ, რამაც განაპირობა უდანაშაულოს განთავისუფლება, პირმშოს უფლებანი და სახელმწიფო დახმარების მიღება ტყუილის ან სამტყუილის გაჩენის შემთხვევაში, მუცლის მოწყვეტა და შვილის მკვლელობა, განზრახული თუ დაფარული, უგულო Foetus in foetu<sup>5</sup>, აბროსიპია ვენების დაცობისაკენ, ზოგიერთი უჩანო ჩინელის (ბ-ნი კანდიდატ მალიგანის თქმით) შთამომავლობითი ავანტია, რაც ყბის შვერილების არასრულყოფილ შეზრდის შედეგია მუდიალური ხაზის გახწვრივ ისეთნაირად, რომ (როგორც ის ამბობს) ერთ ყურს ესმის, რასაც მეორე ამბობს, მშობიარობის გაუმტკუნვარება ძილის მომკვრელი საშუალებებით, შეტყვითი ტკივილის გახანგრძლივება მშობიარობის უკანასკნელ სტადიაში ვენაზე დაწოლის შედეგად, წყლების ნაადრევი დაღვრა (რაც ამ შეთხვევაშიც შეიმჩნევა), საშვილოსნოს შემდგომი სეფსისის საშიშროება, ხელოვნური განაყოფიერება შპრიცის მეშვეობით, საშვილოსნოს გადახრა მენსოპაუზის დროს, შთამომავლობის გაგრძელების პრობლემა, როდესაც ქალი გაუპატურების შედეგად დაორსულდა, მშობიარობა აუტანელი ტკივილით, ბრანდენბურგელები Sturzgeburt<sup>6</sup>-ს რომ ეტყვიან, ცნო-

ბილი შემთხვევები რამოვინძე ტყუილის ერთდროული დაბადებისა და მონსტრუბის გაჩენისა, რომელიც შედეგია მონსტრუაციის პერიოდში ჩასახვისა ანდა ხისხლის აღრევისა — მოკლეად ადამიანის დაბადების ყოველნაირი შემთხვევა, რაც კლასიფიცირებულია არისტოტელეს მიერ მ-ხ ქრომო-ლიტოგრაფიულად ილუსტრირებულ შედეგში. ხამენაო და სასამართლო მედიცინის ურთულესი პრობლემები ესეთივე გულისყურით იქნა განხილულა, როგორც მშობიარობასთან დაკავშირებული ხალხური გადმოცემები თუ რჩევები, როგორცაა ის, რომ ფენქიმ-მე არ უნდა გადაძერეს ღობეზე, იმის შიშით, რომ ასეთი მოძრაობის დროს მის მომავალ ჩვილს შეიძლება ჭიპლარი შემოეხვიოს და დაახრჩოს, ანდა დაუოკებელ ვენბათა მორევის შემთხვევაში ხელი უნდა მიიჭიროს იმ ადგილზე, რომელიც უძველესი ადამიანის თანახმად ფიზიკური დახვისათვის იყო განკუთვნილი. ისეთი ანომალური გამოვლენანი, როგორცაა კურდღლის ტუჩი, ხალი, მრავალთითიანობა, სიღურჯე, ტვირპა და სხვა ლაქები ერთერთმა იქ დამსწრეთ-აკანმა დაასახელა როგორც Primafacie<sup>7</sup> და ბუნებრივი პიპოთეტური ახსნა ისეთი შემთხვევებისა, როგორცაა ღორისთავიანის დაბადება (არ დაეწყებიათ ქ-ნი ვრისხელ სტივენზი), ანდა ძაღლისბეწვიანი ბავშვების დაბადება. რაც შეეხება კალდონიელი დესპანის მიერ წამოიწებულ პლაზმური მუხსიერების პიპოთეზას, რაც ღირსეულად წარმოადგენდა მისი ქვეყნის შეტაფიზიკურ ტრადიციებს, ესეთ შემთხვევაში ვარაუდობდა ემბრიონალური განვითარების შეჩერებას რომელიდაც ადამიანამდელ სტადიაზე უცხოელი დელეგატი ორივე ამ შეხედულებას უარყოფდა, თანაც ისეთი სიცხარით, რომ ღამის დამაჯერებელი ჩანდა, აყენებდა თეორიას სქესობრივი კავშირის შესახებ ქალებსა და მამრ ცხოველებს შორის და ამის საფუძველს საკუთარ რწმენა-



ში ზედავდა, თუნდაც არაკში მისორაკურის შესახებ, რაც ლათინი პოეტის ნატიფმა გენიამ მოიტანა ჩვენამდის მისი „მეტამორფოზების“ ფურცლებზე. მისმა ხიტყვებმა დაუყოვნებელი, თუმც კა წამიერი შთაბეჭდილება მოახდინეს. ის ისევე სწრაფად გაქრა როგორც შეიქმნა ბ-ნი კანლადატ მალეგანის ხიტყვის ზეგაყვებით, რომელიც მან მისთვის ჩვეული შეუღარებელი კვლუცი ხტილით წარმოთქვა და განაცხადა, რომ სურვლის საუკეთესო ობიექტია სანდომიანი სუფთა ბერიკაცი. ამედროს ბ-ნმა დღევანდამა მალენმა და ბ-ნმა კანდიდატმა ლინნმა ცხარე კამათი წამოიწიეს იმ იურიდიული და თეოლოგიური დილემის ირგვლივ, რომელიც წარმოიშობა ზოლმე სიამის ერთ-ერთი ტყუისცალის მეორეზე აღრე ზიკვიდლის შემთხვევაში და მოკამათეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ამ რთული შემთხვევის თაობაზე მიმართეს კომისიონერ ბნ ბლუმს ბ-ნ დიკანის თანაშემწე დედალოსისათვის დაუყოვნებლივ გადასაცემად. მან კი, აქამდე მდუმარემ, შესაძლოა იმიტომ, რომ სურდა ზვიადი გამოემეტყველებით ანდა შინაგანი ხმის კარნახით ზახი გაესვა თავისი ჩაცმულობის პრეტენზიული უჩვეულობისათვის, მოკლედ და, როგორც ზოგს მოეჩვენა, ერთგვარ დაუდევარი ტონით შეახსენა შეკრებილთ საკლესიო მითითება, რომელიც კრძალავდა გუცალკეობინა ამიანს ის, რაც ღმერთმა გააერთიანა.

მაგრამ მალაქიას მიერ ამაღლ თქმულმა თანდათან შენაძრწენა მათი არსება. მან ჯადოქრული ხერათი გადაუშალა მათ. მოულოდნელად, ბუზართან საიდუმლო გასასვლელი უხმოდ განიხენა და კედლის სიღრმეში გამოჩნდა... ჰეინზი! რომელმა ჩვენთაგანმა ვერ შეიგრძნო თუ როგორ დაუარა ძრწოლამ ტანში ცალ ხელში პორტფელი ეჭირა, კვლური თქმულებებით გატენილი; მეორეში შუშა წარწერით „შხამი“. ვა-4. „მთაბი“, № 5-6.

ნციფრება, ძრწოლა, ზიხლი, ენერა ვეელას სახეზე იმ დრწე, რეფლექსის უსიცოცხლო გილთა ღრჭენით უცქერდა მათ. რაღაც ამის მაგვარ დახვედრას ველოდი, თქვა მან და სატანურად ჩაიხიბითთა, რაც, უნდა ვიკარაუდოთ, ისტორიის ბრალია. დიახ, ეს მართალია. მე ვარ სემუელ ჩაილდის მკვლელი. და როგორ ვარ დახვლილი ჯოჯოხეთი არ მაშინებს. აი, რა დღეში ვარ. კუბრი და მარადისობა, როდისღა ეპოვებ სიმშვიდეს, ყრუდ ჩაილდულა მან, დუბლინის ქუჩებში დავეხეტები ჩემი წილი სიმღერებით და ის დაეინებით მღვეს უკან როგორც სიკვდილის აჩრდილი და სუნი. ჩემი, და ირლანდიის, ჯოჯოხეთი ამქვეყნიურ ცხოვრებაში. როგორ არ ვედილობდი დამევიწყა ჩემი დანაშაული! დროსტარება, ჰილყვაებზე ნადირობა, გელური ენა (რამდენიმე ფრაზა წარმოსთქვა), ოპოში (ტუნებთან ფიალა მიიტანა), ტურისტულ ლაშქრობანი. ვეღლაფერი ამოა! მისი ლანღი დამსღვეს. ბანგია ჩემი ერთადერთი ნუკეში... ამ! დაღუპა! შავი ავაზა! უეცრად ღრიალით გაუჩინარდა და კედელი თავის ადგილზე მისრიალდა მეორე წუთში მისი თავი მოპირდაპირე კარში გამოჩნდა და თქვა: უესტლუნდ როუს სადგურზე დამხვდით თერთმეტის ათ წუთზე. და გაუჩინარდა! თავკარიან ბრბოს ცრემლ დასკდა. წინასწარმეტყველმა ხელი აღაყრო ზეცისაკენ და წაიწურაწულა: მანანანის შურისგება! ბრძენთ გაიმეორეს: Lex talionis.<sup>9</sup> სენტიმენტალური მას ეთქმის, ვისაც ძაღლმს ისე მიიღოს სძამოვნება, რომ თავი არ ვადაიტვირთოს წადენილზე ფიქრით. აღელვებული მალაქია ჩაცხრა. საიდუმლო გამკლავდა. მესამე მშა ჰეინზი იყო. ნამდვილი მისი გვარი იყო ჩაილდზი. თავად იყო შავი ავაზა, საკუთარი მამის აჩრდილი, ბანგი სჭირდებოდა რომ თავდავიწყებას მისცემოდა. დიდად გმადლობთ ამ შევებისათვის. გამარტოებული სახლი სასაფლაოსთან უპატრონოა. არასული არ იც-



ხოერებს იქ. მხოლოდ ობობა ქსოვს თავის ქსელს მარტოობაში, დამუდული ვართხა იჭყიტება თავის სოროდან. იქ მორქვენებები დაძრწიან. მკვლელის კარმიდამო.

რა ხნისაა ადამიანის სული? რაკილა ქამელონის ნიჭი აქვს ყოველ ახალ გარემოში იცვალოს ფერი, იყოს მზიარული მოღბენილთა შორის და დაღერემილი გულგატეხილებთან, რამეთუ მისი ახაკი ისევე ცვალუბადია, როგორც მისი გუნებაგანწყობა. აღარც ლეოპოლდია, აქ რო ზის ჩაფიქრებული და მოგონებათა კეეს რომ ლეკავს, რეკლამის დარბაისელი აგენტი და მოკრძალებული ინვესტიციების მფლობელი. ის ქაბუკი ლეოპოლდია, როგორც რეტროსპექტაკლი არანვირება, როგორც სარკე სარკეში (ჰოლდა) საკუთარ თავს უცქერს. აგერ იმდროინდელი ქაბუკი ფიგურა, ხანს რომ არ შეჰფერის ისე დაეკაცებული, დილის სივრილეში კლემბრასილ-სტრიტის ძველი სახლიდან სკოლისაკენ მიისწრაფვის, პატრონტაშით შემორტყმული სასკოლო ჩანთით და შიგ ხორბლის პურის მოზრდილი ნაჭერი, დედის ზრუნვა. ანდა იგივე ფიგურა ერთი თუ ორი წლის შემდეგ თავისი პირველი ქვაბქუდით (ოო, ეს დღე), უკვე გზაზე დამღვარი, მამამისის ფირმის სრულყოფილებიანა კომიუნიკაცი, დაკუთების წიგნით აღჭურვილი, ხუნამოთი დაკურებული ცხვირსახოცი (არა მხოლოდ სხეულის დასახად), ბრჭყვილა ქამშვენებიანი პატარა ჩემოდნით (ვაი რომ ეს უკვე წარსულს ჩამპარდა!) და პირმოთხე ღიმილის დაუმრეტელი მარაგით, ამა თუ იმ თითქმის დაყოლიებული დიასახლისისათვის, თითებზე რომ ითელის ფასს, ანდა გაფურჩქნილი ქორფა ქალწულინათვის, მორცხვად თავდაზრდილი რომ ისმუნს (მაგრამ გულის წადილი? გამოტყდი!) მის გაზპირებულ ქათინაურებს. სუნამო, ღიმილი, მაგრამ უფრო მეტად, შავი თვალები და დამაქრელი თავაზიანობა. ხალამოხანისთვის საკმაო რაოდენობის

შეკვეთებს ავროვებდა ფირმის თავისათვის, რომელიც მსგავსი წესების შემდეგ მამაპაპურ ბუნართან იაკობით წამოჭინულიყო თავისი ნიბუხით (ატრია, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, საცაა მზად იქნება) და რქის მრგვალი ხათვლით ერთი თვის წინანდელ, კონტინენტიდან მიღებულ გაზეთს კითხულობს. მაგრამ, ჰოლდა, სარკეს დააორთქლეს და ქაბუკი მოხეტიალე რაინდი თანდათან უკან იწევს ხილრმეში, პატარაუდება და პაწაწინა ნაპერწყლად უჩინარდება ნისლში. ახლა ის თავად არის ოჯახის უფროსი და ვინც გარს ახვევია, შეიძლება მისი შვილები ყოფილიყვნენ. ვინ იცის? ბრძენმა მამამ უწყის თავისა შვილი. და ავონდება როგორ ცრიდა იმ ხალამოს პენსტრიტზე, ჩარაზულ საწყობებთან, ის პირველი. ერთად (უპატრონო ღატაკი, სირცხვილის ასული, შენი და ჩემი და ვეღასი უბადრუკ შილანგად და ერთ პენად), ერთად მოეხმათ გუშაგების შიშე ნაბიჯების ხმა, როცა ორი კაბიუშონიანი ჩრდილი ახალ სამეფო უნიფორმით ჩაუვლავს. ბრაიდი! ბრაიდი კელი! არასოდეს დააეიწყება ეს სახელი, მუდამ ეშხხოვრება ეს ღამე, პირველი ღამე, ქორწინების ღამე. უკუნეთ სიბნელეში ერთ არსებად იქცევიან, მსურველი და ხასურველი, და ერთ წამში (hail!) ნათელი წალეკავს მთელს სამყაროს. მაგრამ ჩაეხუტა კი გული გულს? ო, არა, მომხიბლავო მკითხველო! ყოველივე ერთიანი ამისუნთქვით დასრულდა მაგრამ... მოიცაო! შესდექით! არა, არა! საბრალო ვოგო შემწუნებული გარბის სიბნელეში. ის წყვილიადის პატარაძალია, ღამის ასული. ვერ ატარებს მუცლით დღის ოქროსკულულებიან პირამშოს. არა, ლეოპოლდ! ვერა სახელი და ვერა მოგონება ვერ განუგეშებს. საკუთარი ძალის ქაბუკური ილუზია შენი უკვალოდ გაქრა. ძე შენი ხორციელი შენს გვერდით არ არის. არაინაპ ლეოპო-



ლდისათვის ის, რაც ლეოპოლდი ივო რუდოლფისათვის.

ხმები ირევა და ნისლოვან მღუმარებას ვერწყმის, მღუმარებას, რაიც სივრცის უსასრულობაა: და სული მღუმარედ, გამალებით გადაუქროლებს გარდასულ თაობათა უიტყალავ მხარეთმხარე, სად თაღში ბინდებუნდი ჩამოწყება ზოღმე, თუმც აროდეს ეფინება ვრცელ შალამანდილ-მწყანე საძოვრებს და დაღვრის მწუხრსა და ვარსკვლავთა პარადიულ ნაღს. ქალიშვილი არეული ნაბიჯით მისდევს დედამისს, ფაშატი მიუძღვის საფაშატე კვაცს. ზინდებუნდის მონკვენებანი, თუმცალა მაგიური სილამაზის ფორმებში გამოძერწილნი, მოხდენილად ჩამოსხმული თქო, მოქნილი დაკუნთული კისერი, სათუთად და აზღველებლად მოფანილი თავისქალა. მწუხარე მონკვენებანი იღვეიან: ვველაფერი ქრება. აგენდათ უნაყოფო მიწაა, ღამის ჭოტებისა და მოაბუტო ოფოფების საეანე. აღარ არის ოქროს ნეტაბი<sup>11</sup>. და ღრუბელთა შარაზე მოაბოტებენ ისინი, ამბოზის ქუხილის ბუტბუტით, მხეცთა აჩრდილნი. ჰუჰ! ჰუჰ! ჰუჰ! პარალაქსი მოსდევთ და მოვრეკება მათ და მისი შუბლის ეღვა მორიელივით მოწყლავს. ცხენ-ირმები, იაკება, ბაშანისა და ბაბილონის ხარები, მამონტები და მასტოდონტები, ჯოგად მოაბოტებენ ზღვის ღრმულისაკენ, Lacus Mortis<sup>12</sup>. ზოდიაქოს აუბედითი, შერისმაძიებელი მხედრობა! ღრუბლებზე აბიჯებენ და ბღაჟიან რქოსანნი და თბისრქოსანნი, ეშუოსანნი, ლომფაფაროსანნი და გრძელპანტოსანნი, დინგოსანნი და ქვეწარმავალნი, მღრღნელნი, მცოხუნელნი და ხქელტყავიანნი, მთელი აბღავებული, აჭიხვინებული, აეროყინებული, ასრუტუნებული ჯგრო; მზის წკლელები.

სულ წინ და წინ მკედარი ზღვისკენ მოაბოტებენ ხარწყულელებისკენ, ხარბად ეწაფებიან და ვერ კი იკლავენ წყურვილს მისი მღაშე, მღორე, დაუ-

შრეტელი ნაკადიდან და ნიშანი ცხენისა. კელავ იზრდება, ეგრეტუნულზე ზეცის უდაბნოში ღამის [მთქმ] ტრეტა ნობზე სანამ თავისი სიღიღით ქალწულის სახლს არ დეფარავს. და აი, შეხედე, მეტემფხიქოზის საოცრება, ეს ის არის, მარადი პატარძალი, ღღის ვარსკვლავის მაცნე, პატარძალი და მარადი ქალწული. ეს მართაა, შენ რომ დაკარგე, მილისენტი, აზღვაზრდა, სავყარელი, გაბრწყინებული. რაოდენ უშფოთველი ამოდის ახლა, დედოფალი პლეადთა შორის, გამთენიისას, თვალისმომჭრელ ოქროს ხანდღებში, ამის, რას ვუძახით, მარამაშის თავსაბურავით! ის გარს ეხვევა, დაცურავს ნის ვარსკვლავივან სხეულზე, იღვრება ზურმუხტად, საფირონად, სოსანისფრად, მოწისფრად, ლივლივებს ცოც ვარსკვლავთშორასი ქარის ნყაღზე, ივრავდება, ტრიალებს, ბზრიალებს, იღუმალი დაწერილობის ასოებად იკლავება ცაზე სანამ, სიმბოლოს უთვალავ მეტამორფოზათა შეღვევად, არ აბრწყინდება, ალფა, ღალის სამკუთხა ნიშნად კუროს შუბლზე.

ფრანსისმა შეახუნა სტივენს ის წლები, როცა ერთად სწავლობდნენ სკოლაში კონსის დროს. შეკეითხა გლაკონის, ალკიბაიდეს, პისისტრატეს შესახებ. სად არიან ახლა? არცერთმა არ იცოდა. შენ წარსულზე და მის აჩრდილებზე ლაპარაკობ, თქვა სტივენმა. რა აზრი აქვს მათზე ფიქრს? მე რომ ისინი ღეთებს წყლების მიღმიდან კლავ აქვეყნითურ ცხოვრებაში გამოვიხმო, განა საბრლო მონკვენებები არ მოცვივებოდნენ ჩემს ძახილზე? ვის ძალუძს ეს? მე, ბოუს სტეფანოუმენოსს<sup>13</sup>, ხარისშემწე ბარდს, მე ვარ იგი მეუფე და მათი სიციოხლის მიმნიჭებელი. ჯიუტ თმაზე ვაზის ფოთლების გვირგვინი დაიდგა და ვინსენტს გაუღიმა. ეს პასუხი და ეს გვირგვინი უფრო დაგამშვენებდნენ თუკი ამ ერთ ბუჭა ფუქსავატ ოღებზე მეტი და უფრო მნიშვნელოვანი ქმნილებანი

შესძლებდნენ შენი გენიოსობა თავის მამად ელიარუბინათ. ვველა შენი კეთილისმსურველი იმედით მოულის ამას. ვველას ერთი სული აქვს ხორცშესხმული იხილოს შენი შრომა. მთელი გულით მწადიან, რომ მოლოდინი არ გაუტრუდეთ. ო, არა, ვინსენტს, თქვა ლენეჰანმა და მის გვერდზე მჯდარის მხარს დაადო ხელი, ნუ შეშინდები. დედამისს არ დააბლებს. ვმარჯობ კაცს სახე დაუნადღლიანდა. ვველამ დაინახა რა ძნელი იყო მისთვის მისი დაპირებისა და ამასწინდელი დანაკარგის შესხენება. ნადიმს მიატოვებდა იქ მყოფთა ხმაურიან ლაპარაკს როგორღაც რომ არ გაერთო და ცოტათი მაინც არ გაეფურეებინა ტკივილი. მელენმა ხუთი დრამა დაკარგა „სკიპტრზე“, უბრალოდ ფოკის სახელის გამო. რომ შეარჩია; ლენეჰანმა ამდენივე. მარულაზე ჰყვებოდა. სასიგნალო აღამი ჩამოეარდა და, უკმა ვველა ადგილს მოსწყდა, ფიცხმა ჭაკმა კარგი სტარტი აიღო, მხედარი, ო. მედენი. დანარჩენები უკან ჩამოიტოვა, ვველას გული აუტკერდა. ფილისმაც კი ვერ შეიკავა თავი, შარფს იქნედა და ვვიროდა: ვაშა! „სკიპტრი“ იმარჯვებს! მაგრამ უკანასკნელ სწორზე, როცა ვველა შეეკუფული მიდიოდა, შავი ცხენი „ფახიდი“ გაუსწორდა, დაეწია და გაახსრო. ვველაფერი დაიკარგა. ფილისი სდუმდა: მისი თვალები — ხედიანი ყოჩივარდები. ოო, იუნონა, წამოიძახა მან, დავილუბე. მაგრამ მიჯნურმა დასამშვიდებლად იქროს კრიალა კლოფი მიართვა, რომელშიც მრგვალი დაშაქრული ქლიავი ეწყო და იმანაც სიამოვნებით შეიქცია თავი. მხოლოდ ერთადერთი კურცხალი ჩამოეარდა თვალთაგან. ვველაზე ყოჩალი ფოკი უ. ლეინია, თქვა ლენეჰანმა. ოთხი პრიზი გვშინ, სამი დღეს რომელი მხედარი შეედრება? შესვი აქლემზე ან გადარეულ კამენზე და აუჩქარებლად მივა ფინიშთან პირველი. მაგრამ მოდით ძველთაძველი ხალხით გადავიტანოთ ეს ყოველივე ხომ

გახსოვთ, ვინსენტ? ნეტავ დღეს ჩემი დედოფალი გენახათ, ეტყვი ვუწყებთა, როგორა ნორჩი დამტყნებინა ჩემი (თვით ლალაგესი<sup>1</sup> დაჩრდილადა თავისი სილაშხით), ვვითელ ფეხსამოსში და მუსლინის კაბაში, არ ვიცი ამას ზუსტად რა ჰქვია, გამოწყობილი. წაბლის ხეები, ჩრდილს რომ გვეყენდნენ, ვვაილებით იყო გადაპენტილი: მაგრი მათი თავბრუდამხვევი სურნელით იყო გაჯერებული და ვვაილის მტვერი ჩვენს გარშემო ღრუბელივით დაცურავდა. შვიან ადგილებში, გახურებულ ქვებზე კაცი კორინთულხილიან ფუნთოშებს შეწვამდა, რომლითაც პერიპლიპოშენოსი<sup>2</sup> ვაკრობს თავის ვიხურში ხიდიან. მაგრამ ის კბილს ვერაფერს გაჰკარავდა, თუ არა ჩემს ხელს, რომლითაც ვეხვეოდი და რომელზედაც კაკლუცად მკებნდა, როცა გადაშეტებულად ვიხუტებდი. ერთი კვირის წინ წაივადმოფა, ოთხი დღე ლოგინში იწვა, მაგრამ დღეს უკვე მზიარული, უდარდელი იყო და ყოველგვარ საფრთხეზე ეცინებოდა. ასეთ ვაშს კიდევ უფრო მაცდურია. ახლა მის თაიგულებს არ იკითხავთ? მაგ ყოჩადანამ უამრავი დაკრიფა, მწვანეზე რომ წამოწეკით და არ დაიჯერებთ, მეგობარო, ვის შეეხედით, მდელი რომ მივატოვეთ. თვით კონმის! მესერის გასწვრივ მიდიოდა, თან რაღაცას კითხულობდა, უთუოდ კურთხევანი იყო, რომელშიც, ეჭვი არ მეპარება, სანიშნედ რომელიმე გლიცრასა თუ ქლოესაგან მიწერილი ფრეიოლური ბარათი იყო დატანებული. საბრალო არსებას უხერხულობისაგან სახეზე აღმური აუვიდა, ვითომ კაბას ისწორებდა, ხის შტო აკროდა, თითქოს თვით ხეებიც კი აედევნენო. როცა კონმიმ გაიარა, გოგომ პატარა სარკე ამოიღო და თავის მშვენიერ ექოს შეხედა. მაგრამ ის მოწყალე იყო. ვაელისას დაგელოცა. დემრთებიც მოწყალენი უნდა იყვნენ, თქვა ლენეჰანმა. თუკი ბესის ჭაკმა არ ვაამართლა, იქნებ მისი ეს შინაური წამალი მაინც შემეგრვოს. ის-ის იყო ხე-



ლი გაიწოდა ლეინის დოქისაკენ, რომ მალაქიამ დაინახა და შეაჩერა, თან მიუთითა უცნობზე და წითელ იარღიეზე. ნუმადი წაიწურნულა მან, დრუიღების დემილი დაიცავით. სული მისი შორხაა აქედან. ზმანებიდან გამოფხიზლება უთუოდ ისეთივე მტკაენულია, როგორც დაბადება. ყოველი ხაგანი, თუ დაძაბულად ჭერეტთ მას, შესაძლოა ამბურთების ჯგუფად ეონში შესაღწევ კომპრად იქცეს. ასე არ ფიქრობთ, სტივენ? ეს თეოსოფოსმა მამცნო, უპასუხა სტივენსა, რომელსაც მისი წინა არსებობისას ეგვიპტელმა ქურუმებმა კარმისეული კანონი გაანდეს. მთვარის ხახხასა წარინჯანსფერი მუფუნენი, მიიხრა თეოსოფოსმა, რომელნიც პლანეტა აღფას მთვარის ჯაჭვიდან მოცურდნენ, არ დაუშვებენ ეთერული ორეულების არსებობას, რის გამოც ეს უკანასკნელნი გაცხადდნენ ლალისფერ ეგობად მეორე თანაუარსკვლეუდიდან. და მაინც, არსებითად, იმის ვარაუდი, თითქოს ის რაღაც ლეპრესიულ თუ მესმერიზებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ყოვლად ზერელე ცდომილების შედეგი იყო და სრულიად არ შეესაბამებოდა სინამდვილეს. ინდივიდი, რომლის მხედველობითი ორგანოები, ხანამ ეს ყოველივე ხდებოდა, მოცემულ პირობებში გამოცოცხლების სიმპტომებს ამჟღავნებდა, ისეთივე, თუ არა უფრო მეტად, ვამპირიახი იყო ვიდრე ნებისმიერი სხვა ცოცხალი მოკვდავთაგანი და ვინც კი საწინააღმდეგოს დაუშვებდა, უმაღლეს კურსში აღმოჩნდებოდა. უკანასკნელი ოთხიოდე წუთის განმავლობაში მიმტერებოდა ნომერ პირველ ბასის ლუდის, ბასისა და კომპანიის ტრენტის-ბერტონის ჩამოსხმა, ვარკვეულ რაოდენობას, რომელიც ბევრ სხვა ბოთლს შორის აღმოჩნდა სწორედ მის პირდაპირ და ამკარად იმაზე იყო გათვლილი, რომ ვინმეს გურადლებას მიიპყრობდა მისი ხახხასა წითელი ეტიკეტით. მან უბრალოდ და მხოლოდ და მხოლოდ,

როგორც შემდგომ გვეჩვენებს ლემიზუნთა გამო, რაც უკანასკნელს უკვე თავად მოეხსენებოდა და რამაც სრულიად განსხვავებული იერი შესძინა იქ მიმდინარე მოვლენებს, მას შემდეგ რაც წუთის წინ თავისი სიჭაბუკე და მარულა გაიხსენა, მოყვია ორ თუ სამ პრივატულ შემთხვევას თავისი ცხოვრებიდან, რაშიც დანარჩენი ორნი ერთიანად ისევე უცოდველნი იყვნენ, როგორც დაუბადებელი ბავშვი. და მაინც, ბოლოს ორთავეს თვალები შეხედნენ და როგორც კი გაიფიქრა, რომ მეორე აპირებდა დაუფლებოდა სტაგანს დანიშნულებისამებრ მისი გამოყენების მიზნით, რომ, თავისთვისაც კი მოულოდნელად, გადაწყვიტა თავად დაუფლებოდა მას და შესაბამისად ხელი სტაცა საშუალო ზომის მინის ჭურჭელს, რომელიც საძიებელ სითხეს შეიცავდა და გვარიანი ნახერეტი გამოუჩინა, საიდანაც საკმაო რაოდენობის სითხე დაისხა, თუმც ამავდროს დაძაბული ყურადღება არ მოუდუნებია, რათა შიგ მოთავსებული ლუდი იქაურობას არ მოწინელოდა.

შემდგომი დეტალები თავისი შინაარსითა და განვითარებით თვით ცხოვრების კონსპექტური გამოხატულება იყო. არც შეკრების ადვილს და არც მის მონაწილეთ არ აკლდათ ღირსება. მოპაქერენი ქვეყნის ერთობ გამოჩენილი ადამიანები იყვნენ, მათი მსჯელობის თემა კი კეთილშობილი და დიდმნიშვნელოვანი. პორნის კოსპიტლის პოლის მალალ თაღებს აროდეს ენახათ ესოდენ წარმომადგენლობითი და მრავალფეროვანი საზოგადოება და მათ ძველ ძელებს არ სმენიათ მსჯელობანი ესოდენ ენციკლოპედური. ჭეშმარიტად ბრწყინვალე ხანაბაობა იყო. მაგიდის ბოლოში იჯდა კროტერზი თავის გამორჩეულ შოტლანდიურ სამოსელში გამოწყობილი, მალ-ოვგელოუეის მღაშე ქარისხაგან აქრელებული სახით. მის პირისპირ იჯდა ლინჩი, რომლის გამომეტყველებას უკვე დაძინებოდა ადრეული უზნეობისა და

ნადრევი ცხოვრებისეული გამოცდილების სტიმატები. შოტლანდიელის გვერდით აღვილი ეკავა ექსცენტრიულ კოსტელოს, ხოლო მის გვერდით კი შედენის ჩასკენილი სხეული მიხვეწებულიყო. აქაური ბინადარის სავარძელი ცეცხლის პირას ვაკანტური იყო, მაგრამ მის აქეთ-იქიდან ბენონის ფიგურა, მოვზურის ტუიღის შორტებში და მარილში გამოყვანილი ხარისტყავის უხემ ფეხსაცმელში, მკვეთრ კონტრასტს ქმნიდა ლამისიფერტილტიან მალაქია როლანდ სენტ ჯონ მალიგანთან, რომელიც ელევანტურობითა და ქალაქურა მანერებით გამოირჩეოდა. დაბოლოს მავიღის თავში ახალგაზრდა პოეტი იმყოფებოდა, რომელმაც სოკრატული ბაასების მეგობრულ უდარდელ ატმოსფეროში კპოვა თავშესაფარი პედაგოგიური ჯაფისა და შეტაფიზიკური ჰერეტიკისაგან თავდადწეულმა, ხოლო მისგან მარჯვნივ და მარცხნივ განლაგებულნი იყვნენ უიღბლო წინასწარმეტყველი, რომელიც პირდაპირ იბოდრომიდან იყო მოსული და ეს ჩვენი დაუღალავი ყარბი, შარავზებისა და ბრძოლის მტკვერში ამოგანგული, შერცხვინილი და ხახელგატეხილი, მაგრამ რომლის შედგარ და ერთგულ გულშიც ვერა ცდუნებთ თუ ხიფათი თუ მუქარა ვერ წაშლიდა იმ მომზიბლავ ავზორც სახეს, ლაფიაეტის შთაგონებულმა ყალამმა რომ აღბეჭკდა მომავალი თაობებისათვის.

ზიზანშეწონილი იქნებოდა აქვე და ახლავე აღგვენიშნა, რომ გაუკუღმართებული ტრანსცენდენტალიზმი, რომლისადმი ბ-ნი ს. დედალოსის (სკებ. ლეთისმ.) მსჯელობანი მისკ როგორც სჩანს, განუკურნებელ მიდრეკილებას ამტლავნებს, წინააღმდეგობაში მოდის მიღებულ მეცნიერულ მეთოდებთან. მეცნიერება, და ეს მუღამ უნდა გვახსოვდეს, მხოლოდ და მხოლოდ ხელშესახებ მოვლენებს სწავლობს. მეცნიერი, როგორც ყოველი მოკვდავი, ჯიუტ ფაქ-

ტებს უნდა ითვალისწინებდეს, რომელთაც გვერდს ვერ შეძლებისდაგვარად სრულად და მარჯვრებლად ახსნას ისინი. მართალია, შესაძლოა არსებობს ისეთი საკითხები, რომელთა ახსნაც მეცნიერებას არ ძალუძს—ამჟამად—როგორიცაა მაგალითად ბ-ნ ლ. ბლუმის (ხარკ. აგენტ.) მიერ წამოყენებული პარტული პრობლემა, რომელიც ეხება ბავშვის სქესის წინასწარ განსაზღვრას. მისაღებია თუ არა ტრინაკრიული ემპედოკლეს მოსაზრება, რომლის თანახმად მარჯვენა სკვერცხე (მავანთა მტკიცებით, პოსტმენსტრუალურ პერიოდში) ბიჭის დაბადებას უზრუნველყოფს, ან იქნებ მადიფერენტირებელ ფაქტორად გველინება ცხოველ დიდხანს უგულუბეულოფილი სპერმატოზოიდები, სწუ ნემასპერმები, ანდა, როგორც ბევრი ემრიოლოგი ვარაუდობს, როგორიცაა კალბეპერი, სპლანცანი, ბლუმენბაში, ლასკი, პერტუევი, ლეოპოლდი და ვალენტი, ერთიც არის და მეორეც? ეს ყოველივე თანაფარდობაშია შუთავსებასთან (ბუნების ერთერთი ყველაზე საყვარელი ხერხი) ნემასპერმის *nisus formativus*<sup>16</sup> ერთის მხრივ და მარჯველ შერჩეული მდგომარეობა *succubitus felix*<sup>17</sup>, პასიური ელემენტისა მეორეს მხრივ. იმავე მკვლევარის მიერ წამოყენებული მეორე პრობლემა არამც და არამც ნაკლებ მნიშვნელოვანი არ არის: ჩვილთა სიკვდილიანობა. აქ ისაა საინტერესო, რომ როგორც იგი მართებულად შენიშნავს, ჩვენ ვველანი ერთნაირად ეიბადებით, მაგრამ სხვადასხვაგვარად კველებით. ბ-ნი მ. მალიგანი (*Hyg. et Eug. Doc.*<sup>18</sup>) იმ საინტარულ პირობებს იდანაშაულებს, რომელთა გამოც ჩვენი რუხფილტვიანი მოქალაქენი იძენენ აღწერილებს, ხასუნთიქი ორგანოების დაავადებებს და ა. შ., რამეთუ იძულებულნი არიან მტკვერში მოფუთფუთე პაქტერიები შეისუნთქონ. მისი მტკიცებით, ეს ფაქტორები და ჩვენი ქუჩების ამაზრზენი სანახაობა, საშინელი რეკ-



ლაშქები, ვველა რელიგიური კონფესიის მსახურნი, დასახიზრებული ჯარისკაცები და მეზღვაურები, სურაქანდისგან დამუწუკებული მეეტლეები, მკვდარი ცხოველების გამოფენილი ნუშტები, პარანოიკი ბერბიჭები და გაუნაყოფიერებლად დარჩენილი ვადები — აი, ესენია, თქვა მან, ერის ვადაგვარების ნამდვილი მიზეზები. კალიბუღია, წინასწარმეტყველებს იგი, მალე მიიღებს საყოფლიაო აღიარებას და ცხოვრების ვველა სიკეთე, ჭეშმარიტად კარგი მუსიკა, ვასართობი ლიტერატურა, პოპულარული ფილოსოფია, ჭკუის სასწაულებელი სურათები, თაბაშირის ახლები ისეთი კლასიკური ქანდაკებებისა, როგორცაა ვენერა და აპოლონი, ხანიმუშო შვალეების მხატვრულად შესრულებული ფერადი ფოტოები, ვველა ასეთი მცირედი ყურადღების გამორჩენა ფეხშიძე ქალებს დაეხმარება ვანკუთინილი თვეები ყოვლად სასიამოვნოდ გაატარონ. ბ-ნი ჯ. კროტერზი (რიტორიკ. ბაკალავ.) ამ სიკვდილიანობის ზოგიერთ შემთხვევას უკავშირებს მუშა ქალების მიერ მიღებულ მუცლის ტრავმებს, რაც შედეგაა იმულებითი მძიმე შრომისა საამქროში და ცოლ-ქმრული მოვალეობის შესრულებისა შინ, მაგრამ ვველაზე მეტად გამოწვეულია დაუდევრობითა და უპასუხისმგებლობით, როგორც კერძო, ასევე ოფიციალურ პირთა მხრიდან, რის კულმინაციასაც წარმოადგენს ახლად დაბადებულის მივგება, კრიმინალური აბორტების პრაქტიკა, ანდა ყრმათახოცვის შემზარავი დანაშაული. მართალია, რომ პირველ შემთხვევა (ვგულისხმობთ ქაუდევრობას) ამკარად ვეხელება ზოლმე, მაგრამ მისი მოყვანილი სხვა შემთხვევა, როდესაც მოწვალების დებს ღრუბლების დათვლა ავიწვდებით მუცლის ღრუში, იმდენად იშვიათია, რომ ტიპურად ვერ ჩაითვლება. ხინამდვილეში კი, თუკი დავუკვირდებით, უცნაური სწორედ ისაა, რომ ესოდენ მრავალი ორხულობა და მშობიერობა ასე კარგად ჩაივლის

ზოლმე, ვველა სირთულის ვათვალისწინებით, ჩვენი ადამიანობის ვითარების ჩათვლით, რაც წმირად წინ ვდობება იმას, რისი ვანხორციელებაც აქვს დასახული ბუნებას. ბ-მა ვ. ლინჩმა (არლიმეტ. ბაკალავ.) ღრმავროვანი იდეა წამოაყენა, რომლის თანახმად შობადობაცა და სიკვდილიანობაც, ისევე როგორც ვვოლუციის ვველა სხვა ფენომენი, ზღვის მიქცევა-მოქცევა, მთვარის ფაზები, სისხლის ტემპერატურა, ზოგადად დააყადებანი, მოკლედ ვველაფერი, რაც ბუნების ვება სახელისნოში სრულდება, შორეული ვარსკვლავის ჩაქრობიდან დაწყებული და დამთავრებული იმ აურაცხელ ვვაკილითგან რომელიმეს ვაფურჩქვნილი ჩვენი ქალაქის პარკებს რომ ამშვენებენ, ყოველივე რომელიდაც ვერ დაუდგენელ რიცხობრივ კანონს ემორჩილება. და მაინც, უბრალო და პირდაპირ დასმული კითხვა თუ რატომ ხდება, რომ ნორმალური, ვანმრთელი მშობლების ბავუშვი, თეადაც ამკარად ვანმრთელი და წესიერად მოვლილი, სრულიად ვაუგებარი მიზეზით ვდება ადრულ ასაკში (თუმც ამვე მშობლების დანარჩენ ბავუშვებს ეს არ ემართებათ), პოეტის სიტყვებით რომ ვთქვათ, საგონებელში უნდა ვეგვდებდეს. ბუნებას, შევიძლია დაბეჯითებით ვთქვათ, საკუთარი კეთილი და საფუძელიანი მიზეზი ვაჩნია იმისა, რასაც აკეთებს და ასეთი სიკვდილიანობა ალბათ ვანპრობებულია ვანჭვრეტის ვარკვეული კანონით, რომლის თანახმადაც ორგანიზმები, რომლებიც დაავადების გამომწვევ მიკრობებს თევის სადგომად აურჩევიან (თანამედროვე მეცნიერებამ საბოლოოდ დამტკიცა, რომ მხოლოდ პლაზმური ნივთიერება შეიძლება მივიჩნიოთ უკვდავად) ვანვითარების ვაცილებით უფრო ადრულ სტადიაში არიან მიდრეკილნი ვაქრობისაკენ, რაც რვეულირების იმ კანონზომიერებას ექვემდებარება, რომელსაც, თუმც კი ტყვილი მოაქვს ჩვენი (ვანსაკუთრე-

ბით დედობრივი) გრძნობებისათვის, მაგრამ საბოლოოდ, როგორც ზოგ ჩვენთაგანს მიიჩნია, სახიკეთოა ზოგადად ადამიანთა მოადგმისათვის, რაჭოთუ, ამით უზრუნველყოფს ყველაზე უკეთ შეგუებულ სახეობათა გადარჩენას სიცოცხლისათვის ბრძოლაში. ბ-ნ ს. დედლოსის (ს.კ. ლეთისმ.) შენიშვნა (იქნებ უფრო უპრიანია ამას ჩარევა ვუწოდოთ) იმის თაობაზე, რომ ყოვლისშემავლი არსება, რომელსაც ძალუძს შესაშური სიმშვიდით დაღეჭოს, ჩაფლავოს, მოინელოს და ბოლოს გამოჰყოს ჩვეულებრივი არხით ესოდენ მრავალფეროვანი საკვები პროდუქტი, როგორცაა მშობიერობისაგან დამკვლევებული კანკროიდული ქალები, თავისუფალი პროფესიის გათქვირული მამაკაცები, ზაფრიან პოლიტიკოსებსა და სისხლნაკლულ მონახუნებზე რომ არაფერი ითქვას, შესაძლოა შევბახ იგრძნობს იმით, რომ ზედ მობარბაც უშობელს დააყოლებს, ყველაზე თვალნათლივ და უარყოფითი მხრით ამკლავნებს იმ ტენდენციას, რაზედაც ზემოთ მივანიშნეთ. მათ გასანათლებლად კა, ვინც ისე ახლოს არ იცნობს ქალაქის სახაკლავოს ყოფას, მაგალითად ამ ჰკუანდრძნობი ესტეტისა და ემბრიო-ფილოსოფოსის, რომელიც, მიუხედავად მისი მეცნიერულ საკითხებში უკიდევანო თავდაჯერებულობისა, საეჭვოა მკავას ტუტესაგან არჩევდეს, აღბად საჭიროა განიმარტოს, რომ ჩვენი ყველაზე მდაბალი ფაიდის სამიკიტნობის მკატრონების ენაზე მობარბაც უშობელს დედის საშოდან ახლად დავდებული ხბოს საშწადე ხორცს ეტყვიან. ბ-ნმა ლ. ბლუმმა (სარეკ. ავენტ.) ამასწინანდელ საჯარო პაექრობისას, რომელიც ეროვნული სამშობიაროს დიდ პოლში შესდგა, პოლზ სტრეტი, ნომერი 29,30 და 31, რომლის უფროსიც, როგორც მოგხსენებთ, გახლავთ ნიკიერი და ერთობ ცნობილი დოქტორ ა. პორნი (ექ. აკ. ი. ე. ს. ს. ყოფ. ე. პრ.<sup>19</sup>), თვითმზილველთა ცნობით, ის ამტკიცებდა,

რომ თუკი ქალმა კატა ტომარაში შეუშვა (როგორც სწანს, ეტყვიან ვეფხვადლოთ, რომ ეს ესტეტის მშრწყმტსტკუნიების ერთ-ერთ ყველაზე რთულ და საოცარ პროცესზე, სქესობრივ აქტზე), მაშინ კიდევ უნდა გამოუშვას, ანუ მიანიჭოს მას სიცოცხლე, მისივე თქმით, რათა საჭუთარი გადაარჩინოს. საჭუთარის რისკის ფასადო, დროულად შენიშნა თანამოსახუბრემ, რასაც ვუქტურობას მატებდა მისი ზომიერი და ღირხეული ტონი.

ამასობაში ექიმის ხელოვნებასა და მოთმინებას ბედნიერი accouchement<sup>20</sup> მოჰყვა. მაგრამ რა ძნელი აღმოჩნდა იგი როგორც პაციენტისათვის, ისე ექიმისათვის. ყველაფერი რისი გაკეთებაც შეეძლო შეანობას, გაკეთდა, მუდგარი ქალის თანადგომით. ჭეშმარიტად დიდი ბრძოლა გადაიტანა და ახლა ძალიან, ძალიან ბედნიერია. და სათქოს ყველა გარდაცელილიც, ამ ქვევნიდან წასული, ბედნიერია, როდესაც ზვეიდან უშხერს ამ აძალევე ბელ სურათს. ჩვენც მოწინებით შეუხედით როგორ მიყრდნობია ბალიშს დედობრივი სიფარულით გაცისკრონებული თვალებით, მარადიული წადილი ჩვილი თითებისა (რა საამო სანახავია), და თავისი ახალი დედობის ყვაელობისას მდუმარე მადლის ლოცვას აღუვლენს უზენაესს, ზეციურ მეულდეს. და როს მოსიფარულე თვალებით დაჰყურებს თავის პირმშოს, იმასლა ნატრობს, რომ იქ ყოფილიყო მისი ძვირფასი დოდიც და მასთან ერთად გაეზიარა სიხარული, ხელში აეყვანა ეს ღვთის თიხის ნამკეცი, მათი ნაკურთხი სიფარულის ნაყოფი. მას უკვე წლები მოემატა (შეგვიძლია ერთმანეთს ჩურჩულით გაუანდოთ), ოდნავ წაიხარა ბეჭებში და მაინც, ცხოვრების ბედუკულმართი ტრიალის მიუხედავად, სოლიდური მდგომარეობა მოიპოვა, აღსტერის ბანკის მუყაითი უმცროსი ბუხპალტერია, კოლეჯ გრინის განყოფილებაში. ოო, დოდი, ჩემი ცხო-



ერების ძვირფასო თანამგზავრო, აღარასოდეს განშორდება ვარდობის შორეული ხანა! თავის უწინდებურად მოხდენილი გადაქმევით იხსენებს გარდასულ დღეებს. ღმერთო, რა მიშზიდველად მოსჩანს ის დრო ახლა, წლებების ნიხლს გადაღმა! მაგრამ მათი შეილებიც შეგროვდნენ მის წარმოსახვაში, საწილის გარშემო, ჩარლი, მერი ელის, ფრედერიკ, ელბერტ (რომ ეცოცხლა), შეიმი, ბაჯი (ვიქტორია ფრანსის), ტომ, ვაიოლეტ კონსტანს ლუიზა, სავეარელი ჰაწია ბობსი (სამხრეთ აფრიკის ომის სახელოვანი გმირის უოტერფორდისა და კენდაპარის ღორდ ბობსის საპატივსაცემოდ), და აი ახლა მათი კავშირას ახალი საწინდარი, ჰემშარიტი პიურფოი, ნამდვილი პიურფოული ცხვირით. ძვირფას ბიჭუნას მორტიმერ ელვარდს დაარქმევენ, ბენ პიურფოის გარე ბიძაშვილის, დუბლინის ციხე-დარბაზში, ბაზინის ვალების ამკრეფ უწევებაში რომაა, იმის საპატივსაცემოდ. ახე მიჩანსალებს დრო: მაგრამ ამ შემთხვევაში მამა ქრონოს მოწყალე იყო. ნუ, ნუ აღმოხდება შენი სკრადიდან ოხვრა, ძვირფასო მაინა; შენ კი, დოდი, ვამი რომ ჩამორეკს (ნეტამც ეს დღე შორს იყოს ჩვენგან) გამობერტყე ფერფლი შენი ერიკის ჩიბუხიდან, ახლაც რომ არ იშორებს, ჩაქრე პატრუქი, რომლის შექმნადაც ვითხულობდი ხოლმე ხაღმრთო წერილს, რადგან ზეთიც ვითავდება ჰრაქში, და მშვიდი ვულით განისვენე. იმან თავად იცის დრო და მივიხმობს რის დაქრავს ვამი. შენც სახელოვნად იომე შენი ომი და ღირსეულად აღასრულე მეუღლის ვალი. აი, ჩემი ხელი, სერ. კელაფერი რიგზეა, კეთილი და ერთგული მონაჟ!

არსებობს ცოდვები, ანდა (მოდით უწოდოთ მათ ის, რასაც მთელი სამყარო უწოდებს) უკეთური მოგონებანი, რომელთაც ადამიანი სულის ვველაზედ ბნელ კუნჭულში მალავს, მაგრამ ისინი იქ დაიბუნდნენ და ელიან.

მას შეუძლია აიძულოს მუხსიერება გაამქრალას ისინი, მიიქციოს მათი ქოს არც ეარსებათ, ანდა ყოველ შემთხვევაში, სხვაგვარი იყენენ. მაგრამ ერთი ანაზღად წამოსროლილი სიტყვა უცებ გამოაციოცლებს მათ და ისინიც აღიმართებიან მის წინაშე ყოველად მოულოდნელ გარემოებაში, მოჩვენებისა თუ ზმანების სახით, ანდა როცა ტიშმანი ან არფა ატყობს მის სულს ან გრილ გამჭვირვალე ვერცხლისფერ საღამოს თუ შუაღამისეულ ღრუობისას როს ღვინითაა შეხურებული. არა შეურაცხყოფის მისაყენებლად დაატყდებიან თავს ვაბორატებით, არა შურის საძიებლად, ცოცხალთაგან მოსაკვეთად, არამედ მწუხარე წარსულის გულსაკლავ სამოსელში გახვეულნი, მღუმარენი, შორეულნი, მომღურაენი.

უცნობი კვლავაც აკვირდება თუ როგორ ქრება თანდათან იმ სახიდან, რომელსაც უცქერს, ის მოჩვენებითი სიმშვიდე, უმაღ რაღაც ჩვევისა თუ დასწავლილი პოზის გამო რომ ახლდა სიტყვებს, რომელთა გაავებული უკმეხობა მოსაუბრის მიდრეკილებას, flair-ის ამეღავენება ცხოვრების უღმობელ გამოელენათა მიმართ. მეთვალყურის მუხსიერებაში სურათი, ეხოლენ ჩვეულებრივი, უბრალო სიტყვის წყალოებით ისე ძაღდაუტანებლად ცოცხლდება, კაცი იფიქრებს, ის შორეული დღეები (როგორც მავანი ფიქრობს), მათ სიამეთა სრული შეგრძნებით, ჰემშარიტად სუფევდნენო იქ. შეკრეჭილი მოლი მაისის ერთ მშვენიერ საღამოს, იახანის ღირსახსოვარი ბუნჭები რაუნდტანეში, სოსანი და თეთრი, თამაშის მოხდენილი და სურნელოვანი მაცურებლები, რომლებიც დიდის ინტერესით აღევენებენ თვალს ბურთებს ნელა რომ მიგორავენ გაზონზე ან ერთმანეთს ეჯახებიან, შეკრიებიან და ადგილზე შემდებიან. იქვე ახლოს, იმ რუხ შადრევანთან, რომლსც მხეფები ზოგჯერ ჩაფიქრებულნი შეუდგებიან ხოლმე რწყავს, კიდევ ერთი სურნელოვანი



ყვაკლნარი მოხანს, ფლოუი, ეტი, ტაინ და მათთან ერთად ჩემთვის უცნობი მათი შეთქმობის მეგობარი, რაღაც მიმხიდეული იყო მის პიზაში, მადონა აღუბლებით, მისი კანის უცხო სითბოს ნატიფად გამოკვეთდა ფორზე დაიღული წვეილი გრილი, აღისფრად მოღაფლავე ხილი. ოთხი თუ ხუთი წლის ბიჭუნა შალნარე კოსტუნში (ყვაკლნობის ხანა, მაგრამ მალე გაიხარებს მუდრო ბუხართან, როცა ბურთებს შეაგროვებენ და შეინახავენ) დგას შადრევის პირას ვოგონების შრუნველი ხელის რკალში. ოდნავ იღუშება, ზუსტად ისე, როგორც ახლა ეს ყმაწვილი, რომელიც ვერნებ 'ნამეტნავად შეგნებულად ტყუება საშიშროების შეგრძნებით, მაგრამ გრძნობს აუცილებლობას დროდადრო გაიხედოს piazzetta<sup>22</sup>-ს ყვაკლნარისაკენ, იქ საიდანაც დედა-მისი უთვალთვალებს, რომლის გამოხედვაში დანთქმული განდგომილებისა თუ სამღერავის (alles vergangliche)<sup>23</sup> მკრთალი ჩრდილი გამოჰკრთის.

ჩაინიშნე ეს მომავლისათვის და დაიხსოვე. ბოლო მოულოდნელად დგება. შედი დაბადების წინაკარში ხად განათლებას დაწაფულნი შეერილან და მათ სახეებს დააკვირდი. თითქოსდა არაფერია მათში ნაჩქარევი ან თავშეუკაცეებელი. უმალ გუშავთა ფიზიკური სიმშვიდე, ამ სახლში მათ სამსახურს რომ შესძენის, ვითარცა მწყემსნი და ანგელოზნი ბაგასთან იუდეის ბეთლემში დიდი ხნის წინათ. მაგრამ როგორც მების გავარდნის წინ შეგროვილი საავდრო ღრუბლები, მოჭარბებული სინოტივით დამძიმებულნი, უზარმაზარ გასიებულ მასებად ანხორდებიან და დედამიწასა და ზეცას ძილის ერთიან ბურანში გახვევენ, გადამხმარ განებზე, მოვლემარე ნახირს ზემოდან, დამკნარ ბუნქანარსა და ბალახზე ჩამოწევიან, სანამ უცრად ელვა შიგანს არ გაუფატრავს და ჭეკა-ჭეხილთან ერთად ნიაღვარი არ ჩამოსვდება, სწორედ ასე და არა სხვაგვარად შეიცვალა, გამშავებით

და ერთბაშად, ყველაფერს, როგორც კი წარმოთქვა სიტყვად *ქენსული* ბერკისაკენ! გამხტავი მსწრაფებით მილორდ სტივენი და მთელი ეს ხროვა უკან მისდევს, ჩხუბისთავი, თაღლითი ექიმბაში, ზეპრე და პედანტი ბლემიც ფეხდაფეხ მოჰყვება და ყველა იწყებს თავსაბურავების, ხელჯოხების, დაშნების, პანამების, ქარქაშების, აღუნშტოკების და საერთოდ ყველაფრის, რასაც მისწვდნენ, დატაცებას. დაუღეგარი ახალგაზრდობა, კითღმობილი სტუდენტობა. განციფრებული დაი კელანი ველარ აჩერებს მათ, ველარც მომღიშარი ექიმი, კიბეზე რომ ჩამოდის იმის სათქმელად მომყოლი მოცილებულიაო. მთელი ერთი გირვანქა მილიგრამნაკლები. მოგვევითო, შიდახეს კარი! ღიაა? ჰა! გაცვიფდნენ ჯგროდ, კისრისტებით, შეუპოვრად, ბერკისაკენ დენზილისა და პოლზის კუთხეში, საბოლოო მიზნისაკენ. დიქსონი მისდევს, შეუკურობებს, ბოლოს დანებდება, ჯანდაბას თქვენი თავიო, და გაჰყვება. ბლუმი სათნოების დასთან ჩერდება, სურს მილოცვა გადასცეს ბედნიერ დედას და ახალშობილს იქ ზემოთ. ახლა მთავარია ექიმი-დიეტა და ექიმი-დახვეწება. როგორ გრძნობს თავს, როგორ გამოიყურება? პორნის პოსპიტალში დამისთვეას თავისი დალი დაუწინევა ამ გაცრეცილი სიფერმკრთალით. გარშემო არავინ სნანს, გადაწყვიტა შესაფერ თემაზე გაეზუმრა და წახელისას ვერში უწურულებს: მადამ, თქვენთან როსდა მოფრინდება წერო? ვარეთ ჰაერი გაჯერებულთა წვიმის სინოტივით, სიცოცხლის ციური ზუბ-ხტანციით, ღუბლინის ქვაფენილზე რომ ბრწყინავს ვარსკვლავოვან *coelum*<sup>24</sup>-ის ქვეშ. ღვთიური ჰაერი, ჰაერი ყოველთა შიშისა, ჰაერი ელვარე, ყოვლად-შემღწევი, სიცოცხლის მიმნიჭებელი. ღრმად ჩიხსუნთქე. ზეცაა მოწმე, თიოდორ პიურფოი, შენ გვარიანად გაიხარჯე, არაფერი შეგშლია! ყველაფერს ვფიცავ, შენ გამორჩეული მწარმოებელი ხარ, ულაპარაკოდ, ამ ჩვენს შარი-



ან, ყოვლისშემცველ, უთაბოლოდ აწვეილ-დაწვეილ ისტორიაში. აღტაცების ღირსია! ამ ქალში იყო შესაძლებლობა, ღმრთის მიერ ბოძებული და ღმერთის მიერ წინასწარვე ფორმირებული, და შენ გაანაყოფიერე იგი შენი მოკრძალებული მამრული პოტენციალით. მამ ნაებლაუჭე! დაშერი! განაგრძე ჯაფა, გაისარჯე ერთგული ძალივით და ემპაქსაც წაუღია მთელი სწავლულობა და ყველა მალთუზიანელი. და ხარ შენ მამა ყოველთა მათთა, თიოდორ. იზნიკები მძიმე ტვირთქვეშ, გაწამებული ფახბის ანგარიშებით შინ და ოქროს ზოდებით (სხვისი!) შენს ბანკში? თავი მალლა! ყოველი ახლადრასახულინათვის შენს კუთვნილ ერთ ხომერ შემოსულ ხორბალს მოიძეო. შეკხედე, ხაწმისი შენი გაიფინთა. დარბი დაღმანისა და შიხი ჯოანის ხომ არ გშურს? ლაყაფი თუთიყუში და ქეციანი ქოფაკი, აი, მთელი მათი შთამომავლობა. ფუი, აი რას გეტყვი! ნამდვილი საპალნე ჯორია, სქელფაშეა და ძალგამოცლილი, გახერტილი შაურია მაგის ფახი. კოპულაცია კოპულაციის გარეშე! არა და არა-მეთქი! უფრო სწორი იქნება ჰეროდეს მიერ ყრმათა შემუსვრა რომ ეუწოდოთ. მხოლოდ ბოსტნეული და უნაყოფო თანაცხოვრება! მიართვით ქალს ბიფშტექსი, წითელი, უში, სისხლიანი! ყველა სნულუბათა პანდემონიუმად ქცეულა, გადიდებული ჯირკვლები, ყბაყურა, გლანდები, ბებერები, აღერგოული ციება, ნაწოლუბი, მკრეჭელი ლექენი, ცთომილი თირკმელი, ჯარბაშირული ჩიყეა, მუჭუჭები, ღვიძლის შეტყეები, კნჭები ნაღვლის ბუშტში, მოშლილი სისხლისში-მოქცევა, ვენების გაგანიერება. მორჩა პანაშვიდები და ტირილი და მოთქმა და ყოველნაირი სამგლოვიარო მუსიკა. გვეყო, ოცი წელია ვისმენთ. შენთან ისე არ იყო როგორც სხვებთან, რომელნიც მოიხურვებდნენ და გააკეთებდნენ კიდევ, მერე მოიაზრებდნენ და არ კი აკეთებდნენ. შენ შენი ამერიკა კო-

ვე. შენი ცხოვრების მიზანი და აკრილებდი მას ვითარცა უაქრეწეშედეგი ბიზონი. რას იტყობი? *Deine Kuh Truebsal melkest Du. Nun trinkst Du die suesse Milch des Euters*<sup>25</sup>. შეხედე! აგერ რა უხვად იღვრება შენთვის. შესვი, ადამიანო, მთელი ჯიქანი! დედის რძე. პიურფოი, ადამიანის მოღვემის რძე და მთელი ვარსკვლავეთის რძე, წვიმის თხელი საბურველის მიღმა რომ მოსჩანს, პუნშის არყიანი რძე, რომელსაც სამიკიტნოში შფოთისთავი მამლაყინწები ყლურწავენ, და რძე სიმშავისა, და ქანაანელთა რძე და თაფლი. რა, ძალიან მკერივია შენი ძროხის ჯიქანი? დეე, მაგრამ რძე მისი ცხელია, ტბილი და მარგი. ნამდვილი მსუფე bonnyclaber<sup>26</sup>. მამ დაეწაფე ბებერო პატრიარქო, და შესვი! *Per deam Partulam et Pertundam nunc est bibendum*<sup>27</sup>.

მკლავგადასკვანჭულუბმა ყველამ ერთად მოხია და ყაფანით ჩაირიხინა ქუჩა, შვეუბეროთ. ნაღდი მოგზაურები. გუშდამ სად ეგდე? ტიმოთი, ბებერო ჩხუბისთავო. ძმაკაცი. ქოლგაინები და ჩაკალოშებულები გვირევია კამპანიაში? სად არიან პენრი ნევილის ჯარაქეში და ის მეძინძე? ჩვენ ბოდიში, აბა რა ეი. დიქსის გაუმარჯოს! ფეხი გამოადგი ბაფთების სპეციალისტო. პანჩი სადლაა? ნეტარი და უშფოთველი. ნახე, ნახე, გალწილი მამაო მობანცალებს სამშობობაროდან! *Benedicat vos omnipotens Deus, Pater et Filius*<sup>28</sup>. მოწყალეა მოილეთ ბატონო. დენზილ-ლენის ბიჭები. ფუ. მაგის! ვზა, ვზა! მიდი, აიხეკ. აფახე ეგენი ამ ოხერი სცენიდან. თქვენ რა, ჩვენთან, პატივეცმულო სერ? ცვენ სხვის საკმეში არ ვეცრებით. ლუ ზალიან კარგა ბიჭია. სუ კველა ზმები ვართ. *En avant, mes enfants!*<sup>29</sup> ნომერი პირველი ზარბაზანი, ცეცხლი! ბერკისაკენ! ასე, ამრიგად ხუთი ფარსანგი

გაიარეს. სლექტერის ცხენოსანი ფეხოსნები, ხად არის ვე ჩემალაღა აფიცერი? პასტორო სტივ, აბა, განდგომილ ურწმუნოთა ლოცვა გვაჯახე! არა და არა, მალივანი ეი, კინოზე! სრული სელა. საათს უფურეთ. მალე გამოვგაპანდურებენ. მალი! რა გკირს? Ma mère m'a mariée<sup>30</sup>. ბრიტანული ნეტარებანი! ცამა-ცემა, ცამ-პარარამ. ხმების უმრავლესობით გავიდა. უნდა დაიბეჭდოს და აიკინოს დრუდების დედუნა სტამბაში ორი ორპირა დიზაინერ-დაიკთა ხელით. ხოს მომწვანოფსლისფერ ტყეის ყდაში. უმოდურესი ტონი ფერწერაში. ჩემსობას ირლანდიაში გამოცემული უსილამაზესა წიგნი. Silentium!<sup>31</sup>. გადადევიართ შეტევაზე. სმენა! მიეიწვეთ უახლოეს ლუდხანამდე და ანექსირებაში მოგაყოლებთ ჩასაცეცხლის საწყობებს. ნაბიჯით იარ! თლამ თლუმ, თლამ, ბიჭებს (სწორდი!) ყელი გაუშრათ. ბოთლი, ბიფშტექსი, ბიზნესი, ბიბლიები, ბულდოგები, ბრძოლისველი, ბორდელები და ბერები. თუნდ ეშაფოტზე. ბოთლიანი ბიფშტექსი ბიბლიებს გადაუხურავს. მშობლიური ირლანდიისათვის. გადაუხურეთ დამხურავეებს. ჯანდაბიანობა! დაიკავით ეს ობერი სა მხედრო ნაბიჯი. თავს შეეწირავთ. ბერი ნაღდი ბოთლის მუხუსია. სდექ! მით, მიაწქით. რაგბით. ზედახორა კვანტი არ იყოს. ვაი, ჩემი ფეხუნები! გატინე? ჩვენ ძალიან ბოდიში.

ვიკითხოთ. მაყუთს რომელი ჩამოდის? სილატაკით ვტრიპანობ. ქესატად ვუდები. ცხენზე დაედ. მთელი ფარა ჩაუშვი. ერთი კვირაა კაპიკი არ მიჭყეის. რას დალევთ Übermenschen-ის<sup>32</sup> ის მიათვით, რასაც ჩვენნი მამები სვამდნენ. მეც იგივე. ზუთი კათხა ნომერი პირველი. თქვენ, სერ? ზარდანიოს უალკოჰოლო. დამიჭით, არ წაიქციე, იზეოზნიკების მიქსტურა. კოლორიები ოხრად. თავის წიწწიკას ქოქავს. იმ მინუტში გაჩურდა სამუდამოდ, როცა ბებერი. აბ-

სენტი მე, გამივე? Caramba!<sup>33</sup> მაგას საპაბელიო ჯობია. არ მწყენია? ჩემი ვირაოში. აბს მუქლმ. მსმეტანი მადლობელი. არაფრის. გული გაუსკდა, არა, დიქს? ნაღდად. თავის ზღში იყო წამოწეკებული და იმ ჩათლახმა ბზიკმა უკბინა. დეთიშობლის ქსენონთან ცხოვრობდა. ცოლიანია. მაგის მადონა-ქალს იცნობ? მა რა. კარებში ძლივს შემოეტევა. აუ, გახდილი რა იქნება! ზოშიანი ვინმეა. აი, მესმის, თქვენი განზიკინებულიით არ გვეროთ. ეგ ფარდა ჩამოუშვი, გენცვა. ორი გინესი. აქეთაც იგივე. ფრთხილად, ფეხი ცურავს. თუ დაებურტვე, ვეღარც ადგები. ზუთი, შვიდი, ცხრა, ეგ არის! მაგარი ფორმები აქვს, არ ვშაყრობ. სადმე წამოვუგოვრებდი და ერთ ბოკა რომსაც მივაყოლებდი. უნდა ერთხელ ნახო რო დაიჯურო. შენმა ამბუნებულმა თვალემა ფა ჩამოთლილმა ველმა გული ჩემი მოინადირეს. მიმანებებს თითქოს. რაო, უფროსო? კარტოსკა რიემატიზმების წინააღმდეგ? ჩვენ ბოდიში, რო ვამბობ, მაგრამ ეგ გამოსირებულიობაა გოიმებისთვის. ეგრე ვაზრობ, რომ დიდი ელინჯი ვინმე ბრძანდებათ. ჰა, ექიმ-ჯან? გამოძვერით თქვენი ლაქლანდიიდან? თქვენი მალადღამირსება ოკეად არი? როგორა მე-ეს სკეოები თავის ბალღებიანად? რომელიმე უკვე დააგლო ბოსელში? სდექ, პაროლი! ჩვენ სიკვდილი სპეტკი და ვირშიზი შობა. საღამი! ეგვე შენ, უფროსო. ტაკიმასზარას დეკემა. მერედითისაგან ნათაქი. იესოზირებული, ყვერებჩამოსიებული, პარაზიტებმესეული იეზუიტი! მამიდაჩემმა კინჩის მამილოსთან ჩამიშვა. გლახის-გლახა სტივენმა თავგზა აუბნია კარვისკარგ მალაქიას.

ურრაა! ბურთი დაიჭით, ბიჭებო. ერთიც ჩამოარივე. ესეც შენი ქერის ნახარში, მთიელო ლუდხარშია ჯოკდე დიდხანს იბრჩილოს შენმა ხა-



კამურმა და ითხოუხოს შენმა შეკამაღმა! მე ვიხდი. Merci! ეს ჩვენ გაგვიმარჯოს. ეგ როგორ? თამამ-ვარე მდგომარეობაა. სუ დამილაქა-ვებ ამ ახალთაზღალ შმოტკას. პილა-ლი მომაწოდეთ ერთი. აბა, დაღიე და შეგერგება. გვეურება? გამაყრუებელი სინჟმე. ყველა ჯიგარი თავის ნამახთან. ვენერა პანდემოსი. Les petites femmes<sup>35</sup>. ნაგლი გოგო ქალაქ მალი-ნგარიდან. ერთი უთხარი რო მავის დილიხორი მაქ. პარას წყლზე მოხ-ვია ხელი. მალაჰაიდის ვზაზე. მე? ნეტამე ვინც შემადღინა მისგან მხო-ლოდ სახელიდა დარჩეს. რა ჩემ ფე-ხებს ელოდა ცხრა პენსად? ბევრი, გულის ვარდო. რომელიმე მოღისთან წამოგორება რბილში. ერთად გავისა-რჯოთ. ხომიანია!

გვიცი, ხაზინ? წყალი არ გაუვა. ვინდა გაგვიმაზო. თვალუბი გადმოკარ-კლა მაყუთი რო არ მიიღო. აზრზე მოდიხარ? მაგი მაყუთაა ad lib<sup>36</sup>. წე-ღან რო სამი მინეტა დაწითეთ, ჩე-მიაო ვერე თქვა. შენ არ დაგვაპტიფე, არა რო? ხოდა გადაიხადე, მხოო ფე-ღუბი დაყაჭე. ორი ქალღლის და ერ-თიც რკინისა. ფრანკუზებისგან ის-წავლე ქვემიდან გამომრომა? ეგეთები აქ არ მოდის. ცვენი ბიზუნა ზალიან დაღონებულა. რაცხა თვალუბში და-მიბნელდა. შენ მაგრად ხარ, ბიჭო, არც მე ვარ მოვრალი, არც შენ ხარ მოე-რალი. ორეზერვუარ, მუსიე. ზალიან მაღლობა.

ვერეა. რაო? ღუღხანაში. ჩაიხხი და ჩაიხხი. ვაიეგე, უფროსო. ბენტა-ში ორი დღის უსმელია. ბორდოს მეტს არაფერს ისხამს. შეყოლე! ეი, აქეთ მოიხედე. მე მოვკვლე რა. გაგლეჯილი და ჯიბეგაფხეკილი. არაფერი ვერეუ-ბა. იმ ტიპთან ერთად. ვერე როგორ მოახერხე? ოპერა უყვარს? კასტილიის ვარდი. პოლიცია! ჩქარა H<sub>2</sub>O, ჯენტ-ლმენს გული შეუღონდა. ერთი ბენტა-მის ვეილეებს შეხედე. აჟონა, ეხლა ღრიალს დაიწყებს. აბ ტურფაე, ტურ-

ფაე. მორჩი რა! ცინმემ მოგეტყუეთ. ნაღდ ცხენზე დება ფეფქუჭჭეღუღუფ-რო ნაღდა არ ვურჩებოდა ჩემს სხე-ვენ პენდის თავს იმ ჯავლაგზე რო და-მაღებინა. დეკეშეების ბიჭს ჩაავლო იპოდრომიდან ბოს ბასთან რო მიქო-ნდა. ფული აჩუკა და ორთქლზე გახს-ნა. ფაშატი მკარ ფორმაშია. ასიანი შანხია. ღია აღმოჩნდა. ზატზე დაეი-ფიცამ. კრიმინალია? ხო აღბათ. ნაღ-დაღ. ვირის აბანოში ჩაგაფუღებენ თუ ძაღლებმა ჩაგავლეს. მაღენი აღარ მი-ვღ-მოვღო, მიენღო და დაღო. ოო, კრებაჟ, ჩვენო თაემესაფარო და ძა-ლაე ჩვენო. გავუტეე. მიდიხარ არ იშ-ლი? დედიკოსთან. მოიცა. ვინმემ ჩემი სიწმთლე დაფაროს. დაეიღუბე თუ დამთირა. შინისკენ, ჩემო ბენტამ-ორეუვარ, იუზგარ. ცხვირსახეთქელა არ დაგავიწყდეს წაუღო. გაგვიდიდ-გულდი. და მაინც ვინ დაგინამიოკა იმ ცხენზე? ძმურად რა. მავის ყოფა არ იყოს. მიდი რა, ღუო, გამოტედი. კა-ცურად ვთხეჯ. მიწა გამისკვდეს თუ ვინმეს. შენ ხო ჩვენი ღიპიანი წმინდა მამაო ხარ. რატო არ ამბობ? მამ შე გეტყვი რო ეგ შენი ვბრაული შტუკე-ბია, კარქი, ხანამ გაუფსიხდი, და ტინ-თარისა უფლისა ჩვენისა ამინ.

წინადადება შემოვაქვს? ჯიგარი ხარ, სტაჟ, დარჩა რამე დასაღუვი? უაღრესად უდიდებულესი დიდსულო-ვნად ხომ არ გაიმეტებდა უკიდურეს განსჭირში და უზარმაზარ დილიხო-რში მყოფისთვის ერთ ძვირადღირე-ბულ საზეიმო ხახის გასაგრილებლს? მოიცა, სული მოვითქვა. ხაზინ, ხაზინ-ჯან, ღვინო თუ გაქვს რიგიანი, სტაბუ? ჩვენი ძმა, ერთი წვეთი დაახხი, გემო გაგუხინჯოთ. ერთიც და მერე კიდევ მოდი. ვერე რა. აბენტი ყველას. Nos omnes biberimus viridum toxi- cum diabolus capiat posterioria nost- ria<sup>37</sup>. პატონებო, ვიკეტებით. რაა? ღვინო ბლუმ-პატონს. აბა თქვით ბულ-ბული? ბლუ? რეკლამებს რო ატე-ნის ყველას? ფოტო-გოგონას მამილო, მაგარი პონტია. აბა, გავიძურწეთ აქე-

დან. *Bonsoir la campagne*<sup>39</sup>. და წინააღმდეგ ბოროტისა და საფრთხეთა სიფილისისა. ხად არი ბენტერა-დოყ-ლაპია ბაი? ვაბითურდა? პატიმრობიდან დატყრა. ეპ, კაცმა მაინც თავისი გზით უნდა იაროს. შახი და მათი. მე-ფე ვტლბის წინააღმდეგ. კტილქო კრისტანო დაუხმარე ახალგაზრდა კაცოს რომლის მეგობარმა სახლის ვასაგები ცაართვა და ჩირღება ტავი სადმე შეაპაროს 2 გამე. ცქუაზე არა ვარ ისე დავთვერი. თავს მოვიჭრი თუ ეს ვველაზე უსაუკეთესოესი დროსტარება არ იყო. აქეთ მოგვხედე, უფროსო, ერთი-ორი გალუტი ამ ბაღლისათვის. ჭირი და ბნელა, როგორ თუ არც ერთი! არც ვველის ნამცეცი? ღუთიური ძალითა ჯოჯოხეთსა შინა შთაბერე სიფილისი და მასთან ერთად ვველა ნებადართული სპირტთან სასმელი. დროა. ვინც ქვეყანაზე დახეტილობს. ვველას გაუმარჯოს. *A la votre!*<sup>40</sup>

აუ, ეს ვილა მაკინტოშინი ოხერია? დასტი როუდში. ერთი მაგის შმოტკებს შეხედეთ! ღმერთო დიდებულო! ვვ რეები უშოვია? საიუბილო ბატკანი. ღმერთმანი, ნამდვილი ბოვრინი. მაგრა ჭირღება. ცნობ მაგ ვახერჯტილ წინლებიანს? რინმონდის საგოცეთიდან? ნაღდად! ეგონა ქენისში ტყვიის საბაღო მაქეს. დროებით შეურაცხდი. მეპურე ბარტლი შევარქეთ. ვვ ერთდროს, სერ, ჩაქცეული მოქალაქე იყო. ერთ მათხოვარ მაწაწწაღას ცოლად ვადა ობოლცალა. მაგრამ აუფახა. ავერ მიტოვებული მიჯნური. ველურ კანიონში მოხეტიალე მაკინტოში. გადახუზე და შეაყოლე დაკეტვის დროა. ატასზე იფავი ძაღლებმა არ ჩაგვივლონ. რაი? ნახე დღეს დაკრძალვაებაზე? თქვენმა ძმა-კაცმა ფეხები ვაფშიკა? აუჰ. საბრალო ბაღლები! ეს რა მითხარი, ძმაო პოლდი! ღვარად გვიღოდა ცრემლი

როცა ჩვენი იუზგარი მედნი შავ მიწაში ჩადეს. ვველა შევეხებო და ვუბრაუდა პედი. ჩემ დღემი მანეთი არ მინახავს. *Tiens, tiens*<sup>40</sup> მაგრამ ძალიან საწყევია, ვფიცავ, ხო. ვინა ვაგებაზო, ცხრიდან ერთიც ვერ ავა აღმართში. მოძრავ ღერძიანი ავტო მიქარვაა. მაზიანი რო ვვ ბელგეული იანცი ვერმანელს მოუხაზავს. იამონლები? შორი ცეცხლით ძირავენ, არა? ფრონტის ამბეშში იყო. მათთვის უარესია, ამბობს ის, არა რუსებისთვის. დრო მიიწურა. თერთმეტი არიან. ნიღით აქედან. ვაინძერთი ვამოთაყვანებულებო! მშვიდობისა. ღამე. დე ვოვლისშემძლე ალაჰმა შენი სული ამაღამ გვარიანად დაიფაროს.

ეი, მისმინეთ! მაგრად დაევიგრუთო, ერთსა კაცსა ბლისკინელსა. კლინბლისკელსა. ფრთხილად, არწივებო, ეს მასტი არწივევს, მეუცლის რევიონში ვერაა ყოჩაღად. უუჰ. მშვიდობის. მოუნა, ჩემო ერთადერთო. უუჰ. მოუნა, ჩემო სიფეარულო. ოჰ.

გვეურებათ! მორჩით ბაზარს! ბუმ! ბუმ! განათდა. ავერ მიქრის. სახანძრო! გემივით უზარმაზარი. მუნტ სტრიტი-სკენ. მოკლებზე. ბუმ! დავახა. არ მოდიხარ? მიდა, მიდი, ჩქარა. ბუმ!

ლინს! პა? წამო ჩემთან ერთად. აქეთ, დანხელ-ღეინისაკენ. ვადაჯლომა წითელი ფარნების უბნის მიმართულლებით. ჩვენ ორნი, მან მითხრა, ვიპოვით ბარდაკს საღაც შავი მერია. ხიამოუნებით, როცა კი იტყვი, *Laetabuntur in cudilibus suis*.<sup>41</sup> მოდიხარ? ერთი მიწურწულე, ეს ვინ ოხერი გამოქლიავებულია შავ შმოტკებში? ჩუ! მათ ნათელს შეხეოდეს და ახლა ის დღე ახლოსა, როცა ის მოვა რათა ცეცხლით განიკითხოს სამყარო. ბუმ! *Ut implerentur scripturoe*<sup>42</sup>. მიდი ერთი, ბაღადა დაურტყი. და უთხრა მედიკოსმა დიკმა თავის ამხანაგ მედიკოს დეივისს. იესოს კვერცხების შუბ, ეს ვილა ვეთელქაქიანი მოძღვარია მერიონ-პოლზე? ელია მოდის. კრავის სის-



ხლში განზანილი. მოდით ყოველნი  
 დეინომწრუპავნი, ჯინმწყურვალნი,  
 შარაფმყურწავნი ქმნილებანი! მო-  
 დით თქვე ძაღლისშვილებო, ხარ-  
 კისრიანებო, ხოჭოსუბლიანებო, ღო-  
 რდინგიანებო, ბატიტვინებო, ეშმათ-  
 ვალებიანო თაღლითებო, ენაჭარ-  
 ტალებო და დანარჩენო ნაკაუო!  
 მოდით თქვე ნარჩევო არამზადე-  
 სო! ვლიგზანდერ ჯ. ქრისტე დაუიმ  
 მოათრია სულის სახსნელად ამ პლა-  
 ნეტის ნახვეარი, ხან-ფრანსისკოდან

ვლადივოსტოკამდე. დღეაგა. ეს ბეღა-  
 ვანი არ გველოთ კაპიტან ნენდუქო-  
 ბას რო გპირდებიან. ბეჭდვით  
 ღმერთი უშესანიშნავესი და უწესი-  
 ერუხი ბიზნესია. ის ვეულაზე უდიდე-  
 სია და ამას ნუ დაივიწყებთ. შევძახოთ  
 ერთად: ხსნა მეფე იესოშია. შენ ეი,  
 ცოდვილო, თუ გინდა რომ ყოვლის-  
 შმძმლე ღმერთი გააცურო, ნამეტნაუად  
 ადრე უნდა აღგე. ბუმ! შანსი არაა.  
 შენთვის ხველების მაგარი მიქსტურა  
 აქვს უკანა ჯიბეში, ჩემო მეგობარო.  
 მიდი სცადე.

შენიშვნები:

ფურნალის ამ ნომერში გამოქვეყნე-  
 ბული მე-14 ეპიზოდის ენობრივი სქემა:

1. მე-18 საუკ. ოლივერ გოლდსმიტი.
2. მე-18 საუკ. შორალიზება-ფილო. სოფიურობა.
3. მე-18-19 საუკ. რიჩარდ შერიდანი.
4. მე-18 საუკ. მკვეთრი პოლიტიკუ-  
 რი სატირა.
5. მე-18 საუკ. სკეპტიკური და ანტი-  
 კლერიკალური ფილოსოფია.
6. მე-18 საუკ. საშინელებათა ვოთი-  
 კური რომანი.
7. მე-18-19 საუკ. ჩარლზ ლემი; რო-  
 მანტიკულ-პათეტიური ნოსტალგია.
8. მე-9 საუკ. ტომას დე-ქუინსი; ფან-  
 ტასტიკა, რიტშული პროზა.
9. მე-19 საუკ. კლასიციზმთან კამა-  
 თოს მოღური სტილი.

10. მე-19 საუკ. ისტორიული უზუს-  
 ტო პროზა, ენობრივად გადატვირთული.
11. მე-19 საუკ. ნატურალისტ ტო-  
 მას პაქსლის სტილი.
12. მე-19 საუკ. ჩარლზ დიკენსი.
13. მე-19 საუკ. კათოლიციზტური  
 პროზა.
14. მე-19 საუკ. უოლტერ ქეიტერის  
 ესთეტიზმი.
15. მე-19 საუკ. ხელოვნებათმცოდნე  
 ჯონ რასკინი.
16. მე-19 საუკ. ტომას კარლაილი;  
 ისტორიული პროზა.
17. თავად ჯოისის თქმით: დიალექ-  
 ტის, ვარგონის, გაუნათლებელის მეტ-  
 ყველების, ირლანდიურის, პრიმიტიუ-  
 ლი წირვის, ამერიკანიზმებისა და მისთა-  
 ნათა საზარელი ნარევი.

კომენტარი

1. (ფრ.) სიტყვებზე.
2. პერალდიკაში პელიკანი ქრისტეს  
 სიმბოლოდ გვეკლინება.
3. დაბადება 16: უშილო აბრამისა და  
 სარას ეგვიპტელი მხევალი აგარი, რო-  
 შელიც ვაჟიშვილ ისმაელს გაუჩენს აბ-  
 რამს.
4. კონსტანტინოპოლი.

5. (ლათ.) დაბადებული ჩანახაზი.
6. (გერ.) სწრაფი მშობიურობა.
7. (ლათ.) ამკარა, თავისთავად ნაგუ-  
 ლისხმევი.
8. მანანაან მაქლირი — ირლანდიურ  
 შითოლოვიაში ზღვის ღმერთი.
9. (ლათ.) შურისძიების კანონი.
10. (ლათ.) დე იყოს!

11. აგუნდათ ნეტაიში (ებრ.) — პლანეტატორთა ამხანაგობა.
12. (ლათ.) მკდარი ტბა ანუ ზღვა.
13. (ბერძ.) დამახინჯებული: სტეფანე ხარისხული; უკავშირდება მეორე ბერძნულ გამოთქმას: ბოუს სტეფანეფეროს (გვირგვინოსანი სამსხვერპლო ხარო).
14. პორაციუსის „ოდების“ ლამაზი ქალი.
15. (ბერძ.) შედგენილი სიტყვა: მოხეტიალე ხილის ვაჭარი.
16. (ლათ.) ფორმირების ტენდენცია.
17. (ლათ.) ნაფოფიერის ქვეშორე ყოფნა.
18. (ლათ.) პიკიუნისა და ევგენიკის დოქტორი.
19. ექიმი აკუმერი, ირლანდიელ ექიმთა სამეფო საზოგადოების ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი.
20. (ფრ.) მშობიურობა.
21. (ფრ.) ალღო.
22. (იტ.) პატარა მოედანი.
23. (გერ.) ყოველი წარმავალი.
24. (ლათ.) ცის თალი.
25. (გერ.) შენ წველი პროხას სახელად ჭმუნვა. აწი ხვამ მისი ჯიქნის თბილ რქეს.
26. (ირლ.) დო.
27. (ლათ.) „პარტულასა და პერტუნდას სახელით ახლა უნდა შესვათ!“ რომაულ მითოლოგიაში: პარტულა დაბადების ღვთაებაა, პერტუნდა კი ქალწულობის დაკარგვისა.
28. (ლათ.) დაგლოცოთ ვოვლისშემძლე ღმერთმა, მამამ და ძემ.
29. (ფრ.) წინ, ჩემო შვილებო!
30. (ფრ.) დედაჩემმა გამათხოვა (ხიმღ.).
31. (ლათ.) სინუქე!
32. (გერ.) ზეკაცი, ანუ ზარატუსტრა.
33. (ესპ.) გაკვირებისა და გულდაწყვეტის შეძახილი.
34. (ფრ.) მადლობა.
35. (ფრ.) პატარა ქალები.
36. (ლათ.) სურვილისამებრ, რამდენიც აღამიანს ხურს.
37. (ლათ.) ჩვენ ყველანი მწვანე შხამს დავლევთ, ეშმაკს ერგოს ჩვენი მონარჩენი.
38. (ფრ.) ხალამო მშვილობისა თავრილობას.
39. (ფრ.) ეს თქვენ (გაგიმარჯოთ)!
40. (ფრ.) აჰ: რას იზამ.
41. (ლათ.) იმზიარულონ წმიდანებმა ღირსებით, ილაღადონ თავიანთ სარეულუბზე (ფხალმუნი 149:5).
42. (ლათ.) რათა აღსრულდეს წერილი (იოანე 19:24).

□ ბაზრამღობა იმეება □



## ახალი მოზინადრა

**მოქმედი პირი**  
**მოზინადრა**  
**კონსიერში**  
**პირველი მტვირთავი**  
**მეორე მტვირთავი**

### დამორაბია

ცარიელი ოთახი. უკან კედლის შუაში ღია ფანჯარაა. ოთახის ორივე მხარეს ორფრთიანი კარია. კედლები ღია ფერისაა. დასაწყისში აქტიორთა თამაში რეალისტურია, ისევე, როგორც ის ავეჯი, შემდეგ რომ შემოიტანენ. მერე თამაშის რიტმში ოდნავ შესამჩნევი ცვლილება ცერემონიის მსვავს ხასიათს მისცემს სცენაზე მიმდინარე მოქმედებას. უკანასკნელ სცენაში რეალიზმი კვლავ განახლდება.

ფარდის ახდისას, კედლისების მხრიდან საკმაოდ ძლიერი ხმაური ისმის: ადამიანთა ხმები, ჩაქუნის კაკუნი, სიმღერა, ბავშვების ფრიაბული, კიბეზე ნაბიჯების ხმა, არღანის ხმაური. ერთ წამს სცენა ცარიელია, მერე კარი ხმაურით იღება და კონსიერტი გამორჩდება, ხელში გასაღებების აცმულა უჭირავს და ხმამაღლა მღერის.

**კონსიერში.** ღა-ღა-ღა, ტრა-ღა-ღა, ტრა-ღა-ღა, ტრა-ღა-ღა-ღა-ღაა! (გასაღებების აცმულას იქნევს) ღა-ღა-ღა-ღა! (წერდება. ფანჯარასთან მიდის და გადასახედად გადაკვიდება). გუსტაე! გუსტაე! გუსტაე! ეი, ფორე, გუსტაეს უთხარი ბატონ კლერანსთან შევიდეს... ფორე!.. (პაუზა.) ფორე!.. (პაუზა.) არც

აქ არის. (უფრო გადაიხრება და ხმამაღლა იწყებს სიმღერას).

(ვიდრე ხმაური გრძელდება და კონსიერტი ფანჯარაზეა გადაკვიდებული, მარცხნიდან ჩუმად შემოდის საშუალო სიმაღლის, შაფულეაში, მუქ ტანსაცმელში გამოწყობილი ბატონი: რბილი შლაპა ახურავს, შავი პიჯაკი, შარვალი და ლაქის ფეხსაცმელი აცვია, მკლავზე პალტო აქვს გადაკვიდებული; მეორე ხელში ტყავის პატარა შავი ჩემოდანი უჭირავს; უხმაუროდ კეტავს კარს და ასევე უხმაუროდ, კონსიერტის შეუმჩნეველად მის უკან წერდება, ელოდება, არ ინძრევია; კონსიერტი უცხო სტანით ივრძნობს, სიმღერას უცბათ შეწყვეტს, რამდენიმე წამს იმავე პოზაშია, ამ დროს ბატონი ამბობს):

**მოზინადრა.** ქალბატონი კონსიერტი ბრძანდებით?

**კონსიერში** (შემობრუნდება, გულზე იტაცებს ზელს და ფერის). ა-ა-ა-ა! ა-ა-ა-ა! ა-ა-ა-ა! (ასლოკინებს). მომიტყევეთ, ბატონო, მასლოკინებს. (ბატონი უმოძრაოდ დგას.) ახლა შემოხვედით?

**მოზინადრა.** დიახ, ქალბატონო.

**კონსიერში.** მინდოდა, გუსტაევი, ფორტი ან სხვა ვინმე დამენახა ეზოში იყვნენ თუ არა, რომ ბატონ კლერანს-



თან შემეგზავნა. თუმცა... უკვე ჩამობრძანდით, ბატონო?

**მოზინაძე.** როგორც ხედავ, ქალბატონო.

**ქონსიერაძე.** დღეს არ გელოდით... მეგონა, ხეალ მოხეიდოდით. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება. კარგად იმგზავრეთ? ხომ არ დაიღაღეთ? როგორ შემაშინეთ! არ გელოდით და იმიტომ შემეშინდა. (ასლოკინებს.) ესღა მაკლდა. მოულოდნელობისაგან დამემართა. ყველაფერი რიგზეა. საბედნიეროდ, თქვენი წინამორბედნი, ადრე აქ ვინც ცხოვრობდნენ დროზე წავიდნენ. მოხუცი ბატონი სამსახურიდან გადადგა. ჩინოვნიკი იყო, ისეთი შშვიდი. თქვენც ასეთი ხართ? მო? არა? ევ არი, არ ვიცი რომელ სამინისტროში მუშაობდა. მითხრა და დამავიწყდა, ჩემთვის ეს სამინისტროები სულერთია. ჩემი პირველიც ხომ შიკრიკად მუშაობდა კანტორაში. კარგი ხალხი იყო. ყველაფერს მიაშობდნენ. მე კი შეკარგობას მივეჩვიე. განა ყბედი ვარ. მისი ცოლი არ მუშაობდა. მთელი ცხოვრება არაფერი გაუკეთებია. მათ მურწნეობას მე ვუძღვებოდი, საყვილებზე გასაგზავნად ქალი ჰკავდათ დაქირავებული, როცა ის არ შოდიოდა, მე მგზავნიდნენ. (ასლოკინებს.) მოულოდნელობისაგან დამემართა. შემაშინეთ. ხეალ გელოდებოდით. ანდა ხეალხევიით. ძალი ჰკავდათ ერთი. კატებს ვერ იტანდნენ. კატის სახლში შენახვა ნებადართული არ არის, მშართველმა აკრძალა და არა მე. მე რა, ჩემთვის სულერთია. გულითადი ხალხი იყო, შვადლები არ ჰკავდათ, კვირაობით ქალაქკარეთ ბიძაშვილებთან დადიოდნენ, შეებულელებს კი ბურგუნდიაში ატარებდნენ, ბატონი წარმოშობით იქიდან იყო; ახლაც იქით წავიდნენ, მაგრამ ბურგუნდიული ღვინო არ უყვარდათ, შორდოს ამჯობინებდნენ, ოღონდ ცოტას. შოგეხსენებათ, მოხუცებს, ცხადია, ახალგაზრდებსაც, თქვენი, ყველას, ხეალდასხვა ვემოვნება გაქვთ. მე ასეთი არა ვარ. სიმათიურები იყვნენ. თქვენ? კონსიერციას მისხვეთ? თუ მოსამსახურე

ბრძანდებით? რანტე? პენსიონერი? ოო, ცხადია, პენსიაზე შარ ჩქნუნს; ჰადგან ძალიან ახალგაზრდა მსწრს შატამ ისეთებოც ხომ არიან, ადრე რომ გადიან პენსიაში დაღლილობის გამო. ხომ შართალია? ანდა როცა ფული აქვთ. ამის უფლებას ყველა ვერ მისცემს თავს. ოჯახი ყვაო?

**მოზინაძე** (ჩემოდანსა და პალტოს იატაკზე დებს.) არა, ქალბატონო.

**ქონსიერაძე.** სადაც გნებავთ იქ დადეთ, ბატონო, ჩემოდანი. კარგი ტყვისაა. ვაი, აღარ მახლოკინებს. შიშმა გამიარა! შიხადეთ რაღა შლაა. (ბატონი უფრო იფხუტავს შლაას.) ქუდის მოხდა თუ არ გნებავთ, აუცილებელი არ არის. თქვენს სახლში ხართ და რაც გნებავთ იმას გააკეთებთ. ერთი კვირის წინ კი ეს ბინა თქვენი არ იყო; რას იზამ, ბერდება ხალხი, ყველაფერი მიდის. ახლა თქვენა ხართ აქ. შართალია, მე არ მეხება, მაგრამ კარგი და გამძლე სახლია, უკვე ოცი წლისაა. რა დიდი ხნის წინ დაიწყო ყველაფერი. (ბატონი ჩემად დადის, ყურადღებით ათვალიერებს კედლებს, კარებს, კედლის კარდას, ხელები ზურგს უკან უწყევია. კონსიერცი ავრძელებს.) მათ ყველაფერი მშენიურ მდგომარეობაში დატოვეს. სუფთა და ღირსეული ხალხი იყო. ცხადია, უარყოფითიც ჰქონდათ, როგორც თქვენ და მე; არც ისე თავაზიანები ბრძანდებოდნენ და არც შოლაპარაკე; არც არაფერს მიფვებოდნენ. მოხუცი თუ მეტყვოდა ხანდახან რაღაცას, ღედაბერი კი სულ არაფერს ამბობდა. ამ ქალმა თავისი კატა ფანჯრიდან გადააგდო და სახლის მშართულს პირდაპირ თავზე დასცა. საბედნიეროდ, ჩემი ყვაილები არ იყო. მოხუცი ცოლს სცემდა, ბატონო. მთელი დასაჯერებელი კია, ბატონო, ჩვენს საუკუნეში, მაგრამ ეს მათი საქმეა, ასეთ რამეებში არ ვერევი. ერთხელ მათთან აუდი, მოხუცი ცოლს სცემდა. ცოლი კი ვვიროდა: „არამზადავ, არამზადავ, ნებით მოვაჭრევ...“ (ქალი მქუხარე ხმით იცინის. ბატონი კვლავ ჩემად და გულმოდგინედ იკე-



დღეს კედლებს, კარს, საკეტს, ყველაფერს ხელით ხინჯავს, თავს აქნევს. კონსიერჯი ლაპარაკს აგრძელებს, თან უფურებს. გარედან ისევ შემოდის ხმაური.) „ნუხვით მოუპტურო“, ოო, როგორ ვიცინე, ბატონო. ახლა აქ აღარ არიან, ამიტომ მათზე ძვირის თქმა არ შეიძლება, თითქოს დაიხოცნენო. არც ისე თუაზიანები ბრძანდებოდნენ, მაგრამ მე არაფერი მაქვს მათზე დასაძივლი, გარდა ახალი წლისა... ნუ გეშინიათ, ბატონო, მაგარი სახლია, ახლა რომ აშენებენ განა ისეთია, ასე აღარ აშენებენ უკვე... კარგად იქნებით აქ... მეზობლები კარგი ხალხია, პატივსაცემი, მუდამ მშვიდი; პოლიცია არასოდეს გამოძიძიხია, გარდა მეოთხე სართულისა, იქ ინსპექტორი ცხოვრობს და განუწყვეტლივ ფიქრის; ყველას დაპატიმრება უნდა...

**მოზინადრამ** (თითით აჩვენებს). ქალბატონო, ფანჯარა!..

(მისი ხმა თანაბარი და არაფრის მეტყველია).

**კონსიერჯი**. დიახ, ცხადია, ბატონო! ძალიან მინდა თქვენს მეურნეობას გაუძღვე. ძვირს არ გამოგართმევთ. შევთანხმდებით. დაზღვევის გადახდა საჭირო არ არის...

**მოზინადრამ** (იგივე ვესტით, იგივე სიმშვიდით). ფანჯარა, ქალბატონო!

**კონსიერჯი**. დიახ, დიახ! დამეიწყა, ბატონო, მომიტკევეთ. (ფანჯარას ხურავს. ხმაური ოდნავ სუსტდება.) ...იცი, სიტყვა სიტყვაა, დრო ვადის... (ბატონი თავის გამოკვლევას აგრძელებს).

**კონსიერჯი**. დაეზურე თქვენი ფანჯარა. ავიღად იკეტება. (ბატონი ფანჯრის საკეტებს ამოწმებს და იკვლევს მთელ ფანჯარას). ეზოს გადაკეურებს. ოთახი ნათელია, რადგან მეშვიდე სართულზეა.

**მოზინადრამ**. პირველზე ხომ არ იყო თავისუფალი ბინა?

**კონსიერჯი**. დიახ, თქვენი კარგად მესმის, ულიფტო სახლში, მეშვიდე სართულზე ასევე ადვილი არ არის.

**მოზინადრამ** (უფრო სავითარ თავს). საქმე ამაში არ არის; ახლა მხოლოდ დედლიღვარ, ქალბატონო...  
**კონსიერჯი**. მაშ რაშია? მზე არ გიფეართ? მართალია, თვალს ჭრის. განსახლერულ ასაკში უძიხოდაც გაძლებს კაცი, თანაც კანს აშავებს...

**მოზინადრამ**. არა, ქალბატონო...

**კონსიერჯი**. ცხადია, არც ისე ძალიან, მაგრამ... დღეს ვერაფერზე დაძინებთ. შემძლია საწოლი გათხოვით. (ბატონი ისევ ოთახს ათვალერებს. ადგილებს სინჯავს, სადაც მერე ავეჯი უნდა დალაგდეს. ჯიბიდან რულეტს იღებს და ზომავს.) ნუ წუხდებით, ავეჯის დალაგებაში დაგეზმარებით. ვიცი, სადაც უკეთესი იქნება დადგმა, პირველად ხომ არ ვაკეთებ. თანაც თქვენს მეურნეობას მე უნდა გაუძღვე. დღეს ხომ არ მოიტანენ თქვენს ბარგს; ასე სწრაფად ხომ არ მოვლენ. ეს გამყიდველები, ხომ ვიცი როგორც მუშაობენ, ყველა ერთნაირია...

**მოზინადრამ**. მოიტანენ, ქალბატონო.

**კონსიერჯი**. გგონიათ, ავეჯს დღევანდელ მოიტანენ? მით უკეთესი თქვენთვის, მეც ხელს მაძლევს, თქვენთვის საწოლი არა მაქვს. ვასაოცარი კი იქნება თუ მოვლენ. მე ხომ მაგათ კარგად ვიცნობ. არ მოვლენ, არ მოვლენ, დღეს შაბათია. არა, ოთხშაბათია. მაქვს თქვენთვის საწოლი, მაქვს. თქვენს მეურნეობას ხომ მე უნდა გაუძღვე... (ფანჯრის გახსნა უნდა).

**მოზინადრამ**. მომიტკევეთ, ქალბატონო.

**კონსიერჯი**. რა მოხდა? (ისევ ფანჯრის გაღება უნდა ვითომ.) ჭორებს უნდა დაუძახო, რომ გუსტავს უთხრას ბატონ კლერანსითან შევიდეს.

**მოზინადრამ**. ფანჯარას თავი დაანებეთ, ქალბატონო!

**კონსიერჯი**. იცით, ჩემო ბატონო, ბატონ კლერანსს სურს ბატონ ესტამისკან შეიტყოს... ესტამი გუსტავის მეგობარია, ჭორჩისაც, ცოტა ნათესავება-

დაც ერგებიან ერთმანეთს, მთლად არა, ცოტა...

**მოზინაღრმ.** თაუი დაანებუთ ფანჯარას, ქალბატონო.

**კონსინერში.** კარვით, კარვით, კარვით! მივხვდი, არ გინდათ. ცუდს არაფერს გავაკეთებდი, თქვენი ნებაა, ფანჯარაც თქვენია და არა ჩემი. ისე განავით, როგორც გენებოთ, ხელს აღარ ვახლებ. წყენით არა მწყენია. ბინა თქვენია, არც ისე ძვირი მიეცით, მაგრამ ეს მე არ შეხება, და ფანჯარასთან ერთად თქვენ ვეკუთვნიოთ. ფულით შეიძლება ყველაფერი იყიდოს კაცმა, ასეთია ცხოვრება. არაფერს ვამბობ, თქვენი საქმეა, არ ვერევი. საცოდავ მოხუც ქალს მესვიდე სართულიდან მოუწევს ჩახულა გუსტაეის საძებნელად. ო-ლა-ლა! მამაკაცები ჭირვეულები არიან, არაფერზე ფიქრობენ, მაგრამ მე გემორჩილებით. როგორც გნებაეთ; მე ვიქნები, რასაც ჰქვია თქვენი მსახური, ასე არ არის ბატონო, ხომ გადაწვევტილია?

**მოზინაღრმ.** არა, ქალბატონო.

**კონსინერში.** მაშ, როგორ, ბატონო?

**მოზინაღრმ.** არ მჭირდება თქვენი სამსახური, ქალბატონო.

**კონსინერში.** ოო, ეს უკვე მეტი-მეტია! თქვენ ხომ თვითონ მთხოვეთ. რა სამწუხაროა, რომ მოწმეები არა მყავს, თქვენი ხიტყვა დავიჯერე, ძალიან გულუბრყვილო ვარ...

**მოზინაღრმ.** არა, ქალბატონო, არა. ნუ გაბრაზდებით ახლა ჩემზე.

**კონსინერში.** მაშ, როგორ!  
(მარცხენა კარზე აკაკუნებენ).

**მოზინაღრმ.** ავეჯი!

**კონსინერში.** ახლავე გავადებ. ნუ შეწუხდებით, კარის გაღება ჩემი მოვალეობაა. სამსახურს გაგიწევთ. მე თქვენი მოსამსახურე ვარ.

(კარის გაღება უნდა. ბატონი გზას უღობავს და აჩერებს).

**მოზინაღრმ** (კვლავ ძალზე მშვიდად). ნუ გაირჯებით, ქალბატონო.

(მარცხენა კართან მიდის, აღებს, ამდროს, დოინჯშემოყრილი კონსიერცი თავს დაესხება).

**კონსინერში.** მაშ, ასე ხომ იტყუებიან, ყველაფერს გამბრმავებს... მტრე აღარ ასრულებენ! ასე...  
(მოზინაღრმ კარს აღებს, გამოჩნდება პირველი მტკირთაუი).

**პირველი მტკირთაუი.** ბატონო! ქალბატონო!

**მოზინაღრმ.** ავეჯი მოიტანეს?

**კონსინერში.** თვითონ ხომ არ დალაგებთ ავეჯს, ბატონო.

**მოზინაღრმ.** მტკირთაუები მომეზმარებიან, ქალბატონო.

**კონსინერში.** რა საჭიროა უცხო ხალხის მოყვანა; რა გასაჭირია, არ ვიცი. არასოდეს გამოვიდა ასეთი რამ. ეს კაცი ადრე არასოდეს მინახავს. რა გაუფრთხილებლობაა! შევეძლოთ ჩემი ქმრისთვის გეთხოვათ დახმარება. უცხო კაცის შემოსევა არ შეიძლება, ნღობა არ შეიძლება, რა იცი რა მოხდება; ასე ხდება ყველაფერო, თუ სულელი არ არი, ცხადია. ჩემი ქმარი ხომ აქ არი, მეორე ქმარი, არ ვიცი, პირველს რა მოუვიდა. მეორე ქმარი კი ქვეითაა, საქმე არაფერი აქვს, უმუშევარია, მაგრამ მაგარი კაცია; რამდენიმე სუს მაინც იშოვიდა, სხვას რატომ უნდა მისცეთ, რას მოგიტანთ. მშვენივრად შეუძლია ტვირთის თრევა, თუმცა კლექიანია, მაგრამ საარსებო ლუკმა-პური ხომ უნდა იშოვოს. გაფიცულები სწორი არიან, ჩემი პირველი ქმარიც სწორი იყო, თუმცა არაფრის გაგება არ უნდოდა, ადგა და წავიდა... მე რე გაცილებულნი არიან ხოლმე!... კარვით. ავი არა ვარ, თქვენს მეურნეობას მოვუწელი, ძალიან ბინდა გემსახუროთ...

**მოზინაღრმ.** თქვენი სამსახური არ მჭირდება, ქალბატონო, მომიტყვევთ, მაგრამ თვითონ გავაკეთებ ყველაფერს.

**კონსინერში** (განრისხებული ყვირის). ბოდიშსაც იხდის! ბოდიშს იხდის, სახაცილოა; როცა ჩემი ანგარიშიდან იხდიან, არ მიყვარს, არ მიყვარს. ჩემი მოხუცები, ადრე აქ რომ ცხოვრობდნენ, უკვე მეცოდებიან. ოპ, ეს თავაზიანები, ზრდილობიანები ყველა ერთნაირია. დროს მაკარგეინებენ, თითქოს

სხვა საქმე არაფერი მქონდეს. მოუნდებოთ ასწიე, მერე ეს, მერე ის... (ჩაქუნის კაუნის ხმაძალდა ისმის. ძლიერდება მეორე ხმაც, რომელიც კულისებიდან მოდის. მოზინადრე იმანკება. კონსიერგი იმ მხარეს ყვირის, საიდანაც ხმა ისმის.) ნუ ხმაურობთ! ერთმანეთისა არაფერი გვესმის. (მოზინადრეს.) არ გაეაღებ ფანჯარას, არც თქვენს მინებს დაეკოსხურვე. წესიერი ქალი ვარ, არასოდეს საველეური არ მიმიღია, თუმცა ამოია ველაფერი; ისე, უკეთესი იქნება სარეცხი დაერეცხო, ვიდრე თქვენ ვისმინოთ!

(მარცხენა კარი იღვება, ხმაურით გამოჩნდება პირველი მტვირთავი და მხოლოდ ორი პატარა ტაბურეტი მოაქვს. ამ დროს კონსიერგი ისევ აღაქლაქდება.)

**პირველი მტვირთავი** (მოზინადრეს). აი ესეც!

**კონსიერგი** (პირველ მტვირთავს, რომელიც მას არ უსმენს). ნუ უჯერებ მაგას, ბიჭო...

**პირველი მტვირთავი**. სად დაგება?

**კონსიერგი** (ისევე). მატყუარაა, არ გადავიხდის. ასეთები თაყიანთი ფულებით ყველაფერს ვიდულობენ!

**მოზინადრე** (მშვიდად, მტვირთავს). ეს იქ დადგით, ბატონო, ის კი აქ.

(აჩვენებს ადგილს მარცხენა კარის კვერდით).

**კონსიერგი** (ისევე). ...შენ თუ გინდა გასკდი.

**პირველი მტვირთავი** (ისევე). კარგი, ბატონო.

(ტაბურეტებს მითითებულ ადგილას დგამს).

**კონსიერგი** (ისევე). ...ამაოდ წაალობს კაცი, ეს არი ჩვენი ცხოვრება... (პირველი მტვირთავი გადის, კონსიერგი მოზინადრეს ახლოს დაფუფუნებს.) უინა ხართ არ ვიცი. მე ვინცა ვარ — ვიცი. ახლა ცოტა გაგვიანით... ქალბატონი მათილდა. (იმ ვაკეებით, რომ თვითონაა ქალბატონი მათილდა.)

**მოზინადრე** (ტყულებური სიმშვი-

დით ჯიბიდან ფულს იღებს). გამოძირით, ქალბატონო, თქვენს კარებს საფასურია. (უწვდის ფულს).

**კონსიერგი**. ოო, არა, ვინ გგონივართ? მათხოვარი კი არა ვარ. შეშეძლო შეიღებო მყოლოდა, ჩემი ბრალი არ არი, ჩემი ქმარია დამნაშავე; რომ მყოლოდა ახლა დიდები ექნებოდნენ. არ მინდა თქვენი ფული! (ართმევს ფულს და წინსფარის ჯიბეში იღებს). დიდი მადლობა, ბატონო... კარგი, შეგიძლიათ იმდენი იყვიროთ, რამდენიც გნებავთ. არც თქვენს მეურნეობას გაუძლებები, თქვენნაირი ბატონები არ მომწონს. მათ არავინ სჭირდებათ და ყველაფერი თვითონ უნდათ აკეთონ; აბა, თქვენს ასაკში ეს რაში გარგიათ. (ვიდრე ქალი ლაპარაკობს, მოზინადრე მარცხენა კართან მივა, ტაბურეტებს ადგილს შეუცვლის, უკან იხვევს, ამოწმებს როგორ დააწყო...) გაფუჭებული, უზნეო ადამიანი, არავინ სჭირდება, ძალიც კი. გაფუჭებულები, ხალხს ქუჩაში ეკიდებიან. არ მინდა ასეთი ადამიანები ამ სახლში ცხოვრობდნენ, სადაც პატიოსანი ადამიანები ბინადრობენ. რა დრო მოვიდდა, უბედურებაა პირდაპირ. (უფრო ხმამაღლა.) განზრახ ამინებენ ადამიანებს, როცა ფანჯარაში იყურებიან, ხომ შეიძლება გადაეკარდნილიყავი; ამით კი რა ენაღვლებათ, უწინებელი სიამოვნებაა ვითომ. მე კი რა სიამოვნება მაქვს კინოს გარდა; ისიც იშვიათად... (მოზინადრე ტაბურეტებს ისევ ძველ ადგილას აწყობს, უკან იხვევს და უყურებს.) ...ამათ ცოტა რამ გაეგებათ ცხოვრებისა, მართო აურზაურის ატეხა იციან.

**მოზინადრე** (ტაბურეტებს ოდნავ შესაძინევი კმაყოფილებით. უყურებს, რადგან ბუნებით ფლეგმატური კაცია). აი ასე უკეთესია!

(პირველი მტვირთავი მარცხენა კარიდან ხმაურით შემოდის და ვაზა მოაქვს).

**კონსიერგი** (ისევ ისე). წარმოდგენით კი, ღმერთმა იცის, რას არ წარმოიდგენენ ეს ყანალები, ნაძირალები, უსაქმურები...

**მოზინაღრე** (პირველ მტვირთავს). აქ დადგით, ბატონო. (უნწვენებს სცენის კუთხეს, ხიდრშეში მარცხნივ).

**პირველი მტვირთავი**. აქ? კარგით, ბატონო! (მიდის ნაწვევები ადგილისკენ).

**კონსიერში** (ისევ ისე). ვოველგვარი უხინდისობის ჩადენას ვთავაზობენ, რადგან ფული აქვთ, ჰგონიათ...

**მოზინაღრე** (პირველ მტვირთავს, რომელმაც ვაზა ზუსტად მითითებულ ადგილას არ დადგა). არა, კუთხეში, ზუსტად კუთხეში...

**კონსიერში** (ისევ ისე). ოღონდ ჩემთან ასეთი რამე არ გაუვათ.

**პირველი მტვირთავი**. აქა?

**მოზინაღრე**. დიახ, დიახ, კარგია...

**კონსიერში** (ისევ ისე). ყველაფრის ყიდვა არ შეიძლება, ბატონო. ფულს არ შეუძლია ყველა გააფუჭოს. თანახმა არა ვარ.

**პირველი მტვირთავი**. დანარჩენი ხად დავაწყოთ?

**მოზინაღრე** (პირველ მტვირთავს). ნუ წუხხართ, ყველაფერი მოფიქრებული მაქვს. ახლავე ნახავთ. ადგილი საკმარისია...

(პირველი მტვირთავი მარცხნივ გადის).

**კონსიერში**. დიახ, ასეა. მაშინვე ეივკვე, ფხიზლად ეიყავი ვიცნობ ამ სუბიექტებს, ამ მშვენიერ ბატონებს, ქუჩებში ხალხს რომ ეკიდებიან; ვერ ვიტან, როცა ქალებიც უკან დასდევენ, მაგრამ მე არ დაედე; ვერც შემატდნენ. ვიცი, რასაც ფიქრობთ, თქვენი განზრახვა ვიცი, გინდათ მიყიდოთ. მე ოჯახის დედა ვარ, ოჯახის დედა, სულელი არა ვარ, ჭკუიდან არ შევშლილვარ. საბედნიეროდ, სახლში პოლიციის ინსპექტორი ცხოვრობს, ბატონო, ვინივლებთ. დავაპატიმრებინებ თქვენს თავს, ჩემი ქმარიც ხომ არსებობს, დამიცავს... ოპ, ოპ, არავინ სჭირდება! ენახოთ!

**მოზინაღრე** (თავი ბაზგასმული თავაზიანობით უჭირავს, კონსიერს მიუბრუნდება და უსაზღვროდ მშვიდად, ხმის აუმაღლებლად, ღირსეულად მი-

მართავს. ხმა ოდნავ მბრძანებლურად ეღერს). ნუ ნერვიულობ, კონსიერო, გთხოვთ მაპატიოთ რჩევებს რომ გაქვთ, მაგრამ ასე შეიძლება თავს რამე აუტყვოთ.

**კონსიერში** (ოდნავ შეცბუნებული). როგორ მიბედავთ ამის თქმას? მე, ოჯახის დედას! ვერ დამიშორჩილებთ! ხელები მოკლე გაქვთ. ამ წუთში მოხვედით და რაღა არ მომიხდომით. ახლა მაიძულეთ, დამიჭირავეთ და ახლა უმიზნოდ მაგდებთ! როცა აქ მოხუცები ცხოვრობდნენ, აი აქ, სადაც დგებართ...

**მოზინაღრე** (ხელები ზურგს უკან უწვევია). სახლში მიბრძანდით, ქალბატონო, ეგები ფობტა მოიტანეს.

(კონსიერგი ჩუმდება, თითქოს შესინჯულია. მოზინაღრე შესცქერის, მერე შებრუნდება და ვაზას უყურებს; კონსიერგი ამით სარგებლობს და მარცხენა კარისკენ გარბის).

**კონსიერში** (ბუტბუტით). ვაზას დებს, ერთი ამას დამიხედეთ, ვაზას! (კართან მიხული ხმამაღლა.) ოჯახის დედა! ვერ გამაცურებთ. ინსპექტორს ვუტყვი! (გახულისას მეორე მტვირთავს ეჯახება.) ფრთხილად! (მოზინაღრე შემოსულს მიუბრუნდება. კონსიერგი გადის და ყვრილს აგრძელებს) ვერ მომატყუებთ! ვერ მომატყუებთ!

**მეორე მტვირთავი**. გამარჯობათ. ბატონო. ვადაზიდეის ბიუროდან გახლავართ. თქვენი აუჯის ამოსატანად მოვედი.

**მოზინაღრე**. გამარჯობათ. გმადლობთ, ბატონო. თქვენი დამხმარეც აქ არის. (თითონ მარცხენა კარს უწვენებს).

**მეორე მტვირთავი**. კეთილი, წავალ და მიუხმარები. (სცენას გადაჭრის, მარცხენა კართან მიდის, ორ ტაბურეტსა და პატარა, ოცდაათიოდე სანტიმეტრის სიმაღლის ვაზას შეამჩნევს) ვხედავ, მუშაობა უკვე დაუწყია.

**მოზინაღრე**. დიახ, დიახ უკვე დაიწყო.

**მეორე მტვირთავი**. დიდი ხანია მოვიდა?



**მოგინადრა.** არა, რამდენიმე წუთია.

**მეორე მტვირთავი.** ბევრი დარჩა კიდე?

**მოგინადრა.** დიახ, საკმაოდ.

(მარცხნიდან ხმაური ისმის. პირველი მტვირთავი კიბეზე ამოდის).

**პირველი მტვირთავი** (კულისებლად). მოხვედი? მოდი მომეხმარე.

(მეორე მტვირთავი მარცხენა კულისებში გადის. ერთ წამს ქრება, მერე მისი ზურგი გამოჩნდება, ისე იქცევა თითქოს დიდი სიძიმის ტვირთი მოაქვსო. მობინადრე კი ხელს ხან კელეხისკენ იშვერს, ხან იატაკისკენ, ხან საღ და ხან სად, თითქოს აუკვირს დასადებ ადგილებს ნიშნავსო).

**მოგინადრა.** ერთი... ორი... სამი... ოთხი... ერთი...

(შემოდის მეორე მტვირთავი, კიდე ერთი ცარიელი ვაზა შემოაქვს, ეტყობა, ძალზე მსუბუქია. ოღონდ, ორივე მტვირთავს ისეთი სახე უნდა ჰქონდეს, თითქოს დიდ სიძიმეს მოათრევენ, სიძიმისიგან ფეხებიც კი უნდა ვაკეციოდეთ).

**პირველი მტვირთავი.** მიდი, მიდი!

**მეორე მტვირთავი.** მაგრა მოკიდე ხელი!

**მოგინადრა** (აგრძელებს). ერთი... ორი... სამი...

**პირველი მტვირთავი** (მობინადრეს). ეს სად დაუვგათ?

**მოგინადრა** (მისკენ შებრუნდება). აქ დადგით... გუთაყვა. (თითოთ მარცხენა კარის მარცხენა მხარეს უჩვენებს, ძალიან ახლოს რამპასთან). მშვენიერია.

(მტვირთავები ვაზას დგამენ, ხელებს იფშვნიან, წელზე ხელს იღებენ, ქუდს იხდიან, შუბლს იწმენდენ. დრო და დრო კონსიერტის ხმა ისმის სხვა ხმებთან ერთად. მერე ნელ-ნელა წყდება).

**მეორე მტვირთავი.** ჯერჯერობით არა უშავს რა! კიდე რა არის?

**მოგინადრა.** დაილაღეთ, ბატონო?

**პირველი მტვირთავი.** არაფერი... მიწვეული ვართ... (მეორე მტვირ-

თავს.) დროს ნუ კარგავთ. წავიდეთ!  
(მტვირთავები მარცხენა კარისგან გადიან, ამასობაში მობინადრე დასარაკობს).

**მოგინადრა.** ერთი... ორი... სამი... ოთხი... ერთი... ორი... სამი... (სცენაზე აჩქარებული დადის, საგნების დასაწყობად ადგილს ეძებს, ზოგჯერ რულეტს ხმარობს, რომელიც გამუდმებით ხელში უკირავს.) ასე კარგი იქნება... ამას აქ დაუდებთ... იმას იქ... ასე...

(მარცხნიდან პირველი მტვირთავი შემოდის, ძლივს შემოაქვს კიდე ერთი ვაზა. მობინადრე სცენის მარჯვენა შორეული კუთხისკენ უთითებს, იქ დადგით. პირველი მტვირთავი მინიშნებულ ადგილზე დებს ვაზას, ამასობაში მობინადრე ითვლიბ).

ერთი... ორი... სამი... ხუთი... ერთი... ორი... შეიდი... კეთილი, ასე გამოდგება.

**პირველი მტვირთავი.** ასე ევარგება, ბატონო?

(შემოტანილი ნიეთები უფრო და უფრო დიდია, ამის მიხედვით მტვირთავების მოძრაობაც უფრო თავისუფალი ხდება, იგრძნობა, რომ არ ეშინებათ, დასასრულისთვის ისინი უკვე ერთობიან და გულს აფორლებენ).

**მოგინადრა.** დიახ, ბატონო, ასე კარგია.

(პირველი მტვირთავი მარცხნივ გადის, იმავე კარში, იმავე დროს მეორე მტვირთავი შემოდის, ისეთივე ვაზა მოაქვს, როგორც პირველმა შემოიტანა). იქით, გუთაყვა. (უჩვენებს რამპის მარჯვენა მხარეს).

**მეორე მტვირთავი.** აჰ, დიახ!

(ვაზას დგამს და მარცხნივ გადის. იმავე კარიდან შემოდის პირველი მტვირთავი, ორი ერთნაირი და ადრე შემოტანილი ტაბურეტების მსგავსი ტაბურეტი მოაქვს, ოღონდ პატარა ზომის).

**პირველი მტვირთავი.** ესენი სად დაეალავო, ბატონო?

**მოგინადრა** (მარჯვენა კარის მარჯვენა და მარცხენა მხარეს აჩვენებს). აქა და იქა, ცხადია.

**პირველი მტვირთავი.** უნდა მი-

ვხვედრილიყავი... (დგამს ტაბურეტებს).  
უჰ... ადგილი კიდევ რჩება?

(ერთ წამს ოთახის შუაში ჩერდება, მერე მარცხნივ გადის).

**მოზინაღრა.** ყველაფერი დაუტევა. ცხადია, ვინიერულად დაეალაგებთ...

**მეორე მტვირთავი** (მარცხნიდან შემოდის და ჩემოდანი მოაქვს). იქით, ბატონო?

(ფანჯრის მარჯვენა მხარისკენ მიემართება. მოზინაღრე შეაჩერებს).

**მოზინაღრა.** მომიტყევთ, მანდ არა, აი იქ... (ფანჯრის მარცხენა მხარეს უჩვენებს).

**მეორე მტვირთავი** (მიდის ჩემოდანის დასადგმელად). კარვით, ბატონო, ოღონდ სწრაფად ვაჩვენეთ ზოლმე ზუსტი ადგილი.

**მოზინაღრა.** შეეთანხმდით.

**მეორე მტვირთავი.** ამაოდ რომ არ დაეიღალოთ!

**მოზინაღრა.** მესმის.

**პირველი მტვირთავი** (იმ დროს, როცა მეორე მტვირთავი მარცხნივ გადის, ერთფეხიანი მრგვალი მაგიდით მარცხნიდან გამოჩნდება). ეს სადღა?

**მოზინაღრა.** დიახ, დიახ... მაგისტრებს ადგილის მონახვა არც ისე ადვილია.

**პირველი მტვირთავი.** იქნება აქა, ბატონო? (მაგიდა ფანჯრის მარცხენა მხარეს მოაქვს).

**მოზინაღრა.** მშვენიერი ადგილია. (შემდეგ უნდა შემოიტანონ სხვადასხვა ფურისა და ფორმის მაგიდები). დიახ.

(პირველი მტვირთავი მაგიდას დგამს და გადის).

**მეორე მტვირთავი** (შემოდის და შემოაქვს მაგიდა). ესა?

**მოზინაღრა** (პირველი მაგიდის მარცხნივ უჩვენებს ადგილს). აქეთ, გთხოვთ.

**მეორე მტვირთავი** (დგამს მაგიდას). დასაჯდომი ადგილიც აღარ დარჩება!

**მოზინაღრა.** გათვალისწინებულია. ესეც გათვალისწინებულია.

**მეორე მტვირთავი** (ათვალყუ-

რებს სცენას). რაღაც ვერ ვხედავ. ადგილი სულ აღარ დარჩა!

**მოზინაღრა.** დედა!

**მეორე მტვირთავი.** მე რა შეხატება. თქვენ იცით, თქვენი საქმისა.

(გადის მარცხნივ, ამ დროს პირველი მტვირთავი შემოდის და შემოაქვს მაგიდა).

**მოზინაღრა.** ამათ გვერდით. (ვიდრე პირველ მტვირთავს მაგიდა მოაქვს და გადის, მის შესახვედრად გამოჩნდება მეორე, ამასობაში მოზინაღრე სცენის ცენტრში ცარკით წრეს ხატავს, მერე უფრო დიდს, ხატვას შეწყვეტს, რომ მეორე მტვირთავს მაგიდის დასადგმელი ადგილი უჩვენოს.) იქით, კედელთან, დანარჩენების გვერდით. (მეორე მტვირთავი მაგიდას დგამს. მოზინაღრე წრის ხატვას ამთავრებს და დგება.) აი, ასე კარგი იქნება. (მეორე მტვირთავი გადის, შემოდის პირველი და მაგიდა მოაქვს.) დანარჩენების გვერდით! (ადგილს აჩვენებს. პირველი მტვირთავი მაგიდას დგამს და მარცხნივ გადის. მოზინაღრე ერთ წამს მარტო რჩება და შემოტანილ მაგიდებს ითვლის.) დიახ, დიახ, დიახ... ახლა საჭირო იქნება... (მარჯვნიდან პირველი მტვირთავი შემოდის, მაგიდა შემოაქვს.) წრეზე... (მარცხნიდან მეორე მტვირთავი შემოდის მაგიდით.) წრეზე...

(პირველი მტვირთავი მარცხნივ გადის და მარჯვნიდან შემოდის. მეორე მტვირთავი მარცხნიდან შემოდის და მარჯვნივ გადის, შემოაქვთ და შემოაქვთ მაგიდები და სხვა საგნები: სკამები, შირბები, ლამპები ვრძელი დასადგამებით, შეკრული წიგნები... ისინი წრაულად მოძრაობენ. ერთ-ერთი მტვირთავი სცენაზე აუცილებლად არის).

**მოზინაღრა.** ყველაფერი წრაულად... ყველაფერი წრაულად... ირგვლივ... (პირველი წრე რომ საგნებით აივსება, მოზინაღრე პირველ მტვირთავს, რომელიც ცარიელი შემოდის.) ახლა შეგიძლიათ კიბეები მოიტანოთ. (პირველი მტვირთავი იმავე კარში გადის, საიდანაც შემოვიდა. მეორე მარჯვნი-

დან შემოდის.) კიბე! (მეორე მტვირთავი იმავე კარში გადის, საიდანაც შემოვიდა. მოზინადრე აქეთ-იქით იფურება, ხელებს იფშენებს.) ესეც ასე. ფორმას იღებს. ძალზე მოხერხებული იქნება. ცუდი არ არის.

(მოპირდაპირე მხარეებიდან, თავთანით კარებებიდან ორივე მტვირთავი გამოინდება. მოზინადრე მათ ანიშნებს როგორ უნდა გაიარონ: მარცხნიდან შემოსული — მარჯვნივ; მარჯვნიდან შემოსული კი მარცხნივ).

**პირველი მტვირთავი.** გასაგებია!

**მეორე მტვირთავი.** გასაგებია! (მტვირთავები გადაჭრიან სცენას და თავიანთ კიბეებს კვლავზე ააყუდებენ).

**მოზინადრე.** კიბეები მანდ იყოს! ახლა სურათები მოიტანეთ.

(მტვირთავები მარჯვნივ და მარცხნივ გადიან. მეორე მტვირთავი გასვლისას ერთ-ერთ წრეს დააბიჯებს.) ფრთხილად, წრე არ გამოიფუკოთ.

**მეორე მტვირთავი.** დიახ, დიახ, ვეძღვები.

**მოზინადრე.** ფრთხილად იყავით! (მეორე მტვირთავი გადის. მოპირდაპირე მხრიდან პირველი შემოდის და უზარმაზარი სურათი შემოაქვს, რომელზეც მოხუცის საზარელი სახეა დახატული.) ფრთხილად, ჩემს წრეს არ დააბიჯოთ.

**პირველი მტვირთავი.** ვეძღვები. არც ისე მოსახერხებელია, როცა ტვირთით მოდიხარ.

**მოზინადრე.** ჩამოკიდეთ სურათი.

**პირველი მტვირთავი.** კარგით, ბატონო. (ადის კიბეზე და სურათს ფაქიზად ჰკიდებს).

(მეორე მხრიდან მეორე მტვირთავი შემოდის და სურათი შემოაქვს, რომელზეც ბებრის საშინელზე საშინელი სახეა დახატული).

**მოზინადრე.** ჩემი წინაპრები. (მეორე მტვირთავს.) აძვერით კიბეზე და ჩამოკიდეთ სურათი.

**მეორე მტვირთავი** (კიბეზე ადის, ხელში სურათი უჭირავს). ხათაბალაა, ეს თქვენი წრეები. მით უფრო ხათაბა-

ლაა, როცა მძიმე საგნებს მოადრევე განაგვლაფერს მიაქცევს ჩქარად დადგას. (სურათის ჩამოკიდებაში იჭყვინტის) **მოზინადრე.** არაფერია, სურვილი იყოს და...

(მოზინადრე სცენის ცენტრში გამოვა, თავს ძალდა ასწევს და ისე იფურება. ამასობაში მტვირთავები სურათებს ჰკიდებენ. მოზინადრემ შეიძლება რომელიმე საგანი მიაცუროს და ცარცით წრე უფრო კარგად დაატყოს. გველაფერი ეს მდუმარედ ხდება. მხოლოდ სუსტად ისმის რაღაც ხმები და ხმაური, ჩაქუნის კაკუნი, ქუნის ყრიაპული, მეორე ნელ-ნელა გველაფერი მუსიკად უნდა იქცეს. მოზინადრე კმაყოფილი შესცქერის სურათებს. მტვირთავები სამუშაოს ამთავრებენ. მოზინადრე ჰერეტიკთაა გართული. მტვირთავები ჩამოდიან კიბეებიდან; კიბეები მიაქვთ და სადღაც დგამენ, მაგალითად, მარჯვენა და მარცხენა კარებებთან. მეორე მოზინადრესთან მიდიან, რომელიც ხან ერთ საგანს უფურებს, ხან მეორეს).

**პირველი მტვირთავი** (სურათებს უჩვენებს). რიგიანად არის?

**მოზინადრე.** რიგიანადაა.

**მეორე მტვირთავი.** მგონი, კარგია.

**მოზინადრე.** კარგად იფურება. (პაუზა.) მძიმე ავეჯი შემოიტანეთ.

**მეორე მტვირთავი.** დალევა მინდა... (შუბლს იფშენდს.) პირი გამოიშრა.

**მოზინადრე.** მაშინ ბუფეტით დავიწყოთ. (ორივე მტვირთავი მარჯვენა კარისკენ მიდის. მოზინადრე ფანჯრისკენ შებრუნდება.) დიახ... აქა თუ აქ...

(ვიდრე მტვირთავები მარჯვენა კართან მივლენ, კარი თავისით გაიღება და რაღაც უხილავი ძალით ამოძრავებული ბუფეტი სცენაზე აღმოჩნდება. ვიდრე კარი მიიკეტება, მტვირთავები ბუფეტს ხელს სტაცებენ და თავს მოზინადრისკენ აბრუნებენ, რომელიც გვსტიმ აჩვენებს დასადგმელ ადგილს).

**ორივე მტვირთავი.** საით?

**მოზინადრე** (ზურგით მაყურებელი-





სკენ დგას, ხელით ფანჯარას უწევებს).  
იქით!

**პირველი მტვირთავი.** სინათლე აღარ შემოვა.

**მოზინადრე.** ელექტრონი, ხომ არის.

(პირველი მტვირთავი ბუფეტს ფანჯარასთან მიათრევს. ბუფეტი დაბალია და ფანჯარას ვერ ფარავს. მეორე მტვირთავი ერთ-ერთ კართან მიდის და ჩამოთვლეს აჭერს თითს, ჭერზე ნათურა ინთება, კარის ორ საგდულს შორის თითქოს თავისთავად შემოცურებულ ხურათს იღებს — მასზე ზამთრის პეიზაჟია დახატული — და ბუფეტზე დებს. ახლა ფანჯარა სრულიად დაფარულია. პირველი მტვირთავი ბუფეტის კარს აღებს, იქიდან ბოთლი გამოაქვს და სვამს, აწევის მეორე მტვირთავს, ეს კი მოზინადრეს სთავაზობს.) არა, არასოდეს.

(მუშები სვამენ, ერთმანეთს აწოდებენ ბოთლს, თან დაფარულ ფანჯარას უფურებენ).

**მოზინადრე.** ასე უკეთესია.

(ორივე მტვირთავი ხმას აგრძელებს და ბუფეტისკენ ისე შებრუნდებათ, რომ მაყურებლისგან ხამივე ზურგით აღმოჩნდება).

**პირველი მტვირთავი** (მოწონებით). ჰა-ჰა!

**მეორე მტვირთავი** (მოწონებით). ჰა-ჰა!

**მოზინადრე.** შილად არა. (სურათზე უთითებს.) არ მომწონს... შეაბრუნეთ!

(მუშები სურათს გადმოაბრუნებენ, გამოჩნდება მუქი ჩარჩო და თოკები. მტვირთავები ოდნავ უკან დაიხევენ, ბოთლიდან სვამენ, მერე მოზინადრეს აქეთ-იქიდან ამოუდგებიან, რომელიც მაყურებლისგან ზურგშექცევით დგას. ერთხანს ბუფეტსა და მასზე შემოდებული სურათს შესცქერის ვველა).

**მოზინადრე.** ასე უკეთესია.

**პირველი მტვირთავი.** ლამაზია.

**მოზინადრე.** ლამაზია და უფრო უბრალოა.

**მეორე მტვირთავი.** ლამაზია და

უფრო უბრალოა.  
**მოზინადრე.** დიას...  
უფრო მკაცრი.  
**პირველი მტვირთავი.** აქ, დიას...

**მეორე მტვირთავი.** აქ, დიას...  
**მოზინადრე.** ასე არაფერი ჩანს.

**პირველი მტვირთავი.** ფაქტია, არ ჩანს.

**(ხიწმე).**

**მეორე მტვირთავი** (პაუზის შემდეგ, ბოთლს გადმოაბრუნებს). გათავდა.  
**პირველი მტვირთავი.** ბოლო წვეთი.

**მეორე მტვირთავი** (ხელში გადმოაბრუნებული ბოთლი უჭირავს მოზინადრეს). აღარაფერი დარჩა.

**მოზინადრე.** აღარც მე დამრჩა. (პირველი მტვირთავი მეორეს ბოთლს გამოართმევს, ბუფეტში შედებს და კარს მიკეტავს.) მეზობლებიც აღარ შეწუხდებიან.

**პირველი მტვირთავი.** ვველა-სთვის მოსახებრებელია.

**მეორე მტვირთავი.** ვველა კმაყოფილი იქნება.

**მოზინადრე.** ვველა კმაყოფილი. (წამიერი ხიწმე.) მუშაობას შეუდგეთ. გაეუბრძვით. ჩემი საკარბელი.

**პირველი მტვირთავი.** ხად დაეღვით?

**მეორე მტვირთავი.** ხად დაეღვით?

**მოზინადრე.** წრეში! (წრეს აჩვენებს სცენის ცენტრში.) წრეს ვეღარ გაიფუჭებთ.

**პირველი მტვირთავი.** უკეთ გამოჩნდება.

**მოზინადრე** (პირველ მტვირთავს). წაღით. (პირველი მტვირთავი მარჯვნივ წაღის. მოზინადრე მეორე მტვირთავს) ვარდისფერი ხის მძიმე ავეჯი მოიტანეთ.

(პირველი მტვირთავი მარჯვენა კართან მივა თუ არა, გამოჩნდება საკარბელი, რომელსაც მეორე მხრიდან ვიღაც აწევა. პირველი მტვირთავი საკარბელს იღებს, მეორე მტვირთავი მარჯვენა კართან მიდის, საიდანაც მაშინვე კარადა გამოჩნდება — სანახევროდ. მტვირთავი ხელს შემოხევეს და სცენის შუაში შემოათრევს. ნელა მოძრაობენ. ამ წუთიდან საგნები რეგრიგობით ჩნდება ორივე კარში, ოღონდ სანახევროდ. მტვირთავებს კი შიგნით შემოაქვთ; როგორც კი საგანი სრულად გამოჩნდება,



კარებებში მაშინვე ჩნდება მორიგი საგანი, მაგრამ ისევ სანახევროდ... პირველი მტკირთავი სავარძელს იღებს, ამ დროს მეორე უზარმაზარ, გვერდზე გადაწოლილ კარადას მოათრევს. პირველი მტკირთავი სავარძელს წრეში დებს).

**მოზინადრე** (კარადას დანახავს). ეს ვარდისფერი ხე რა ლამაზია.

**პირველი მტკირთავი** (სავარძელს წრეში დებს). კარგი სავარძელია.

**მოზინადრე** (სავარძლის გადასაკრავს სინჯავს). რბილია, მშვენიერი გაღასკრავია. (პირველ მტკირთავს). შემოიტანეთ, ბატონო, შემოიტანეთ.

(პირველი მტკირთავი მარჯვენა კარს უახლოვდება, სადაც უკვე დევს ვარდისფერი ხის მეორე კარადა და მოზინადრეს კითხვის თვალთ გადახედავს, სად დადგაო).

იქ!

(კარადები, შეიძლება ოთხიც იყოს, მოზინადრის მითითებით სამი კედლის გასწვრივ დალაგდება: ხან ერთსა და ხან მეორე მტკირთავს კარებში გამოჩენილი კარადები ოთახში შემოაქვთ და კითხვის თვალთ უყურებენ მოზინადრეს; ის თითოთ უჩვენებს სად დადგან — იქ! იქ! იქ!

ყოველ „იქ“-ზე მტკირთავეები თანხმობის ნიშნად თავს იქნევენ; კარადებს უფრო პატარა საგნები მოჰყვება: ისევ მაგიდები ვრძელი დივანი, დაწნული კალათები, რაღაც საგნები, რომელთა დანიშნულებაც გაუგებარია. ამ ნივთებს მიჯრით აწყობენ სამივე კედლის წინ დაგროვილ საგნებთან. მოზინადრის ირგვლივ წრე უფრო და უფრო ვიწროვდება. მოზინადრე სცენის შუაშია. ვველაფერი მძიმე ბალეტს უნდა გვაგონებდეს. მოძრაობა ნელდება. როცა მტკირთავეებს საგნები შემოაქვთ, სავარძლის ზურგზე დაყრდნობილი მოზინადრე ხელით აჩვენებს სად დადგან ისინი):

იქ... იქ... იქ... იქ... იქ... იქ... იქ...

იქ... იქ... იქ... იქ... იქ... იქ... იქ...

იქ... იქ... იქ... იქ... იქ... იქ... >

(ეს თამაში დიდხანს უნდა გაგრძელდეს. დასაწყისში არაბუნებრივად მტკირთავი უნდა მიდიოდეს მტკირთავის რიტმი ვადავიდეს; დგება წუთი, როცა პირველ მტკირთავს მარჯვნიდან რადიომიმღები შემოაქვს, კითხვის გამოხატულ შემოხედვაზე, მოზინადრე ოდნავ ვალიზიანებული პასუხობს): ოო, არა, ეს საჭირო არ არის.

**პირველი მტკირთავი**. არ მუშააბს.

**მოზინადრე**. მაშინ არა უშავს. აქ დაკვით. (სავარძლის გვერდით ანიშნებს).

(პირველი მტკირთავი განკარგულებას ასრულებს და მარჯვნივ სხვა ნივთის მოსატანად მიდის. ამ დროს მარცხნიდან მეორე მტკირთავი შემოდის და ვედრო შემოაქვს).

ლიახ, ცხადია, აქ.

(სავარძლის მეორე მხარეს მიუჩენს ადგილს. მეორე მტკირთავი ვედროს დადგამს. ორივე მტკირთავი თავთავის მხრისკენ მიდის და ავეჯი შემოაქვს. მოზინადრის ირგვლივ წრე ვიწროვდება, თამაში, სრულ სიწუმეში, უსიტვეოდ მიმდინარეობს. კონსიერეთის ხმა, რომელიც გარედან ისმის, ნელა ქრება. მტკირთავეები უხმაუროდ მოძრაობენ. ავეჯიც ასევე უხმაუროდ ჩნდება. მტკირთავეებს ახალ-ახალი საგნები მოაქვთ, კითხვის თვალთ გადახედვენ მოზინადრეს, რომელიც უსიტვეოდ უჩვენებს მათ დასადგმელ ადგილს. ამ ახალ სცენაში ფესტები და მოქმედება მახინჯდება, გროტესკული ხდება. ეს სცენა შეიძლება დიდხანსაც გაგრძელდეს, წინა სცენაზე დიდხანს... ბოლოს, მეორე მტკირთავს იატაკზე დასადგმელი უზარმაზარი საათი შემოაქვს, ამ დროს პირველი მტკირთავი საგნების შემოტანას აგრძელებს. მოზინადრე საათს დანახავს და გაოცებული სახე გაუხდება, ფესტით აჩვენებს გაიტანეთ. იმ დროს, როცა მეორე მტკირთავს საათი გააქვს და სხვა საგანი მოაქვს, გამოჩნდება პირველი მტკირთავი აბსოლუტურად ისეთივე საათით. მოზინადრე ფესტით უკან აბრუნებს, მავ-

რამ გადაიფიქრებს).

**მოზინაღრამ.** თუშე, რატომაც არა?

(საათი სავარძელთან მიიქვს მოზინაღრეს ჩვენებით. მეორე მტვირთავს დადი, მაღალი შირმა შემოიქვს და სავარძელს უახლოვდება. პირველი მტვირთავიც გამოჩნდება და ზუსტად ამისთანა შირმა შემოიქვს).

**მეორე მტვირთავი.** მეტი არაფერი შემოეტყუა.

**მოზინაღრამ.** რატომ? (სავარძელში უდგება.) აი ასე.

(მტვირთავები მეორე და მესამე შირმას მოზინაღრეს სამი მხრიდან შემოუწყობენ. მაყურებელთა მხარე ღიაა. მოზინაღრე შლაპით ზის, სახით მაყურებლისკენ. შირმის იქით, გვერდით, მტვირთავები ღვანან და მოზინაღრეს ზემოდან დაჰყურებენ).

**პირველი მტვირთავი.** ყველაფერი რიგზეა? მოხერხებულად ხართ?

(მოზინაღრე თანზომობის ნიშნად თავს იქნევს).

სახამოუნოა, როცა საკუთარ სახელში ხართ, უფროსო.

**მეორე მტვირთავი.** უღუთოდ დაილაღეთ; ცოტა მაინც დაიხევენო.

**მოზინაღრამ.** გააგრძელეთ... კიდევ ბევრი დარჩა.

(ჩუმი სცენა. მოზინაღრე შლაპით ზის უმოძრაოდ, სახით მაყურებლისკენ. კარები ღიაა და უზარმაზარი პლანშეტებით ჩახერგილი, თითქოს უზარმაზარი კარადების უკანა მხარეებიაო. მარჯვენა პლანშეტი მწვანეა, მარცხენა იისფერი; ორივე მტვირთავი გახვეებული ღვას და ქუდაქვეშ კეფას იქეჭავს. ერთდროულად, ერთნაირი გაოგნებული ფესტი მხრებს იჩენავენ და დოინჯს შემოიფრიაბ. მეორე საგნებს შორის გაძერებიათ, თითოეული თავის კართან მიდის და ერთმანეთს გადახედავენ).

**პირველი მტვირთავი.** რა ვქნათ?

**მეორე მტვირთავი.** რა ვქნათ?

**მოზინაღრამ** (უმოძრაოდ). კიდევ ბევრი დარჩა? ვერ არ მოჩვენია?

(გაოგნებული პირველი მტვირთავი ხელს შლის, იგივეს აკეთებს მეორეც. მოზინაღრე უმოძრაოდ ზის და მშვიდად

ამბობს.) მთელი ავეჯი შემოიტანეთ? პირველი მტვირთავი ვთქვამს რებელია, ბატონო... **მოზინაღრამ.** რა?

**მეორე მტვირთავი.** დარჩენილი ავეჯი. ძალიან დიდია, კარებები დაბალია.

**პირველი მტვირთავი.** ვერ ეტევა. **მოზინაღრამ.** რა დარჩა?

**პირველი მტვირთავი.** კარადები. **მოზინაღრამ.** მწვანე და იისფერი? **მეორე მტვირთავი.** დიახ.

**პირველი მტვირთავი.** მარტო ვერ არა, კიდევ არის.

**მეორე მტვირთავი.** კიბე საესეკა ვერ გაივლი.

**მოზინაღრამ.** ეზოც საესეკა, ქუჩაც. **პირველი მტვირთავი.** ქალაქში ავტომანქანები ევლარ დადიან. ყველაფერი ავეჯით არის საესეკა.

**მეორე მტვირთავი.** თქვენ უფრო უკეთესად ხართ, დასაჯდომი ადგილი მაინც გაქეთ.

**პირველი მტვირთავი.** იქნებ, მეტრო მუშაობდეს.

**მეორე მტვირთავი.** აბა, როგორ. **მოზინაღრამ** (ზის). არა, არ მუშაობს. გვირაბებიც საესეკა.

**მეორე მტვირთავი** (მოზინაღრეს). რაღვნი ავეჯი გაქეთ! მთელი ქვეყანა აივსო.

**მოზინაღრამ.** სენაც აღარ მოდის. წყალი აღარ დარჩა.

**პირველი მტვირთავი.** რა ვქნათ, აღარაფერი ეტევა. ქუჩაში ხომ ვერ დატოვებთ?

**მოზინაღრამ.** გარეთ ხომ ვერ დატოვებთ.

(მტვირთავები ლაპარაკობენ, ოღონდ თავთავიანთ ადგილებზე ღვანან).

**პირველი მტვირთავი.** სხვენიდან ჩამოვართიოთ... მაგრამ ჭერის ჩამონგრევა მოგვიწევს.

**მეორე მტვირთავი.** აუცილებელი არ არის. სახლი თანამედროვეა. ჭერი კი მოძრავი. (მოზინაღრეს.) იცით ეს?

**მოზინაღრამ.** არა.

**მეორე მტვირთავი.** სულ ადვილია. ხელს ხელზე შემოაკრავთ. ასე.



(უწევნებს.) და ჭერიც გაიხსნება.

**მოზინაღრე.** არ გამოდგება... წვიმისა მუშინია, ავეჯს დამისხველებს. საგნები ახალი და სუსტია.

**მეორე მტვირთავი.** არავითარი საფრთხე, ბატონო. სისტემას უცნობ. ჭერი იხსნება, მერე იხურება. იხსნება, იხურება, სურვილის მიხედვით.

**პირველი მტვირთავი.** მაშინ შეიძლება...

**მოზინაღრე.** ოღონდ ერთი პირობით, დახურვა არ დაგაეციფდეთ. არავითარი დაუდევრობა.

**პირველი მტვირთავი.** არ დამაეციფდება. აქა ვარ. (მეორე მტვირთავს.) მზადა ხარ?

**მეორე მტვირთავი.** დიახ.

**პირველი მტვირთავი.** ასე რომ, მოვილაპარაკეთ, არა?

**მოზინაღრე.** თანახმა ვარ.

**პირველი მტვირთავი** (მეორე მტვირთავს).. მიდი.

(მეორე მტვირთავი ხელი ხელს შემოკრავს. ჭერიდან უზარმაზარი პლანშეტები ეშვება და სავარძელში მჯდარ მოზინაღრეს მაფურებლის თვალისგან იფარავს. შეიძლება ავეჯზეც ჩამოეშვას ორი-სამი პლანშეტი ან ორი უზარმაზარი კასრი. ახალი მოზინაღრე სრულიად ამოიქოლება და აღარ ჩანს. პირველი მტვირთავი ხელს ხელზე საძვერ შემოკრავს, მკერამ ამოღ. არაფერი ხდება. მაშინ კიბით იმ პლანშეტთან მიდის, რომელიც ცენტრს ფარავს, ხელში თაიგული უჭირავს, ოღონდ მაფურებლის თვალისგან დაფარავს ცდილობს. კიბეს მიაყუდებს პლანშეტზე, ადის, ქვევით იფურება და მოზინაღრეს ემახის.)

**პირველი მტვირთავი.** მზად არის, ბატონო, ვველაფერი თავის ადგილზეა. კმაყოფილი ხართ? კარგად მოეწვევთ?

**მოზინაღრის ხმა** (ისევე ისეთია, ოღონდ ყრუდ ეღერს). ჭერი. ჭერი დაკეტეთ, გთხოვთ.

**პირველი მტვირთავი.** დაკეტე

ჭერი. გთხოვენ. დაგაეციფდა.

**მეორე მტვირთავი** (სიწინასწარმეტყველიდან). აჰ, დიახ. (ხელს ხელზე შემოკრავს ჭერის დასაკეტად.) ესეც ასე მოზინაღრის ხმა. გამაღლობთ.

**პირველი მტვირთავი** (კიბიდან). თქვენ უკვე თავშესაფარში ხართ. არ შეგციათ... ვველაფერი რიგზეა?

**მოზინაღრის ხმა** (დაყოვნებით). რიგზეა.

**პირველი მტვირთავი.** თქვენი შლაპა მომეცით, ბატონო, ხელს გიმშლით.

(მცირე პაუზის შემდეგ შემოღობილიდან შლაპა გამოჩნდება.)

**პირველი მტვირთავი** (შლაპას ართმევს და შემოღობილში თაიგულს ავლებს). აი ასე. ახლა მოხერხებულად ხართ. და ეს თაიგულიც მიიღეთ. (მეორე მტვირთავს.) მზადაა.

**მეორე მტვირთავი.** ვველაფერი მზადაა.

**პირველი მტვირთავი.** კარგი. (მოზინაღრეს). ვველაფერი მოიტანეს, ბატონო, ახლა თქვენს სახლში ხართ. (კიბიდან ჩამოდის.) ჩვენი წახელის დროა. (კიბეს კედელზე მიაყუდებს ან ძალიან ფრთხილად დადებს დაგროვილ საგნებზე. მეორე მტვირთავს.) წავედით.

(ორივე მტვირთავი, ალაღბედზე, ხეინის სიღრმისკენ მიემართება. ფანჯარა გადაკეტულია, კიბეებიც, საიდანაც შეღობილი ფიცრები ჩანს. პირველი მტვირთავი ხეინის კედელს მიადწევს, შლაპა ისევ ხელში უჭირავს, და ჩერდება.)

**პირველი მტვირთავი.** რამე ხომ არ გჭირდებათ კიდევ?

(სინუმე).

**მეორე მტვირთავი.** რამე ხომ არ გჭირდებათ კიდევ?

**მოზინაღრის ხმა** (პაუზის შემდეგ). ჩააქრეთ სინათლე.

(სცენაზე სიბნელე ჩამოწვება).

გამაღლობთ.

ფრანგულიდან თარგმანად  
დავით კახაბერაძე.

ფარდა.

ლელა მაისურაძე

## ტკივილიანი რომანი

„სჯობს თავიდანვე ეაღიარო, რომ ჩემს მონათხრობში განცდას მაინც განსხვავება სჭარბობს, ნამოკმედარს – ნაფიქრალი“, – წერს ოთარ ჭილაძე თავის მეხუთე რომანში „აველუმი“.

ვინც ოთარ ჭილაძის შემოქმედებას იცნობს, ამ ნათქვამს, ჩვეულებრივ, კონონოპიურებად მიიჩნევენ; მაგრამ ეს სიტყვები, განსაკუთრებით, მეხუთე რომანს, „აველუმს“ შეეფერება. „აველუმი“ ჩვენს გუშინდელ ტკივილიან წარსულს ეხება. აქაა 1956 წლის 9 მარტი, 1988 წლის მიწისძვრა, სენათის ზეგვები, აჭარის დამუწვევა, სამეგრელოს წყალდიდობა, 1989 წლის 9 აპრილი, სამანაბლო, აფხაზეთი, 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის ამბები... აქაა აღწერილი ის ეპიცი, როცა „პაველ საველდ იქცა“ და არა პირიქით, როცა უთვალავი ისტორიული თარიღი დაუგროვდა ჩვენს ქვეყანას, „ასე რომ, ვერც კი ვაიგებ, როგორ გარბის დრო ერთი ისტორიული თარიღიდან მეორემდე. არადა... ვველა მეორე დღე აღსანიშნავია – ან სამელოვიარია, ან საზეიმო-ეტყობა, რაც უფრო პატარაა ქვეყანა, მით მეტი ისტორიული თარიღი იქვს, და რაც მთავარია, აღსანიშნავად ვველა ერთნაირად სახიფათოა, ვინდაც საზეიმო იყოს, ვინდაც სამელოვიარო“... ესაა ერთგვარი შემატანე ჩვენი ცხოვრების

ბოლო ათწლეულისა. ესაა „აველუმი“ ანუ მიმდინარე პრესის მიმოხილვა რამოდენიმე სასიყვარულო თავგადასავლის ფონზე.

80-90-იან წლებში ბევრი რამ გადავსადა. ბევრი ლიტერატორი, ვინც ყოველი ფაქტის აღნუსხვას, დროისათვის ფეხის აწყობას ცდილობს, უფრო და უფრო ემზგავსება პუბლიცისტს, ხოლო ლიტერატურა – პუბლიცისტიკას. ამიტომაც ავტორს ერთგვარი თავის გასამართლებელი ქვესათაურიც შეურჩევია. მაგრამ ეს არაა პუბლიცისტიკა, ეს არაა პრესის მიმოხილვა. ესაა სწორედ რამდენიმე სასიყვარულო ისტორია. და რადგან პრესა ყველაზე უკეთ უწვობს ფეხს თანამედროვეობას, ეს ისტორიაც დაძაბულია და ქაოტური.

„აველუმი, ოთარ ჭილაძისეული განმარტებით, შუშურული სიტყვაა და თავისუფალ, სრულფელებიან მოქალაქეს ნიშნავს. არც ისაა გამორიცხული, რომ ეს სიტყვა ავტორისავე გამოვონილი იყოს. მაგრამ ეს მის მნიშვნელობას არ ცვლის.

რომანის გმირი აველუმი, ე.ი, თავისუფალი, თუცა ბოროტების იმპერიაში დაბადებული და, ამდენად, საძუღამო ტყვეობისათვის განწირული. იგი ისე დადის სამშობლოში, როგორც დედალუსი მინოსის ლაბირინთში და მი-



თოსური გმირივით აკონწებს გასაფრენ ფრთებს. აველუმი იმ ქვეყანაში დაიბადა, სადაც გაჩენისთანავე ჭაობში ცურვასა და ფინთვას სწავლობდნენ. ის კი მუდამ ფრენაზე ოცნებობდა. „დაფრინავდა“ კიდეც. თავისუფლება ხომ ისაა, უფროოდ იფრინო. ამიტომ წერს ავტორი — „ის დაბადებით აველუმი გახლდათ, ჩვენ კი... მხოლოდ ვაკელებობდით“. დიან, „გაფრენის სურვილი ადამიანობის ნიშანია, მაგრამ ადამიანი თვისება არ არის“. ამის გამო, აველუმს ხშირად სდებენ ბრალს უგონო ვაიფელაღუსობაშიც.

„შენ დედალუსად წარმოვიდგენია თაკი“, — წერს ფრანსუაზა პარიზიდან.

„შენ რა გენაღვლებოდა, იკონებდი რაღაცას რომანისათვის, გასართობად, მაგათ კი მართალი ევონათ“, — ეუბნება მელანია.

აველუმს კი გამოგონება არ სჭირდება. იგი მართლაც, თავისი რომანისავე გმირი დედალუსია, ოღონდ ესაა, თავის რომანსა და რეალობას შორის ზღვარის დადება უძნელდება. ამიტომ გამუდმებით ცდილობს წარხელში შეტრუნებას, არა იმიტომ, რომ დამიჯლოს, არამედ იმიტომ, რომ მომავალი იპოვნოს. სხვა არაფერ, თუ არა თავად იყო „კრეტას აქოთებელი ლაბირინთიდან“ დღევანდელიობაზე წინაპრებთან ერთად მოსული. მისი სული მარად თავისუფლების ძიებაშია. აველუმს ხსნის ერთ-ერთ გზად სიყვარული მიაჩნია. ქმნის კიდეც სიყვარულის პატარა იმპერიას. ანუ თავის, ადამიანურ იმპერიას „ბოროტების იმპერიაში“. მაგრამ ამით თავად უფრო იტანჯება. ვინც არ უნდა იყოს მასთან — სესილი, ფრანსუაზა თუ სონია, — გული მაინც შინისაკენ, თავისი ფოვლისმიმტვევებელი მუდლისაკენ, მელანიასაკენ მოუწევს. მელანია ეუბნება კიდეც, „შენთვის სიყვარულიც უბედურებააო“ და აველუმსაც, თავისი დიდი წინაპარი პოეტის მსგავსად, შეუძლია გაიმეოროს:

„ვერღა აღმივო სიყვარულში“

ვერღა აღმივო სიყვარულში

სიყვარული ვერ აღმივო სიყვარულში. მისი უბედურების, უსასოობის გადასაწონად ეს უანგარო გრძნობაც ცოტაა.

რომანის ერთ-ერთი მთავარი გმირია ეკაეკატერინეკატო. იგი მხოლოდ შეიღლი კი არაა აველუმისა, არამედ — აველუმის წაბაძეთი ცაში აღრეწილი თაობაცაა. ისინი მხოლოდ ვარეგნული თვალთ ხედავენ და აღიქვამენ მოვლენებს. ფრენის სურვილი რომ ფრენის ცოდნას არ ნიშნავს, აველუმმა მშვენიერად იცის. მაგრამ არ იცის მისმა შეიღმა და მისი შეიღის თაობამ. მათ ხულსწრაფად მოიარგეს ხელოვნური ფრთები, იკაროსივით მეტისმეტად მაღლა აფრინდნენ და ფრთებდაღწეილი დაუნარცხნენ მიწას. მათ არ უწვოდნენ, რომ „ხელოვნური ფრთებით მაღლა კი აფრინდება, მაგრამ ქვერში დიდხანს ვერ გაჩერდება“... მათ ჯერ კიდეც ბევრი რამ არ იცოდნენ. არც ის, რომ „შინისის ლაბირინთიდან“ მხოლოდ ფრთებით ვერ დაღწევდნენ თავს. იმპერიამ კი „გადმოვადო თავისუფლება“, მაგრამ როცა ნამდვილი თავისუფლება მოიხურევა, იმავე იმპერიამ „ტანკების შეხმაცკიბლებული, შეთანხმებული გრუხუნ-გრუხუნით კიდეც უფრო დააყრუა ისედაც ყრუ ქვეყანა, უფრო სწორად, დიდი ხნით შეუბრუნა სიყრუე ძლივს ყურგამოჩინქნილსა და თვალში გამოხედილს“. მაღწია კიდეც მიზანს. შეიღის ხამებნელად გამოხულ აველუმს თავზარდაცემული პატარა ბიჭი ხედება მეტროს ესკალატორზე. იგი უბრალოდ კი არ ჩარბის, თითქოს ხამუდამოდ ქვესტნელისაკენ ეშვება. ეს უკვე საბოლოოდ დაშინებული თაობაა, რომელმაც ხელახალი ორმოცი წელი უნდა გაატაროს უდაბნოში. მათ ისევ სჭირდებათ ახალი მოსე... მაგრამ „ახლა ისეთი დროა, გმირის ნემსიც სანთლითაა სამებარო...“

ეკაეკატერინეკატოს ფრთა მხოლოდ საკუთარი ხელით შეკერილი დროსა იყო.

თუმცა „დროშაც ფრთაა“, ოღონდ — ცალი. ტანკზე შეხტომაც გაფრენის ტოლფასია, უფრო ტრაგიკული, ვიდრე ნამდვილი გაფრენა. ამიტომაც ფრთბ-დამსხვრეული, სულიერად დამახინჯებული, დასაყრბული (ეს ზომ ხელის ფრთაა) ეკაეკატერინეკატო ოთახის კუთხეში თოჯინასავით ფეხებგაფარჩხული ზის, მამის ხორცშესხმულ სინდისის ქეჩხნად, ცოცხალ ყვედრებად.

ეკაეკატერინეკატო თავის უსუსურობას მამას აბრალებს, უმოქმედობაში სდებს ბრალს. მისი აზრით, აველუმი მხოლოდ საკუთარი თავის გადარჩენას ცდილობდა. როგორც ყოველ რევოლუციას სჩვევია, ახალთაობას ძველი გზით სიარული მკრებელობად მიაჩნია, ახალი კი ჯერ არაფერი შეუქმნია. ზოგი ეკაეკატერინეკატოსავით იბნევა, რაკი რეალობაზე დამყნობილმა წინაპრების ჩანერვილმა სულიერმა იდეალმა ვერ იხარა, მოჩვენებითმა თავისუფლებამ მოატყუათ. ვეღარ იმჩნევენ, რომ „პავლე სავლედ იქცა“, ახალგაზრდებისათვის დამახასიათებელი მაქსიმალიზმით მოითხოვენ ყველაფერს ან არაფერს!

— ფუნქციონერი კომუნისტებიც ჩვენს მხარეზე დგანან! — აცხადებს ეკაეკატერინეკატო. მისთვის ახლა მთავარია ყველასათვის დასანახი, შესამჩნევი თვალშისაცემი, თუნდაც მოჩვენებითი თანაგრძნობა. იმას კი ვერ ხედავს, რომ ზოგიერთისათვის ცხოვრებისათვის ფეხის აწყობა ორი საბრალო დედაბრის საცოდავ, გაუთავებელ როკვას ემსგავსება. იმ დედაბრებისა, რომელნიც თუნდაც ერთი, მხარეზე დროშავადებული კაცის ჩაულისთანავე აიუანზე გამოცვივლებოდნენ ქრელი ჭინჭუბის ფრიადლით.

თაობის იდეალი გაფერმკრთალებულია. არ იციან, რისთვის იბრძვიან და ზედიზედ „ტყაპატყუბით ცვივიან ციდან თანამედროვე იკაროსები“. ჩვენ კი სწორედ მიწიდან ცაში აფრენილი თაობა ვკვირდებთ და არა ციდან ჩამოცვივნილი. ესენი სწორედ ის ხელოვნური ადამიან-

ნები არიან, რომელთა გამოყვანისაც იმპერია ცდილობდა. რაფაელს ქვეყნად იცოდა, ხელოვნური მტრად მოიხსენიების რტოს ვერ მოიტანდა“. ვითომაფრენილებს ხუსტ მკლავებზე მორგებული ხელოვნური ფრთები მხოლოდ „თბილ“ ქვეყნებში გადასაფრენად, გამოსახამთრებლად არგიათ. იქიდან კი დობრუნდებიან თუ არა, საკითხავია. იქნებ ისინიც იმ თითო-ორილა უცხოურად განსწავლულ-განათლებულს დაემსგავსნონ, საუკუნის დასაწყისში, ვიდეცამ რომ გააბრივია და საზღვარგარეთ გაიტყუა. ისინი კი სულ ბარგზე იხხდნენ, დასაბრუნებლად გამზადებულნი, ამიტომ ვერც ემიგრაციად იქცნენ, ვერც ვერაფერი მოახსრეს, გადაგვარების გარდა.

თავისუფალი ადამიანი ფრთებით უნდა დაიბადოს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ე.წ. „მინოსის თეატრის“ ეპიზოდი. ეს ამბავი, თითქოს, თავად აველუმის რომანშია მოთხრობილი. ლაბირინთში ჯერ მხოლოდ თავისუფლებაზე ფიქრი დაიბადა. შემდეგ — ფრთიანი ბავშვი. დამფრთხალმა მშობლებმა მაშინვე წააჭრეს ეაზის ფოთლებისხელა ფრთები, მაგრამ ჭრილობიდან ამოხეთქილმა სისხლმა ლამის წალეკა კრეტა... აი, აქ იწყება ყველაზე საშინელი რამ, ყრმათა ფლუტვა. თავს ეროად უფრიან ახალმლოვინებულ თუ მოსალოვინებულ ქალებს. ჩხრევენ სახლებს და ოუ სადმე ფეხმძიმე ქალს იპოვიან, მთელ ოჯახს ზოცავენ, გვამებს კი „მინოსის თეატრში“ აგზავნიან. სადაც მოავარ როლს ღორები ასრულებენ. ეს ამაზრხენი სანახაობა ხალხის სიზმარში გადადის. შიშისაგან წამხდარი კაცები რა სისამაგლეს აღარ ხწამებენ საკუთარ ცოლებს, ოღონდ თავიდან აიცილონ ფრთიანი ბავშვის მამობა. ხალხს ცხოვრებისა ეშინია და სიცოცხლე ეჯავრება..

აველუმის ეს რომანი არც ფრანსუაზას ასვენებს. „იკაროსი უკვე დაიდუპა?“ — კითხულობს ერთ-ერთ წერილში, თავადაც აველუმის ჯერარშობილი შვილის დედა. ეს მისი შვილი იბადება

დაღუპულ იკაროსად, რადგან ვერასოდეს იგრძნობს ფრენის სიამეს, თავიდანვე თავისუფლების უფსკრულებში გადაეხილი.

ფეხშიძემ ფრანსუაზას ყველაზე ძვირფას კონტრაბანდასავით გადააქვს თავისუფლებაში აველუმის ნაწილი და ახლა მას ტანჯავს ხიზმრები. თითქოს, „მინოსის თეატრს“ ხასწაულად გადარჩენილი, თავად შობს ფრთოსან ბავშვს, რომლის ფრთების მოკვეცასაც თავად უკანონო მამა ცდილობს. „შეიცნო აველუმმა ფრანსუაზა და შვა ფრანსუაზამ აველუმის მარადიული სატკივარი“, — წერს ოთარ ჭილაძე. „მარადიული სატკივარი“ კი ბოროტების იმპერიაში ჩასახული, თავისუფლებაში გაჩენილი ქართული გენია. პირველი გაცნობისთანავე შეიღო თავის ნახატს ჩუქნის მამას. სურათზე კი პატარა გოგონა ხატია, რომელსაც მკლავების (თუ ფრთების) ნარჩენები აბია მხრებზე. იქვე მისი თოჯინა გდია, ისიც მკლავებდაწვეტილი, ვერც იგი გაიშვერს გოგონასაკენ ხელებს და, თავის მხრივ, ვერც ბავშვი დასწვდება სათამაშოს. ეს გენიც არათუ ფრთიანი, არამედ უმკლავებო, უხელო, ე. ი. უმოქმედო ხელთუყვარია.

ფრანსუაზა ვერ ათავისუფლებს აველუმს. (თურმე იგი, პირიქით, აველუმისაგან ელოდა ხსნას). მან მხოლოდ „ჯაჭვის რგოლები გაუმრავლა, მხოლოდ ჯაჭვი დაუგრძელა“ აველუმს. მოსკოვში ჩამოსული ფრანსუაზა უფრო მეტად „ტუსაღია“, ვიდრე აქ დაბადებულები. იგი შიშის მონაა. ყველანაირად ცდილობს ფეხი აუწყოს საბჭოურ ცხოვრებას, რომ არაფერი შენიშონ. ხომ აველუმის გამოა იქ, ხომ აველუმთან ორიოდე დღის გატარებისათვის იღვამს წლებზე ფეხს, მაგრამ მზადაა თავადაც ნასესხები თუ კარტში მოგებული ფულთი მასთან ჩასული აველუმიც შიატოვოს, ოღონდ საპატიმროს ეტიკეტი არ დაარღვიოს.

„— შე ხომ ყველაფერი ვიღონე, რომ ადამიანად გვეგრძნო თავი“, — ეუბნება

პარიზში ჩასულ აველუმს ფრანსუაზა, მაგრამ ვერ ხედება, რამდენად კონკრეტული ადამიანი კი არა, ისტორია, წარსული ედავება.

„თუ თავს ნებას მივცემთ და წუთით დაეუშვებთ, რომ ფრანსუაზა არის საფრანგეთის სახე — სიმბოლო, ხოლო სონია რუსეთისა, მაშინ მეღანაიც საქართველოს სახე — სიმბოლოდ უნდა წარმოვიდგინოთ,“ — წერდა ტარიელ კვანჭილაშვილი. აქ არაფერია საორტოლო, სწორედ ასე სიმბოლოურად აღიქმება „აველუმის“ თითოეული პერსონაჟი. საერთოდ. ლიტერატურაში ამა თუ იმ კონკრეტული პერსონაჟისათვის სიმბოლური დატვირთვის მინიჭება „არ ახალია“. თავად ოთარ ჭილაძის რომანებში კონკრეტულს ხშირად ენაცვლება სიმბოლური, რეალური სახე ახალ განზომილებებს იძენს და მათ შორის ზღვარის დადება ხშირად შეუძლებელია.

სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა აღევორიებით ცდილობდნენ სამშობლოს თანამედროვე სახის აღწერას. ამიტომ არავისთვის არაა მოულოდნელი, რომ ვრიგოლ ორბელიანი ეტლში მჯდომ, შორს მიმავალ სატრფოდ აღიქვამს საქართველოს, აკაკი — ქაჯეთის ციხე-სიმაგრეში გამოშწყვდეულ ნესტან-დარეჯანად, ვაჟა — დაჭრილ არწივად... არც ჩვენი საუკუნეა გამონაკლისი. სიმბოლო-სახეებითაა დაწერილი მიზეზილ ჯაეახიშვილის „ჯაფოს ხიზნები“.

აღევორიების მოზმობა უსასრულოდ შეიძლება. „აველუმში“ კი სწორედაც ფრანსუაზაა საფრანგეთის სახე-სიმბოლო, სონია — რუსეთისა, მაგრამ ჩვენი აზრით, მხოლოდ მეღანია კი არაა საქართველოს სახე-სიმბოლო, არამედ უფრო — აველუმი.

რომანში გვხვდება ასეთი ლექსი:

„ტაშკენტის შვიდში შფოთავს „ბუშია“  
გარშემო ისევ ცოდეის ბუშია,  
პური ცომია, ზორცი უშია,  
ქართველისათვის რომი გუმ-ია.  
აველუმი, ევერ რომ მიღის?  
აველუმი, აველუმი.“



ესა ერთგვარი გარეგნული, მე ეიტყობდი, შეგნებული რიტმული მსგავსება გალაკტიონ ტაბიძის ლექსისა „მშობლიური ეფემერა“:

„შეზავებია კლდეები კლდეებს,  
იქ ვიღაც კენესის დიდი ხანია,  
„ამირანია“? — მივმართავ ტყვეებს,  
და ტყე გუგუნებს: ამირანია!“

ამირანი კი საქართველოს სიმბოლოდ მოიაზრება უხსოვარი დროიდან. ამ სახეს ეხედებით ჩვენს კლასიკოსებთანაც გაეიხსენოთ აკაკის „კავკასიის მაღალ ქედზე მიჯაჭვული ამირანი“. აკაკი იმედოვნებს, რომ

„მოვა დრო და თავს აიშვეებს,  
იმ ჯაჭვს გაწვევებს გმირთა-გმირი“...  
ვაფა-ფშაველაც ოცნებობს  
„როდის ადგება ამირან,  
ჯაჭვ-აბჯრით შემოხილილი,  
ჩამოსდნობოდეს ვინული  
და უცინოდეს პირიო“.

ხოლო ბევრად გვიან გალაკტიონი იტყვის:

„მიჯაჭვული აქ იყო და  
აქ აეშვა ამირანი“.

„აწ კუალად პირველსა სიტყუასა ზედა მივიდეთ“, — როგორც იტყოდნენ ჩვენი ძველები. ოთარ ჭილაძე აველუმზე წერს: წლების განმავლობაში გულში მღეროდა და ბრაზობდა, რაკი მთები ბანს არ ეუბნებოდნენო (ამირანივით). „სიმარტოეის კლდეზე მიჯაჭვული“ აველუმაც ხომ „საკუთარი ღვიძლით კეუბადა“ თავის ნაფიქრალ-ნამოღვაწარს.

მელანია ნაწილია აველუმისა, როგორც თავად აველუმია ერთი მთელის ნაწილი. არ არსებობს მელანია აველუმის გარეშე და პირიქით. მელანია პენელოპეაზე დაუსრულებლად ქსოვს და არღვევს და გასარკვევია, თავისთვის იქსოვს თავშესაფარს თუ უბრალოდ, ძაფის გორგალს არ იშორებს, რომ არიადნესავეთ მიაშველოს ლაბირინთიდან თავის დაღწევის მსურველებს.

აველუმს (საქართველოს) უფრო აქოთებული ლაბირინთი მოსწონებული სტანჯავს, რომ მარღვებში „წვეს დადებული სისხლი უჩქევს“ ამ მარადიულ ტკივილს დაატარებს და სადაც არ უნდა წაივდეს, ყველგან ახსენებს თავს. ამას კი ვერც ფრანსუაზა მიუხედავად და ვერც სონია. რადგან მიზი ხეტუვებით გადმოცემა შეუძლებელია, ეს უნდა იგრძნო. მაშინ ფრანსუაზამაც და სონიამაც აველუმის ცხოვრება უნდა გაიარონ, როგორც მელანია. მხოლოდ მელანიას ესმის ყველაფერი, რაკი მათ ერთად აქედ გადატანილი თუნდაც 9 მარტიცა და 9 აპრილიც. ამიტომაც „არჩქვანზე თუ მიდგებოდა საქმე უმალ ფრანსუაზას შეეღეოდა, ვიდრე მელანიას... ფრანსუაზას ძირფესვიანად მოვლუჯილი უნდა გაეტანა აქედან, ხოლო მელანია თავად იყო იმ მიწის ნაწილი, რომელშიაც ფეხი პქონდა გადგმული“. მხოლოდ მელანიას შეეძლო ყურშას ერთგულებით ელოკა თავისი ამირანის ჭრილობა.

აველუმი სამშობლოსთან ერთად იყო დატყვევებული და სამშობლოსთან ერთად ცდილობდა გათავისუფლებას, რადგან უსამშობლოს, პარიზში თუნდაც დროებით „გაქცეულს“ მხრებზე ძონძებით კივდია ფრთების ნარჩენები.

და თუ აღამიანი „სულ ცოტა სამი თაობის ჯამია: პაპისა, მამისა და საკუთარისა“ მაშინ, ორიოდ საუკუნის უკან, ხულხან-საბა კი არა, თავად აველუმი გამოისტუმრეს ვერსალიდან ცარიელი დაპირებებით და იმედოდ მიხიონერი ბერები გამოაფოლეს. არა მხოლოდ მეფეებმა თუ მთავრობამ, არამედ თავად აველუმმა მიატოვა საქართველო და უპატრონო ქვეყანა ისევ ფიანდახად გავვო „მარადიულ მხსნელსა“ და „ქომაგს“, რომელიც, თავის მხრივ, ხან „გუბერნიას“ ეძახდა მოყვრებით, ხან — „რესპუბლიკას“.

საქმე ისაა, რომ ისტორია მეორედება და საფრანგეთს (ფრანსუაზას) არც ახლა შეუძლია საქართველოს შევლა.

მის არსებობას უფრო რომანტიკულობის ბურუსი ახლავს, ვიდრე რეალობისა. ფრანსუაზას მშობლები ამბობენ: — „იმას (ფრანსუაზას) კი სიგიჟემდე უყვარს საქართველო, თუმცა დაბეჯითებით თვითონაც არ იცის, მართლა თუ არსებობს ახეთი ქვეყანა.“

ესაა სწორედ საქართველოს ტრაგედია, მას გამუდმებით უხდება თავისი არსებობის მტკიცება.

ტარიელ კვანჭილაშვილი წერდა:

„თუ ცნობილმა მწერალმა ჩინგიზ აიტმატოვმა შექმნა გულისშემძვრელი ლიტერატურული ტიპი მანქურთისა, ვისაც ყველაფერი დააიწვეს — სახელიც, კვარიც, სადაურობაც, ვინაობაც, დედაც, თავისუფლებაც, ეროვნებაც და უგუნურ მონად აქციეს, ოთარ ჭილაძემ სწორედ ამის საპირისპირო ტიპი დაგვიხატა — თავისუფლების, ღირსების, ეროვნულობის დაკვივს ერთგული, დაღად მოაზროვნე, ძალადობის მოწინააღმდეგე, იმპერიის დამემობი ადამიანი, სრულფასოვანი მოქალაქე რომელიც, მთელი არსებით ცდილობს სიბნელის გარღვევას და სინათლეში გაჭრას. აველუში მანქურთის ანტიპოდი.“

აველუმს ბავშვობიდან სტანჯავს ერთი მოვლენა: საკეთარი პატარა დეგაანუქა, სხვას მიაშვილა, თუნდაც კუმანური მოსაზრებით, იმისათვის, რომ შიმშილით სიკვდილისაგან ეხსნა... ეს კე ხომ საქართველოს ისტორიის ერთი ტრაგიკული ფურცელია. რამდენჯერ

ვნებდებოდი, ვთანხმდებოდი საქართველოს ორად გაყოფას (თუ შეტად არა), რომ სრულ დაღუპვას გადაურჩენოდი.

შემთხვევითი არაა, რომ 1991-1992 წლების დეკემბერი-იანვრის ომში შეიღობის საძებნელად გასული აველუმში უკანასკნელად „მუზის“ ძეგლის ძირას ყოვნდება. ხულს ითქვამს, ბოლოს ძლივს წყდება ადგილს. ეს არაა მხოლოდ მოხსასვენებელ ადგილთან, ან თუნდაც ქანდაკებასთან განსორება. იგი-თითქოს ციდან მიწაზე ეშვება. ცაში ფრენის სურვილს, მუზის ტყვეობას აღწევს თავს. ამ დროს იგი უკვე ორადგაბლენილია და შეკვდარი, რაკი ცოცხალი ადამიანის ორად გაყოფა არ შეიძლება. ახვევ, იგი უკვე შეკვდარია, როგორც „მუსაზე საქართველოც“. რადგან, საქართველოსათვის ნებისმიერ შინაომში გამარჯვება დამარცხებას ნიშნავს.

ჩვენ შვებულებად არ ვუვლებთ პარალელს ოთარ ჭილაძის სხვა რომანებთან. ჩვენს მიზანი ამ ერთი რომანის ზოგადი მიმოხილვაა, მხოლოდ, თორემ სრულ განხილვას, რომელი წერილი დაიტევს.

„საბედნიეროდ, ყველა დიდი წიგნი დაწერილია“, — ამბობს ოთარ ჭილაძე „აველუმში“. მეგრამ რომანის წაკითხვისთანავე ვრწმუნდებით, „საბედნიეროდ, ყველა“ ჯერ არ დაწერილა და ოთარ ჭილაძე კიდევ ბევრ „დიდ წიგნს“ გვაზიარებს.



მერი ბაგრატიანი

## ჯალათისა და მსხვერპლის მეტაფორა მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს სიზნებში“

ქართველ მწერალთა ნაწარმოებებში მეტაფორა ზოგადაკობრიული და ზოგადეროვნული ცნობიერების უღრმესი ფენების გამოხატულებას წარმოადგენს. თავისი არსით მეტაფორა სამყაროს მხატვრულ მოდელს ასახავს და მთელი თავისი სტრუქტურით დაპირისპირებულია ერთიანობის მოდელის ჩამოყალიბებას ემსახურება.

დაპირისპირებულთა ერთიანობის მოდელი ტექსტების აქტუალიზაციას, სუბიექტური ხატის აქცენტირებას წარმოადგენს და თავს მიმდინარე თუ ნამყო პროცესებში ავლენს. ცნების გამოხატვის ფორმათა მრავალფეროვნებისა და გამომსახველობის თვალსაზრისით, მხატვრული ხატის ბუნება საგანგებო ფურადღებას იმსახურებს მხატვრულ ქსოვილში, ითვალისწინებს რა ცნებების მნიშვნელობათა მთელ პასუხისმგებლობას იმ ისტორიულ-კულტურული და იდეოლოგიურ-პოლიტიკური კონტექსტის მიმართ, რომელიც მას ბადებს.

მხატვრულ ხატსა და მეტაფორაში აზროვნებისა და განცდის სპეციფიკური ეროვნული და ინდივიდუალური უნარი ელინდება იმ ბრძოლის მეშვეობით, რომელიც ახლავს აზრისა და განცდის, ცნებისა და რეალობის, აღსანიშნის და აღმნიშვნელის, ერთი სიტყვით, განსხვავებულ სტრუქტურათა დაკავშირებას.

ქართველ შემოქმედთა ნაწარმოებებში მეტაფორა წარმოადგენს სამყაროს ერთ-ერთ ფუნდამენტურ სტრუქტურას, როგორც მსოფლმხედველობრივი პრინციპი, ფსიქოლოგიური განწყობა, პოეტური მეტყველების არსებითი ნიშანი, ტექსტის მორგანიზებელი ძირითადი საშუალება.

მეტაფორა, როგორც მსოფლმხედველობრივი პრინციპი, სამყაროს ელემენტებს წარმოვიდგენს კავშირთა და ურთიერთობათა განუწყვეტელ პროცესში. როგორც ფსიქოლოგიური განწყობა, მეტაფორა უკავშირდება წარმოსახვის განსაკუთრებულ აქტიურობას და ახალი წარმოსახვითი ქვაზირეალობის შექმნას ხატის მეშვეობით. მეტაფორა, როგორც პოეტური მეტყველების არსებითი ნიშანი ეყრდნობა არა მოვლენათა შორის გარეგან მსგავსებას ან ლოგიკურ კავშირს, არამედ ემოციურ და პოეზიოლოგიურ შესაბამისობას. როგორც თხზულების მორგანიზებელი სტრუქტურა, მეტაფორა მონაწილეობს ცნებათა და მნიშვნელობათა დაკავშირებაში როგორც შინაარსის, ისე ახახვის დონეზე. მეტაფორა ყოფიერების ყველა დონის კავშირისა და ერთიანობის ინტუიციური შეგრძნების სახეობრივი გამოხატულებაა. მეტაფორულ პროცესში ინტუიციას ახალი სასიცოცხლო იმპულსები შემოაქვს ცნებასა და წარმოსახვა-



ში და იწვევს მათ გააქტიურებას. მეტაფორა აზრითა იმ შუქ-ჩრდილებს, განცდათა ნიუანსებს აღწერს, იმ ფარულ, სიღრმისეულ მნიშვნელობებს ამოატივტივებს, რომელთა არსებობაც ლოგიკური გზით არ მტკიცდება. რომანები „ჯაყოს ხიზნები“, „დიდოსტატის მარჯვენა“, „ჩაკლული სული“ თვითონ წარმოადგენენ მეტაფორებს, რომელთა მონაწილენი — აღსანიშნები და აღმნიშვნელები — ერთმანეთს ეტებენ უსასრულო სემანტიკურ ველში. მეტაფორა თავისუფლების იმპულსს უპირველესად წარმოსახვის სფეროში აღმოაქენებს, რითაც ხელს უშლის ხატის საბოლოო მნიშვნელობის ჩამოყალიბებას, რათა იგი უკან, სასიცოცხლო წრეში შეაბრუნოს.

ყველა ერს თვითგამოხატვის განსაკუთრებული ფორმა გააჩნია. ქართული ფენომენი ამ მხრივ გამოირჩეულია თავისი ორმხრივი უკიდურესობით. ორი ამპლიტუდა, რომელთა შორისაც ქართული ცნობიერება ვითარდება, ფალიბდება იმ ფსიქიკური დატვირთვის ფონზე, რომელსაც იღებს და იღებდა ქართული სული მძიმე ისტორიულ პერიოდებში. ყოველივე ეს მკაცრად აისახა ერის ფსიქოლოგიურ წყობაში, მის ზნე-ჩვეულებებსა თუ ეთიკურ-მორალურ ასპექტებში, ეს დაღდასმა ისე გაითავისა ქართულმა ფენომენმა, რომ მისი არსისგან განუყოფელი გახდა, ამიტომ გასაკვირი არ არის, მხატვრულმა სიტყვამ ყველაზე უკეთ გამოხატოს ერის შინაგანი სუბსტანცია.

„ჯაყოს ხიზნების“ ხელახალი ამოტივტივება, საზოგადოების სამსჯავროზე გამოტანა, მისი კვლევა-ძიების საგნად ქცევა ისტორიულ-პოლიტიკური და ეროვნული კრიზისის მოახლოების წინათგრძნობა იყო.

ნაწარმოებში ჩანს დაღლილი ცხოვრების ფსიქოლოგია, სადაც აღსასრული თვით აღამიანების ნებიდან მომდინარეობს და არა ფატალური ვარდუვალობიდან, თუმცა არც ბიოლოგიური გადაგვარების მომენტი გამოირიცხება. თვითურაზს არ ჰყოფნის ძალა ებრძო-

ლოს ამ ცხოვრებას. იგი დაღალა უკეთების მოლოდინმა. მისი მტკიცება მხოლოდ საკუთარი სიჭაბუკეების საშუალებაა. თავისი განსწავლელობის მიუხედავად, ვერ გრძნობს ვარდუვალობას იმ კლასის დეკრადაციისას, რომელსაც თავად ეკუთვნის.

პერსონაჟთა ფსიქოლოგიის გასახსნელად ყველაზე გამართლებულია განცდილი მტყველების, როგორც ფსიქოლოგიური გაშიშვლების, ყველაზე რადიკალური საშუალების გამოყენება. თუმცა პერსონაჟების სიმბოლიკა ამ შემთხვევაში უფრო მრავლისმეტყველია.

ქალი — ქვეყანა, მარგო — საქართველო, ანუ მსხვერპლი სოციალური ვითარებისა, რომლის პროდუქტია თვითმურაზიც — ქმარი, პატრონი, უმემკვიდრო, შუემდგარი და განუხორციელებელი მამა საქართველოსი. ისიც თავის მხრივ მსხვერპლია ჯაყოსი, როგორც სოციალური, მორალური, ფიზიკური აგრესიის სიმბოლოსი. ჯაყო — მოძალადე, განუვითარებელი სულიერი არსება, რომელიც ვერასოდეს შეძლებს თავისი არარაობის გაცნობიერებას, მას არ გააჩნია ის სულიერი საცეცები, რითაც შეძლებდა გარემომცველი საზოგადოება და მასში მიმდინარე მოვლენების ისე აღქმას, რაც მას საკუთარ უშწვნობას და არარაობას შეაგრძნობინებდა.

საერთოდ, პიროვნება — ფსიქოლოგიურ, მორალურ, სულიერ და გონებრივ განზოგადებათა შენაერთია. მარგოს საქციელს გარკვეული სულიერი უმწიფარობა ახლავს.

ყველაფერი წარმავალია. მარადიულია სინდისი, ზნეობრიობა, სხვისი ვაგების უნარი და სიყვარული. უძველესი აღმოსავლური ანდაზის მიხედვით: „აღამიანი მთელი ცხოვრების მანძილზე სამ გზას გადის: აქლემისას — როცა ყველაფერს დაითმენს, ღომისას — როცა თავს თავისუფლებას ანიჭებს და ბავშვისას — როცა სურს ყველაფერი დაივიწყოს, აპათიოს და ახალ ცხოვრებას შეუდგეს“.

მარგოს მოხერხდა ცხოვრების პირველი ეტაპი. აღარ სურს ძალით აღავშნული ბუნების მძიმე ტვირთის ზიდვა. ის ქალია უპირველეს ყოვლისა, და იდუმალი წყურვილი მის გულსაც სწავს. ქმრის აღერსის გარეშე ის მოტყდა, გარეგნულად წახდა, შინაგანი ძალის რწმენა, თვითშეფასება დაკარგა, თუმცა მას კვლავ ძალუძს მიიქციოს ყურადღება, მაგრამ უწინდებურად ეღარ. მარგომ როცა თავისი მარტოობა განჭვრიტა, გარკვეულ ხანს უფრო თვინიერი გახდა; იგი ხულიერად დაშორდა ქმარს. მათ შორის არსებულმა ფსევდოეთიკურმა ურთიერთობებმა სერიოზული დადი დაახვა მის ქალურ ბუნებას. მარგო ხულ სხვას ელოდა ცხოვრებისგან, როდესაც თვითმურაზს დასთანხმდა ცოლობაზე. მარგოსა და თვითმურაზის თანაცხოვრების გარკვეული დრო გავიდა. ინტიმურიად ორივე გრძნობს თავიანთი ურთიერთობის უპერსპექტივობას, თვითმურაზს არ შეუძლია იყოს ორსახოვანი იანუსი. მათ „უბარდვო ცხოვრებაში“ ჯაყოს ხელახალი შემოჭრა დაახლოებით ცისკრის იმ ვარსკვლავს ჰგავს, შეგვიანებულ მგზავრს გრძელი დამის მერე გათენებას რომ ამცნობს.

მარგოს ქვეცნობიერად მოსწონს ჯაყოს ყურადღება, მზრუნველობა, სწრაფვა, ახიამოვნოს მას. მაგრამ როგორც კი საქმე უფრო ინტიმურ ურთიერთობამდე მივა, იგი საკუთარ თავს შეუძახებს: „ხდექ“ იმისათვის, რომ დაუსაბუთოს ჯაყოს ეს „სდექ“ — მას ზნობრივ დამოძღვრებას უწყებს, რადგან იგი სულმდაბალი, ბინძური, საძაგელი და უხამსია. თვითმურაზი ერთი დანიავებული, გამოფიტული და უსიცოცხლო ადამიანია, რომელიც ძველი ღოგებით ცხოვრობს და ათასში ერთხელ თუ გაახსენდება, რომ მის გვერდით სიცოცხლით საესე ქალია. მარგო ხიამოუნებით საუბრობს ქმართან, ყურადღებას აქცევს, ზრუნავს მასზე. მაგრამ როგორ იღებს ამას კაცი? როგორც დაახლოების ნიშანს. იგი ხედავს, რომ ცოლის უხარია მახთან ურთიერთობა, უხარია, რომ მის გვერდითაა და გონებაშიაზვი-

ლობს. მარგომ იცის, რომ მისი ბუნება ბევრად მეტს მოითხოვს, „ქმრის“ „წილი“ მურაზს შეუძლია მისცეს მას. მარგო ყველანაირად ლავმავს თავის ბიოლოგიურ ბუნებას და საზოგადოებისათვის მიღებული მშვიდი და დახვეწილი ინტელიგენტის ცხოვრებით ცხოვრობს. თუმცა სულის ხიდრმეში კი მეტი თავშეუკავებლობა და ცეცხლი ეძებს შინიდან ამოფრქვევას და სისხლის ვულერი ვივინით ამოხუთქვას, მხოლოდ ამის შემდეგ იგრძნობს სულიც და სხეულიც ხაოცარ შვებას. ამიტომაცაა, რომ, ოდნავი გაძალიანების მერე ველური ჯაყოს მკლავებში მისი დედაკაციური ბუნება თავდავიწყების მორევს მიეცემა.

„ჩახვექილი გულიდან თითქო მძიმე ლოდი ავხსნა. გაღვიძებულმა ძარღვეებმა სიცოცხლის ფრიამული მორთეს და დუბელა სისხლმაც ნუნუნუხი ასტება. იგრძნო და გაივო მარგომ, რომ იმ დამიდან მას გრილ ხულში შარავანდედი ჩავსახა. რომ მისი დობებული ტანი ხაბურის შანთით დაიდალა, დაუტყვენელის სიხარულით გაიყვინთა და სხიენაკრავ კოკორივით გაიფურქნა“.

გადაიღახა წინააღმდეგობა სურვილსა და შესაძლებლობას შორის როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქოლოგიურ პლანში. მარგომ ძალადობა მიიღო, რადგან ეს მის ფარულ სურვილსაც წარმოადგენდა, იგი შინაგანად მზად იყო დალატისთვის და ეძებდა მოტივაციას, რომელიც მანამდე რეალურად არ არსებობდა. მოტივაციის ადგილი ფსევდომოტივაციამ და ცუდად შენიღბულმა აგრესიამ და სიძულვილმა დაიკავა. ქალი მხოლოდ მაშინ დალატობს, როცა უკვე ჯვარი აქვს დასპული პირველ სიყვარულს, — „ხელმწიფე მოკვდა, გაუმარჯოს ხელმწიფეს!“ — როცა ხელმწიფე ნამდვილად კვდება და სიყვარულის აღდგენის არავითარი შანსი არ არის, მისი „სიყვარული“ აღიქმება, როგორც შეცდომა, რომლის გამოც მარგო აგრესიის მსხვერპლი გახდა, გზაკვალარულმა, შესაძლებლობა მისცა მოწინააღმდეგეს ზაფანგში გაება. ურთიერთობის ასეთი ფორმა გულისხმობს ფარულ აგრესიას. მიზეზის



გაცნობიერება მომხდარის მიმართ მარგოს გარკვეულ ქცევას აყალიბებს. იგი, როგორც შედეგი, წარმოადგენს მისსავე რეაქციას და შეფასებას – რას განეკუთვნება მისი ქმედება – დანაშაულს თუ შეცდომას. მარგო აცნობიერებს დანაშაულს სწორედ „სასჯელის“ მიღების შემდეგ. დანაშაული, რომელიც ბედისწერის ნებით დაიგეგმა, დანაშაული აღარ არის, იგი შეცდომაა, პერსონაჟი კი – მსხვერპლია. ბედისწერა, როგორც შეცნობელი კანონზომიერების გარღვეული ნება, ადამიანებსა და მოვლენათა განვითარებაზე ბატონობს. მარგოც ნებადგება ბედისწერას – თავისზე ძლიერ ანონიმური ძალის მიუწვდომელ ნებას, რაც ნიშნავს კიდევ საკუთარი ფუნქციის უარყოფას, ანუ უარს ბრძოლასა და ძალისხმევაზე. ამის შემდეგ ქმართან მისი ურთიერთობა რთულსა და ევოცენტრულ თამაშს წარმოადგენს სივარულთან. მისი ქმედების ლოგიკა უპირატესად ფსიქოლოგიურ საფუძველს ეყრდნობა. მარგომ ვერ გაითვალისწინა ჯაყოს სულიერი დიაბაზონი და სექსუალურ მოთხოვნილებათა მონად იქცა. „დღისით ღირსებებისათვის უყვართ, ღამით – მანკიერებისათვის“. მარგომ მანკიერებისთვის / შეიყვარა გაუთღელი ხეპრე. ცდილობდა მისგან გამოეჩორკნა რაღაც, რომელსაც ვერასოდეს ჩაუდგამდა სულს, როგორც შემოქმედი, რადგან მისი სულიერი ინტერესები, ფროიდის თქმით, სექსუალურ ორგანოებამდე დაეიდა. მარგოს დაავიწყდა: „რომ დაიწვიონო, საამისოდ ყოველთვის მოიძებნება ვინმე, მთავარია, ვისთან გაიღვი-

ძებ“, და მარგომ ახალი ცხოვრების ახალმა მსხვერპლმა ვარიეტეტულ უაღიესი ჯაყოს მკერდზე, როგორც მსხვერპლზე, ისე გაიღვიძა. და ეს სურათი, ბუნებისა თუ ისტორიის შეცდომა, დასაბამი გახდა იმ მსხვერპლისა, რომელსაც თეიმურაზი ჰქვია (იგი უაღვილო ადვილას ქარის მიერ ვადმოვლებული და აღმოცენებული უიმედობისა და უმოქმედობის ნიშან-სიმბოლოა) და რომელსაც განაწენი, – ვაუთავებელი მოლოდინი, – ამ ორმა ჯალათმა ერთად გამოუტანა. მათი ილუზიური ძალაუფლება ვერ არბილებს იმ ბრძოლის სისასტიკეს, რომელიც მათ შორის დაიწყო. ეს ფსიქოლოგიური ომი თავიდანვე განწირულია, გამარჯვებული უკვე დამარცხებულია, დამარცხებული კი – ზნეობრივი თვალსაწიერიდან – გამარჯვებული!

ძველებრძნულ მითში სიზიფე ქვას მთაზე ეზიდება, მაგრამ ვერასოდეს აღწევს მის მწვერვალს. ქვა ყოველთვის ძირს ვორდება. ახე დაისაჯა სიზიფე რომელსაც თავისი შრომის დასრულების შესაძლებლობა წაართვეს.

სამივე პერსონაჟი სიზიფეს მაგონებს, ოღონდ სხვადასხვა ასპექტში. მათი ტრაგედია კანონზომიერი მოვლენაა.

ადამიანის შინაგან ფსიქიკურ სტრუქტურებში ყოველთვისაა მსხვერპლიც და ჯალათიც. გარკვეულ ეპოქებში კულტურულ და სულიერ მოთხოვნილებათა შესაბამისად რომელიმე მათგანის გააქტიურება და მისი მნიშვნელობის გაღრმავება ხდება, რის თვალსაჩინო მხატვრულ ილუსტრაციასაც მიხვილ ჯაყაბიშვილის „ჯაყოს ხიზნები“ წარმოადგენს.



## რუსი სამღვდლოების ბრძოლა ქართული ეროვნული კულტურის წინააღმდეგ

მეფის ხელისუფლება არ სჯერდებოდა საქართველოს პოლიტიკურ დამყრობას, მისი ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი იყო ქართველი ხალხის სულიერი ტრანსფორმაცია და სრული ასიმილაცია რუს ხალხში. ამიტომ ცარიზმი ებრძოდა ყველაფერს, რასაც შეეძლო ეროვნული ბრძოლის გამოხატვისა და განმტკიცების საშუალება ყოფილიყო: ქართულ ენას, სკოლას, თეატრს, მუსიკას თუ წიგნს, რომ არაფერი ვთქვათ საქართველოს ეკლესიაზე.

თავისი დიდმკვრობელები მიზნების მიღწევის ყველაზე მოხერხებულ საშუალებად მას მიაჩნდა ქართველი ხალხისთვის საკუთარი ეკლესიის მოშლა და მშობლიური ენის წართმევა, მისი რუსულით შეცვლა. ამისთვის კი, თავის მხრივ, საჭირო იყო ადგილობრივ საერო და სასულიერო სასწავლებლებში ქართული ენის ჯერ შეზღუდვა-შევიწროება, ხოლო შემდეგ იქიდან მისი სრულიად განდევნა. მაგრამ ეს უნდა მომხდარიყო არა ერთბაშად, არამედ თანდათანობით, არა აშკარად, არამედ შენიღბულად მანამ, სანამ დამკვრობელი რუსეთი საქართველოში საბოლოოდ არ განმტკიცებდა თავის პოზიციებს.

მეფის ხელისუფლების ერთგული და საიმედო, ახალი სამღვდლო კადრების მომზადების მიზნით 1817 წლის 1 ოქტომბერს თბილისში გაიხსნა სასულიერო

სემინარია, რომელთანაც დაარსდა აგრეთვე სასულიერო სასწავლებელიც. ეს სემინარია, მისი დამაარსებელთა მიზნების საწინააღმდეგოდ, შემდეგში იქცა მოწინავე, თავისუფლად მოაზროვნე ქართველი ახალგაზრდობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კრად. იგი დაამთავრეს ცნობილმა ისტორიკოსმა და არქეოლოგმა პლ. იოსელიანმა, იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა, ისტორიკოს-არქეოლოგმა დ. ბაქრაძემ, პოეტმა ვრ. ორბელიანმა, დიდმა პედაგოგმა ი. გიგებაშვილმა, აკად. ნ. ბერძენიშვილმა, იმერეთის ეპისკოპოსმა ალექსანდრემ, მწერალმა ან. ფურცელაძემ, პროფესორმა ალ. ცაგარელმა, პროფესორმა ვ. პეტრიაშვილმა და მრავალმა სხვამ.

სასულიერო სასწავლებლები გაიხსნა გორში 1818 წელს, ქუთაისსა და თელავში—1825 წელს, ახალციხესა და სიღნაღში—1832 წელს. სამეგრელოში ამ დროს არსებობდა 1 სასულიერო სასწავლებელი, ასევე გურიაშიც. 1894 წლის 18 სექტემბერს გაიხსნა ქუთაისის სასულიერო სემინარია. 1866 წელს სამთავროს მონასტერთან გაიხსნა სასულიერო წოდების ქალიშვილებისათვის ქართული სასწავლებელი, რომელიც 1879 წელს მცხეთიდან თბილისში იქნა გადატანილი და გადაკეთდა ქალთა ეპარქიულ სასწავლებლად. მსგავსი სასწავლებელი არსებობდა აგრეთვე ქუთა



ისში 1892 წლიდან. ეკლესიებთან, მონასტრებთან და თვით მღვდლების სახლებში არსებობდა სამრევლო სკოლები, ხოლო 1891 წლიდან ეკლესიებთან არსებობდა წერა-კითხვის შემსწავლელი სკოლები, რომელთა რიცხვი 1899 წლის 1 იანვრისათვის სულ 182-ს შეადგენდა, მასში სწავლობდა 5,807 მოსწავლე, ხოლო 381 საეკლესიო-სამრევლო სკოლაში XIX საუკუნის დამლევს სწავლობდა 13084 ვაჟი და 3986 გოგონა.

საქართველოში სასულიერო სემინარიებისა და სასწავლებლების გახსნით თვითმპყრობელობა თავის მიზნად არ ისახუდა ხალხის განათლებას. „ცარიზმის მიერ საქართველოში დაარსებული ყველა სასწავლებელი, როგორც სასულიერო, ასევე საერო, უპირველეს ყოვლისა, ემსახურებოდა ქართველთა გარუსების და თვითმპყრობელური ჩინოვნიკური აპარატისთვის ადგილობრივი კადრების მომზადების პოლიტიკას“.<sup>2</sup>

ამის ცხად დადასტურებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ 1872 წლის შემოდგომიდან საქართველოს სასულიერო სასწავლებლებში გაუქმდა ქართული ენის სწავლება. თუ აქამდე საქართველოს ყველა სახის სასწავლო დაწესებულებაში ქართული ენა საჯალდებულო საგნად ითვლებოდა (1864 წლიდან) და „გამოყენებული იყო როგორც რუსული ენის შესწავლა-დაუფლების არსებითი ფაქტორი“, ახლა იგი უბოდიშოდ იქნა სასწავლო პროგრამიდან გაძევებული. ცოტა უფრო გვიან, კერძოდ 1875 წელს საქართველოს ისტორია, რომელიც რუსეთის ისტორიასთან ერთად ისწავლებოდა, ახვეე ამოღებული იქნა ვაკეეთილების ცხრილიდან. ასეთი მდგომარეობა გრძელდებოდა 10 წლის განმავლობაში. ამას შედეგად მოჰყვა, ერთის მხრივ ახალგაზრდა სამღვდლო კადრების გარუსება, რასაც რუსი შოვინიზმი ასე ლამობდა. მეორეს მხრივ კი — ამ სასულიერო სასწავლებლების კურსდამთავრებულებს არ შეეძლოთ ქართულად მღვდელმსახურება, რამაც ქართველი მრევლის გაუცხოება და ეკლესიისა და

სამღვდლოების მიმართ გულგრილი დამოკიდებულების დამყარება ნებისმიერ შემთხვევაში.

ასეთ მდგომარეობას მოწინავე ქართველი ინტელიგენცია და სამღვდლოება ადვილად ვერ შეურიგდებოდა, იწყება მძაფრი ბრძოლა ქართული ენის გარშემო, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენდა ბრძოლას, ერთის მხრივ, რუსულ შოვინიზმსა და მეორეს მხრივ ქართულ-ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობას შორის, რომლის მიზანიც იყო ქართველი ერის, მისი ენის, მისი კულტურის, მისი სულიერი თვითმყოფობის გადარჩენა გადამთიელთა ავი და ბოროტი ზრახვებისაგან.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შინაარსად მაშინ ქართული ენის დაცვა იქცა და სწორედ ამის გამო ქართველი ინტელიგენცია და სამღვდლოება უპირველეს მოთხოვნად ამ ენისათვის შებრძოლ ძალად გვევლინება, რამდენადაც ენა იყო ქართული სახელმწიფოებრიობის გადარჩენისა და სოციალური ბრძოლის იარაღი.

ქართველი სამღვდლოებისა და ინტელიგენციის ბრძოლამ ქართული ენის დასაცავად მძაფრი ხასიათი მიიღო XIX საუკუნის 80-90-იან წლებში, რაც გამოწვეული იყო 1878-1901 წლებში კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი იანოვსკის აშკარა შოვინისტური კმედებით, რომელმაც 1881 წელს შეადგინა ახალი სასწავლო პროგრამა და გამოაქვეყნა ცირკულარი, რომელთა მიზნით ყველა ტიპის სკოლებში, დაწყებითი კლასებიდანვე უნდა შემოღებულიყო რუსული ენის სწავლება. დედა ენის სწავლება ქართულ სკოლაში არასავალდებულოდ იქნა აღიარებული, რის გამოც მას როგორც არასავალდებულო საგანს, მხოლოდ პირველ და ნაწილობრივ მეორე კლასებში ეთმობოდა უმნიშვნელო რაოდენობის საათები, ისიც მხოლოდ ვაკეეთილების ბოლოს, როცა ბავშვები ფიზიკურად და გონებრივად დაღლილები იყვნენ. 1895 წლის ცირკულარით ქარ-



თული ენა საესებით განიღვენს სკოლი-  
დან.

ამის მოთმენა შეუძლებელი იყო, იდ-  
ვოლოგიური მოწინააღმდეგე აშკარა შე-  
ტყუაზე გადმოდიოდა, საჭიროება მოით-  
ხოვდა სამღვდლოებისა და ინტელი-  
გენციის ერთობლივ დარაზმულობას სა-  
ერთო მტრის წინააღმდეგ. იანოვსკის  
წინააღმდეგ პირველმა აიმაღლა ხმა ქა-  
რთული ეროვნული განმათავისუფლე-  
ბელი მოძრაობის ერთ-ერთმა სახელო-  
ვანმა წარმოამდგენელმა ს. მესხმა, მან  
თავის გაზეთ „დროებაში“ 1880 წლის  
№254-ში დაბეჭდა „ღია წერილი“, მი-  
მართული იანოვსკის წინააღმდეგ. „ორი  
ათასი წელიწადია, — წერდა იგი, —  
რაც ჩვენი ხალხი ისტორიული ცხოვ-  
რებით ცხოვრობს... თითო მტკაველი  
თავისი მიწისა... ყოველი ლექსი თავი-  
სი სამშობლო ენისა ათას და ათათას  
საუკეთესო შეილად უღირს. მთავრო-  
ბა არახოდეს არ ცდილა, რომ თავისი  
ქვეშევრდომ ხალხისათვის მოესპო სამ-  
შობლო ენა, სარწმუნოება, ერობა... და  
თქვენ კი გნებავთ ახლა, რომ... უეცრად  
მოსპოთ ხალხის ენა... არაუვის არა აქვს  
უფლება ამისთანა სიტყვებით მიმართოს  
ქართველ ხალხს... ქართველების სუ-  
რვილი იგივეა, რაც ყველა ხალხისა;  
დაიცვან თავისი სამშობლო ენა, მამუ-  
ლი, რჯული და სარწმუნოება... თქვენი  
სურვილი კია, რომ ქართველებს ქართ-  
ული დაეიწყოთ. ეს გვიინდოდა გვეთქვა  
ბ-ნო იანოვსკი. ვათავებ სურვილით,  
რომ შემდგომში უსაფუძვლო ცილისწა-  
მება ქართველ ხალხზე აღარ გაგვეკო-  
ნოს“.

ს. მესხის მხარი აუბეს ამ ბრძოლაში  
იმ დროს ისეთმა ცნობილმა მოღვაწე-  
ებმა როგორც იყენენ: დ. ყიფიანი, ი.  
ჭავჭავაძე და ი. გოგებაშვილი. დიმიტ-  
რი ყიფიანი ბრალს სდებს იანოვსკას  
იმასში, რომ, ჯერ ერთი, იგი თავისი  
ქმედებით რუსეთისადმი ერთგულებით  
ცნობილ ქართველებს გაროგულებისა-  
კენ უზიძებდა და ამით ღიდ ცოდეას  
ჩადიოდა, ხალხი, მეორეს მხრივ, ის

სცოდავდა აგრეთვე მეცნიერების წინა-  
შე, რომელიც ამტკიცებდა შემარტულს  
წელსა ფმასა ჯერ სსსსსსსსსსსსსს-  
წავლიან და მერე სხვა ქვეყნისას“.

დ. ყიფიანმა აიძულა იანოვსკი გა-  
ზეთ „კავკაზში“ გამოსულიყო ვრცელი  
სტატიით და პირადად ემართლებინა  
თავი ფართო საზოგადოების წინაშე.  
იგი შეეცადა ჩრდილი მიეყენებია დ. ყი-  
ფიანის მიერ მოტანილი საბუთებისა და  
ფაქტებისათვის და მისი ზელქვეითი  
ინსპექტორ-ლიტერატორების „თვითმოქ-  
მედებად“ გაესაღებინა სკოლებიდან ქა-  
რთული ენის გასაღვენად გატარებული  
ღონისძიებანი.

ი. ჭავჭავაძე იცავდა რა მშობლიურა  
ენის შესწავლის პრიორიტეტს უცხო  
ენასთან შედარებით, მოითხოვდა რა  
„დედაენისათვის სრულ და დაუბრკო-  
ლებელ გზას სასწავლებლებში“, იმავე  
დროს: ყოველმხრივ მიესალმებოდა და  
მხარს უჭერდა ქართველთა მისწრაფე-  
ბას — დაუფლებოდნენ რუსულ ენას.  
რუსული ენის შესწავლა, წერდა ილ-  
ია, „ჩვენც გვსურს და ძალიანაც განა-  
მარტო იმისათვის, რომ საჭიროა ვი-  
თარცა სახელმწიფო ენა, არამედ იმისა-  
თვისაც, რომ მისი ლიტერატურა ეხლა  
იწვენიად ძლიერია, რომ შეუძლია ვი-  
წება გახსნის კაცს სულის საზრდო მი-  
სცეს. იგი ფარხმალია დღეს ჩვენივის  
ველაფერში და ყველგან, რაკი შინი-  
დან ფეხს გარეთ გაუღვამთ, მაგრამ ისე  
მოგვიწვევთ სკოლა, რომ რუსული ენის  
ცოდნა ნამდვილი და მართალი ცოდნა  
იყოს იმდენად მაინც, რომ კაცმა ცხოვ-  
რებაში და ცხოვრებისთვის გამოიყვ-  
ნოს“.

ი. გოგებაშვილი მოითხოვდა ეკლესი-  
ასა და საეკლესიო სკოლებში ქართუ-  
ლი ენის აღდგენას, ქართული ენის კა-  
თედრის დაარსებას, რომელიც უზრუნ-  
ველყოფდა ქართული გრამატიკის, სა-  
სულიერო და საერო ლიტერატურის,  
საეკლესიო და სამოქალაქო ისტორიის  
ღრმად და შინაარსიანად დაუფლებას.  
ქართული სამღვდლოებისა და ინტე-  
ლიგენციის ბრძოლამ თავისი შედეგი



გამოიღო. 1883 წელს უწმ. სინოდი იძულებული გახდა დათანხმებოდა სემინარიაში ქართული ენის კათედრის გახსნას. ქართული ენა, ქართული საეკლესიო დამწერლობა შეტანილი იქნა უცილებელ საგანთა რიცხვში. საეკლესიო ისტორიაში ცალკე გამოიყო საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებისა და დამკვიდრების ისტორია.

მიუხედავად ქართველების მხრივ ასეთი წინააღმდეგობისა, იანოვსკი მაინც განაგრძობდა თავის ამკარად შოვინისტურ პოლიტიკას. 1885 წელს მან გამოაქვეყნა ახალი ცირკულარი, რომლის საფუძველზე ქართული ენა სავსებით იდევნებოდა სასწავლებლებიდან, იანოვსკი სავსებით უგულვებელყოფდა მშობლიური ენის როლს რუსული ენის შესწავლის საქმეში, იგი მოითხოვდა სკოლებში ე.წ. „მუხჯური მეთოდის“ დაწესებას. ამ მეთოდის შემოღება გამოწვეული იყო ერთი მხრივ, იმით, რომ რუსმა მასწავლებლებმა არ იცოდნენ ქართული, ხოლო, მეორეს მხრივ, ქართველმა ბავშვებმა — რუსული. ეს მეთოდი იყო სწავლების ყველაზე უბადრუკი ფორმა, რომელშიც ასევე ყველაზე ცხადად გამოვლინდა რუსული შოვინიზმის სრული ხიმახინჯე. ეს მეთოდი ახაზინრებდა მოსწავლეთა გონებასა და სულს, აჩლუნვებდა მის აზრსა და ენას.

შოვინისტი იანოვსკის პოლიტიკას გულმოდგინედ აგრძელებდა ქართველთა სახტყი მოძულე და ამკარა რეაქციონერი, დეკანოზი იოანე ეოსტორგოვი, რომელიც მთელი ათი წელი სათავეში ედგა საქართველოს ეგზარქატის სასკოლო მმართველობას, იგი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ქართული ეკლესიის საქმეების „რუსულად“ წარმართვაში.

ეოსტორგოვი თავის ფიზიოლოგიურ სიძულვილს ქართველების მიმართ სრულებით არ მალავდა და ამკარად აცხადებდა: „არავენ არ მეზიზღება ისე, როგორც ქართველები. ქართველები თავიდანვე საზიზღრები იყვნენ, თუმცა სა-

ქართველო ღეთისმშობელს შერხვდა წილად, მაგრამ იმანაც ვერ წაშლდა“ „შისაზიზღარ ხალხში წინააღმდეგობა მოციქულოდ სხვები გამოვხანაო. ქართველები მუდმივი მტრები არიან ჩვენი. ყველა ქართველი ჩვენი მოლაღატა“.<sup>6</sup> ასეთი ანტიქართველობისათვის მას დიდად აფასებდა როგორც მეფის ხელისუფლება და უწმ. სინოდი, ასევე — რეაქციული სამღვდელთაგან ასე მაგალითად, სარატოვის ეპისკოპოსი გერმოვენო ეურნალ „პრაფოსლაენი ვესტნიკ“-ში (1903, №10) წერდა: „ეოსტორგოვი ამკარა მოძულე მტერია ქართველებისა და პოლიტიკური მიზნებისათვის მას უნდა გაეფრთხილდეთ“. ეოსტორგოვის, როგორც ცარიზმის შოვინისტური პოლიტიკის ერთგულ გამტარებელს, რუსეთის სასულიერო ხელისუფლება ხშირად აწინაურებდა და აჯილდოვებდა სხვადასხვა ჩინით. საქართველოდან წასვლის შემდეგ ის სათავეში ჩაუდგა კლერიკალურ „რუსი ხალხის მოსკოვის კავშირის“ ორგანიზაციას. მისმა თანამოაზრეებმა თბილისში შექმნეს „რუსული მონარქისტული-პატრიოტული პარტია“, რომელიც ძალზე მტრობდა ქართველებს. მას მიზნად ჰქონდა ქართველების შევიწროება და იბრძოდა იმისთვის, რომ მათ კავკასიაში არ მისცემოდათ რაიმე ადმინისტრაციული და საზოგადოებრივი თანამდებობები.<sup>7</sup>

თბილისში მოღვაწეობის დროს ი. ეოსტორგოვი თავის თანამზრახველებთან ერთად, ამკარა ომი გამოუცხადა ქართულ ენას ყველა ტიპის სასულიერო სასწავლებლებში. 1898 წელს იმერეთისა და სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლებიდან დათხოვნილ იქნა ყველა ქართველი მასწავლებელი, მათ შორის სასულიერო აკადემიის კანდიდატები: დამაშვილი, ვაფრინდაშვილი, მალრაძე და სხვა. ქუთაისის სასულიერო სემინარიის რუსულმა მმართველობამ დაადგინა: აღძრულ იქნას შუამდგომლობა ეგზარქოსის წინაშე, რომ ქართველები შემდეგშიაც არ იქნენ დაშვებულნი სასულიერო სასწავლებლის კლასებში.

ყველაფერი ეს ხდებოდა იმისათვის, რომ, ვერ ერთი, ქართველ პედაგოგებს ბრალს სდებდნენ პოლიტიკურ სეპარატიზმში, ხოლო, მეორეს მხრივ, ამ სასწავლებლებიდან სამუდამოდ განედევნათ ქართული ენა და ქართველი ახალგაზრდები მთლიანად გაერუსებინათ. თბილისის სასულიერო სემინარიაში თითქმის 60 წლის განმავლობაში „ერთი გროშიც არ დახარჯულა სახელმწიფო ფულიდან ქართული ენისათვის. ქართულ წერა-კითხვას მღვდლების ხარჯით ასწავლიდნენ მარტო მოსამზადებელ კლასებში (I და II კლ.), სხვა კლასებში ქართულის ჰაჰანება არ იყო.“<sup>2</sup> 1883 წლიდან ქართული ენა და მწერლობა იქ სავალდებულო საგნად გამოცხადდა, რომელსაც ასწავლიდა პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე თეოდორ დანია. მაგრამ პავლე ვეზარქოსმა და სემინარიის რექტორ ჩუდუციის, რომლებიც გატაცებული იყვნენ ქართველთა გარუსებით, არ მოსწონდათ ის გარემოება, რომ ქართველი ახალგაზრდები მშობლიურ ლიტერატურას სწავლობდნენ. ჩუდუცი ამტკიცებდა, რომ ქართული საერო მწერლობის შესწავლა არ შეეფერებოდა სასულიერო სემინარიაში აღზრდის მიზანს. მისი აზრით, უნდა ესწავლებინათ მხოლოდ საეკლესიო ენა და მქადაგებლობა. ქართული ენა უნდა ესწავლებინათ რუსული ენის საშუალებით. 1902 წელს ვეზარქოსმა აღექმომ არ დაამტკიცა ე. ლეონიძეს თავმჯდომარეობით არსებული კომისიის მიერ შედგენილი საერო მწერლობის პროგრამა. მან ბრძანა, რომ სემინარიაში ქართული საეკლესიო ენა ესწავლებინათ ჩუდუციის პროგრამით, ქართულ ლიტერატურას სემინარიელები ეცნობოდნენ არალეგალურად.

1903 წელს უწმ. სინოდის განკარგულებით მოხდა საქართველოს ხეგზარქოსოს სასულიერო სასწავლებლების რევიზია, რომლის საფუძველზეც სინოდმა მოახდინა შემდეგი განკარგულებანი: 1. უფროსებად და მასწავლებლებად საქართველოს სასწავლებლებში

რუსები უნდა ინიშნებოდნენ; 2. ქართული ენის სწავლება რუსულ ენაში უნდა წარმოებდეს; 3. მოწიგნო-სწავლის საკვებიდან ამოღებული იქნეს საერო შინაარსის ქართული წიგნები. ამ განკარგულების საფუძველზე თბილისის სასულიერო სასწავლებლებიდან ამოიღეს 120-მდე წიგნი.

ვეზარქოსმა პავლემ (1882-1887) ქართული ეკლესიის გარუსების მიზნით თბილისის სასულიერო სემინარიაში აკრძალა ქართული სასულიერო და საერო ლიტერატურის სწავლება. სასულიერო სასწავლებლებიდან დაიხიზოვა ქართველი მასწავლებლები და რუსებით შეცვალა ისინი. თბილისის, თელავისა და სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლების ზედამხედველებიც დათხოვნილ და შეცვლილი იქნენ რუსებით.

1906 წლის სექტემბერში ინსპექტორ კ. კეკელიძის მოხსენების საფუძველზე საეპარქიო საქალაქო სასწავლებლის საბჭომ ითხოვა ქართველი მოწაფეებისათვის სლავიანური ენის გაუქმება და სამაგიეროდ დედაუნის სწავლების გაძლიერება. მაშინდელმა ვეზარქოსმა ნიკონმა ეს თხოვნა გააგზავნა სინოდში, სადაც ის ნაწილობრივ შეიწყნარეს. ქართულ ენას, რომელსაც ადრე კვირაში მხოლოდ 2 გაკვეთილი ჰქონდა დათმობილი, კიდევ მიემატა 2 საათი. ვეზარქოსმა, რომელსაც ეს არ მოეწონა, მიუღწია იმას, რომ თუ რომელიმე ქართველი მოწაფე ქართულზე უარს იტყვოდა, მას შეეძლო მის ნაცვლად რუსული ესწავლა, მაგრამ ამ ნებართვით 10 წლის განმავლობაში არავის უსარგებლიათ<sup>3</sup>

1894 წელს 1 წლით დაიხურა თბილისის სასულიერო სემინარია, საიდანაც ვარიცხულ იქნა 87 სემინარისტები, სხვა სასწავლებლებში აღდგენის უფლების გარეშე. ამისათვის ყველა ვარიცხული ადმინისტრაციული წესით გასახლებულ იქნა თბილისიდან. 1905 წელს სამუდამოდ დაიხურა იმერეთ-სამეგრელოს სასულიერო სემინარია ქუთაისში, საიდანაც 300-მდე სემინარის-



ტი იქნა ვარიცხული. იმ დროს რუსეთის სასულიერო სემინარიაში უფრო მეტი უწყესობა იყო, ვინემ ქუთაისში, მაგრამ იქ ეს სემინარიები, მით უფრო სამუდამოდ, არ დაუკრტავთ. ქართულ სემინარისტებს ამცირებდა და შურაყნავდა არა მხოლოდ მათი რუსი მასწავლებლობა, არამედ ყველა სემინარიის ინსპექტორი, ზედამხედველი, რექტორი და თვით ეგზარქოსებიც კი.<sup>10</sup>

რუსი სამღვდლოების ზოგიერთი წარმომადგენელი საქართველოს სასულიერო მასწავლებლებიდან ქართული ენის განსაღვევნად იმ გარემოებასაც იყენებდა, რომ ქართველებს ორი სახის დამწერლობა აქვთ: ზუგური და მხედრული. რა საჭიროა, ამტკიცებდნენ ისინი, საერო მხედრულის წერა-კითხვა ვასწავლოთ მომავალ სამღვდლო პირებს, მათ მხოლოდ ზუგური სჭირდებათ, მათთვის ის საესებით საკმარისიაო. რუსი სამღვდლოება ასე მონდომებით იმიტომ ებრძოდა ქართულ სალიტერატურო ენას, რადგანაც მან კარგად იცოდა, რომ ენა არის უპირველესი ელემენტი ეროვნული კულტურისა. ამ ენის ცოდნას მოკლებული ქართველი ახალგაზრდა ვერ იქნებოდა ნამდვილი ქართველი, მას ექნებოდა „რუსული სული ქართულ სხეულში“, რის მისაღწევადაც იღვწოდა ეს სამღვდლოება.

მეფის ხელისუფლება, რომელიც ყოველთვის მოქმედებდა იმპერიალისტური პრინციპით „გათიშე და იბატონე“, ყოველნაირად ცდილობდა გაეთიშა ქართველი ხალხი და დაენაწილებინა საქართველო, მეგრელებსა და სვანებს ის ქართველებად არ მიიჩნეოდა და ცდილობდა მათთვის ცალკე დამწერლობა შეექმნა რუსული ალფაბეტის გამოყენებით. სვანებისათვისაც შედგენილი იქნა ასეთ პრინციპებზე ე.წ. „ლუმუნ ანბან“, რამაც სვანების დიდი აღშფოთება გამოიწვია. „ჩვენთვის სახარებებლა სვანებში შემოვიდით მღვდელმსახურება რუსულ ენაზე, რომელიც დააკავშირებდა ამ ხალხს ჩვენთან“ — წერდა ერთ-ერთი რუსი ეპისკოპოსი 1864

წელს.

1885 წელს გამოიცა *ქართული წიგნების* რელოს სკოლებში ქართული ენის მასწავლების შესახებ. ამიერიდან აქ რუსული ენის სწავლება მეგრული ენის საშუალებით უნდა მომხდარიყო. 1889 წელს ვაი ინტელიგენტმა თადა ამორდიამ რუსული ალფაბეტის საფუძველზე შექმნა „მეგრული“ ანბანი, ხოლო 1892 წელს პეტერბურგელი „მეცნიერი“ ვინემ ლევიცო მეგრული სკოლებისათვის რუსული ენის სახელმძღვანელოს ადგენს ხელ-ახლა გამოცხონილი მეგრული ანბანის საფუძველზე, რომელიც არაფრით არ განსხვავდებოდა რუსულისაგან და დამუშავებული იყო რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მიერ. ასეთივე იყო მთავრობის ღონისძიებანი სვანების შიშართ.<sup>11</sup>

იმადროულად მეფის ხელისუფლების საიდუმლო მითითებით საქართველოს ეგზარქოსმა სცადა წირვა-ლოცვი მეგრულ ენაზე შემოეღო, სცადეს ბიბლიის ცალკე ადგილების მეგრულად თარგმნა. ამორდისტებმა გადაწყვიტეს მეგრელებისათვის „მათ მშობლიურ ენაზე“ მიეცათ სასულიერო ლიტერატურა, რასაც ჯერ კიდევ 25 წლის წინააი შეაკრად აღუდგნენ ამ კუთხის მცხოვრებლები. ამის შესახებ ილიას „ივერია“ აი რას წერდა თავის 1889 წლის 9 იანვრის ნომერში: „ახალი მთარგმნელები“ შეიცადნენ იხე ეთარგმნათ საღვთო წერილი, რომ არც ერთი ქართული სიტყვა არ ეხმარათ. რამდენადაც ეს თითქმის შეუძლებელია, მათ გამოუვიდათ სრულიად უხეში, უხამსი და, იმავე დროს, სასაცილო თარგმანი. „ივერიას“ მოაქვს ამ ფაქტით „კულამღერული მეგრულის“ წერილიდან ასეთი ნიმუში: „წმინდაო ღმერთო, წმინდაო ძლიერო, წმინდაო უკვდავო“ ასე უთარგმნიათ: „ტატალი ღორიონი, ტატალი შეძლებუამი, ტატალი უღურუუ, მუმეზვართი ჩქი“. სიტყვა „ტატალი“ — წერს „ივერია“, — ბავშვური სიტყვაა და სრულიად ემსხვერპლა ქართულ „ზიზიას“, აქედან — „ზიზია ღმერთი“.

„ივერია“ დასცინის რა ასეთ მცდელობას, წერს: „განა აშკარა არ არის, რომ მეგრულნი იგივე ქართველნი არიან, ქართულად მეტყველნი?“. „იქ ამაზე მეტიც უნდა ეთქვათ. თუ ვინღათ ნამდვილი, სუფთა, დარბაისლური, შწივნიობრული ქართული მოიხმინოთ, მეგრული თავად-აზნაურის ოჯახში უნდა მიბრძანდეთ. იქ უცხო ენის გავლენას სრულიად ვერ შენიშნავთ და გვხვით ნამდვილი ქართული სიტყვა-ქასუბი“.<sup>12</sup>

ყოველივე ზემოაღნიშნულს მეგრულუბის მხრივ ისეთი შურიგებელი პროტესტი მოჰყვა შედეგად, რომ ეგზარქოსი იძულებული გახდა სპეციალური კომისია შეექმნა ამ საკითხის გასარჩევად. კომისიას ხელმძღვანელობდა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგოლი. კომისიამ მოაწყო ეპარქიის სამღვდელუბისა და მრევლის გამოკითხვა და მთელი სამეგრელოს საზოგადოებრივ აზრზე დაყრდნობით მიიღო გადაწყვეტილება, რომ ასეთი გარდაქმნა სამეგრელოს ეკლესიებში მიუღებელია როგორც სამღვდელუბისათვის ასევე ამ კუთხის მთელი მოსახლეობისათვის.<sup>13</sup>

ამ კომისიის ერთ-ერთი წევრი ამ საკითხთან დაკავშირებით შემდეგს აღნიშნავდა: „ეს განზრახვა, არამც თუ გამოწვეული არ არის ხალხის გონების და სარწმუნოების ქვეყნარტი საჭიროებით, არამედ ცულუბრად, ზედმეტი გამოგონებაა, რომელიც არავისთვის საჭირო არ არის და პირიქით, თავისი შედეგებით ფოვლად მავნებელია. იგი სიცუდისა და მავნებლობის მეტს არაფერს არ უქადის სარწმუნოების სიწმინდეს, გონებრივ წარმატებასა და უწმინდეს გრძნობას ხალხის თვითშეგნებისას“.<sup>14</sup>

ამ საკითხზე თავისი უარყოფითი დამოკიდებულება ცხადად ჩამოაყალიბა 1889 წელს ახალ სენაკში გამართულმა სამღვდელუბის ფრილობამ, რომელმაც ის შეაფასა როგორც „მწვალებლობის შთანასხი, ყოველგვარი განდგომილების მიზეზი და ხალხითო წერილების ახირებული ახსნა და მისი უკუღმართი შეგნება“.<sup>15</sup>

მეფის ბელისუფლებისა და საქართველოს ეგზარქატის ამ მსხვილმოქმედო-ლიტიკამ უკიდურესად აძაბა ქართველი მოწინავე ინტელიგენცია და სამღვდელუბის წარმომადგენლები. აი რას წერდა ამის შესახებ დიდი ქართველი პედაგოგი და მამულიშვილი ი. გოგებაშვილი: „ამ ათიოდე წლის წინად, სწავლა-განათლების მთავრობამ განიზრახა განდგენა და აღმოფხვრა ქართულისა ამ ქართული პროვინციებიდან (სამეგრელო და ხევანეთიდან. გ.რ.), ამ აზრით სრულიად ამოშალა ეს ენა სამეგრელოსა და ხევანეთის საერო სკოლის პროგრამიდან, გააუქმა იქ მისი სწავლებაც სრულიად და სავსებით, თუმცა ყველა წოდება იქაურ მკვიდრთა ხმამაღლა აცხადებდა პროტესტს ასეთის ძალმომრეობის წინააღმდეგ. ეს კიდევ არაფერი. იმავე მთავრობამ დაუწყო გაფაციცებით თვალყურის დევნა, რომ ქართული წიგნები არ ჩაყარდნოდან ხელში არც მეგრელებს და არც სვანებს, სულ ერთია, ქალი იქნებოდა თუ კაცი“.<sup>16</sup>

მეგრული და სვანური დამწერლობის შექმნა მეფის მთავრობის მიერ მეტად მზაკერული განზრახვა იყო, რამდენადაც „არალიტერატურული ენებიდან ლიტერატურული ენების შექმნა მიმართული იყო იქითკენ, რომ ქართული ლიტერატურული ენისათვის წაერთმიათ ეროვნული მნიშვნელობა, არა მხოლოდ ქართველებისათვის, არამედ მეგრელებისა და სვანებისათვის, რომლის გარეშე მათი ეროვნული გადაგვარება გარდაუვლი იყო“.<sup>17</sup>

ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ დ. ვიფიანმა სამეგრელოში, ერთ-ერთი ძირძველი ქართული კუთხის სკოლაში, ქართულის მაგივრად მეგრულის შემოღებასთან დაკავშირებით პროტესტის წერილი გაუგზავნა საქართველოს მაშინდელ მთავარპარტიებელს დონდუკოვ-კორსაკოვს, რომელშიც ნათქვამია: „მოციქულთა დროიდან ქართული ენა იყო საეკლესიო და საკულტურო ენა სამეგრელოში და იქ ეს ენა ყველას ესმის.“



ამჟამად კი ახალ კულტურას ნერგავენ-  
მეგრულ ენას ასწავლიან ხევა ანბანის  
საშუალებით“, რაც დ. ყიფიანს ყოველად  
დაუშვებლად მიაჩნდა.<sup>16</sup>

სამეგრელოს სამრევლო სკოლებში  
ქართული ენის დაცვის საქმეში დიდი  
წვლილი მიუძღვის XIX-XX საუკუნე-  
ების ერთ-ერთ ცნობილ საზოგადო მო-  
ღვაწესა და სწავლულს თედო ფორდ-  
ნიას. ის სასტიკად იბრძოდა იმათ წი-  
ნაღმდეგ, ვინც მეგრულთა ქართვე-  
ლობას უარყოფდა ან ეჭვის ქვეშ აყუ-  
ნებდა. ერთ-ერთი ასეთი, მეგრულთა  
„გულშემატკივარი“ და ვაი დამცველი  
იყო „მუნჯური მეთოდის“ მოტრფია-  
ლუ ვინმე ლევიცკი, რომელიც გასული  
საუკუნის 90-იან წლებში მოღვაწეობდა  
ქუთაისის გუბერნიასში. მან სამეგრე-  
ლოს სამონასტრო სკოლებიდან განდევ-  
ნა ქართული, მაგრამ მალე თვით იქნა  
განდევნილი თავისი სამოქმედო ასპა-  
რეზიდან და ეს თ. ფორდანიას დამხაზუ-  
რებაც იყო. გურია-სამეგრელოს ეპარ-  
ქიაში სამრევლო სკოლების მეთვალ-  
ყურედ ხანგრძლივი მოღვაწეობის დროს  
თ. ფორდანიას უშუალო თაოსნობით  
დამტკიცდა ახალი სასწავლო გეგმა სა-  
მრევლო სკოლებისათვის, რომელშიც  
ქართული ენისათვის თითოეულ განყო-  
ფილებაში დათმობილი იყო 12 გაკვე-  
თილი, ხოლო რუსულ ენას ეჭირა მხო-  
ლოდ 6 გაკვეთილი.<sup>17</sup>

თ. ფორდანიას უშუალო გულმოდგი-  
ნებითა და მეტადინებოთ სამეგრელოს  
სკოლებში, ქართული ენა არა მარტო  
დაცული იქნა, არამედ მისი სწავლება  
მალე აღიწეოდა იყო დაყენებული მაშინ,  
როდესაც თს საერო ანუ სამონასტრო  
სკოლებში საერთოდ ამოღებული იყო  
პროგრამიდან. სწორედ ამის შედეგი  
იყო ის ვარემოება, რომ თუ 1896-წელს  
გურია-სამეგრელოს ეპარქიაში სამრე-  
ვლო სკოლა სულ 64 იყო, მოქმედი კი—  
მხოლოდ 12, 1903 წლისათვის ასეთი  
სკოლების რაოდენობა გაიზარდა 232  
სკოლამდე. სამრევლო სკოლათა რა-  
ოდენობის ასეთი სწრაფი ზრდა 7  
წლის განმავლობაში გამოწვეული იყო

იმით, რომ იქ ქართული სწავლების  
სწავლება მალე აღიწეოდა იყო დაყენებული  
უპასუხა აქაურმა მოსწავლეობამ სამო-  
ნასტრო სკოლებიდან ქართულის გან-  
დევნას. ეს იყო ყველაზე ცხადი მარვე-  
ნებელი და საზოგადო იმისა, იყვნენ თუ  
არა მეგრელები ქართველები.“<sup>18</sup>

როცა იანოვსკელებში და კოსტოროვ-  
ელებში ვერ შეძლეს სამრევლო სკო-  
ლიდან ქართულის განდევნა, მათ მო-  
ინდომეს ქართული ლოცვების განდევ-  
ნა იქიდან და, როგორც ეს ზემოთ აღი-  
ნიშნა, კაინტელევიტებს მეგრულად  
ათარგმნინეს ეს ლოცვები, რათა შემ-  
დეგში ეკლესიებიდან განდევნათ ქარ-  
თული ლოცვები. იანოვსკი ეს ლოცვა-  
ბი დააბეჭდვინა და ეგზარქოსს დაამ-  
ტკიცებინა, მაგრამ ფორდანიამ შე-  
ძლო მისი დარწმუნება, რომ ეს საკით-  
ხი (მეგრული ლოცვების შემოღების  
მიზანშეწონილობა) სპეციალური კომი-  
სიისათვის გადაეცა. ამ კომისიამ კი და-  
ადგინა ასეთი ღონისძიების უსაფუძვ-  
ლობა და სამეგრელოს ეკლესიებიდან  
ქართულის განდევნის მცდელობა კრა-  
ხით დამთავრდა.<sup>19</sup>

ამ საქმეში დიდი წვლილი შეიტანა  
სამეგრელოს სამღვდლოებამ. ამას, გა-  
რდა ზემოთ აღნიშნული ფაქტებისა, ნა-  
ოლად მოწმობს 1905 წლის 12 ივლისს  
შემდგარი საქართველოს ამ რევიონის  
სამღვდლოების კრების დადგენილება-  
ნი, რომელშიც ნათქვამია: „1; დაიხუ-  
როს სამეგრელოს ყველა საეკლესიო  
სკოლა, ხანამ საერო სკოლებში სწავ-  
ლება არ იქნება ქართულ ენაზე; 2. და-  
იხუროს სამეგრელოს სახულიჯო სას-  
წავლებელი, ხანამ სკოლები ეროვნულ  
და პედაგოგიურ ნიადაგზე არ დადგება; 3. ღღვის რიცხვიდან ყოველი ქაღალდი  
და მიმოწერა სწარმოებდეს მხოლოდ  
ქართულად. ვინც ამ დადგენილებას და-  
არღვევს, საამხანაგო სასამართლოში  
იქნას ვასამართლებული“.<sup>20</sup>

1899 წელს თ. ამორდიაშვილმა რუსულ  
აღფაბეტზე დაწარმოებით კვლავ შექმნა  
გაუმჯობესებული მეგრული ანბანი „დი-  
დაში ნინა“ („დედა ენა“). ამ წიგნის

შექმნის გამო მისი ავტორი მეგრულე-  
მა სასტიკად სცემეს, თითქმის სიკვდი-  
ლის პირას მიიყვანეს და ამით სამუდამოდ  
ამოგდებინეს გულიდან იანოვსკის  
„კანონათლებლური იდეებისადმი“ ერთ-  
გულეებისა და მსახურების სურვილი.<sup>23</sup>

მეგრულეების ვაი დამცველები მაინც  
არ იხვეწებდნენ და კვლავ ეპყვემ აყუ-  
ნებდნენ სამეგრელოს სამრევლო სკო-  
ლებში ქართულის სწავლების აუცი-  
ლებლობას. თ. ჟორდანიამ კვლავ აღი-  
შალა ხმა ამ მცდელობის წინააღმდეგ.  
1903 წლის აპრილში იგი პირადად ეახ-  
ლა საქართველოს ეგზარქოს ალექსის  
და დამაჯერებელი არგუმენტებით და-  
არწმუნა, რომ სამეგრელოს სამრევლო  
სკოლებიდან ქართულის ამოღება არ  
შეიძლებოდა, ამას შეიძლება გამოეწე-  
ვია ამ კუთხის არა მარტო მღვდლმართ-  
ბა, არამედ აჯანყებაც კი ასეთი გადა-  
წყვეტილების გამო. სამეგრელოს სამ-  
რევლო სკოლები ამოიღეს ე.წ. „მეორე  
ტიპის“ სკოლებიდან, რომლის პროგრამაში  
ქართულის სწავლება არ იყო გა-  
თვალისწინებული და გადაიყვანეს „პი-  
რველი ტიპის“ სკოლების კატეგორია-  
ში, ქართული თავის უფლებებში დატო-  
ვეს. მას ოთხსავე განყოფილებაში ცალ-  
ცალკე დათმობილი ჰქონდა 18-18 საა-  
თი კვირაში.

ამრიგად, არც XIX საუკუნის 80-90-  
იან წლებში, არც XX საუკუნის დამ-  
დეგს სამეგრელოს სამრევლო სკოლებ-  
ში ქართულის სწავლება საერთოდ არ  
შემწყვდარა.

საქართველოს არც სხვა კუთხის  
სკოლებში იყო ქართული ენა მაშინ პა-  
ტივისცემაში ზელისუფლების მხრივ:  
„თვით შიდა საქართველოში თუმცა დე-  
და-ენა არ არის აკრძალული, მაგრამ  
ზოგ სკოლაში ფაქტიურად გაუქმებუ-  
ლია, ზოგში კიდევ, თუმცა ფორმალურად  
არსებობს ვაივალაბითა და გა-  
ჭირვებით, ისეთ ყოფაშია, რომ სულით-  
მბრძოლავს მოგაგონებთ“ — მიუთითებ-  
და ი. ვოკებაშვილი<sup>24</sup>.

„თელი შრომა, რომელიც რუსეთის  
მთავრობამ დახარჯა საქართველოს სკო-

ლებისათვის, — წერდა აკად. წ. მა-  
რი, — უნდა ვაღიაროთ, რომ ეს უსა-  
რგებლოდ, არამედ ქართველთა მხედრის  
განათლებისათვის მაკნედ, მიელი სის-  
ტიმა, როგორც ჩანს, იმისათვის იყო  
გათვალისწინებული, რომ ქართველები  
სამუდამოდ ამოეშალათ რუსეთის კულ-  
ტურული ხალხების რიცხვიდან... რუ-  
სულმა სკოლამ საქართველოში შეარ-  
ყია გულწრფელი სიმპათია რუსეთის  
ისტორიული ამოცანებისადმი და ზელი  
შეუწყო ქართველი ხალხის გონებრივი  
გონის დაცემას და თუ ეს დაცემა  
არ გამოიხატა სრულ სულიერ გამო-  
ფიტვასა და გადაგვარებაში, ამის მი-  
ზეხი ისევ ქართველთა კულტურული  
ბის ისტორიაშია.<sup>25</sup>

ქართული ენისადმი რუსეთის ზელი-  
სუფლების მტრულ დამოკიდებულებაზე  
ისიც მიუთითებს, რომ რუსეთში არსად  
არ არსებობდა ქართული ლიტერატუ-  
რის კათედრა, ქართული ენა და ლიტე-  
რატურა მიერთებული იყო ან სომხურ,  
ან კიდევ აღმოსავლური ენებისა და ლი-  
ტერატურის კათედრასთან, ხოლო სა-  
ქართველოს ეკლესიის ისტორია-პიზან-  
ტიის ეკლესიის ისტორიასთან, მაგრამ  
1910 წლიდან ის საერთოდ იქნა ამო-  
ღებული ნანკტ-პეტერბურგის სასულიერო  
აკადემიის წესდებიდან და ეს სწო-  
რედ მაშინ, როდესაც ასე მწყვეტ იდგა  
იმ დროს საქართველოს ეკლესიის ავ-  
ტოკეფალიის საკითხი.

ამრიგად, საქართველოს სასულიერო  
სასწავლებლებში მთავარი ფურადლება  
იქცეოდა არა რწმენისა და ეკლესიის  
საკითხებს, არამედ რუსული ენის შესწა-  
ვლას, ქართულთა გარუსებას. ის იყო  
ამკარად გამოკვეთილი დიდმწყობელუ-  
რი, შოუინისტური პოლიტიკა, რასაც  
რუსი სამღვდლოება ფარულად და ამ-  
კარად ეწეოდა საქართველოში, რომ-  
ლის პრინციპიც იყო „რუსული სული  
ქართულ სხეულში“.

რუსეთის მეფის ზელისუფლება ვე-  
ლაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ სა-  
ქართველოს ეკლესია მთლიანად რუ-  
სულ ყაიდაზე გარდაექმნა. ეგზარქოსე-

ბად განგებ ინიშნებოდნენ ისეთი პირები, რომლებსაც სტულდათ ქართველი ხალხი, ქართული ენა, ქართული ეროვნული კულტურა.

რუსი სამღვდელოების ზედა ფენამ ქვეყნიდან გაზიდა დიდძალი სიმდიდრე და დაიტაცა ძვირფასი არქეოლოგიური ნივთები. ეგზარქოსმა თეოფილაქტემ შურაქსო წმინდა ნინოს საფლავი, მკრებელურად შეეხო მას; ევენი ბაჟუნოვმა მონასტრები და ეკლესიები გაძარცვა; ისილორემ ეკლესია-მონასტრებს მამულები წაართვა; ევსევი ილინსკიმ გაყიდა ქართველ კათალიკოსთა უძვირფასესი სამოსელი, ხატებსა და სამოსლებს ძვირფასი ქვები ჩამოხსნა, მონაწილეობა მიიღო გელათის მონასტრის ქონების დატაცებაში. მიხივე ნობაროვით გელათის, მცხეთის, ალავერდის, ბოდბის ნინოწმიდის, იოანე ნათლისმცემლის, ჯუმათის, შემოქმედის ტაძრებიდან და მონასტრებიდან გატანილი იქნა და შემდეგში უზოუკულოდ დაიკარგა აუარებელი სიმდიდრე: ოქრო, მარგალიტი, ფირუზი და სხვა ძვირფასი ქვები. სიონის ტაძრიდან გრაფმა ბობრინსკიმ მრავალი ძველი ხელნაწერი გაიტანა ეგზარქოსის ნებართვით აგრეთვე გელათის მონასტრიდან წაღებული იქნა თვალმარგალიტით შემკობილი საპატრიარქო მიტრა, რომელსაც ამშვენებდა ვახტანგ გორგასლის გვირგვინის ბრილიანტის დიდი ჯვარი. პავლე ეგზარქოსის დროს მეტეხის ტაძრიდან გაქრა 5000 თუმნად ღირებული მეტეხის დუთისმშობლის ხატი. ამ გატაცებული და მოპარული ნივთების ნაწილი შემდეგში აღმოჩნდა ლონდონის, რომის, პარიზისა და ბერლინის მუზეუმებში.<sup>21</sup> საეკლესიო-სამრევლო სკოლების მზრუნველი დეკანოზი ი. ეოსტორგოვი ქართული ეკლესია-მონასტრების შემოწმებისას ძარცვავდა მათ. მან სვანეთიდან გამოიტანა ძველი მანუსკრიპტები და მიჰყიდა ბრიტანეთის ბიბლიურ საზოგადოებას. ასე იძარცვებოდა და ნიავდებოდა რუსი

სამღვდელოების მიერ ქართული კულტურის უიშვიათესი ძეგლები უზოუკუნელი საგანძური. **БИБЛИОФИЛИЯ**

თვითონ რუსი ავტორები ამ ეგზარქოსების შესახებ ამკარად წერდნენ, რომ ისინი „საქართველოში იმისთვის კი არ მიდიოდნენ, რომ ეპატრონათ იქაური ეკლესიებისათვის, არამედ გაეძარცვათ და გაეყვლინათ უძველესი იუერიის ეკლესიის ქონება, ძალით აღმოეფხვრათ ქართული ენა და შემდეგ ნაძარცვი ქონებითა და ფულით დაბრუნებულნი იყვნენ რუსეთში“.<sup>22</sup>

რუსი სამღვდელოების ზედა ფენას სტულდა ქართველი ხალხი და მისი ეკლესია, ისინი ყოველნაირად ამცირებდნენ ერთსაც და მეორესაც, აბურხად იგდებდნენ ქართული კულტურის შედეგებს, მათი ბრძანებით ბევრ ეკლესიასა და მონასტერში კირით შეათეთრეს ქართველ წმინდანთა ფრესკები (მცხეთის, ჯვრის, სიონის, ალავერდის, სამთავროს ეკლესიებში, მარტვილის, ქვაბთა ხევის და სხვა მონასტრებში). ისინი დასცილდნენ ქართველების დუთისმსახურებას, ზნე-ჩვეულებებსა და ქართულ საეკლესიო ვალოებებს. „თქვენს საეკლესიო ზეიმებს არ ვიცნობთ და არც ვცნობთ“. მათ აკრძალეს „ძელი ჭეშმარიტისა“ ანუ „სვეტიცხოველის“ დღესასწაული მცხეთაში. ქართულ საეკლესიო ხელნაწერებს ან მტკვარში ყრიდნენ, ან ცეცხლში წვაიდნენ, ზოლო უფრო ჭკვიანები კოლექციონერებზე ყიდდნენ.<sup>23</sup>

რუსი შოიანიტი სამღვდელოება აბურხად იგდებდა ქართული კულტურის სხვადასხვა კერებს; დეკანოზი ეოსტორგოვი ქართულ საეკლესიო სიმეღლეთსაცავს მოურიდებლად ეძახდა „ფარატინა ქალაღებისა და ძველმანების საცავს“ და ყოველნაირად ცდილობდა ის გადაეტანა თბილისის სასულიერო სემინარიის შენობაში, რომ მალე იქიდან გაეგზავნა პეტერბურგში.<sup>24</sup>

სამართლიანობა მოითხოვს ისიც აღვნიშნოთ, რომ ეგზარქოსმა პლატონმა (1915-1917), ღირსეულად შეაფასა ამ



სიძველეთსაცავის კონფესიონალურა და კულტურულ-სამეცნიერო მნიშვნელობა. მისი მითითებით ამ საცავის განძი გადატანილი იქნა ქართულ საისტორიო საზოგადოების სიძველეთსაცავში. ამ საზოგადოებას პლატონმა 100 მანეთი შესწირა.<sup>29</sup>

ქართული ენისა და საერთოდ ქართველობის წინააღმდეგ იყო მიმართული საქართველოს ეკლესიების ერთი ნაწილის გადაკეთება რუსულად: რუსულ ენაზე წირვა-ლოცვა დაწესდა ქვაშეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში, რომელიც სამხედრო უწყებას გადაეცა. რუს ბერებს გადაეცათ ბეთანიის მონასტერი, ასევე რუს ქალთა მონასტრად უნდოდა სოხუმის ეპარქიის ეპისკოპოს სერგის ექცია ილორის ეკლესია, ხოლო ბათუმში 1878 წელს აშენებული ალექსანდრე ნეველის რუსული ეკლესია, იმპერატორისა და უწმ. სინოდის აზრით, „უნდა მოხმარებოდა ამ რაიონში არარუსული ხალხების გარუსებას“<sup>30</sup> იმავე მიზანს ემსახურებოდა თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში, გარდა კვირისა და უქმე დღეებისა, ან დიდი რელიგიური დღესასწაულებისა, რუსი სამღვდელოების მიერ კვირაში კიდევ 3 დღე წირვა-ლოცვის ჩატარება.

რუსი სამღვდელოება (და არა მარტო რუსი სამღვდელოება) საქართველოში გულმოდგინედ ებრძოდა ეროვნული კულტურის ისეთ ორგანულ სახეს და ფორმას, როგორცაა ქართული საეკლესიო გალობა, რომელსაც ბედის ირინით რუსმა ციციანოვმა თხის კიკინი უწოდა და მოითხოვა მისი შეცვლა ძველსლავიანური საგალობლებით. თუ ქართველყოფილმა ციციანოვმა ასეთი შეფასება მისცა ქართულ საეკლესიო გალობას, ცხადია, როგორ შეაფასებდნენ მას ქართულის უკოლინარი და წმინდა წყლის შოეინისტი რუსი ვოსტოროვკელები. ქართული ეკლესიების დაკნინების ერთ-ერთი მიზეზი იხიცი იყო რომ იქ ქართული გალობა რაცდრო გადიოდა, შით უფრო იშვიათად ისმოდა. 1864 წლამდე სასულიერო სემინარია-

სა და სასულიერო სასწავლებლებში არც ქართულ ენას მსწავლნდნენ და არც ქართულ გალობას. მსწავლნი კი ვრ. ორბელიანმა, იაკინთე ალექსიევი-მესხიშვილმა, პლატონ იოსელიანმა და დიმიტრი ყიფიანმა ეგზარქოსი ევხევი დაითანხმეს და თბილისის სასულიერო სემინარიაში საეკლესიო გალობის მასწავლებლად მღვდელი ვრ. კარბელაშვილი დანიშნეს, რომელიც 1872 წლის სექტემბრამდე ასწავლიდა იქ ამ საქმეს. პავლე ლებედევის ეგზარქოსობის დროს (1882-1887) ქართული საგალობლების სწავლება სასულიერო სასწავლებლებში ისევ მოიშალა იმ მოტივით, რომ ქართული უნოტო სიმღერა არ ატკობს სმენასო. და ეს მაშინ, როდესაც მოსკოვის ბინოდალური გუნდის ხელმძღვანელმა, საეკლესიო სიმღერების დიდმა მცოდნემ, ვ. სმოლენსკიმ გაეცნო რა ქართულ საეკლესიო საგალობლებს, აღტაცებით განაცხადა: „ჭეშმარიტად საოცარია, მრავალხმიანი და რიტმული ქართული გალობაო“. ეს, მეზობელი ხალხების ერთხმიანი მელოდისაგან განსხვავებული, მრავალხმიანი, ვირტუოზობის დონემდე აყვანილი, ქართული საეკლესიო საგალობლები, რუსი ეგზარქოსების მიერ დამცირებული და უგულვებელყოფილი, XX საუკუნის დამდეგს იშვიათად ისმოდა ქართულ ეკლესიებში, არ არსებობდა პროფესიონალური საეკლესიო გუნდები. აქა-იქ არსებული გუნდებიც მცირერიცხოვანი, შემთხვევით შემდგარი გუნდები იყო, რაც იმდროინდელ ეკლესიებს ქართველებისათვის ნაკლებ მიმზიდველს ხდიდა.

რუსი რეაქციული სამღვდელოება საქართველოში არა მხოლოდ ილაშქრებდა პროგრესულ-დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ, არამედ საგანგებო ღონისძიებებსაც ატარებდა ქართველი ხალხის ეროვნული არსებობის, მისი კულტურისა და ისტორიის, ქართული ენის მოსასპობად, ქართველი ერის დაწინაურებისა და მისი სხვადასხვა კუთხის დასაპირისპირებლად, დედა სამ-



შობლობიდან სვანეთის, სამეგრელოსა და აფხაზეთის ჩამოსაშორებლად.

ცარიზმის დიდმწყობელურ-შოვინისტურმა იდეოლოგიამ და რუსიფიკატორულმა პოლიტიკამ მკაფიო გამოხატულება კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და განსაკუთრებით სკოლებისა და ეკლესიების წინააღმდეგ გატარებულ ღონისძიებებში იჩინა თავი. სკოლა ვახდა პირდაპირი იარაღი ყოველად უცრემონიო რუსიფიკატორული პოლიტიკისა.

თვით ეკლესიაც, მთავრობის ხელში

იყო პოლიტიკური და გამარჯვებული პროპაგანდის იარაღი. *„რუსული მღვდელთა სიო-სამრეულო სკოლებში“* მღვდლები დიდი მონღოშობითა და სიჯიუტით ქართული ენის განდევნა. ქართული ეროვნული კულტურის უგულვებელყოფა და მისი მოსპობა რუს ეგზარქოსებს სჭირდებოდათ თავიანთი დიდმწყობელური, შოვინისტური პოლიტიკის განსახორციელებლად, რომლის არსიც შავრაზმულმა დეკანოზმა გამოხატა შემდეგი სიტყვებით: „რუსული სული ქართულ სხეულში.“

**მითითებული ლიტერატურა:**

1. Еп. Киршон, Краткий очерк... გვ. 325.
2. **მ. ხუციშვილი**, საქართველოს ეკლესიის სოციალურ-პოლიტიკური პოზიცია, 1987.
3. გაზ. „დროება“, 188, № 262.
4. **ა. ქავთაძე**, თხზ., ტ. 2, გვ. 554.
5. **ა. გოგებაშვილი**, თხზ., ტ. 1, გვ. 200.
6. გაზ. „ერი“, 26 აგვ. 1991.
7. გაზ. „საქართველო“, 15 ივ. 1916; გაზ. „ენობის ფურცელი“, 1905, № 2854.
8. **თ. ჟორდანიას**, ქართული ენისათვის ბრძოლა 1882-1910 წლებში, ქუთ. 1913, გვ. 18.
9. გაზ. „საქართველო“, 17 დეკ. 1916.
10. Дурново Н., Судьбы грузинской церкви. М., 1907, с. 107.
11. **თ. ჟორდანიას** ზემოთ დსახ. ნაშრომი, გვ. 13. თხ. საქართველოს ისტორიის ნარკ. 1970, გვ. 644. იხილეთ აგრეთვე ცნობა, ფ. 796, ან 185, საქ. 219, ფურც. 194.
12. გაზ. „ივერია“, 9 იან. 1889.
13. ფურც. „მწვეში“, № 13, 1895, გვ. 3.
14. იქვე, გვ. 4.
15. იქვე, გვ. 5.

16. **ა. გოგებაშვილი**, თხზ., ტ. 4, გვ. 109, თხ. აგრეთვე — Русская старина, № IV, 1895, გვ. 40—41.
17. Март, История Грузии... 190, გვ. 16.
18. „დროება“, 17 ივნ. 1897.
19. **თ. ჟორდანიას** ზემოთ დსახ. ნაშრომი, გვ. 13.
20. იქვე, გვ. 14.
21. იქვე, გვ. 17.
22. გაზ. „ივერია“, 21 ივლ. 1905.
23. **გრაგვალაშვილი**, ისტორიის „გზაჯვარედინზე“, „სოფლის ცხოვრება“, 27 იან. 1990.
24. **ა. გოგებაშვილი**, თხზ., ტ. 4, გვ. 109.
25. **ნ. მარის** ზემოთ დსახ. ნაშრომი, გვ. 15.
26. **ევ. ნიკოლაძე**, საქართველოს ეკლესიის ისტორია, 1918, გვ. 210-211.
27. Н. Дурново, Мутный источник... М., 1909, с. 12.
28. М. Келендмеридасе. Правда об автокефалии Грузинской церкви. 1906, с. 183.
29. გაზ. „საქართველო“, 22 ივლ. 1916.



აკაკი ხინთიბიძე

## ოცმარცვლიანი სტროფი „ვეფხისტყაოსანში“?

„ვეფხისტყაოსანი“ 16-მარცვლიანი შაირითაა დაწერილი, მაგრამ მის ხელნაწერთა და გამოცემათა აბსოლუტურ უმრავლესობაში, რომელთა სტროფული შედგენილობა ზოგიერთ გამოცემაში 1666-ეს აღწევს, ერთადერთი სტროფი 20-მარცვლიანი საზომითაა წარმოდგენილი:

„შეკრა წითელი ახი ათასი პირად  
შხემან და ტანად სარომან,  
სამასი თავი სტაგრა-ატლასი უხემან,  
ნიადაგ მიუმტარომან,  
სამოცი თვალი ღალ-იაგუნდი ფერად  
მართ ვითა მიუმხდარომან,  
კაცი გაგზავნა ვაზირისასა, ესე  
ყველაი მიხთვის არო მან“ (773).

მკვლევართა დიდი ნაწილი ოცმარცვლიან სტროფს პოემისათვის ორგანულად მიიჩნევს, ვახტანგ VI-მ მისი რუსთველისეულობა ამგვარად ახსნა: რუსთველს „ეს იმისთვის დაუწერია, რომე ესეც ეიცოდო“. აღექსანდრე ბარამიძის აზრით, ამ სტროფის რუსთველისხადში კუთვნილება „დაეჭვებას არ იწვევს. კონტექსტის მიხედვით, შინაარსობრივად ის აუცილებელია“, ხოლო ფორმის, მეტრის მიხედვით, „ასეთი გამოწაკლისები, ჩანს, დასაშვებია ყოფი-

ლა კლასიკური პერიოდის ქართულ პოეზიაში. მაგალითად, „თამარიანი“ გაწყობილია ოცმარცვლიანი ჩაზრუბული საზომით, მაგრამ ამ ძეგლში მოიპოვება შაირის რამდენიმე სტროფი“.

20-მარცვლიან სტროფს რუსთველისეულად მიიჩნევს ბორის დარჩია.

არც თუ მცირეა იმ მკვლევართა რიცხვი, რომლებიც ამ სტროფს ჩანართად თვლიან (აღექსანდრე სარაჯიშვილი, აკაკი შანიძე, ვიორგა ლეონიძე, აღექსი ჭინჭარაული და სხვ.).

პოემის ცალკეულ გადაშვრლებს, გამოცემებსა თუ მკვლევართ (მამუკა თაქაქარაშვილი, სარგის კაკაბაძე, კონსტანტინე ჭიჭინაძე, მიხაკო წერეთელი, ვუკოლ ბერიძე, რომა ფირცხალაიშვილი და სხვ.) მიანხიათ, რომ პოემის ეს სტროფი თავდაპირველად 16-მარცვლიანი უნდა ყოფილიყო.

მახსოვს, 50-იან წლებში, პოემის ტექსტის დამდგენი კომისიის ერთ-ერთ სხდომაზე პოეტი და ტექსტოლოგი იოსებ გრიშაშვილი როგორი გაცხარებით უარყოფდა 20-მარცვლიანი სტროფის რუსთველისეულობას.

ვემზრობით იმ მკვლევართა მოსაზრებებს, რომელთაც უმართებულად მიიჩნიათ ამ სტროფის პოემიდან გაძევება. სტროფი გაპირობებულია შინაარსობ-



რევი აუცილებლობით, მისი ამოღების შემთხვევაში ამ ადგილას სივრცე იქნება. ამასთან ერთად, იგი ეხმოდება ამავე თავის სტრუქტურას, რომელიც, თუმცა ხუმრობით, მაგრამ მაინც ნათქვამია: „ასი ათასი წითელი შენ ქრთამად შეიწირეთ“.

ამავე დროს, სტრუქტურის არქიტექტონიკა რუსთველური პრინციპითაა გადაწყვეტილი. პირველ სამ სტრიქონში მეოთხეაგან განსხვავებული სემანტიკური წყობაა, მეოთხე სტრიქონი აჯამებს წინა სამში განვითარებულ თხრობას და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, სტრიქონების პირველი და მეორე ნახევრები სტილისტიკურად ერთმანეთისაგან მკვეთრად გამიჯნული, ამგვარი ინტონაციური სტილი ხაერთოდ დამახასიათებელია რუსთველური სტრუქტურისთვის.

უფიქრობთ, სტროფი უნდა დარჩეს. მაგრამ რა სახით, რა ფორმით? — შაირით თუ ფისტიკურით?!

იმით გვინდა დავიწყეთ, რომ ანტიკური ხანის პოეტიკაში, რომელიც ნორმატიული იყო, საზომთა შერევა, ერთი საზომით გამართულ ძეგლში მეორის ნართვა აკრძალული იყო. არისტოტელე მოითხოვს, რომ ნაწარმოებში, რომელიც საგმირო მეტრიითაა დაწერილი, სხვა მეტრი არ უნდა იყოს შერეული.

პომპროსის პოემები ერთთავად დაქტილური ჰექზამეტრიითაა დაწერილი, ფირდოუსის „შამ-ნამე“ — მოთეყარებით. დავით კობიძე აღნიშნავს: „სპარსული ლიტერატურის კლასიკურმა ხანამ (X-XV საუკ.) არ იცის ერთსა და იმავე პოეტურ თხზულებაში, რა გონდ დიდი მოცულობისაც არ იყოს ის, ხალექსო საზომთა და ფორმათა ცვალებადობის შემთხვევები“.

არისტოტელე კიცხავს პოეტ ხაირემონს საგმირო მეტრში, ე. ი. დაქტილურ ჰექზამეტრში მოძრავი საზომების (იამბიკონისა და ტეტრაპეტრის) ჩართვის გამო. ასევე არ მოუწონებდა იგი ჩახრუხამეს 20-მარცვლედის მძიმე საზომში მაღალი და დაბალი შაირის შე-

რევას, თუმცა „თამარიანში“ მეტრის გამოცვლის შესაბამისად შეუნიშნავთ. მამუკა ბარათაშვილმა პრექტიკურ ტრაქტატში ეკითხულობთ: „ლექსი მრავალ ხმა არის“, მაგრამ „ჩვენს ენაზე“ ამბები შაირით და ჩახრუხაულით გაუღეკსავთ, „თუცა წინა მთქმელებს ადგილ-ადგილ გძელ-შაირი და გძელ ჩახრუხაული ჩაურევიათ. მაგრამ სპარსის მოშაირეთში ეს უკადრისი არის“.

ამჟამად, „წინა მთქმელებში“ მამუკა ბარათაშვილი ჩახრუხამეს გულისხმობს. როგორც ვიცით, „თამარიანის“ ერთ ადგილას „გძელ-ჩახრუხაულს (ჩახრუხაულს) „გძელი შაირის“ (დაბალი შაირის) ორი სტროფი ენაცვლება. ამას „ჭაშნიკის“ ავტორი, როგორც ვთქვით, „უკადრისს“ უწოდებს. არისტოტელეს ხაირემონის მიმართ ნათქვამი აქვს — „კიდევ უფრო ხაკვირველი“.

„ჭაშნიკის“ მიხედვით ისიც ნათელია, რომ მისი ავტორი ვეფხისტყაოსანში არ ცნობს ფისტიკურის ხალექსო ფორმას. რომ ერწმუნა, მას ლექსის ხმებშიც შეიტანდა, როგორც „თამარიანიდან“ შეიტანა ორი სხვადასხვა ფორმა — 16-მარცვლიანი „ჩახრუხაული“ („თამარ წყნარი, შესაწყნარი“) და ოც-მარცვლიანი „გძელ-ჩახრუხაული“ („მო, ფილოსოფნო, სიტყვითა არსნო“). ვეფხისტყაოსანში მამუკა ბარათაშვილი მხოლოდ 16-მარცვლიან შაირს ხედავს — ორი სხვადასხვა სახით. ამას ანგარიში უნდა გაეწიოს.

უკერძოდებით გამოთქმულ შეხედულებებს (რიმა ფირცხალაიშვილი, ალექსი ჭინჭარაული), რომ ვეფხისტყაოსანის ამ ადგილას ავტორის მიერ საზომის გამოცვლის არავითარი აუცილებლობა არ არსებობდა. შაირის ერთი სახეობიდან მეორეზე გადასვლაც კი პოემაში გარკვეულ კანონზომიერებებს ექვემდებარება და ამ დროს როგორ დაუშვებდა რუსთველი, რომ შინაარსობრივი თუ სხვა რაიმე მოტივირების გარეშე 16-მარცვლიანი საზომის ფორმიდან გადაეხვია. ამ მხრივ „თამარიანში“ ანალოგიური

უითარება არ არის. როგორც აღნიშნავენ, შაირის სამივე სტროფი ჩახრუხაძის პოემაში მისი „ძირითადი ტონაციის თანახმად“, ვეფხისტყაოსნის ფესტიკალური კი შინაარსობრივად სრულიად უმნიშვნელოა. ჩვენ დაუმატებდით: შაირის სტროფები „თამარაინში“ რითმის ხასიათის შეცვლასაც იწვევს. მაღალი შაირის სტროფში („თამარ წყნარი“) ყველა მუხლი ურთერთგარითმულია, რაც უნიკალურია მთელს პოემაში. დაბალი შაირის ორივე სტროფი კი ომონიმური რითმებითაა გაწყობილი, ომონიმური ბოლორითმა და ისიც ერთმანეთზე გადაშულ ორ სტროფში პოემის არც ერთ სხვა ადგილას არ გვხვდება, ისევე როგორც — გადახვევა გარითმის საერთო სისტემიდან (ოდაში ერთი ბოლორითმა უნდა იყოს). „ვეფხისტყაოსნის“ ფესტიკალურის რითმა კი ჩვეულებრივია.

საყურადღებოა ისიც, რომ „თამარაინში“, ამ შედარებით მცირე მოცულობის პოემაში, სამი სტროფია განსხვავებული მეტრისა, მაშინ როცა ვეფხისტყაოსანში, რომელიც გაცილებით უფრო ვრცელია, — ერთადერთი, 1658-ში ერთის განსხვავებულობა გაცილებით უფრო შემთხვევითი შეიძლება იყოს, ვიდრე 101-ში — სამისა.

რუსთველის მიერ ჩახრუხაძისეული მეტრის გამოყენება იმიტომაც არის გამორიცხული, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს უსათუოდ ეცოდინებოდა ამ ფორმის არაქართული, უცხოური წარმომავლობა. საგულისხმოა „თამარაინის“ ერთ-ერთი გადამწერის ცნობა (1855 წ.): „ესეგვარი წყობილი ჩახრუხაული არაბულიდან არის ქართულ ენასა ზედა გარდმოღებული“. 16-მარცვლიანი შაირი კი ქართული ლექსწყობის ეროვნული ფორმა იყო. მაგრამ არა მხოლოდ ვერსიფიკაციით. რუსთველი სტილისტიკითაც გაემიჯნა თავის წინამორბედ პოეტს. „ვეფხისტყაოსნის“ ენა არ არის დამამიჯნული ხელოვნური ფორმებით. ავტორი სიტუაციისდა მიხედვით ახდენს ენის დიფერენცირებას. „თამარაინის“

ენა კი ყველა სიტუაციაში ერთნაირია და მძიმე.

მაშასადამე, უარსაყოფია გამოთქმული მოსაზრება: რადგან „კლასიკური პერიოდის ქართულ პოეზიაში დასამუვები ყოფილა“ მეტრის გამოცვლა, რუსთველსაც შეეძლო ერთი სტროფი განსხვავებული საზომით დაეწერა.

ამ 63 წლის წინათ ვიორგო ახვლედიანმა შესაძლებლად მიიჩნია ედუარდ ზივერხის ელერის ანალიზის თეორიის გამოყენება ვეფხისტყაოსნის ტექსტის დახადგენად. ამ თეორიის მიხედვით ადგენდნენ „ნიბელუნგების“ „ელეზის“, „იგორის ლაშქრობის“ ტექსტებს. ელერის ანალიზის თეორია რომ მიუყვანოთ 16-მარცვლიანი საზომით დაწერილ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტს, ერთადერთი 20-მარცვლიანი სტროფი პოემის მელოდიური სისტემიდან ამოვარდნილი აღმოჩნდება, რაც მისი არარუსთველურობის უტყუარი დასტური იქნება.

გარდა „თამარაინისა“, ოცმარცვლიანი საზომი იმ დროს საერთოდ არსებობდა, მაგრამ, როგორც ვთქვით, რუსთველი მას თავის პოემაში არ შეიტანდა.

მიუთითებენ, რომ ეს სტროფი არც გადამწერის მიერ უნდა იყოს პოემაში ჩართული. ვერც ერთი ინტერპოლატორი ვერ შეუბღავდა პოემის მეტრს — 16-მარცვლიანი შაირით გამართულ პოემაში ერთადერთ სტროფს ოცმარცვლიანად ვერ გადააკეთებდა. თუ ახალ სტროფს ურთავდა, რაღა ოცმარცვლიანი საზომით დაწერდა. პოემის ყველა ჩანართ-დანართი შაირითაა შესრულებული.

დამაფიქრებელია შემდეგი ვარემობა: ცალკეულ ხელნაწერებში ეს სტროფი 16-მარცვლიანის „გავრცობას, 20-მარცვლიანად გადაკეთებას წარმოადგენს“ (ბ. ღარჩია).

მოკლე საზომის დაგრძელება, საზოგადოდ, ჩვეულებრივი მოვლენაა. ამის პრაქტიკაც არსებობს ქართულ პოეზიაში. ილია ჭავჭავაძემ ლექსი „ჩემო კალამო“ ჯერ ოცმარცვლიანი მეტრით გამართა (5/5).

„ჩემო კალამო! რად გვინდა ტაში, რასაც ვმსახურობთ, მას ვემსახუროთ (ახეა ლექსის ბოლომდე).

ხოლო შემდეგ ხუმარცვლიან მუხლებს შორის ოთხმარცვლიანი ჩასვა (5.4/5) და ლექსმა ასეთი სახე მიიღო:

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო! რად გვინდა ტაში,

რასაც ვმსახურობთ, კვლავ ერთგულად მას ვემსახუროთ“ (და ა. შ.).

თითოეული სტრიქონი ოთხი მარცვლით დაგრძელდა.

თუ მოკლე საზომის დაგრძელება ჩვეულებრივია, გრძელის დამოკლება რთულია და თითქმის შეუძლებელი. მივმართოთ ფისტიკაურის ცნობილ ნიმუშებს: „არა კეთილ არს მრავალ უფლებად, ერთ უფალ იყავნ და ერთ მუფუ“ („პროკოფის მარტილობა“), „ამის ვისიმე დგომად ცხენისად სასმენელ იქმნა ზაგათა ზედა“ („ელინთა მეზღაპრობა“).

ტექსტის დაუზიანებლად ამ სტრიქონებს ვერ დაიყვანთ შაირზე, ამავე დროს, შესაძლებელია, ორ-ორ მარცვლიანი ხიტყვების მიმატებით 16-მარცვლიანი დაბალი შაირის ნახევარტაქმათა ხელოვნური გაზრდა და ოცმარცვლიან ფისტიკაურზე აყვანა.

ამგვარი ვითარება უნდა გვექონოდა განსახილველ სტროფშიც. იგი 16-მარცვლიანის გადაკეთების შედეგი უნდა იყოს. მართალია, ჩვენამდე, მოღწეულ უძველეს ხელნაწერში (H 2074) სტროფი ოცმარცვლიანია, მაგრამ ათიოდე წლის შემდეგდროინდელ უძველეს თარიღიან ხელნაწერში (1646 წლისა) საანალიზო სტროფი შაირითაა წარმოდგენილი. საბოლოოდ, ფისტიკაური დამკვიდრდა, თითქმის 60 წელია. უცვლელად მუდრება ყველა გამოცემაში. თუ ადრე პოემის ტექსტის დამდგენი კომისიის სხდომებზე ზანდახან ექვს მაინც გამოთქვამდნენ საზომის 20-მარცვლიანობის გამო, ახლა უკამათოთ შეაქვთ იგი გამოცემებში.

ამკარად საგრძნობია ერთი ტენდენცია: პოემის ტექსტის ვადამწერთა, გა-

მოცემულთა თუ მასზე დამკვირვებელთაგან სტროფის 20-მარცვლიანობას, უწინარეს ყოვლისა, პოეტმა ა. შ. უმჯობეს მხარს, ან 16-მარცვლიან შაირს გუთავაზობენ, ან საერთოდ ამ სტროფის ამოღებას მოითხოვენ; მაშუკა თავაქარაშვილმა შაირის სახით გადაწერა, კონსტანტინე ჭიჭინაძემ შაირად დაბეჭდა, იოსებ გრიშაშვილი მის 20-მარცვლიანობას უარყოფდა, ვიორგი ლეონიძე კი — საერთოდ მთელ სტროფს. არც მაშუკა პარათაშვილი, რომელიც არა მხოლოდ ლექსის თეორეტიკოსი, ამავე დროს პოეტიც იყო, „ვეფხისტყაოსანში“ 20-მარცვლიან საზომს არ სცნობდა. პოემის ქართულიშვილისებულ გამოცემაში, რომლის ტექსტის დამდგენი კომისიის თავმჯდომარე გრიგოლ ორბელიანი იყო, ხოლო წევრები — ილია და აკაკი, ოცმარცვლიანი სტროფი ამოღებულია.

პოეტები პოეტური აღლოთი გრძნობენ 20-მარცვლიანი საზომის შეუთავსებლობას პოემისათვის.

სხვა ვითარებაა იოსებ თბილელისა და ვახტანგ VI-ს მიმართ. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია „დიდმოურავიანის“ ავტორი საერთოდ არ ასწორებდა ტექსტს. მან ზახასეული ხელნაწერი გადანუსხა, რომელშიაც საკვლევი სტროფი 20-მარცვლიანი ფისტიკაურითაა შესული. იგივე ხელნაწერი ედოწინ ვახტანგ VI-ს, როცა თავის გამოცემას ამზადებდა.

ოცმარცვლიანი სტროფის რუსთველისეულობას მიხი დაბალი მხატვრული ღირსების გამოც უარყოფენ. ალექსი ჭინჭარაული შენიშნავს, რომ ხიტყვები: თავი („სამასი თავი, სტავრა-ატლასი“) და თვალი („სამოცი თვალი ღალი-იაგუნდი“) ცალის მნიშვნელობით მიუღებელია და კონტექსტისთვის შეუფერებელი. სტავრა-ატლასზე არ იტყვიან — თავი, ისე როგორც ღალი-იაგუნდზე — თვალი, რომელიც თავად ძვირფასი ქვაა.

ეს მტკიცებანი, რომლებიც ალექსი ჭინჭარაულს საერთოდ ამ სტროფის

არარუსთველურობის საბუთად მოაქვს, მისი 16-მარცვლიანობის, 16-მარცვლიანი საზომის ხელოვნურად გაზრდის, გაოცმარცვლიანების მაჩვენებელია. მაგრამ ამის მოქმედი არ იქნებოდა პოემის გადამწერი. გადამწერისას ტექსტს, ჩვეულებრივად, ისინი ცვლიდნენ, რომელთაც პოეტობის პრეტენზია ჰქონდათ. ხოლო სტავრა-ატლასისა და ლალ-ი-გუნდის რაოდენობის განსაზღვრა სიტყვებით: თავი და თვალი იმდენად ხელოვნური, არაბუნებრივია, რომ პოეტის ნახელავს (მით უმეტეს რუსთველისას!) არ ჰგავს.

ამრიგად, 20-მარცვლიანი სტროფი ვუფხისტყაოსანში არც ავტორისეულია და არც გადამწერისეული.

აქ მივადევით ჩვენი მტკიცების ახალ არგუმენტს, უფიქრობთ, ყველაზე მთავარსა და არსებითს — ეს ამ სტროფზე შექმნილი ციციშვილების ძველისძველი საგვარეულო სიმღერა გახლავთ, რომელიც პოემის 16-მარცვლიანი სტროფის ოცმარცვლიანზე გადაკეთების ვხით არის მიღებული.

ბოლო ხანებში ეს სიმღერა დაკარგული ევონათ. 1966 წელს გაზ. „თბილისში“ გამოქვეყნდა ვახტანგ სიდაშონიძის წერილი — „დაკარგული მულოდია“, რომელშიაც სწორედ ამ სიმღერაზეა საუბარი. წერილს სათაურით — „მულოდია არ დაკარგულა“ — გამოეხმაურა ჩვენი ხალხური სიმღერების მცოდნე — მკვლევარი გრიგოლ ჩხიკვაძე. იგი აღნიშნავდა, რომ სიმღერა 1885 წელს ნაიწერა იოსებ რატილმა, შემდეგ კი — ია კარგარეთელმა.

ია კარგარეთელის წიგნში „ქართული სახალხო სიმღერები ნოტებზე გადმოღებულნი ა. გ. კარგარეთელის მიერ“, რომელიც 1899 წელს გამოქვეყნდა, მოთავსებულია ამ სიმღერის ტექსტი და მულოდია. ეს სიმღერა შესულია წიგნის მეორე გამოცემაშიც (1909 წ.). ორივე გამოცემაში პარტიტურაზე მიწერილია სტროფის პირველი სტრიქონი — „შევსვათ წითელ-წითელი ახი ათასი“.

როგორც გრიგოლ ჩხიკვაძე აღნიშნავს, ამ სიმღერის სიტყვები ტექსტიდან 900-იანი წლებში სწორედ იმ სტრიქონის პირველი ნახევარი შემორჩენილია, ისიც შეცვლილი სახით. ზოგს მისი რუსთველისეულობა საეჭვოდ მიჩნდა. ეჭვი კიდევ უფრო გააძლიერა სიტყვამ „შევსვათ“. მაგრამ ქართულ ხალხურ მუსიკალურ შემოქმედებაში სიტყვიერი ტექსტის ასეთი ცვლა დამახასიათებელია. მსგავსი რამ თვით „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტიდან მომდინარე ხალხურ სიმღერებში გვხვდება.

გრიგოლ ჩხიკვაძე ამ შეცვლის მიზეზსაც ასახელებს: „ხალხმა სიტყვა წითელი წარმოიფიცა წითელ ღვინოდ და არა ოქროდ“.

ერთი რამ ამკარაა: სიმღერის ტექსტი — ხალქსო სტრიქონი 20-მარცვლიანია. როგორც პარტიტურაზე, ისე სიტყვიერ ტექსტში სტროფის პირველი ნახევარტაბა — ათმარცვლიანი მონაკვეთი იკითხება: „შევსვათ წითელ-წითელი ახი ათასი“ („წითელის“ ნაცვლად „წითელ-წითელი“ კანგისმიერია. მეორე „წითელი“, რასაც მუსიკალური მახვილი ეცემა, პირველის გამაძლიერებელია და ისე უნდა იქნას გაგებული, როგორც უსემანტიკო ბგერითი ერთეულები: პარუნანო, დიელო და ა. შ.). მუსიკალური ტექსტის გაზომვა მარცვალთა რაოდენობის მიხედვით არ ხდება.

ჩვენი აზრით, რუსთველისეული 16-მარცვლიანი შაირის 20-მარცვლიანად გადაკეთება არა რომელიმე ინტერპოლატორის, არამედ სიმღერის პანგის მემკვიდრით უნდა მომხდარიყო. ციციანი მომღერლებს პოემის ამ ადგილას შაირის ტექსტი უნდა დახვედროდა. შაირი უნდა ექციათ ფისტკაურად.

ეს პროცესი შემდეგნაირად ვგაქვს წარმოადგენილი: ციციშვილების განათლებულ გვარს, რომელთა წარმომადგენლებისათვის „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები ოჯახური რელიქვია იქნებოდა, განთქმული მომღერლებიც ეყოლებოდათ. სტროფის დასაწყისი — „ახი ათასი წითელი“, რომელიც, ალბათ, ზეპირად



იცოდნენ, სიტყვა წითელის გამო, მათში ღვინის ასოციაციას გამოიწვევდა (როგორც ეს აღნიშნული აქვს გრიგოლ ნიკეატეს). დაუმატებდი: სიტყვა ათასი ბევრით ასოციაციით თასს (ღვინის სასმელ ვაშს) უკავშირდება: ათასი — თასი. გაეიხენით გალაკტიონი: „თასს, საღვებრძელოს ხელში ვიღებ ასსა და ათასს“. წითელისა და თასის შერწყმას, ცხადია „შევხვათ“ უნდა მოეტანა. ასე დაიკარგა რუსთველისეული ვაგება წითელის, როგორც ოქროს ფულისა. ოქრო ღვინომ შეცვალა: „შევხვათ წითელ-წითელი“.

შესაძლებელია, ეს სიმღერა თავისი ტექსტით პირდაპირ სუფრაზე, ღვინის დროს იქმნებოდა, სიმღერის დროს ხდებოდა პანგზე ტექსტის მორეგება. სიტყვა შევხვათ თავში დაერთო შაირის სტროფის რეპარაციული ნახევარტაქსი და იგი ამარცვლიანი გახდა, ზოლო პირველი ნახევარტაქსის ამარცვლიანობა მთელი სტროფის მეტრული რეორგანიზაციის საფუძველი შეიქმნა. პანგმა მოითხოვა, სხვა მუხლებიც ამას მიჰყოლოდა. ორ-ორი მარცვლით დაგრძელდა მეორე, მესამე და მეოთხე სტრიქონების პირველი ნახევარტაქსები. მეორეს მოემატა სიტყვა თავი, მესამეს — თვალი, მეოთხე სტრიქონის ორ-მარცვლიანი სიტყვა ვაზიართან ოთხ-მარცვლიანი გახდა — ვაზირისასა (შესაძლებელია, თავდაპირველად ყოფილიყო არა ვაზირთან, არამედ ვაზირსა. ვთქვათ ასე: „ძევნად გავგზავნა ვაზირსა, პანგის წყალობით. ეს ამარცვლიანობა სტრიქონთა მეორე ნახევარტაქსე გაერყელდა და, საბოლოოდ, მივლმა სტროფმა 20-მარცვლიანი ფისტიკაურის სახე მიიღო.

ენახით კონკრეტულად:

I ტაქტი. შაირი: „ასი ათასი წითელი პირ-შუემან, ტანად სარომან“.

ფისტიკაური: „შევხვათ წითელი ასი ათასი, პირად შუემან და ტანად სარომან“.

II ტაქტი. შაირი: „სამასი სტავრა-ატლასი, უხემან და მიუმტარომან“.

ფისტიკაური: „სამასი თავი სტავრა-ატლასი, უხემან, ნიამტარომან“.

III ტაქტი. შაირი: „სამოცი ღალ-იაგუნდი, ფერად მართ მიუმხდარომან“.

ფისტიკაური: „სამოცი თვალი ღალ-იაგუნდი, ფერად მართ ვითა მიუმხდარომან“.

IV ტაქტი. შაირი: „კაცი გავზავნა ვაზირთან, ეს ყველა მისთვის არო მან“.

ფისტიკაური: „კაცი გავზავნა ვაზირისასა, ესე ყველაი მისთვის არო მან“.

როგორც ვხედავთ, ფისტიკაურის სტრიქონები შაირის სტრიქონთა ხელის-ნური დაგრძელების შედეგადაა მიღებული. პირველ პროცესს ნაკლებ საკარავდება.

ხემათ გრიგოლ ნიკეატე დავიმოწმეთ, რომ ხალხურ სიმღერაში სიტყვიერი ტექსტის შეცვლა ჩვეულებრივია. სიმღერის პანგი იმორჩილებს ლექსის რიტმს, სიტყვიერი ტექსტი მუსიკალური ტექსტით რეგულირდება.

ამრიგად, შაირის ფისტიკაურად გადაკეთება სიმღერის პანგის შემოქმედით უნდა მომხდარიყო.

გადაკეთებისათვის ხელსაწყო ღალ-იაგუნდი ქმნიდა დაბალი შაირი, რომლითაც ეს სტროფთა შესრულებული. მისი კონტრარცელიანი მუხლები (53/53) რიტმული სტრუქტურით ახლოსაა, ასევე კონტრარცელიანი მუხლებით შედგენილ ფისტიკაურთან (55/55). მაღალი შაირის ფისტიკაურად გადაკეთება შეუძლებელი იქნებოდა.

ფისტიკაურის ადგილას თავდაპირველად დაბალი შაირი რომ უნდა ყოფილიყო, ეს ხელნაწერებშიც აისახა. მაგნიკა თავაქარაშვილის ვარიანტში — „შეკრა წითელი ათასი“ დაკარგულია გამოთქმა „ასი ათასი“ — დაირებული „ქრთამის“ რაოდენობა. ამიტომ ზოგიერთ გადაწერებს, რომელიც ამას ხედავს, მაგრამ მოკლებულია რიტმის გრძობას, მექანიკურად შეაქვს ტექსტში სიტყვა „ასი“: „შეკრა ასი ათასი წითელი“. სხვა გადაწერი ამ რიტმულ დეფექტს სიტყვების გადაადგილებით ას-



წორებს: „შეკრა წითელი ახი ათახი“. მკვრამ ერთიცა და მეორეც ამ ათმარცვლიან ნახევარტაეებს მხოლოდ სტროფის დასაწყისში ტოვებს, დანარჩენი ნახევარტაეები რეამარცვლიანია. სტროფი, გარდა პირველი ნახევარტაეებისა, შაირის მეტრითაა გამართული.

ეს რიტმული ოპერაციები იმის ნიმუშად გამოდგება, თუ როგორ სურთ გადაწერა 16-მარცვლიანი შაირის შენარჩუნება.

მკვრამ, ცხადია, სტროფის ამ სახით დატოვება არ შეიძლებოდა. იგი ან მთლიანად 20-მარცვლიანი უნდა ყოფილიყო, ან 16-მარცვლიანი. ამავე დროს, პირველი ნახევარტაეების ათმარცვლიანობას მკვარი საფუძველი ჰქონდა. მასში ორგანულად ჩაჯდა სიტყვები: ასიც და შეკრაც, ამიტომ გადაწერთა უმრავლესობა პოემაში შეტანილ სიმღერის სიტყვიერ ტექსტს მიემხრო და მთელი სტროფი 20-მარცვლიანი ფისტიკაურით გამართა.

მოუხედავად იმისა, რომ, ჩვენი მტკიცებით, შაირის გადაკეთება მოხდა ფისტიკაურად და არა პირიქით, არ ცდებოდნენ აკაკი შანიძე და, შემდგომ, ბორის დარჩია, რომლებიც ხელნაწერთა შესწავლის საფუძველზე შაირის ფორმას ფისტიკაურიდან მომდინარედ მიიხსენებდნენ. მას შემდეგ, რაც ხელნაწერებში გაჩნდა 20-მარცვლიანი საბოძი, ბუნებრივია, ზოგი გადაწერა გრძობდა მის შეუსაბამობას და ცდილობდა იგი 16-მარცვლიან შაირზე დაეყვანა.

და ბოლოს, პასუხი უნდა გავცეს კითხვას — როგორ მოხდა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში სიმღერის შემუშავებით ფისტიკაურად გადაკეთებული სტროფი? ჩვენი აზრით, ხელნაწერში მისი შემტანი „ვეფხისტყაოსნის“ ცნობილი ინტერპოლატორი ნაწილი ციციშვილი უნდა იყოს.

ნაწილი (მანუჩარ) ციციშვილი იმ ხანებში ცხოვრობდა, როცა H-2074 ხელნაწერი გადაინუსხა, რომელშიაც ნაწილს მთელი რიგი ადგილები აქვს ჩართული (გიორგი არაბული).

ამ ხელნაწერში საკვლევი სტროფი, როგორც ვიცით, 20-მარცვლიანია. ფისტიკაურითაა შესულს მდ. „სისქის“ შესაძლებელია, რომ ეს სწორედ ნაწილს ნახელავი იყოს. ციციშვილების მოხდენილი სიმღერა, ცხადია, ხალხში გავრცელებოდა და ნაწილი ციციშვილისთვისაც ცნობილი იქნებოდა. ხოლო ციციშვილების გვარის წარმომადგენელი, რომელსაც „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში თვითნებურად შეჰქონდა ცვლილებები, ხელიდან არ გაუშვებდა შემთხვევას, რომ პოემის ამ ადგილას ციციშვილების საკვარეულო სიმღერის ტექსტი ჩაესვა.

ამავე დროს, ნაწილი ციციშვილი პოეტი გახლდათ და მისთვის ნათელი იქნებოდა, რომ სიტყვა „შევხვათ“, რომლითაც სიმღერა იწყება, სტროფის მთლიანი კონტექსტით გაუმართლებელია. ამიტომ იგი შეცვალა კონტექსტისთვის შესაფერი სიტყვით „შეკრა“, რამაც გაამთლიანა უზნოდ დატოვებული პირველი სამი სტრიქონი. შესაძლოა, სწორედ აქედან გადაიტანა მამუკა თავაქარაშვილმა მის მიერ გადანუსხულ ტექსტში სიტყვა „შეკრა“: „შეკრა წითელი ათახი“.

ცოტა უფრო მოგვიანო ზაზახელ ხელნაწერში ამ სტროფს „ნ“ ინიციალი რომ არ უზის, რაც ნაწილს ინტერპოლატორობის მარევენებელი იქნებოდა, ეს იმით აიხსნება, რომ ნუსხის გადაწერს, „იხსნებ ტფილელს ზუსტი ცნობა არ მოუპოვებოდა ნაწილს ჩამატებების შესახებ“ (გიორგი არაბული).

პოემის ტექსტში შაირის ნაკვლად ფისტიკაურის შემტანი რომ ნაწილი ციციშვილი შეიძლებოდა ყოფილიყო, ეს არაპირდაპირი ფორმით არჩილის ცნობილი სტრიქონებითაც დასტურდება: „ნაწილს რუსთელის ნათქვამში ბეგრი რამ ჩაურევია, საბრალს ვერ შეუწყვია, წმინდა რამ აუმღერევია“. არჩილი პოეტი იყო, ლექსის წეს-კანონების მცოდნე და მისთვის „შეწყვობა“, უპირველეს ყოვლისა, ხმას, მეტრულ წყობას ნიშნავდა და არა მხოლოდ ახალი სტროფების ჩამატებას. ადრე ასე ესმოდათ



სიტყვა შეწყობა. შდრ. დავით გურამი-  
შვილი: „თომავ, დავით მეო, ამ წიგნს  
მოვართმეო, რომელი ხმაც შენ შეგვეწყ-  
ო, მეც ის შეუწყეო“ (გურამიშვილი  
მიმართავს თომა ბარათაშვილს, რომ  
შენი ლექსის მეტრზე მე სხვა შინაარ-  
სის ლექსი დავეწერო).

„შეკრა წითელის“ გიორგი ლეონი-  
ძეც ნანუნა ციციშვილის სახელთან აკა-  
ეშირებს.

შაირის საეარაუდო სტროფს, რომე-  
ლიც ზემოთ წარმოვადგინეთ, სხვა ვა-  
რიანტებიც აქვს. მისი ზუსტი დადგე-  
ნა არ გვიცდია და არც არსებული ხელ-  
ნაწერების მიხედვით ზერხდება.

დაახლოებით იგი ასეთი უნდა ყოფი-  
ლიყო:

„ახი ათახი წითელი, პირ-მზემან,  
ტანად ხარომან,

სამასი სტაერა ატლასი, უხეშან და  
მოქმეტაროშან,  
სამოცი ლალ-იაგუნდი, ფერად შართ  
მიუმხდარომან, —  
კაცი გაგზაენა ვაზირთან (ძღვნად  
გაუგზაენა ვეზირსა) — ეს ვველა მისთვის  
არო მან“.

გათიშული კონსტრუქცია — „კაცი გა-  
გზაენა ვაზირთან“, რაც სტროფის სინ-  
ტაქსს ამრუდებს, როგორც მიუთითე-  
ბენ, „რუსთველური პოეტური ზერხია“.

ამრიგად, ჩვენი მიზანი იყო გავერკე-  
ვია, პოემის ოცმარცვლიანი სტროფი  
რუსთველისეული რომ არ არის და რა  
გზით უნდა მოხედრილიყო იგი „ვეფ-  
ხისტყაოსნის“ ხელნაწერებსა და გამო-  
ცემებში.



რუსულად ნოელობაში

## კულტმსახურების ნების დახვეწა ნოელობის ზღაპრებში

ნოელობის ზღაპრის გმირი, მსგავსად ჯადოსნური ზღაპრის გმირისა, სამ სამყაროში მოგზაურობს, რაც მის ღვთაებრივ ბუნებაზე მიუთითებს. მიუხედავად ამისა, მთელ რიგ ზღაპრებში ეს გმირი უკვე ჩვეულებრივ მოკვდავთა მსგავსად კულტმსახურების მთელ რიგ წესებს ასრულებს. მაგ. ზღაპარში „ჭიკა მატეს და ფული არა“, სამყაროს სამივე სფეროს შემოვლის მიზნით, იგი ჯერ ზღვის მოივლის, შემდეგ მთაზე ადის, ბოლოს კი ხელმწიფის სახახლეში შედის. აქედან უკვე საბოლოოდ გამარჯვებული და აურაცხელ სიმდიდრეს დაუფლებული ბრუნდება. დეტალურად კი ზღაპრის შინაარსი ასეთია: ვაჭარმა ფული მისცა და სხვებთან ერთად სავაჭროდ გაუშვა საწყალი კაცი. ნავით შევიდა ზღვაში, ქიშმიშს ჭამდა და თან ზღვაშიც ფრიადა: „მე თუ ვჭამ, სხვებმაც ჭამონო“. ნავის ირგვლივ შეროვებული თევზები გემრიელ ქიშმიშს შეეპყროდნენ. ბოლოს თევზებმა გადაწყვიტეს: „რაზან ის მიწის ნაყოფს ვვაჭმევს, მოდი, ჩვენ ზღვის ნაყოფით გავუმასპინძლდეთ, იქნებ გამოადგესო. ჩავეინთეს თევზებმა სიღრმეში და ცოტა ხანში მარგალიტებით ხავსე პირებით დაბრუნდნენ. საწყალი კაცი უფრო მეტ ქიშმიშს ფრიადა ზღვაში, თევზებმა კი თავიანთ მხრივ დაიწყეს ხმელეთზე სულ უფრო მეტი მარგალიტის გამოტანა და

ნაპირზე მთელი მთა შეგროვდა“. ასე გადაუხადეს სამაგიერო მათ კეთილ კაცს, მაგრამ ყველაფერი ამით არ დამთავრებულა: საწყალმა კაცმა იფიქრა, ჩემი ამხანაგები ყველაფერს წიმართმევენო, ამიტომ იყიდა ძროხის პატივი, რისგანაც ჯამები გააკეთა, მარგალიტებით აავსო და ზევიდან ისევ ფუნა დაადო, გაახმო და წუთებში ჩააწყო. გაახმო ცარიელი პატივიც. სხვა ვაჭრები დიდძალი ნაგავით დაბრუნდნენ. მთაში თოვლი დახვდათ. საწყალმა კაცმა ცარიელი ფუნა დაანთო, თვითონაც გათბა და აქლემებიც გაათბო, სხვები კი იყინებოდნენ. მერე სიხოვეს საწყალს, ფუნა გაასესხე, ხუთმაგად დაგიბრუნებთო. დათანხმდა კაცი, მისცა ორი საპალნე პატივი და ხელწერილი ჩამოართვა: მე რომ მატეს, ისეცა პატივი მოგვეცითო. სახლში დაბრუნებული თავის პატონთან ერთად სასახლეში მივიდა და მეფესთან უჩივლა ვაჭრებს — მარგალიტებით ხავსე ფუნა უნდა დაგვიბრუნონო. მეტი ვზა არ იყო, ვაჭრებმა მთელი თავიანთი ქონება საწყალ კაცს მისცეს და მოახლეებად დაუდგნენ მას. ე. ი. ზღვის მარგალიტების ვარდა საწყალი კაცი, თევზებისათვის გაწეულმა სიკეთემ ვაჭართა ქონების პატრონიც გახდა. ეს უკანასკნელი კი, მიუხედავად ამ საქმეში დიდი გამოცდილებისა, მთლად ხელცარიელი დარჩნენ. ამ ტიპის ზღაპრებში, როცა უკვე



დაიწყო გვირის ღვთაებრივი ყოველისშემძლეობა, მას აღარ უხდება იმკვენიური მკვლელობის დამარცხება, ან მისი რაიმე გამოპარება. ზღაპრის გვირის გამოჩვენება, გამოიდრება და გაბედნიერება უკვე ღვთის წყალობით ხდება. ახე იყო მთიანეთის სამონაღირეო ეპოსიცი, სადაც პირდაპირ ჩანს, რომ საღიროთა მფარველი ღვთაების რჩეული მონაღირის წარმატებები სწორედ ამ ღვთაების წყალობის შედეგია (ვირსალაძე, გვ. 71). ამ წყალობას ზღაპრის გვირაც სამონაღირეო მითის გვირის მსგავსად კულტურულად იმსახურებს, მან ხომ აუცილებელი წესი შეასრულა, — ზღაპრი ქიშკილის ჩაყრა.

მართლაც, მდინარეში შესვლა, მასზე გადახველა განსაკუთრებული შესაწირის გარეშე არ ხდება. ამ ჩვეულებასთან დაკავშირებით ხაინტყვესო მასალას ეხედებით ჯ. ფრეზერის შრომაში (ფრეზერი, გვ. 300-302), რომლის მიხედვითაც აფრიკის მრავალი ტომის რწმენით, მდინარეები დემონებით ან ბოროტი სულებითაა დასახლებული. უცნობ მდინარეზე გადახველისას აუცილებელია მათ გულბის მოკება წყალში შეჭა მარცლის, ბლეჯა ზღაპრის, რამდენიმე ყაღის მარცლის ან სხვა შესაწირის ჩაყრით, თუნდაც არ ჰქონდეთ მათ რაიმე განსაკუთრებული ღირებულება. ყოველივე მას მდინარის სულს ძველის სახით შიშობდნენ და მდინარის ფონს მშვიდობით გახვლას შეითხოვდნენ. მსგავსი რიტუალი გვხვდება სამხრეთ ინდოეთშიც. აქაურ მკვიდრთა რწმენით, დემონთა განგა ყოველ მდინარეში იმყოფებოდა. ძველ დროში მდინარეზე გადახველისას ჩვეულება ჰქონდათ მასში რუბიის მეთხედა ჩაგდოთ. მდინარეზე ამის გარეშე გადახველა დიდ ცოდვად ითვლებოდა. მსგავს მოტივს ეხედებით ქართულ ზღაპარშიც, მაგ.: „მელია და მუწისქვილეში“, სადაც ხელმწიფის ქალზე დასაქორწინებლად მიმავალი მელია და მუწისქვილე მდინარეზე გადახველისას ყვაილებით სახე ტომარას ჩაყლიან მდინარეში.

ზემოთ განხილულ ზღაპრის „მელია და მუწისქვილეში“ დარჩება სხვა ვაჭრების ეხედებით სხელოდობრ, მათი, რომლებმაც ზემოთ აღნიშნული წესი არ დაიცვეს და წყლის სულს შესაწირი არ უბოძეს. ამრიგად, ამ ზღაპარში ჩანს, წყლის დამკვლევების როგორც წყალობის გაქვმა, ახევე — მისი დამარცხების დასჯა.

ზღაპარშიც „ეპანიკა და სიმონიკა“ სულელი სამ დაბრკოლებას გადალახავს: კლდეს თხის ხანაცვლოდ ქილა ოქროს წაართმევს, ხესთან მკვდარ ცოლში ერთ საპალნე ოქრო-ვერცხლი იშოვის, კლდიდან „გადაგებული“ კოცხრის ფარას გამოიღრკავს. აქ კიდევ ერთ მოტივში ჩანს უძველესი რწმენის კვალი: სიმონიკამ ფლაწყვიტა მშობლების დანატოვარი ურადღრთი თხის გაფიქვა: „წაიყვანა თხა ბაზარში. ბევრი იარა იუ ცოტა იარა, დაღამდა. დაინახა დიდი კლდე. მიიყვანა თხა იქ, ერთ ქვაზე მიაბა და დაბრუნდა: ამ თხას გიტოვებ, იცოდე, ბაზარში მიმყავს გასაყიდად, სხვა არაფერი გამაჩნია, კარგად მოუარე, ხეალ გამოიყვლი და წაიყვანო. ...მეორე დღეს ისევე მიადგა კლდეს. დაინახა, მის თხას დახვევიან ტურბი და გაიქო და გამოიქო. სიმონიკამ იფიქრა: კლდეს სტუმრები მოუპატივინა, ჩემი თხა უყიდა და უმსხპინძლდებო. მიადგა ისევე ჩირკვებში და მიიძინა... როცა გამოიყვლია, კლდესთან თხის რქები და ოცი დარჩენილიყო, სხვა სულ შეეჭამათ ტურბს“. როცა კლდემ სიმონიკას ფული არ მიხცა, „გამწარბული დიდ ღოღს დასწვდა და მოელი ძალით სთხლიშა კლდეს. კლდე ჩამოიხვრა და ოქრო-ვერცხლით სახე ქილა გადმოიარდა. სიმონიკამ დაავლო ხელი ამ ქილას და სახლისაკენ გამოიქვა. შეიძინა სახნავ-სათესი მამული და ცხოვრობდა ბედნიერად“.

ამ მოტივის ახსნა შესაძლებელი ხდება ქვების მიმართ თაყვანისცემით, რომელიც მთელ მსოფლიოში იყო გავრცელებული (ფრეზერი, გვ. 273-279). როცა განსაკუთრებული ფორმის ქვებს შე-

სოხოვნენ წყალობას, მას მსხვერპლ-საც სწირავდა მრავალი ხალხი, რად-გან მათთვის წარმოდგენა სულზე, ვის-თვისაც საკვები მიჰქონდათ, თითქმის ყოველთვის ქვებთან იყო დაკავშირებული. ამ ქვათაგან ზოგიერთი მიძღვნილი იყო ამა თუ იმ სულიხადმი უხსოვარი დროიდან და გარკვეულ ტერიტორიაზე თავის კეთილისმყოფელ თუ ბოროტ ზეგავლენას აქლუნდა. ეს ფორმა თაყვანისცემისა თაობიდან თაობას გადაეცემოდა. მაგრამ ისეც ხდებოდა, რომ ვინ-მე თვითონ იპოვიდა ქვას, ან რომელი-მე სხვა საგანს, რომლებსაც ის განსაკუთრებულად, ე. ი. რომელიმე სულთან დაკავშირებულად ჩათვლიდა. ასეთი საგნები ხდებოდა მისი მნახველი ადამიანისათვის მსხვერპლშეწირვის ობი-ექტი, რომელსაც წყალობის მისაღებად შესაწირის სწირავდა. მეზობლებიც სარგებლობდნენ ამ საგნით. მისი მხოვნელი კი თავის საიდუმლოს შეიღებს ან ძმის-შვილს შემკვიდრებით გადასცემდა.

როგორც უ. ფრეზერს აქვს აღნიშნუ-ლი, არა მარტო ქვა, სხვა საგანიც შეიძლება გამხდარიყო ამა თუ იმ სუ-ლის სამკვიდრებელი და ქართულ ფოლ-კლორში ზემოთ მოყვანილ მოტივში კლდის ნაცვლად ასკილის ბუნქიც გვხვდება. უმეტესად კი ამ მოტივში ფი-გურირებს კლდე, რომელიც არა მარ-ტო სულის, ღვთაების ადგილსამყოფე-ლად ითვლებოდა. წარმოდგენა ქვა-ზე, როგორც ღმერთის თუ სხვა უმაღ-ლესი ძალების სამკვიდრებელზე, მრავალი ხალხისთვის იყო დამახასიათებე-ლი. მათი წარმოდგენით, ღმერთები იმ-ყოფებოდნენ ქვებში და შიშის ჩამსახ-ველი ამ ღვთაების არსებობა ქვას სიწ-მინდეს ანიჭებდა. მაგ.: ისრაელში, არა-ბეთში ძველად თაყვანს სცემდნენ ქვებს. ასევე ყველა ბერძენი ძველად თაყვანს სცემდა უხემ გაუთლელ ქვას და არა კერპს. იყო ისეთი ქვებიც, რომლებიც ღმერთების სახელებს ატარებდნენ.

მსოფლიოში არსებობს ბევრი წმინ-და კლდე და ქვა, რომლებიც მკვლევარ-თა აღწერილობით, წარმოადგენენ

ღვთაებებს და რომლებსაც ხალხი ღოც-ვით მიმართავს.

სწორედ ამიტომ დაუფინდა მსხვერ-პის გმირს და ბელს ეწია, როცა თავი-სი ერთადერთი თხა მსხვერპლად შეს-წირა კლდეს. მელიაც, რომელიც ზღა-პარში „მელია და მეწისქვილე“ ხელ-მწიფის სასახლის გვერდით მდებარე ქვაზე შეხტა, მოწინებას იმსახურებს. წმინდა ქვაზე, რომელიც ღვთის სამკვი-დრებლად ითვლებოდა, რასაკვირველია, თვით ღვთაების ვარდა სხვა ვერაინ გაბედავდა ასვლას და ამიტომ ზვე-ბიან მოკრძალებით მელიასაც: „მო-ბრძანდი მელიაო“. მეფემაც პატივით მიიღო და ყველა მისი სურვილი შეას-რულა, რაც ზღაპრის გმირის ქორწინე-ბით დამთავრდა.

ამრიგად, თუ გინდა წყალობა, ის უნ-და დაიმსახურო – წესი შეასრულო და მწყალობელის გული მოიგო. ასეა ზე-მით განხილულ ზღაპრებში, ასეა სხვა-განაც, მაგ.: „ვაჟი გზაზე მიდიოდა. და-ინახა უცებ, რომ გზაზე ერთი გველი გა-წოლილა და თუ გზიდან არ მოშორდა, ცხენები გასჭყლტენ. გველი გზიდან არ დაიძრა. ვაჟი მაშინვე ჩამოხტა, აყვან-ა გველი ხელში, გადადო გზას იქით და უთხრა: შე საწყალო, რა გინდა, გზა-ზე რომ წყები, ან ფეხით ვინმე გაგჭყ-ლტავს, ან კიდევ მოგკლავსო“. თანაც წინ პური და ყველი დაუღო. მეორედაც იგივე გააკეთა. გველმა მადლიერების ნიშნად პირში „ჩააბერა ვაჟს და გახდა გულთმისანი მწყემსი. ყველაფრის ღა-პარაჯსა და ხმას გაიგებდა: ცხვისას, ძროხისას, კამუხისას, ბალახისას, წყლი-სას და სხვა“. სხვაგან ვაჟს გველმა უთ-ხრა: „უნა გამოყავი და ჩემ ენის წვერს დაადო“; ან: „პატარა მცურავმა კული ჩაუყო კაცს ყურში“...

იმქვეყნიურ არსებასთან ნანახი და გაგონილი აუცილებლად საიდუმლოდ შესანახია, მისი ვამედავნება სიკვი-ლის ტოლფასია. გმირიც მუდამ ცდი-ლობს მის დაეკას, მაგრამ როგორც ყველა ზღაპარში, აქაც სასურველი და საუაღდებულო ძალზედ ძნელი შესას-



რულებულია და ისევე, როგორც ჯაღონურ ზღაპარში, ნოველისტურშიც ოჯახის წევრი არ ინდობს ზღაპრის გმირს, რითაც მის შესამძლებლობებს გამოცდას უწყობს. საბოლოო გამარჯვებაც მხოლოდ მისი დაძლევის მიხედვით. აქ „ცოლი აუტყდა ქმარს: უნდა მითხრა, რად გაიცინე, ჩემს კარებზე რომ ცხვარი გამოატარე? კაცი არ უუბნება, რადგანაც გველისაგან ქონდა ნათქვამი, რომ თუ იტყოდა, მოკვდებოდა“. ბოლოს დაბრუნდა — გეტყვით და გაეშადა კიდევ სასიკვდილოდ. მაგრამ ერთი გამორჩეული ბატკანი ჰყავდა. მან ცხვრებს უთხრა: ქმარმა მისი გამშეტებული ცოლისთვის „უნდა ერთი ხორკლიანი ჯოხი გამოსჭირას, დადოს, იმდენი სცემოს, რომ დაბადების დღეც დააიწყოსო“. ეს ნათქვამი გაიგო მეცხვარემ, ისე გააკეთა, როგორც მოინდინა და ცოლმა „წაიღო თქვენიც და ჩემი ჭირიც“. სხვაგან კაცმა მამლისა და ძაღლის შეგონება გაითვალისწინა და ამით გადარჩა.

გველის მშობლებს შვილის გადამრჩენისათვის ყველაფერი ემეტებათ ენის პირში გამოსძის გარდა. ეს საკითხი რომ დადგა, „გაჯერდნენ სუ ყველანი, ასაკაეებენ ენებს“. „დღეა გველმა გაბოტანა თვალმარგალიტები, ბრილიანტები და ნატურისთვალი: რამდენიც ვინდა, გაატანო!“ მაგრამ ბოლოს მაინც იძულებული შეიქნა, დათმობაზე წასულიყო.

გველის გარდა ცხოველის ენას თვეზეც ასწავლის კაცს და ეშმაკიც. ზღაპრულ ხაზგარეშეში ეს არსებანი „იმქვეყნის“ — ქვეყნების წარმომადგენლები არიან და ამდენად — დაფარული ძალიანა და ცოდნის მფლობელებიც. მათგან არ ხდება მხოლოდ საიდუმლო ცოდნის მიღება, რისი წყალობითაც შემდეგ გამდიდრდება გმირი, ისინი ქონებასაც იძლევიან. მაგ.: ღარიბი გლეხი ძროხის რძის გაყიდვით ირჩენდა თავს. „ერთხელაც გაიარა და გველის სორი ნახა. თქვა: „გამიგონია, გველს რძე უყვარსო, მოდი ამ ერთ დღეს, თუ ვინც ცოლ-შვილი მში-

ერი დამრჩებ, რძეს გველს უჭმეო“. დღის სორის პირზე ჩამოვიდა და რძითონ შორახლოს დაიძალა. ამოვიდა სორიდან გველი, რძე დალია, ხარბევეში ერთი თუშნიანი ჩააგდო და ისევ ჩამვრა სორიში. იღო კაცმა ხარბევე და წამოვიდა“. სხვაგან: „ჩიტმა კაცს თავი დაატყრინა. მან „ხახლში წაიფანა, ადგილი მიუჩინა და კარგად უელიდა. ერთ დღეს გულწითელამ ამ კაცს უთხრა: თუ გამოვიდი, ბევრ ფულს მოგაგებინებო!“ მართლაც, გავიდა კაცმა. ჩიტი საღამოს ისევ დაბრუნდა, თან სხვადასხვა ამბებს ყვებოდა. ხალხმა გულწითელას ფული აჩუქა. კაცმა ისევ გავიდა ჩიტი და ისიც კვლავ უკან დაბრუნდა. ეს განმეორდა შესამდეგ და ასე გაამდიდრა პატრონი. სხვაგან: ხელწიფემ სიხმარი ნახა. მის ასახსნელად ხალხი დაიბარა. ერთ გლეხს გველმა ასწავლა, როგორ უნდა ეხსენა სიხმარი, მაგრამ იმ პირობით, რომ ხელწიფის ნაბიძგები მისთვისაც უნდა გაეყო. გლეხს ხელწიფემ დიდი წყალობა მისცა, მან კი პირობა არ შეასრულა. მეორედაც დაეხმარა გველი, მაგრამ გლეხმა კვლავ გააწვინა და კვლავ წააგლიჯა. შესამდეგ დახმარების შემდეგ კი გლეხმა მთელი ნაბიძგები გველს მიართვა. გველმა არაფერი იღო: ცუდად რომ იტყეოდა, შენი ბრალი არ იყო, ქვეყანა იყო არეული, ქვეყანა დაწყნარდა და შენც გამოისწორდიო. ამ ზღაპრის ერთ-ერთი ვარიანტიდან ჩანს, რომ წყალობას გველი უმიზეზოდ არ იძლევა: ერთი გლეხი ტყეში შემავს ჭრიდა და ამით ცხოვრობდა. ერთხელ მოინდომა გამხმარი კუნელის მოჭრა. „ამ დროს კუნელის ძირიდან გამოძვრა ვეებერთელა გველი და სთხოვა: სუ მოსჭრი ამ კუნელს და ბედსა გწევო! ამ კუნელის ძირში ჩემი სორია და შიგ ჩემი შვილები არიან. შენ რომ ეს კუნელი ამოაგდო, შვილები დამელუკებიან“.

თუ გაითვალისწინებთ, რომ მწყალობელი ნეულებრივი არსებები არ არიან და მათ ლუთაებრივი ძალა შესწევთ, ვასაგები გახდება, რატომ არის მათგან

მიღებული სიკეთე ღვთაებრივი ბედნიერების ტოლფასი.

ზღაპრის გმირის გამდიდრებით მთავრდება აგრეთვე ზღაპარი „შაში და მელა“. ეს ზღაპარი შაშისა და მელის დაპირისპირებით იწყება, გადაიზრდება ორუბეზებისა და ოთხუბეზების ომში და ბოლოს ზღაპრის გმირის გამდიდრებით მთავრდება. ეს გმირი სვავის დედ-მამისაგან ეწვეა ბედს იმ სიკეთისათვის, რაც დაჭრილი სვავის მიმართ გამოიჩინა (შინ წაიყვანა, უწამლა, დაუკლა ცხვარი და აჭამა). მადლიერმა სვავმა კაცს უთხრა: „მოდი, შემეჯე მხრებზე, ჩემ დედ-მამასთან წაიყვან. ვიცი ისინი გკობიან: „რა მოგეთ, რო შვილი მოგვიჩინო?“ და შენ სხვა არაფერი არ გამოართვა, ერთი ხელსაფეკვა აქვს და იმისი უთხარი, ის მომეცითოქო. ეს ხელსაფეკვა ჯადოსნურია: წაღმა შემოატრიალებ, ოქროს თვალს დაჰქვავს, უკუღმა — ვერცხლისას“. მისი მომკემი სვავის დედ-მამაც ჩვეულებრივი არსებანი არ არიან, მათთან მისახველად სვავმა კაცი ფრთებზე შეისვა და იქ ისე გადააფრინა, ე. ი. იმქვეყანაში გადაიყვანა. საერთოდ, ჯადოსნურ ზღაპარშიც ხომ ყოველივე არ ჩვეულებრივი „იმ“ სამყაროდან მოიტანება. ოქრო-ვერცხლის გარდა კაცმა ამ ხელსაფეკვით სხვა ნივთებიც იშოვა: ხმალი, რომელიც ისეთია, რომ ეტყვი: „მოდი ვერცხლადა, დაენთე ცეცხლადა, წადი, იმ კაცს თავი მოაჭერ, მოდი და ისეე ჩაეკე!“ მართლაც, ყველაფერს შეასრულებს, აგრეთვე სუფრა, რომელსაც „რასაც ეტყვი სასმელ-საჭმელი იქნება, თუ სახლი და კარი, — ყველაფერს გააკეთებსო“. ეს ზღაპარი ასე თავდება: „სუფრავ, აბა, ერთი მშვენიერი სახლები დამიდგოს! მაშინვე მშვენიერი სახლები წამოეკვიმა. დაიწყო ტკბილად ცხოვრება. ახლაც ცოცხალია და წუთისოფელს ჰჭამს“.

სხვა ზღაპარში გლეხმა გაუშვა მახეში გაბმული შაში, რომელმაც სთხოვა: „ხელს ნუ მახლებ და ბედსა გწევო!..

თუ რამე დაგჭირდეს, ამა და ამ ადგილას სამჭედლოა, იქ შეკრებიან... ეს ის ჩიტია, რომელიც გლეხის დატყუარდა და მოყვანილ ღომის მარცვალს შეეპყროდა. აქ, ისე როგორც „მელია და მწვისქვილეში“, მცენარეულობისა (პურის, მჭადის ნატები, ყურძენი) თუ ქათმის შეჭმის შემდეგ გლეხს ჰპირდება — ბედსა გწევო და უსრულებს კიდევ დანაპირებს. იქ თუ შეწისქვილეა ზღაპრის გმირი — წისქვილში მარცვლეულის სულის მკვლელი, აქ გლეხია — მარცვლეულის დამთესი და მომკელი. გლეხს მჭედლებმა ახწავლეს — შამსს პატარა კარდალა სთხოვეთო, „ღომს გაეიკეთებ... და ვჭამო“. ეს კარდალა ისეთია, კარგ პურმარილსა შლის. ეტყვი: „კარდალა, შენსა მჭესა, ვინც გამოგცა, მისსა მჭესაო, რაც რომ ჩემ სტუმრებს ენებება, ეხასიათება, ისეთი პურ-მარილი მოგვიშაადიო“. წაართვა ხელმწიფემ ეს კარდალა გლეხს. შემდეგ შამსმა ჯორი უწყალობა. ისეთია ეს ჯორი, „მოიტანეს მჭედლებმა პურის ბზე, აუწიეს კუდი, ამოუღეს კულ-ქვეშ ცოტა ბზე, ცოტა პირშიც ჩაუღეს. დაიფურთხულა ჯორმა, წინ და უკან ოქრო და ვერცხლი გაფარა“. „ისე გამდიდრა გლეხი, რომ ხელმწიფესაც შეშურდა“. ეს ჯორიც წაართვა ხელმწიფემ. შესამედ გლეხმა შეიღობილს თხილის ჯოხი (კომბალი, ტაკვეცი, გოგრა, რომელიც ცეცხლს აწინდა) სთხოვა. ეს ჯოხი ისეთია, ყველას ცემა შეუძლია და ამით დაიბრუნა გლეხმა ხელმწიფისაგან ჯადოსნური კარდალა და ჯორი. მამსადამე, ქონება გაჩნდა და მის დასაცავად ჯოხი და ხმალი ვახდა საჭირო.

ჯადოსნურ ზღაპარში თუ გმირი ცოლს კარგავს და შემდეგ მის დაბრუნებას ცდილობს, აქ „იქიდან“ წამოდებული ნიუთი ეკარგება, მაგრამ ამ ტიპის ზღაპრების ბოლოც კეთილია და დაკარგულ ნიუთებსა და ბედნიერებას შესამე ცდაზე საბოლოოდ იბრუნებს გმირი.

ზღაპრის — „მგელი, დათვი და ტურა“ — გმირები მძებნიან ან მშობილები



არიან, ძალიან ღარიბები და სასოვარზე გახლენი. დალატი აქაც, ისევე როგორც ჯადოსნურ ზღაპარში, გზაში ხდებოდა. შავ, ერთ-ერთი მათგანი მუორეს გზაში პურს არ აჭმევს, მოტყუებით თვალებს დათხრევენებს და ტყეში მარტოკას დატოვებს. დაღამებისას ღვთის იმედზე დარწმუნები მოახერხებს — წისქვილს შეაფაროს თავი, ან ხეზე ავიდეს და დაიმალოს. იქ დამე მოვლენ ცხოველები: დათვი, მელია და მგელი, ზოგი ვარიანტის მიხედვით — ღვეები, ქინკები, ეშმაკები ან წყვეული ქაჯები. წისქვილში თავშეფარებული ხეიმირაში (ამბარში) შენახულ პურს ცხოველებს შეუჭმელს დაახვედრებს და მათგან საიდუმლო ცოდნასაც ეზიარება, რისი წყალობითაც გამდიდრდება, ზოგჯერ სიმდიდრესთან ერთად ხელმწიფის ქალსაც ირთავს და ხელმწიფის ტახტსაც ისაკუთრებს. ამასობაში გასაცოდაებული მოღალატე ძმა, მიიგნებს ბედში ჩაყარდნილს და სთხოვს, ასწავლოს გამდიდრების საშუალება. ეს უკანასკნელი წყენას ივიწყებს და რაც თავს გადახდა ვველაფერს უყვება, ბოროტიც იმავეს მოიმოქმედებს, მაგრამ მისი საქმე ცუდად წავა: ხეიმირაში ჩახული პურს მაშინვე შეჭამს, რაც მიზეზი გახდება მისი დაღუპვისა, — ცხოველები შუაზე გაგლეჯენ.

ამ ზღაპრის ერთი ვარიანტის ფინალი განსხვავებულია და სიუჟეტით ოდნავ სხვაგვარად ვითარდება. ძმები აქაც ძალიან ღარიბები არიან და სასოვარზე რაგრიგობით მიდიან. ჯერ უფროსი ძმა შედის წისქვილში, „ალატში სამი პური იპოვა, სამივე იქვე შეჭამა, შემდეგ ალატში ჩაძვრა და ტბილად დაიძინა. დაღამდა თუ არა, წისქვილს დათვი, მგელი და მელია ესტუმრნენ. — ვახშამი მოგვითანო! — უთხრა დათვმა მელიას. მელია ალატში ჩახტა, პური ეჭება, ეჭება, მაგრამ ვერაფერი რომ ვერ იპოვა, დათვს ამოსძახა: კვარი აანთე, მგონი აქ კაცსა სძინავსო.

მართლაც, კვარი აანთეს და ალატში მძინარე კაცი ნახეს, სამივენი ეცნენ და მ. „წითობა“, № 5-6.

თვალის დახამხამებაში გაღიანსნულს“. შუათანაც ისევე მოიტყუა და იმედზე დაიქნია. უმცროსი კი არ შეცდა: „ალატში სამი პური იპოვა, შიგ ჩაძვრა, პურები ზემოდან დაიღვავა და დაიძინა. საღამოს... ჩახტა მელია ალატში, ამოიღო პურები და დათვს ახარა: „ჩვენი წილი დღეს არავის შეუჭამიაო!“

უმცროსმა ძმამ ამ თავშეკავებული საქციელით წისქვილში დასაცავი წყენი სწორად შეასრულა. შემდეგ იქ დაფარულ ცოდნასაც ეზიარა და ბედსაც ეწია, — უთვალავი ქონების პატრონი გახდა: „დაიწყო მგელმა: ..მე ერთ სოფელს შევეჩვიე. იმ სოფელს წყალი არა აქვს, ვინც წყალს მისცემს, სოფელი მთელ თავის სიმდიდრეს შუაზე გაუყოფს, მაგრამ არაეინ იცის, რომ იქ ერთი ბუბერი იფინს ხე დვას, ის ხე უნდა მირფევსიანიად ამოაგღონ და იმის ნაძირკვალში ანკარა წყარო ამოიუნჩუხდებო... ახლა დათვმა დაიწყო: ერთი ბრმა მეცხვარე შევიგულე, სულ ნარჩევ ცხვარსა ვპარავ, ვინც იმ მეცხვარეს თვალს აუხელს, თავის ჯოჯის ნახევარს უბოძებს, მაგრამ არაეინ იცის, რომ მეცხვარეს ერთი რქებგადავრეხილი ვერძი ჰყავს, ის უნდა დაკლან და მეცხვარე იმის თბილ ტყავში გაახვიონ, მეორე დღეს თვალი აუხილებო. მელიამ თქვა: ..აგერ, კარს უკან, ერთი თავუნა ცხოვრობს, ფული სულ ტომრებით უღავია. შხიან ამინდში გამოიტანს და ამხუერებს ხოლმე. როცა მინდა, თავუნი თათს ჩავეკრავ და მთელი მისი ფული მე დამრჩებო. უმცროსმა ძმამ ყველაფერი მოიხსინა“, შემდეგ, რაც ვაიფონა, ისე გააკეთა, დიდძალი ქონება იპოვა, ცხოველებს ძმები გააცოცლებინა. ძმებმა „მერე მთელი სიმდიდრე შინ წაიღეს და სიბერემდე ბედნიერად ცხოვრობდნენ“. „იქიდან“, როგორც წესი, სამი ცოდნა მიაქვს გმირს, ე. ი. ზღაპრული ეპოსისათვის დამახასიათებელი სამშაგობის პრინციპი დაცულია, რაც ჯადოსნური ზღაპრისათვის დამახასიათებელი დამრკოლები სამჯერ გადაღახვის ამოციაციას იწვევს. საიდუმლო ცოდნას



ზღაპრის გმირი წისკვილში იქნეს. წისკვილი ზღაპარში იმ დროიდან ჩნდება, როცა მარცვლეული კულტურის დამუშავება ვითარდება. წისკვილში მოხვედრა იმქვეყნად გადახვლას ნიშნავს. წისკვილი გმირის მისვლამდე უმოქმედო იყო: „მივიდა ერთ ძველ წისკვილთან. წისკვილი დამტკრეულ-დამსხვრეული იყო, ახი წლის ჭადუფქველი“. კაცის მისვლის შემდეგ კი აურაცხელი ბარაქის გამცემი გახდა და ბედსა ხწია კიდევ ზღაპრის გმირი. თუ წისკვილში არა, ყოველივე დაფარულთან ზიარება ხდება ხეზე ასვლისას, ხეზე, რომელიც წყალთან დგას. ე. ი. საიდუმლო — საკრალურ ცოდნას წყალთან მდგარ ხესთან, წისკვილში ივებს რწმენის ერთგული, ორგული კი — იღუპება. ეს ხეც, წისკვილის მსგავსად, უბრალო არ არის, ის სამყაროს ხეა. თუ ზღაპრის კეთილი გმირი ხეზეა ნამყოფი, ბოროტიც იქ აღის: „იმ დამესაც შევროდუნენ ჭინკები: ჩვენ რომ აქ ვიყავით, ხეზე ყოფილა ვიღაც კაცი და რაც ვილაპარაკეთ, ყველაფერი გაუგონია და დღეს ის კაცი მეფედ არის რამდენიმე სამეფოთსაო... შეიძლება უხლაც იყოს ვინმე ამ ხეზეო, ავიდეთ და ვნახოთ! მართლაც, ავიდნენ ხეზე და ნახეს ეს ორი ძმა, დაეხიენ და დაგლიჯეს“. ეს ვარიანტი ზღაპრისა შეგონებით თაღდება: „აი, ამ ზომამდე მძლავრია ღვთაებისადმი რწმენა და მის მცნებაზე ცხოვრება!“ აქ ზომ პირდაპირ ჩანს, რომ ძმების დაპირისპირება რწმენისადმი ერთგულებას ეხება: „ამზობდნენ უფროსი ძმები დაჰინებთ: ეშმაკის სამართალი კარგი არისო! — არა! — ამზობდა უმცროსი ძმა, — ღვთის სამართალი ჯობიაო!“ და ბედსაც ეწია.

ზღაპარში არაჩვეულებრივ სიკეთეს ისეთი „ღვთაებრივი არსებანი“ გასცემენ, როგორებიც არიან: ფრინველები, გველი, თევზი, დევი, ქაჯი, ჭინკა, ეშმაკი. ამათ გარდა ცხოველებიც: მელია დათვი და მკელი. მელიის ზღაპრული სახე მოკვდავ და მკვდრეთით აღმდგომ ღვ. აებას უკავშირდება. დათვი და მკე-

ლი კი პურის ხელს განასჯიერებენ. მათთან წილნაყარი ნიშნავს. ზღაპრის გმირი, ისევე, ბრძანებულს უხდის-სური ზღაპრისა, ღვთაებრივი არსებაა. ისიც „იმქვეყანაშია“ ნამყოფი და იქიდან უკან დაბრუნებული. გარდა ამისა, ის არის სამშავი დაბრკოლების გადაძლახავი გმირი, რაც, აგრეთვე, ღვთაებრივი სრულყოფილების საწინდარია. როგორც ჯადოსნურ ზღაპარში, აქაც საიქიოდან სააქიოში დაბრუნების ძალა მხოლოდ ღვთაებას აქვს. გარდა ამისა, სამი დაბრკოლების გადალახვა ზღაპრულ ებოში სამი ქვეყნის: ზესკნელის, ქვესკნელისა და შუასკნელის, ე. ი. მიუღლი სამყაროს მოვლის ტოლფასია, რისი ძალაც ჩვეულებრივ მოკვდავთათვის მიუწვდომელია და მხოლოდ ღვთაებას ხელეწიფება. ყოველივე ეს ზღაპართა ცალკეული ნიშნუების განხილვისას ნათელია. მაგ.: ზღაპარში „ჭკუა მაქვს და ფული არა“ გმირი სივრცობრივ სამსხვადისხვა განზომილებას მოივლის: შუა ზღვაში, ავა მთაზე და მივა სასახლეში. ბოლოს ღვთაებრივი ხიმიდრის მფლობელი ხდება. არც ის არის შემთხვევითი, რომ ჯადოსნური თვისებები აქვს ზღვასაფქვავს, — მასში ხომ წისკვილის მსგავსად მარცვლეულის დაფქვა ხდება, ე. ი. მოკვდინება მარცვლეულის სულისა და, გასაკვირი არ არის, რომ ისიც ღვთაებრივი ძალის მატარებელი და მომნიჭებელია. მოგვიანებით უკვე „იქიდან“ მიღებული საკეთე ოქრო-ვერცხლით განისაზღვრებოდა და ამ ტიპის ზღაპრებიც საყოფაცხოვრებო ხასიათის არიან. დროთა განმავლობაში ბედნიერებისათვის მარტო ოქროული აღარ იყო საკმარისი და კარგი სახმელსაჭმელიც ულევად „იქიდან“ არაჩვეულებრივი სუფრის საშუალებით მოდიოდა. მიიღო რა „იქაურმა“ სიკეთემ რეალისტური და მიწიერი ხასიათი, მისი დაცვის საშუალებებიც არაჩვეულებრივი—ხმალი, კომბალი, თუ ჯოხიც რეალისტური გახდა.

საყოფაცხოვრებო ზღაპარში ერთი თუ სასურველ და ღვთაებრივ გამარჯვებას



აღწევს, მეორე, მისი მიმბაძველი, იღუპება. ამის მიზეზი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რაღაც მთავარის, აუცილებელის, რომელიღაც დაფარული წესის შეუსრულებლობაა. მისი დამრღვევი კი არაივს ენაზე. ასე ხდება არა მარტო ზღაპარში, არამედ უძველესი ხალხის ყოფაშიც (ფრეზერი, გვ. 276). მაგ.: ბუროვას შემოგარენში, ცენტრალურ აფრიკაში, როდესაც ბელადები და ჩვეულებრივი მოსახლეობა მტრელების დასაჭერად ემზადებოდნენ, — ბარდებში წასასვლელად რამდენიმე კვირით, — წინასწარ ქვეთან მიჰქონდათ შესაწირი: მოხარბული თევზისა და ტაროს ფესვების სახით. აგრეთვე, წარმოთქვამდნენ ლოცვებს კეთილსასურველი, მშრალი ამინდის მოსაპოვებლად. ვინც უარს ამბობდა მსხვერპლმწიფრებაში მონაწილეობის მიღებაზე, თანატომელთა უკმაყოფილებას იწვევდა. ამასთან, თუ წვიმაც წამოვიდოდა, მაშინ ასეთი ადამიანი საყოველთაო გაკიცხვისა და სასჯელის ობიექტი ხდებოდა, როგორც დამნაშავე ხეზონური ნადირობის ჩაშლისა და გამოწვევი კარგი ამინდის ღვთაების რისხვისა. ამრიგად, ვინც აუცილებელი წესის შეუსრულებლობით ზიანს აყენებს ხალხის მუდურნობას, ის იხჯება.

აქ განხილული რწმენა-წარმოდგენები ქონდა წარსულში ხალხს, როგორც აღ. ღლონტი მიიჩნევს: „ქართული ხალხური ნოველა, როგორც პროზაული ზეპირსიტყვიერების ენარი, უნდა ჩასახულიყო პირველყოფილ — თემური წყობილების საშოში“ (ღლონტი, გვ. 42).

ნოველისტურ ზღაპრებს, ისევე როგორც საერთოდ ზღაპრულ ეპოსს, მითოსი უდევს საფუძვლად. მითოსური აზროვნების ნაყოფია მისი ცალკეული მოტივები, მაგრამ გაცილებით მეტად გადაშლავებული და დაშორებული, ვიდრე ის ჯადოსნურ ზღაპარში ვხვდებით. ამ უკანასკნელში თუ მთელი რიგი სახეები და პასაჟები ემთხვევა მითოსს და მათი ამოცნობა იოლია, ნოველის-

ტურ ზღაპარში ეს კავშირი უკვე ძნელი ამოსაცნობია. თითქმის უნერგულო იმაში, რომ ზღაპარში რადეს, მიწის მოთხრისას კაცმა ოქროთი ხავე ქილა აპოვოს, ხუფელმა ოჯახის ქონება გაანიავოს, ცოლმა ქმარს უღალატოს და ა. შ. მაგრამ თუ ამ ტიპის ზღაპრებს ნაველრმავედებით, დავინახავთ, რომ მათი გმირები ღვთაებრივ ძალებს არიან ნაზიარებნი. ამ ზღაპრებში რთულ დავალებათა შესრულება ხომ უფრო იოლი ჩანს, ვიდრე ჯადოსნურში, მაგრამ ყოველი მათგანის დაძლევა მხოლოდ იმქვეყნად ნამყოფს შეუძლია. ამდენად, ისინიც შესაბამისი სიტუაციისანი არიან. ამ დავალებათა დაძლევის უნარი მხოლოდ გამოჩვეულთა ხვედრია და ისინიც მათ გამოვლენას ემსახურება. სამჯერ დაძლევა რთული გამოცდისა მისი შემსრულებლის სამმაგ სიძლიერზე, მის სრულყოფილებაზე მიუთითებს და რა პროზაულადც არ უნდა გამოიყურებოდეს ამ ამოცანების შემსრულებელი, ის უბრალო მოკვდავი, ჩვეულებრივი ცხოვრებიდან აღებული გმირი არ ვახლავთ. ზღაპრული დაბრკოლების დაძლევა თუ, მართლაც, შეუძლებელია სხვა სამყაროში მოხვედრის გარეშე, ეს გმირის იმქვეყნად ნამყოფობის დასტურია. ხამი რთული დავალების შესრულება კი უკვე გმირის მიერ ხამი სამყაროს შემოვლაზე მიუთითებს, რაც მისი ღვთაებრივი წარმოშობის საბუთს წარმოადგენს. ე. ი. ნოველისტური ზღაპრის, ერთი შეხედვით, საკმაოდ მიწიერი გმირიც წარმოშობით მითოსურ ძირებთან და ღვთაებრივ სამყაროსთან არის დაკავშირებული ჯადოსნური ზღაპრის გმირის მსგავსად. მისი ღვთაებრივი წარმოშობა ამ ტიპის ზღაპრის მთელ სიუჟეტს უკვე სხვა პლანში წარმოაჩენს.

ნოველისტური ზღაპრის გმირი თავდაპირველად ღატაკია, ბოლოს კი ღიძალ ქონებას შეიძენს. მისი მიზანიც ესაა. სასურველი მოგვიანებით უკვე წყალობის სახით მიიღება. მწყალობელი არსებანი კი, რომელნიც უღვევი სიმ-

დიდრით ავსებენ ზღაპრის გმირს, ყოველთვის „იმქვეყნიურნი“ არიან — წყლის, ცის, მიწის არსებანი: თევზი, ფრინველები, გველი და სხვა. ჯადოსნური ზღაპრისგან განსხვავებით აქ საჭირო არ არის ქვესკნელის მცველის მოკვლა. აქ მწვანობელი თავად მოგართმევს ძღვევს, ან თავის სამფლობელოში მის მიხაღებად თვითონ გადაგიყვანს, გირჩევს „იქიდან“ რისი წამოღება ჯობს და დაგარიგებს კიდევ — ესა თუ ის ნივთი როგორ უნდა მოიხმარო და რა წესი უნდა შეასრულო, ის რომ

არ დაკარგო და თავიც არ დაკარგო. ვითა-ებრივი სიკეთე, რომელსაც მწვანობლისაგან იღებს ზღაპრის გმირი, შემთხვევითი არ არის, როგორც ზღაპრიდანვე ჩანს, ის ყოველივე ამას დაიმსახურებს, სიკვდილს გადაარჩენს ღვთაების შვილს, ან თვით ღვთაებას, მას სისტემატურად უმასპინძლდება და სხვა. ე. ი. ვველაფერი, რაც ამ ტიპის ზღაპრებში ხდება განპირობებულია ღვთის ნებით და მასდამი რწმენის განმტკიცებას ემსახურება.

#### ლიტერატურა:

1. ლონტი ალ., ქართული ხალხური ნოველის საკითხები, თბ., 1989.
2. Вирсаладзе Е., Грузинский охотничий миф и поэзия, М., 1976.
3. Фрэзер Дж., Золотая ветвь, II, М., 1931. I



## IV ს. ქართლის მეფეთა რიგი და „მეფეთა ცხოვრების“ „მოქცევაი ქართლისაისთან“ შიგარტუგის სკიტისი

ძველი ქართული საისტორიო თხზულებები: „ქართლის ცხოვრების“ პირველი მატიაწე ე. წ. „მეფეთა ცხოვრება“ და „მოქცევაი ქართლისაი“ ჯერ-ჯერობათ, დღესაც, ძირითად წყაროს წარმოადგენს ფარნაეზიანთა ხანის ქართლის სამეფოს პოლიტიკური ისტორიის შესასწავლად. პოლიტიკური ისტორია კი მეტად უფერულად გამოიყურება ხოლმე, თუ იგი სათანადო ქრონოლოგიით, პირველ რიგში, მეფეთა ზეობის თარიღებით არ არის გამყარებული.

სწორედ ასეთ მდგომარეობასთან ვუკუქვს საქმე V ს. ქართლის სამეფოს მეფეთა შესახებ. ამ ბოლო ხანებამდე IV ს. ქართლის მეფეთა არა თუ ქრონოლოგია, სწორი რიგიც კი არ იყო დადგენილი. როგორც ფარნაეზიანთა სახლის მეფეთა რიგისა და ქრონოლოგიისადმი მიძღვნილი გამოკვლევების ავტორები, ისე ის მკვლევარნი, რომელნიც აღრეფოდალური საქართველოს ისტორიაზე წერდნენ და ფარნაეზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა რიგისა და ქრონოლოგიის საკითხებსაც ეხებოდნენ, შეცდომებს ვერ აცდნენ.

რამ განაბირობა ასეთი აღრევა ქართლის მეფეთა რიგში.

თუ ქართულ ისტორიოგრაფიაში დამ-

კვიდრებული იმ მოსაზრებით ვიხელმძღვანელებთ, რომლის თანახმად, „მოქცევაი ქართლისაი“ თითქოს „უძველესი სამოქალაქო საისტორიო ნაწარმოებია“ (21:112) და „მეფეთა ცხოვრების“ ავტორად მიჩნეული, XI ს-ში მცხოვრები ლეონტი მროველი, ამ თხზულების დაწერისას, სხვა წყაროებთან ერთად, „მოქცევაი ქართლისაის“ მატიაწეთიც სარგებლობდა (21:176), უფრო მეტიც, „მოქცევაი ქართლისაი“ ლეონტი მროველის „უმთაერესი წყარო“ იყო (21:187; შდრ., 14:54, 57, 59; 23:146), მაშინ „მოქცევაი ქართლისაისა“ და „მეფეთა ცხოვრებაში“ მეფეთა რიგი (ამ შემთხვევაში IV საუკუნის) მაინც იდენტური უნდა იყოს.

გადაეხედოთ ამ მხრივ მათ ცნობებს.

### „მეფეთა ცხოვრება“

- |            |                      |
|------------|----------------------|
| 1. მირიანი | 2. ბაქარი            |
| რევი       | 3. შირდატი           |
|            | 4. ვარაზ-ბაქარი      |
|            | 5. თრდატი (რევის ძე) |
|            | 6. ფარსმანი          |

## „მოქცევაი ქართლისაი“

1. მირიანე რევი
2. ბაკური
3. თრდატი (რევის ძე)
4. ვარაზ-ბაკური (მირდატის ძე)
5. ბაკური (თრდატის ძე)
6. ფარსმანი (ვარაზ ბაკურის ძე)

დასახელებული წყაროებიდან მოტანილ მეფეთა რიგებს შორის, როგორც ვხედავთ, განსხვავება საკმაოა.

სანამ ზემომოტანილ მეფეთა რიგებს შორის არსებულ განსხვავებას შევხვებით, უნდა აღვნიშნო: ორივე თხზულებაში რომ ქართლის სამეფოს ისტორიაა გადმოცემული, ამაში უფიქრობ, ეპიკური არაეის შეეპარება. აქედან გამომდინარე, ცხადია, მეფეთა რიგიც იდენტური უნდა ყოფილიყო. მაგრამ, როგორც ვხედავთ, მათში არსებული მეფეთა რიგი ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავდება. კერძოდ, „მეფეთა ცხოვრება“ ბაქარს თუ მირიანის ძედ ასახელებს, „მოქცევაი ქართლისაი“ მას (ბაკურს) რევი მირიანის ძის ძედ მიიჩნევს. თანაც, პირველი წყაროს ცნობით, ბაქარ მირიანის ძის შემდეგ თუ ბაქარის ძე მირდატი, მირდატის ძე ვარაზ-ბაქარი მეფობდა და შემდეგ ვარაზ-ბაქარის ძეების მცირეწლოვნების გამო ავიდა ტახტზე ვარაზ-ბაკურის სიმამრი თრდატ რევის ძე (ე. ი. თრდატი მირიანიდან მე-5 მეფე იყო), „მოქცევაი ქართლისაი“-ს თანახმად, მირიანის შემდეგ ბაკურ რევის ძე, შემდეგ ბაკურის ძმა — თრდატ რევის ძე მეფობდა (აქ თრდატი მირიანიდან მე-3 მეფეა). აღნიშნულთან ერთად, „მეფეთა ცხოვრებიდან“ მოტანილ ცხრილში თრდატ რევის ძის შემდეგ მეფედ თუ ვარაზ-ბაქარის ძე ფარსმანია დასახელებული, „მოქცევაი ქართლისაი“ თრდატის შემდეგ ჯერ ვარაზ-ბაკურს (არ უთითებს იგი ვისი ძე იყო), შემდეგ კი თრდატის ძეს ბაკურს (ეს ბაკური „მეფეთა ცხოვრებაში“ საერთოდ არ იცის) ასახელებს. მის შემდეგაა მითითება ფარსმანის მეფობაზე.

ფარსმანთანა სახლის ქართლის მეფეთა შესახებ „მეფეთა ცხოვრებისა“ და „მოქცევაი ქართლისაი“ ცნობათა შორის არსებულ შეუსაბამობას თ. გორდანიამ ჯერ კიდევ გახული საუკუნის ბოლოს მიაქცია ყურადღება. ამ საკითხს იგი „ქრონიკების“ I ტომში (ვაშლიცა 1892 წ.) „მოქცევაი ქართლისაი“ ტექსტის კომენტარებში შეეხო. „მოქცევაი ქართლისაი“ თრდატ რევის ძე და „მეფეთა ცხოვრებაში“ ვარაზ-ბაკურის შემდეგ დასახელებული თრდატი მან სამართლიანად მიიჩნია იდენტურ პირებად. მაგრამ, ფიქრობდა, რომ „მეფეთა ცხოვრების“ მეფეთა რიგში მირდატ ბაქარის ძის ადგილზე თრდატ რევის ძე უნდა იყოს (16:41, შენ. 84).

ს. გორგაძემ 1905 წელს გამოქვეყნებულ წერილში „საქართველოს ეკლესია და მისი დასაწყისი“ „მეფეთა ცხოვრების“ მონაცემებთან შედარებით უპირატესობა „მოქცევაი ქართლისაი“ ცნობებს მიანიჭა. მეორე მხრივ, ბაკურ მირიანის ძე, „მოქცევაი ქართლისაიში“ რადგან რევის ძედ (ე. ი. მირიანის შვილიშვილად) არის დასახელებული, ამ წყაროს მონაცემებიდან გამომდინარე, მირიანის შემდეგ მეფეებად ბაკური და თრდატი მიიჩნია (7:33,35). „მოქცევაი ქართლისაი“-სავე ცნობით, სომხეთის კათალიკოსმა ნერსემ ქართლის ეკლესიის მეთაურად თავისი დიაკონი იობი, რადგან თრდატის მეფობაში დასვა, ხოლო „მეფეთა ცხოვრების“ ცნობით, ქართლის ეპისკოპოსად „იობ სომეხი“ მირდატის მეფობაში დაჯდა, ისე როგორც თ. გორდანიამ, ს. გორგაძემაც მირდატი და თრდატი იდენტურ პირებად ჩათვალა (7:34). მისი მტკიცებით, ბაკურ რევის ძის შემდეგ 361—368 წლებში სწორედ ეს მირდატ-თრდატი მეფობდა. წვეთების საინტერესო საკითხს კ. კეკელიძეც შეეხო. „მეფეთა ცხოვრების“ ცნობებიდან გამომდინარე, მირიანის შემდეგ მეფედ მან თუმცა სამართლიანად მიიჩნია ბაქარ (ბაკურ) მირიანის ძე, მაგრამ ამავე წყაროში ბაქარის ძე რომ მირდატად იწოდება, ეს შეცდომა ვგონა. ამიტომ ამტკიცებდა: **მისი ნამ-**

დეილი სახელია თრდატი, იგია „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ დასახელებული თრდატ რევის ძე (10:142).

როგორც ვხედავთ, ისე როგორც თ. ეორდანიამ და ს. გორგაძემ, კ. კეკელიძემაც მირდატ ბაკურის ძე და თრდატ რევის ძე გააიგივა. აღნიშნულიდან გამომდინარე, „მეფეთა ცხოვრების“ ცნობა, რომლის თანახმად ვარაზ-ბაკური მირდატის ძე იყო (11:132), შეცდომად ჩათვალა (10:142). რის შედეგადაც უარყო ქართლის მეფის მირდატ ბაკურის ძის არსებობა — ვარაზ-ბაკური უმაჰოდ დარჩა. რათა ამ ჩიხიდან გამოსავალი მოეძებნა „მეფეთა ცხოვრებაში“ თრდატის ქალიშვილის ქმრად დასახელებული ვარაზ-ბაკური (მირდატის ძე) თრდატის შემდგომ მეფედ მიიჩნია. კ. კეკელიძის დასკვნით: „მეფეთა ცხოვრების“ ცნობა, ვარაზ-ბაკურის გარდაცვალების შემდეგ მეფედ მისი ხიმაში თრდატი რომ დაჯდა მცდარია. იგი ერთხელ იყო მეფე და მეორედ რატომ გამეფდებოდაო. კ. კეკელიძისავე მტკიცებით, ვარაზ-ბაკურის შემდეგ მეფობდა ბაკურ თრდატის ძე, შემდეგ ვარაზ-ბაკურის უფროსი ძე ფარსმანი (10:142).

ამრიგად, წინამორბედ მკვლევართა მხგავსად კ. კეკელიძე არ დასჯერდა სრულიად სხვადასხვა პირების — მირდატ ბაკურის ძისა და თრდატ რევის ძის გაიგივებას. სცადა „მეფეთა ცხოვრების“ ტექსტში გარკვეული შესწორებანი შეეტანა. უარყო „მეფეთა ცხოვრების“ ის ცნობა, რომლის თანახმად, ვარაზ-ბაკურის გარდაცვალების შემდეგ ქართლის ტახტი მისმა ხიმაში თრდატ რევის ძემ რომ დაიკავა.

აღნიშნულთან ერთად, როგორც კ. კეკელიძე ამტკიცებს, ვარაზ-ბაკურმა იმიტომ კი არ დაიკავა ქართლის სამეფო ტახტი, თრდატ რევის ძის სიძე რომ იყო, არამედ მემკვიდრეობით, როგორც მირიანის უმცროსი ძის ბაკურის შვილის — მირდატის ძემ. თრდატს საკუთარი ძეები ჰყავდა, ამიტომ ტახტზე სიძეს არ დასვაილა.

ვარაზ-ბაკურის ხიმაში თრდატ რევის ძემ ქართლის სამეფო ტახტი ვარაზ-ბაკურის შემდეგ, როგორც ამათ „მეფეთა ცხოვრება“ ვეამცნობს იმიტომ დაიკავა, ვარდაცვალებისას ვარაზ-ბაკურს სძივე ძე მცირეწლოვანი რომ დარჩა (11:137).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არ ედება „მეფეთა ცხოვრება“ ვარაზ-ბაკურის გარდაცვალების შემდეგ თრდატის გამეფებაზე რომ მოუთხოვს. ასევე, არ შეიძლება მირდატ ბაკურის ძისა და თრდატ რევის ძის გაიგივება. ისინი ბიძაშვილები იყვნენ.

„მეფეთა ცხოვრებასა“ და „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ შორის IV ს. ქართლის მეფეთა რიგში არსებული შეუსაბამობის მოწესრიგება ლ. ჯანაშიამ ქართლის მეფეთა რიგის ეპისკოპოსთა რიგთან შეთანხმწორებით სცადა.

1986 წელს გამოცემულ ლ. ჯანაშიას „ისტორიულ-წყარომცოდნეობით ნარკვევებში“ გამოქვეყნდა მის მიერ 1961 წელს საინსტიტუტო გვერდით შესრულებული გამოკვლევა „კორიუნის ერთი ცნობის ინტერპრეტაციისათვის“. დასახელებულ ნაშრომში „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ მირიანიდან მესამე მეფე თრდატი და „მეფეთა ცხოვრებაში“ მირიანიდან მეხუთე მეფე თრდატი სამართლიანად ჩათვალა იდენტურ პირებად (23:146), მაგრამ ქართულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებული მოსაზრებიდან გამომდინარე, „მეფეთა ცხოვრების“ ცნობებთან შედარებით „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობები, რადგან უფრო საწინდოდ მიჩნდა, ამტკიცებდა: ლეონტი მროველმა შეცდომით, ან შეგნებულად თრდატი „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მესამე ნომრიდან ვარაზ-ბაკურის შემდეგ, მირიანიდან მეხუთე ნომრად გადაიტანა (23:150. ლ. ჯანაშია აქ გულიწხმობს, რომ ლეონტიმ „მეფეთა ცხოვრების“ დაწერისას ქართლის მეფეთა შესახებ ცნობები „მოქცევაჲ ქართლისაჲსიდან“ აიღო. 23:146).

ლეონტი მროველმა ტექსტში ასეთი გადაადგილება, მართლაც, რომ მოახდინა, ლ. ჯანაშიას ამის დასტურად შე-

მღვწე მიაჩნია: „მოქცევა ქართლისაჲში“, — წერს იგი, — სწორად არის დაცული როგორც მეფეთა თანმიმდევრობა, ისე ქართლის მთავარეპისკოპოსთა რიგი (იოვანე, იაკობ, იობ, ელია, სემეონ და ა. შ.). მაშინ როცა, „მეფეთა ცხოვრებაში“ მირიანის თანამედროვე იოვანეს შემდეგ მირდატ ბაქარის ძის დროს მთავარეპისკოპოსი ხდება იაკობი, მირდატის დროსვე მითითებაა იაკობის გარდაცვალებისა და იობის „დაჯდომაზე“, ხოლო შემდეგ თრდატ რევის ძის მეფობისას კვლავ იაკობის გარდაცვალებაზეა ცნობა (23:147). ამიტომ, დასძენს ლ. ჯანაშია, — თუ „მეფეთა ცხოვრების“ მეფეთა რიგში თრდატ რევის ძეს მეუთე ნომრიდან შესამედ გადავიტანთ (როგორც ეს „მოქცევა ქართლისაჲში“ არის. ვ. გ.), მაშინ ქართლის მეფეთა და მთავარეპისკოპოსთა რიგი „მეფეთა ცხოვრებაში“ სწორი გახდება და ასეთ სახეს მიიღებს:

მირიან	— — — — —	იოვანე
ბაკური	— — — — —	იაკობ
თრდატ	— — — — —	იობ
ვარახ-ბაკურ		
ბაკურ	— — — — —	ელია
ფარსმან	— — — — —	სემეონ და ა. შ.

(23:150).

როგორც ვხედავთ, თ. ჯორდანიასთან მოკიდებული, თითქმის ერთი საუკუნეა, მკვლევართა ნაწილს „მეფეთა ცხოვრებაში“ მირიანიდან შესამე მეფედ რომ მირიანის შვილიშვილი — მირდატ ბაკურის ძეა დასახელებული შეცდომა ჰგონია და დაყენებით მოითხოვენ მის ადგილზე „მოქცევა ქართლისაჲდან“ თრდატ რევის ძის ჩასმას.

„მეფეთა ცხოვრებისა“ და „მოქცევა ქართლისაჲს“ ცნობების ურთიერთმომართების შესახებ (მხედველობაში მაქვს ივ. ჯავახიშვილიდან მომდინარე ზემო-მოტანილი მოსაზრება „მეფეთა ცხოვრების“ დაწერისას ლეონტი მროველმა თითქოს „მოქცევა ქართლისაჲ“ გამოიყენა) რა აზრისანი იყვნენ თ. ჯორდანიას და ს. გორგაძე და რატომ ანიჭებდ-

ნენ უპირატესობას „მოქცევა ქართლისაჲს“ მატიანეს, არ ვაქცინებთ. მატიანეები და ლ. მანუჩიანის „მოქცევა ქართლისაჲს“ კ. კველიძისა და ლ. მანუჩიანის „მოქცევა ქართლისაჲს“ უფრო ძველ და უზუსტარი ცნობების მქონე თხზულებად მიაჩნდათ და ამიტომ ცდილობდნენ „მეფეთა ცხოვრების“ მეფეთა რიგი „მოქცევა ქართლისაჲს“ მიხედვით ჩაესწორებინათ. მაგრამ, ივ. ჯავახიშვილი არც „მოქცევა ქართლისაჲს“ მატიანეს ცნობებს თვლიდა ხანდოდ. მისი შენიშვნით, „წყაროები, რომელნიც ლეონტი მროველს მოხსენებული აქვს (მ. შ. ივულისხმება „მოქცევა ქართლისაჲს“. ვ. გ.) და სარგებლობს, თითქმის ყოველგვარ ისტორიულ ღირებულებას არიან მოკლებულნი“. ამიტომაც ლეონტის თხზულება „როგორც ხანდო მასალა ქართველი ერის უძველესი ისტორიისათვის... თითქმის სრულიად გამოუდგარია“ (21:187). ივ. ჯავახიშვილისავე მითითებით, თვით „მოქცევა ქართლისაჲს“ მატიანეს „მეფეთა სიაჲ“, როგორც უცხოელ ისტორიკოსთა ცნობებიდან ჩანს, „სრული და სწორი არ არის“ (21:116).

ახე რომ, თუ ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებით ვიხელომძვანელებთ, მაშინ, მართალია, „მეფეთა ცხოვრების“ ცნობები ქართველი ერის უძველესი ისტორიისათვის „თითქმის სრულიად გამოუდგარია“, მაგრამ „მოქცევა ქართლისაჲში“ არსებული მეფეთა რიგიც „სრული და სწორი არ არის“ და IV ს. ქართლის, საერთოდ ფარნავაზიანთა სახლის ქრისტიანი მეფეების რიგის დადგენისას ჩვენს მკვლევარებს ისე, როგორც ეს ივ. ჯავახიშვილმა გააკეთა (მხედველობაში მაქვს უცხოენოვანი წყაროებისადმი მეტი ნდობა), სხვა გზა უნდა ეძებნათ.

ახლა ისევ IV ს. ქართლის მეფეთა რიგის საკითხს დაუბრუნდეთ.

ლ. ჯანაშიამ მეფეთა რიგის ხელოვნური ადგილგადანაცვლებით „მეფეთა ცხოვრებაში“ მირდატ ბაკურის ძის ადგილას თრდატ რევის ძის ჩასმით, თითქოს საუძველესი მოუნახა ძველ ქართულ წყა-

როებში მეფეთა და მთავარებისკოპოსთა რიგში არსებულ შეუსაბამობას. მაგრამ რამდენად სწორია ლ. ჯანაშიას ასეთი მოქმედება. მართლა არეულია „მეფეთა ცხოვრებაში“ მეფეთა და მთავარებისკოპოსთა რიგი და ეს „არეულობა“ ტექსტში ლეონტი პროველის ბრალია?

უპირველეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ: თუ ლ. ჯანაშიას ჩასწორებას ვაეთვალისწინებთ, მაშინ „მეფეთა ცხოვრების“ ტექსტიდან ამოვარდება მირიანიდან შესამე მეფე — მირდატ ბაკურის ძე და მის ადვილს ამავე თხზულებაში მირიანიდან მეხუთე მეფედ დასახელებული სულ სხვა პიროვნება, თრდატ რევის ძე დაიკავებს. ტექსტიდან ამოვარდება, აგრეთვე, „მეფეთა ცხოვრებაში“ მირიანიდან მეხუთე მეფის თრდატ რევის ძის თანადროულად ქართლის ვკლესიის მეთაურად ხელმეორედ დასახელებული იაკობი.

რა თქმა უნდა, მეფეთა და მთავარებისკოპოსთა ადგილგადანაცვლებით ძველ ქართულ წყაროებში IV ს. ქართლის მეფეებისა და მთავარებისკოპოსთა შესახებ არსებული შეუსაბამობა არ მიიხსნება.

ორი სხვადასხვა მეფის მირდატ ბაკურის ძისა და თრდატ რევის ძის (მათ შესახებ იხ. 6:80,108) გაიგივებისას ყველა მკვლევარი, როგორც ითქვა, ერთი მოსაზრებით ხელმძღვანელობდა — იღება „მეფეთა ცხოვრება“, როგორც „მოქცევაი ქართლისაჲსთან“ შედარებით გვიან XI საუკუნეში ლეონტი პროველის მიერ დაწერილი თხზულება (21:176, 178). ამ თვალსაზრისზე მდგომი მკვლევრები ხელმძღვანელობდნენ რა იმ გარემოებით, ორივე ქართულ წყაროში („მეფეთა ცხოვრება“, „მოქცევაი ქართლისაჲს“) რომ ქართლის სამეფოს ისტორიაა მოთხრობილი, თვლიდნენ, მათში მეფეთა რიგიც იღვტურად უნდა ყოფილიყო (თუმცა, როგორც ვნახეთ, თ. ჭორდანიანიდან მოკიდებული იმაზეც მიუთითებდნენ ამ წყაროებში ქართლის მეფეთა სხვადასხვა თანმიმდევრობა რომაა დაცული). რადგან ეს ასე არ აღმოჩნდა, რიგის გასწორება მათ მიერ უძ-

ველეს ეროვნულმატარებელ მინსკულ „მოქცევაი ქართლისაჲს“ მეფეების რიგით სცადეს. მაგრამ ეს ცდაც მარტოა და აღა დაამთავრდა და არც შეიძლება არსებითი შედეგი მოჰყოლოდა.

სხვათა შორის ლ. ჯანაშიას მიერ ასევე აღიარებული იქნა მირიანის შთამომავალთა შორის არსებული დინასტიური ბრძოლა, მაგრამ ისევე დასახელებული მიდგომის გამო, ეს ბრძოლა როგორც „მეფეთა ცხოვრება“ გადმოგვეცემს და გ. მელიქიშვილმაც მიუთითა (13:163), მირიანის ძეებისა ბაკურისა (ბაქარის) და რევის მეშვეობით შორის მიმდინარედ კი არ ჩათვალა, არამედ რევის შთამომავალთა შორის' (22:82-83).

„მოქცევაი ქართლისაჲს“ ცნობებისადმი უპირატესობის მინიჭებამ, ძველი ქართული წყაროებისადმი მიპერკრიტიკული მიდგომის პირობებში, გარკვეულწილად უარყოფითად იმოქმედა საქართველოს ძველი ისტორიის კვლევის (უპირველეს ყოვლისა ფარნავაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა რიგის დადგენის) საქმეში. აღნიშნულთან ერთად, IV ს. ქართლის მეფეთა რიგი ამ ბოლო ხანამდე რომ დაუდგენელი იყო, ამის მიზეზად ისიც უნდა ჩაითვალოს ჩვენი მკვლევრები, ივ. ჯავახიშვილის მსგავსად, ქართული წყაროების მონაცემებთან შედარებით უპირატესობას უცხოენოვან წყაროთა ცნობებს რომ ანიჭებდნენ.

1. „მოქცევაი ქართლისაჲსში“ როგორც ჯერ კიდევ თ. ჭორდანიანი შენიშნა (16:40, შენ. 79), შემდეგ კი არაერთმა მკვლევარმა დაადასტურა, ბაკური რომ რევის ძეა დასახელებული — შეცდომაა.

2. ასეთ საფუძველზე (ვ. ბოლოტოვის მსგავსად) მიიჩნია ივ. ჯავახიშვილმა ქართლის პირველ ქრისტიან მეფედ პეტრე იბერის ასურულ „ცხოვრებაში“ დასახელებული დიდი ბაკური (20:273). ასევე უფოშანიო იქნა ფარნავაზიანთა სახლის უკანასკნელ მეფედ მინხული VI ს. ბიზანტიელი ისტორიკოსის პროკოპიოს კესარიელის მიერ ქართლის მე-



და ბოლოს, ფარნავაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა რიგის დადგენის საქმე ნიხში მოაქცია ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულმა და დღესაც ვაბატონებულმა იმ მოსაზრებამ, რომლის თანახმად, ირანსა და რომს შორის 369 წელს გაყოფილი ქართლის სამეფო ირანის ზელქვეით თითქოს 374 წელს, ან IV ს. 70-იანი წლების დასასრულს გაერთიანდა (22:80-81; 2:94,96).

374 წლიდან ქართლი, რადგან ერთ სამეფოდ იყო ბიზნეული, ცხადია, მეფეებიც ერთი რიგისა უნდა ჰყოლოდა (13:170). ქართულ და უცხოენოვან წყაროებში IV და V საუკუნის პირველი ნახევრის ქართლის მეფეებად დასახელებული პირები კი ერთ რიგში არ თავსდებოდა. ამიტომ იძულებულნი იყვნენ სრულიად განსხვავებული პიროვნებები გაიგივებინათ (13:170). რის გამოც, ქართულ და უცხოენოვან წყაროებში დასახელებული ზოგი მეფე საქართველოს ისტორიისათვის დაიკარგა. ასე მაგალითად, IV ს. გამოჩენილი მოღვაწე თრდატ რევის ძე (იგი იხსენიება როგორც მეფეთა ცხოვრებაში" იხე „მოქცევაი ქართლისაიში") ქართულ ენციკლოპედიაში არ აიხსნა, ასევე, ამავე გამოცემაში ვერ მოხვდა პეტრე იბერის ბიძა — მეფე არჩილი (პეტრე იბერის ასურული „ცხოვრების" ცნობით, იგი მოხუცებული ავიდა ტახტზე და ძე არ ჰყავდა). ასეთი ნიშანდობლივი ცნობის მიუხედავად, ეს არჩილი ვახტანგ გორგასლის „ცხოვრებაში" ვახტანგის პაპად დასახელებული არჩილ მირდატის ძესთან (რომელსაც შეილიც ჰყავდა და შეილიშვილიც) იყო გაიგივებული. ქართული ისტორიოგრაფია პეტრეს ბიძის — არჩილ რევიანის არსებობას არ ცნობდა. ორი გამოჩენილი მეფის დაკარგვა გარკვეული დანაკლისია ადრეფეოდალური ქართლის სამეფოს ისტორიისათვის.

ფედ დასახელებული გურგენი (3:61; საქართველოს ისტ. ნარკვევები, ტ. II, გვ. 247; ქსე; სტატია, გურგენი).

IV საუკუნის და V ს. I ნახევრის ქართლის მეფეთა შესახებ [ქრეთოქრეთო] ისტორიოგრაფიაში არსებულმა [ქრეთოქრეთოსაწინააღმდეგო მოსაზრებათა კარგი დადასტურებაა ისიც, რომ ქართულ ენციკლოპედიაში ერთ ფურცელზე — ერთი პიროვნების მეფე ბაკურის შესახებ ორი წერილია მოთავსებული (იხ. ქსე, ტ. 2, სტ. ბაკური III; ბაკური იბერიელი).

სათანადო ხაისტორიო წყაროების მონაცემებისა და სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებათა ანალიზის შედეგად გაიკვია: „მეფეთა ცხოვრებასა" და „მოქცევაი ქართლისაიში" არსებული მეფეთა ის რიგი, რომლებშიც IV ს. მეფეები არიან წარმოდგენილნი, როგორც აქამდე ევონათ, იდენტური არაა. და არც უნდა იყოს იდენტური, რადგან ისინი ფარნავაზიანთა სახლში წარმოქმნილი ურთიერთდაპირისპირებული განშტოებათა — რევიანთა და ბაქარიანთა წარმომადგენლები არიან. ეს ორი შტო ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის — მირიანის (გარდ. 334 წ.) ძეებისაგან იღებენ სათავეს და ოფიციალურად 369 წელს ირანსა და რომს შორის ქართლის სამეფოს გაყოფის შედეგად გაფორმდნენ. ამ ორმა შტომ V ს. 30-იანი წლების დასასრულამდე იარსება (ნ: თავი მეექვსე).

„მეფეთა ცხოვრებისა" და „მოქცევაი ქართლისაის" ცნობებზე ჩემი ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად იმ დასკვნამდე მივედი, რომ „მეფეთა ცხოვრებაში" ძირითადად ქართლის სამეფოს ოფიციალური ისტორიაა გადმოცემული (ამიტომ მის ცნობებს უპირატესობა უნდა მიენიჭოს). მასში ფარნავაზიანთა სახლიდან გამოყოფილი ცალკეული შტოების ისტორიას, ან ნაკლები წურადლება ექცევა, ან საერთოდაა უარყოფილი.

რაც შეეხება ამ წყაროებში არსებულ მეფეთა რიგს, „ქართლის ცხოვრების" უძველეს — ანა დედოფლისეულ ნუსხაში (XV ს.) არსებული ფარნავაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა რიგი (ამ ნუსხას ფარნავაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა რიგი ცალკე აქვს ათეილი, რასაც პირველად აკად. ს. ყაუხჩიშვილმა



მიაკცია ყურადღება) დაემთხვა XII ს-ში შესრულებულ „ქართლის ცხოვრების“ სომხურ თარგმანში შემონახულ მეფეთა რივს. რაც იმის დადასტურებად უნდა იქნას მიჩნეული „ქართლის ცხოვრების“ ანა დედოფლისებულ ნუსხაში IV-V და VI ს. I ნახევრის მეფეთა რივი ზუსტი რომ არის და იგი XII ს. წინა ხანადანაა მოღწეული (ფარნავაზიანთა სახლის ბაქარიან მეფეთა რივის სისწორის შესახებ იხ. 6:41-50). ეს რივი არსებითად განსხვავდება „მოქცევაი ქართლისაიში“ არსებული შესაბამისი ხანის ქართლის მეფეთა რივისაგან (რევიანებისაგან).

რადგან „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ნაწილის – „მეფეთა ცხოვრებისა“ და განსაკუთრებით ვახტანგ გორგასლის „ცხოვრების“ არაერთი ცნობის რეალობა დადასტურდა, აქვე დგება საკითხი მათი შექმნის დროის შესახებ. „მეფეთა ცხოვრებისა“ და ვახტანგ გორგასლის „ცხოვრების“ ავტორებად მიჩნეული ლეონტი მროველისა და ჯუანშერის შესახებ ჩვენს ისტორიოგრაფიაში არსებული შეხედულება ამ ბოლო ხანებში საკმაოდ შეივრცა. გამოითქვა ახალი მოსაზრებები. კერძოდ, „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ნაწილის ლეონტი მროველის ავტორობის საკითხი ეჭვის ქვეშ იქნა დაყენებული (იხ. I; 4; 8:283). ასევე არსებითად გადაისინჯა ჯუანშერის მოღვაწეობის დროისა და მისადმი მიკუთვნებული თხზულების მოცულობის საკითხი.

რადგან „მეფეთა ცხოვრებისა“ და ვახტანგ გორგასლის „ცხოვრების“ არაერთი ცნობის რეალობა დადასტურდა, მითითებული იქნა: ადრეული ხანის საქართველოს ისტორიის შესახებ „ნავიანები ხანის ისტორიკოსები (ლეონტი მროველი, ჯუანშერი, ვ. გ.) ვერ მოგვემდინნ უტყუარ ცნობებს“ მათ განკარგულებაში „ძველი ხანის წყაროები რომ არ ყოფილიყო“ (მ. ლორთქიფანიძე, 12:14).

მართლაც, ლეონტი მროველი რომ ავტორი (უპირველეს ყოვლისა „მეფეთა ცხოვრების“) არ იყო და მხოლოდ ძველ თხზულებებს უკეთებდა რედაქციას, ეს

თვით „ქართლის ცხოვრებაში“ არსებული იმ მინაწერით მტკიცდება, რომლის თანახმად, „ესე არჩილი... წაშლილ მეფეთა ცხოვრება, და ნინოს მიერ ქართლის მოქცევა ლეონტი მროველმან აღწერა“ (17:244). თანაც იქვე არსებული ცნობით, ლეონტიმ „არჩილის წამების წიგნი“ ხომ „იპოვა სულ მცირედ აღწერილი“? (17:248).

დღეისათვის ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ზემომოტანილი ცნობა ასეა ახსნილი: იმ თხზულებებიდან, რომლებიც მინაწერის საფუძველზე ლეონტი მროველმა „აღწერა“ („აღწერა“ როგორც შ. ბაღრიძემაც მიუთითა 1962 წელს, ძველად გადაწერასაც ნიშნავდა. 1:175), „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“ სიტყვასიტყვითაა გადმოწერილი „მოქცევაი ქართლისაიდან“, „მეფეთა ცხოვრება“, თვით „ქართლის ცხოვრებაში“ ღართული ერთი მინაწერით „ჟამითი-ჟამად იწერებოდა“, ხოლო „არჩილის წამების“ ავტორად, ამ ნაწარმოების XII ს. მეტაფრასული რედაქციის უცნობი ავთოგრაფი თვით არჩილის თანამედროვეს (VIII ს.) მიიჩნევს (იხ. გ. მელიქიშვილი, ლეონტი მროველი, ქმე, ტ. 6).

აღნიშნულთან ერთად, „ქრისტიანობის ადრეულ საფეხურზე“ ჯერ კიდევ თუ იყო შემონახული „ძველი წყაროების ვარკვეული ნაწილი“ (მ. ლორთქიფანიძე) და „ქართლის ცხოვრებაში“ „ადრეულ საუკუნეებში შექმნილი მთლიანი ნაწარმოებებია დასრულებული სახით“ შემონახული (რ. ბარამიძე); თანაც XI ს. ისტორიკოსებს „შუა საუკუნეებში არსებული ტრადიციის თანახმად, თავის წინაპორბედთა ნაშრომები თითქმის მთლიანად და უცვლელად შექპონდათ თავის საისტორიო თხზულებებში“ (მ. ლორთქიფანიძე, 12:12), ლეონტის კი, როგორც კ. კეკელიძემ დაასკვნა „დამოუკიდებელი კლევა-ძიების უნარი მაინცდამაინც დიდი არ ჰქონდა და მას უფრო მზამზარეული მასალის გადაწერა ეხერხებოდა“, ცხადია, „ქართლის ცხოვრების“ უძველესი ისტორიის ამსახველი თხზულების ავტორად მისი მიჩნევა

არ შეიძლება. იგი „ქართლის ცხოვრების“ რედაქტორი უნდა ყოფილიყო (დაწვრილებით იხ. 1; 4).

რაც შეეხება „მოქცევაი ქართლისაჲს“ მატანეს, იგი ჩემი დაკვირვებით რევიანთა ორიენტაციის თხზულება ჩანს. მისი ავტორი ცდილობს რევიანთა სამეფო სახლის ისტორია უფრო სრულად წარმოადგინოს. არ ერიდება მეფეთა რიგში ჩასწორების შეტანას (მხედველობაში მაქვს ბაკურ მირიანის ძის რევის ძედ მიჩნევა). ამავე ორიენტაციისა და იდეოლოგიისა პეტრე იბერის ასურული „ცხოვრება“ (მასში რევიანი მეფეები არიან დასახელებულნი). აღნიშნულს გარდა, პეტრე იბერის ასურულ „ცხოვრებაში“ იმავე ხანის ქართლის მეფეთა რიგი არა მარტო განსხვავებულია, ზოგი მეფე ქართული სამყაროსათვის უცნობი სახელით არის წარმოდგენილი. ამ თხზულებაში განსაკუთრებით მკვეთრად იჩენს თავს ბაქარიანთაგან განცალკევების ტენდენცია. პეტრე იბერის ასურულ „ცხოვრებაში“ ქართლის პირველ ქრისტიან მეფედ მირიანის მაგიერ ხომ დიდი ბაკურია დასახელებული (19:80-81).

რევიანები რადგან მირიანს არ მიიჩნევდნენ ქართლის პირველ ქრისტიან მეფედ, მათი იდეოლოგიის გამოშატველი პიროვნება არც ქართლის მოქცევის ისტორიას დაწერდა. „მოქცევაი ქართლისაჲს“ არსებული მინაწერი, როგორც ცნობილია, „მცირე და მოკლე აღწერილი ქართლის მოქცევის წიგნის“ ავტორად გრიგოლ დიაკონს თვლის (15:322). ქართლის მოქცევის ამსახველი ეს თხზულება, უფიქრობ, მამინ უნდა შექმნილიყო, როცა ფარნავაზიანთა სახლში ჯერ კიდევ არ იყო წარმომადგენელი ერთმანეთისადმი დაპირისპირებული ორი შტო. ქართლში რევიანთა მეფობისას (369-439 წწ.) გრიგოლ დიაკონის თხზულება

მა მათთვის იქნებ არც იყო ცნობილი („მოქცევაი ქართლისაჲს“ მინაწერით „წიგნი ქართლისაჲს“ ხომ „მრავალთა ვამთა და წელთა შემდგომად ჰპოვეს“. 15:355), რის გამოც მათ თავიანთ პირველ ქრისტიან მეფედ დიდი ბაკური მიიჩნიეს.

„მოქცევაი ქართლისაჲს“ გარკვეული ცვლილებები რევიანთა იდეოლოგიის გამოშატველი პიროვნების მიერ, როგორც ჩანს, იმ დროს იქნა შეტანილი, როცა რევიანებს მეფობა დაკარგულნი ჰქონდათ, მაგრამ მათი სახლის ცალკეული წარმომადგენლები ჯერ კიდევ იყვნენ ქართლში. იმ პიროვნებას, რომელმაც „მოქცევაი ქართლისაჲს“ რევიანთა იდეოლოგიაზე გაშართა, პეტრე იბერის ასურული „ცხოვრება“ ხელთ არ უნდა ჰქონოდა.

„მოქცევაი ქართლისაჲს“ როგორც საისტორიო წყაროს მნიშვნელობაზე ვი შემიძლია უნდა ითქვას: ახლა თანდათან იხრებიან იმ აზრისაკენ, რომ „მოქცევაიში“ შესული ე. წ. „ქრონიკა“ და „ნინოს ცხოვრება“ სხვადასხვა ავტორს ეკუთვნის და გვიან არის გაერთიანებული რედაქტორის მიერ (რომ მათი გაერთიანება უფრო ადრე უნდა მომხდარიყო ვიდრე X ს. 70-იან წლებში შატბერდის კრებული შედგებოდა). ისიც აღინიშნა: „მოქცევაი ქართლისაჲს“ ავტორი უძველესი ქართული წყაროებით რომ სარგებლობდა და თხზულებაში „ზოგჯერ აღწერილი ამბების თანამედროვის ხმაც ისმის“ (ზ. ალექსიძე, „მოქცევაი ქართლისაჲს“, ქვე. ტ. 7). ასე რომ, ამ თხზულების მნიშვნელობა, მასში არსებული ზოგიერთი ტენდენციური ცნობის მიუხედავად ძალიან დიდია საქართველოს ძველი ისტორიისათვის.

და ბოლოს, რა შეიძლება ითქვას „მეფეთა ცხოვრებისა“ და „მოქცევაი ქართლისაჲს“ ურთიერთმიმართების შესახებ.

3. ამ წერილში რადგან მხოლოდ IV ს. ქართლის მეფეთა რიგს („მეფეთა ცხოვრების“ ცნობებს) ვეხები, ჯუანშერის ავტორობის საკითხზე აღარაფერს ვამბობ. ჯუანშერზე ვრცლად იხ. 5; თავი 3.

ფარნავაზიან მოკიდებული ახ. წ. IV ს. დასასრულამდე „ეპითი-ვამად“ დაწერილ „მეფეთა ცხოვრებაში“ ქართლის მეფეთა შესახებ არსებული შედარებით სრული თხრობა არაფრით არ შე-



იძლებოდა XI ს-ში მცხოვრებ ლეონტი პროველს „მოქცევაი ქართლისაჲს“ „მშრალი ქრონიკიდან“ აეღო და იგი ისე განეკრძა, რომ ძვ. წ. III საუკუნიდან, ახ. წ. IV ს. დასასრულამდე ქართლის სამეფოს ისტორიის შესახებ მისი გამოწვევის თხრობა დღეს უცხოენოვანი წყაროების მონაცემებითა და არქეოლოგიური მასალით დადასტურებულიყო. ვფიქრობ, პირიქით, ფარნავაზიანთა სახლის ქართლის წარმართ მეფეთა რიგის შედგენისას „მოქცევაი ქართლისაჲს“ ავტორს სწორედ „მეფეთა ცხოვრებით“ (დასაშვებია მისი, დღეს ჩვენთვის უცნობი რედაქციით) უნდა ეხარებოდა. იმ პირობებში, რომელიც ქართლის მოქცევის ისტორიასა წერდა, თავისთავად ცხადია, ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის — მირიანის წარმართი წინაპრები მხოლოდ პიროვნებათა სახით აინტერესებდა (რათა მკითხველისათვის ეჩვენებინა მირიანის წინაპართა დიდი წარსული) და არა მათი მოღვაწეობა ვრცელად.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, „მეფეთა ცხოვრება“, როგორც ეს აქამდეც არაერთხელ ითქვა (5:35; 6:14), „გამითი-გამად“ შექმნილ ერთ-ერთ უძველეს საისტორიო ნაწარმოებად უნდა იქნას მიჩნეული. სწავლულ ბატონიშვილს, თეიმურაზ ბაგრატიონს (1782-1846), იქნებ, ჰქონდა რაიმე ცნობა, როცა „გამითი-გამად“ დაწერილი „მეფეთა ცხოვრების“ ერთ-ერთ ავტორად III ს. შ. ახანებში მოღვაწე მეფენ სპასპეტი მიაჩნდა. ნიშანდობლივია ისიც, რომ სწორედ თეიმურაზ ბაგრატიონს აქვს დაცული ალბათ უძველესი ცნობა, რომლის თანახმად, „არა უწიგნონი ივენენ ქართველნი უწინარესთა გამოაცა შინა, ვიდრე ფარნავაზამდე სწერდნენ ივინი უხუცესთა წერილითა“ (18:125).

ასე რომ ივ. ჯავახიშვილიდან მომდინარე მოსახრება, თითქოს „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ნაწილი — „მეფეთა ცხოვრება“ XI ს-ში მცხოვრებმა ლეონტი პროველმა დაწერა და ამ დროს „მოქცევაი ქართლისაჲს“ მისი „უმთავრესი წყარო იყო“, ამ წყაროე-

ბში IV ს. მეფეთა რიგის ანალიზიდან გამომდინარე, არ დასტურდება „მოქცევაი ცხოვრების“ ცნობის „მეფეთა ცხოვრებით“ მომდინარეობა, მაშინ მათში წარმართი თუ არა, ქრისტიანი მეფეთა რიგი მაინც იდენტური უნდა იყოს. რადგან ეს ასე არაა, ვერც კ. კეკელიძის იმ მოსაზრებას გავიზიარებთ, რომლის თანახმად, თითქოს „ორივე ძველის ავტორი მხოლოდ ერთი და იმავე წყაროთი სარგებლობდნენ“ (9:52-53). IV ს. ქართლის მეფეთა რიგი ამ შემთხვევაშიც იდენტური უნდა იყოს.

„ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ნაწილის შემკველ თხზულებებში: „მეფეთა ცხოვრებასა“ და კახტანგ ვირგასლის „ცხოვრებაში“ ჩვენთვის საინტერესო ხანისათვის (IV, V და VI ს. I ნახევრის) ფარნავაზიანთა სამეფო სახლის ძირითადი შტოს — ბაქარიანთა შტოებისა და ქართლის სამეფოს ოფიციალური ისტორიაა გადმოცემული — იგი ძირითადი წყაროა ფარნავაზიანთა სახლის მეფეთა რიგისათვისაც (დაწვრილებით იხ. 6).

ქართლის სამეფოს ისტორიის ერთი და იგივე ხანის შესახებ ძველ ქართულ წყაროთა მონაცემებს შორის არსებული განსხვავება, როგორც ზემოთაც ითქვა, 369 წლიდან V ს. 30-იანი წლების დასასრულამდე ქართლში რომ-ბიზანტიასა და ირანისადმი დაქვემდებარებული ორი სამეფოს არსებობით არის განპირობებული. „მეფეთა ცხოვრებაში“ ირანის გავლენაში მოქცეული ფარნავაზიანთა ძირითადი შტოს — ბაქარიანების (მირიანის უმცროსი ძის — ბაქარის შთამომავლები) გენეალოგია და ისტორიაა გადმოცემული, ხოლო „მოქცევაი ქართლისაჲს“ ბაქარიანსა და პეტრე იბერის ასურულ „ცხოვრებაში“, ბიზანტიის გავლენაში მოქცეული რევიანთა (მირიანის უფროსი ძის — რევის შთამომავლები) სახლისა, ამიტომ არაა მათში არსებული მეფეთა რიგი იდენტური (თუმცა, ორივე წყაროში ერთი შეხედვით ქართლის ერთიანი სამეფოს ისტორიაა გადმოცემული). რის გამოც,

გამოჩენილ ქართველ მკვლევართა ცდა თანხმობაში მოუყვანათ ამ წყაროებში არსებული შეფუთა რიგები მარცხით დამთავრდა. არც ერთი გადამწერ-რედაქტორი თავს ნებას არ მისცემდა შეფუთა რიგი შეეცვალა. ამიტომ ათასწლოვანი ტრადიციის მქონე წყაროთა მონაცემებში ჩარევა და შეფუთა გადასმა არ შე-

იძლება. ასევე გაუმართლებელია „შექცევამ ქართლისაის“ ცხრუბაჩაძემ დაშვებული ნდობა. თ. ჟორდანიას სამართლიანი შენიშვნით, „მარტო სიძველე ზელნაწერისა ხაკმაო ხაბუთი არ არის მასში მოთხრობილ ამბავთა ქუშმა-რიტებისა“ (16:40, შენ. 79).

#### მითითებული ლიტერატურა:

1. ზაძირაძე შ., ლეონტი მროველის ავტორობის საკითხისათვის, „მნათობი“, 1952, № 7.
2. ზიგვერაძე ა., ქართლის (იბერიის) სამეფოს 369 წლის გავიფის საკითხისათვის, ძიებანი საქ. და კავკასიის ისტორიიდან, თბ., 1976.
3. ზიგვერაძე ა., ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV-VIII საუკუნეებში, თბ., 1979.
4. გოილაძე ვ., არის ლეონტი მროველი ქართველთა პეროდოტი? „ეკიტაკა“, 1989, № 4.
5. გოილაძე ვ., ვახტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი, თბ., 1991.
6. გოილაძე ვ., ფარნავაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა ქრონოლოგია, თბ., 1990.
7. გორგაძე ხ., საქართველოს ველსია და მისი დასაწყისი, ვაზ. „მოამბე“, 1905, № 3.
8. კავთაძე ხ., ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხისათვის, საისტორიო მოამბე, წიგ. 1, 1924.
9. კავთაძე კ., ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები, ვტირუბები ძველი ქართ. ლიტ. ისტორიიდან, ტ. XII, თბ., 1973.
10. კავთაძე კ., ქართული კულტურის ორი დღესასწაული, „მნათობი“, 1929, № 7.
11. ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, ქართლის ცხოვრება, ტ. I, ს. ყუბნისვილის გამოცემა, თბ., 1955.
12. ლორთქიფანიძე მ., რედაქტორისაგან, ივ. ჯავახიშვილი, თბ., ტ. VIII, თბ., 1977.

13. მელიქიშვილი გ., ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიის ქრონოლოგიის საკითხისათვის, საქ. მეცნ. აკად. ისტ. ინ-ტის შრომები, ტ. IV, ნაკვ. I, თბ., 1958.
14. მელიქიშვილი გ., შესავალი (გარდა 6—1-სა), საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970.
15. მოქცევამ ქართლისაჲ, შატერდის კრებული, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა, თ., 1979.
16. ჟორდანიას თ., ქრონიკები, I, ტფ., 1892.
17. ქართლის ცხოვრება, ტ. I. ს. ყუბნისვილის გამოცემა, თბ., 1955.
18. შარაძე გ., თეიმურაზ ბაგრატიონი „ცხოვრება“, თბ., 1972.
19. ცხოვრება პეტრე იბერიისა, ასტრული რედაქცია ვერმანელიდან თარგმნა ი. ლოლაშვილმა, თბ., 1988.
20. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, I, თბ., ტ. I, 1979.
21. ჯავახიშვილი ივ., ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, წიგ. I, თბ., ტ. VIII, თბ., 1977.
22. ჯანაშია ლ., აღმოსავლეთ საქართველო (ქართლი) IV-V საუკუნეებში (§ 1, 2, 3), საქართ. ისტ. ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973.
23. ჯანაშია ლ., კორინთის ერთი ცნობის ინტერპრეტაციისათვის, ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ნარკვევები, თბ., 1986.

## ქართული იარაღის ისტორიიდან

### ხ მ ა ლ ი

ქართული ფეოდალური საზოგადოების ცხოვრებაში სამხედრო საქმეს დიდი ადგილი ეჭირა. ამ საგნის შესწავლა არასრული იქნება, თუ არ შევისწავლეთ შესაბამისი პერიოდის მეომრის აღჭურვილობა.

ნიეთიერი კულტურის ამ ნაწილის შესწავლას საფუძველი ჩაუყარა ივ. ჯავახიშვილმა.<sup>1</sup> ამის შემდეგ შუახაუკუნეების იარაღის სპეციალური კვლევა არავის უცდია. ნ. ჩოფიკაშვილი იარაღს ძირითადად ფრესკებისა და რელიეფების მიხედვით ქართულ კოსტუმთან დაკავშირებით შეუხი.<sup>2</sup> ვ. ართილაყვამ<sup>3</sup> კი შეისწავლა (ა) ანტიკური და შუახაუკუნეების მეტალურგია, ამ კუთხით განიხილა არქეოლოგიური მასალაში დაფიქსირებული იარაღიც. არის ცალკეული ცდები ბრინჯაოს ხანისა და ანტიკური იარაღის შესწავლისა. მაგრამ მათი სრული ანალიზი არაა ჩატარებული. აქ უნდა მივუთითოთ ვ. ლომთათიძის ნაშრომი სამთავროს სატყვერების შესახებ.<sup>4</sup> ვ. ლორთქიფანიძის სტატია ვანში აღმოჩენილი იარაღის შესახებ.<sup>5</sup> მაშინ, როდესაც რუსულ და ევროპულ არქეოლოგიაში ამ საკითხის შესწავლისათვის საკმაოდ დიდი სამუშაოა ჩატარებული. გამოქვეყნებულია მრავალი სტატია და ნაშრომი სხვადასხვა პერიოდის იარაღის შესახებ.<sup>6</sup> ფეოდალური ხანის იარაღის ხუსტად შესწავლა გარკვეულად განაპირობა

ქართულ მეფე-ფეოდალთა ყოფის შეუსწავლელობამ, რადგანაც ფეოდალური კლასის არსებობის განსაზღვრავდა სამხედრო ორგანიზაცია, ხოლო მისი განვითარების დონეს შესაბამისად — სამხედრო აღჭურვილობა. ფეოდალიზმის დროს ჩაცმულობამ (იარაღ-აღჭურვილობა) თავისი სიმპოლური დატვირთვით შეიძინა — ხმალი მეფედ ან სხვადასხვა რანგის კურთხევისას რიტუალის ნაწილი იყო (ამ ტიპის ცერემონიალებზე ხდებოდა ხმლის შემბა).<sup>7</sup>

ფეოდალიზმი თავისი გენეზისით სამხედრო წყობილებაა.<sup>8</sup> ამიტომ იარაღ-საჭურველის შესწავლის გარეშე მისი კვლევა სრულყოფილი არ იქნება, თუ რა ხუსტად არის შესწავლილი ქართული იარაღი, ამაში ჯვიალად დაურწმუნდებით, თუ გადავშლით ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიას (ტომი 11, 488). აი, რა სტემატურად არის განმარტებული ხმალი: „ხმალი — წელზე შემოსაკრავი გრძელი მახვილი, ცალმხრივ პირიანი“, მაშინ, როდესაც სულხან-საბა ეცადა, თავის ლექსიკონში დაწერილებით აღწერა ქართული ხმალი და მოეცა მისი საკმაოდ სრული კლასიფიკაცია უთნიკური ასპექტის გათვალისწინებით:

(კრმალი, ხმალი; I მუფ. 17, 39) „ესე კრმალიცა მრავალგეარანი არიან სხვადასხვა თემთა ქმნილთაებრ და რომე ლიც(ა) კრმალი ძველი, გრძელი განხრილი, მზე-

ველი, მკვეთელი და სრულია, გლევი იფოს თუ გამოფრდი ღი, ანუ ღაროსანი, ვორდა თუ კალდში, — ამას ქართველნი (ჰ)ვერობენ, ფრანგნიცა ესეცა და სხვა რიგითაცა ეხალსა არა (ჰ)რიდებენ; არაბნი სხვა რიგსა, სპარსნი სხვასა თემითი-თემად, რომელიმე დრევილსა, რომელიმე შვეტთა, სხვანი ბასრთა, სხვანი რბილთა; არამედ ბრძენნი და გამოცდილნი ღეწილსა მძღენი მხედარნი საქებურად ამას დასდებენ, რომელი ვეარიანიცა იფოს ძველი და არა ღვარჭნილი, არცა ხადა მცირედი სიმრუდე ქონდეს, არც მაღალ-დაბლობა აწნდეს ცახეთაცა ოდენ(ი) ღობრი იფოს, და არა თეთრ ზომიერ სეგრძითა და სისიბრტყითა, წინა კერძო მცირედ განხრილ და არა საშუალ, ძეა ღთა და რკინათა მკვეთელ და თვით უვნებელ, ადრე არ(ა) დამბლაგველ, უტალუნაფრცხენო, ყუა-ზრქელ, გნდენსწორე, შამარ-მოკლე, თუცა ესრე სრული ვერა ქოთი, ერთისა და ორის კლებსათვის სუ დაიწუნებთ, — სრული გვიან საპონარია“.<sup>9</sup>

მართლაც, განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეებისათვის ყველაზე დამახასიათებელია მკვეთელი იარაღის სახეობა, რომელსაც ქართული წყაროების მიხედვით ხმალი ეწოდება. მოხრილი ტარგვიანი მოკლე მახვილი უკვე ადრეულ შუა საუკუნეთა საქართველოში გვხვდება. იგი აღმოჩენილია ურბნისის ნაქალაქარზე (V-VI სს. ფენაში).<sup>10</sup> VII საუკუნიდან ქვიდრე XIII საუკუნის პირველ ნახევრამდე ძირითადი იარაღი გრძელი, სწორი „მართალი“ ხმალია. იგი ტარების ოთხი წესით ხასიათდება: ყაწიშით მარცხენა მხრიდან უკან გადაკიდებული, წელზე გამოგრებული, მარცხენა გვერდზე უკან და წინ. ივ. ჯავახიშვილი ხმლის ტარების მარტო ორ წესს აღნიშნავს და წერს, რომ გადაკიდება უფრო დაბალი რანგის მოხელეთათვის იყო დამახასიათებელი.<sup>11</sup> ეს აზრი ალბათ მთლად ზუსტი არ უნდა იფოს, რადგან, მაგალითად, ხმალი მხარზე ჰკიდია ესტატე პლაკილას. — წებელდის კანკელზე გამოსახულს,<sup>12</sup> აგრეთვე ფეხზე მდგარ წმ. გი-

ორგის — ხიდისთავის, ლაშთხვერის, ლანჩვანის, სალოლაშვილის, კეკელიძის, ლავურგას, ფარისა და სათაისის ხატებზე. ეს ხმალი სწორი, გრძელი, ორღესულია, რომელი ხმატას მსგავსი (გვერცელებული იყო აღმოსავლეთში — არაბეთში, სპარსეთსა და ბიზანტიაში, რუსეთსა და საქართველოში); სწორი ხმალი განდევნა მოხრილმა.<sup>13</sup>

მოხრილი ხმალი სწორი ხმლის ევოლუციის შედეგია და ამასთანავე ახალი ტიპის იარაღიც. სწორი, ორღესული ხმლისაგან განსხვავებით, ეს ცალპირა, მსუბუქი და უფრო მკრეულია. ნ. მერპერტის აზრით, მოხრილი ხმლების გავრცელება აღმოსავლეთიდან მრავალრიცხოვანი, მსუბუქად შეიარაღებული მტრის გამოჩენით იყო გამოწვეული. მოხრილი ხმლების წარმოშობის ისტორია დღემდე გურკვეველია. თუ აქამდე ახლო აღმოსავლეთი ითვლებოდა მოხრილი ხმლების სამშობლოდ, მკვლევართა ნაწილის მიხედვით, ახლა უკვე დადგენილია, არც ირანი, არც მცირე აზია და არც ვევიპტე მოხრილ ხმალს XIV საუკუნემდე არ იცნობდა, და ოპიედების ეპოქიდან მოყოლებული არაბებისა და სპარსელების ძირითადი იარაღი სწორი ხმალი იყო. ერთადერთი რაიონი, სადაც შედარებით ადრე იხმარებოდა მოხრილი ხმალი — ჩრდილო შავი ზღვისპირეთის ტრამალებია, მაგრამ იქ აღმოჩენილი უძველესი ხმლება IX-X სს. ეკუთვნის. ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, რომელიც ასევე იკონოგრაფიულ მასალას ეყრდნობა, XII საუკუნემდე საქართველოში გავრცელებული ყოფილა „შვეტი“ ხმლები; მაგრამ XIII საუკუნის დამდეგს უკვე ჩნდება მოხრილი ხმალი.

ლინტერესია, რომ მთიან ალტაიში ხმლება VII-VIII სს. გვხვდება და ალბათ მოხრილი ხმლის ფორმებიც აქედან მომდინარეობს. მოხრილი ხმალი რუსულ წერილობით წყაროებში 1087 წლიდან იხსენიება, აღმოსავლეთში — XIV საუკუნეში, ხოლო დასავლეთ ევროპაში — XVI საუკუნეში.<sup>14</sup> ქართული წერილობითი წყაროები სწორსა და მოხრილ

ხმალი არ ასხვავებს (მახვილი/ხმალი),<sup>15</sup> რუსულში კი ორი ტერმინია მათ აღსანიშნავად „МЕЛН“ და „САМЛЯ“. ნ. ჩოფიკაშვილის მიხედვით, მოხრილი ხმლის შემოღების მიხედვად სწორი ხმალი XIV საუკუნეში მაინც ძირითად იარაღად რჩება.<sup>16</sup> სწორ და გრძელ ხმლებთან ერთად მოკლე ხანჯლის მკვეარი იარაღიც იხმარებოდა (ჩიხარეშისა და ჩუკულის კარედის ხატები).

განვითარებული შუა საუკუნეების ქართულ არქეოლოგიურ მასალაში ამ ტიპის იარაღის აღმოჩენა ძალიან იშვიათია, ჩვენთვის ცნობილია ორიოდე შემთხვევა. ქვემოთ შევეცდებით მათ დახასიათება-აწარმოებას, როგორც ჩვენს ხელთ არსებული ქართული ანალოგების მიხედვით. ასევე უახლესი უცხოური მასალის მეშვეობით. ვანში განვითარებული შუა საუკუნეების ზედა ტერასაზე 1957 წელს გაითხარა მეომრის სამარხი. სხვადასხვა დროს ამ ტერიტორიაზე აღმოჩენილია ღურჯი მინის სამაჯურები, მოჭიქული ჭურჭლის წითელღვეთიანი ქვეერისა და სხვა ფრაგმენტები. მკვლევარი ნ. ხომტარია აქ შუა საუკუნეების ნაგებობასაც ვარაუდობდა.<sup>17</sup>

თავად ეს სამარხი წარმოადგენს ორმოხ, რომელშიც ნივთები ჩრდილო-დასავლეთით, თავის ქალასთანაა მიხვეტილი. ძელოვანი მასალა თითქმის არ არსებობს. სამარხი ქვეყრილით იყო დაფარული. სამარხში აღმოჩნდა აგრეთვე ხმლის პირი, დაქანული, შუაში გატეხილი (შეიძლება ეს თავის მხრივ დამარხვის რიტუალის ერთ-ერთი ნაწილია).<sup>18</sup> აქვეა აღმოჩენილი რამდენიმე ტიპის ისრისპირები (ესენია პოძალი და რომბისებური) და ბალთები, რომელთა საშუალებითაც ხერხდება ამ სამარხის დათარიღება.

შეტად საინტერესოა სამარხში აღმოჩენილი ხმალი. იგი რკინისაა, ცალიბრად აღესილი, ოდნავ ვახნეჭილი, ხმლის ყუას 0,5 სმ სიღრმეზე ვასდევს ვიწრო ღარი, რომელიც მთავრდება ტარისა და პირის შეერთების ადგილას. იგი ნახე-9. „მართლმადიდებელი“, № 5—6.

ვარძთვარისებრი ფორმისაა (ზურტაკეთის ხმლის მიხედვით სწორად რომ ვადა და პირი ცალ-ცალკეა დასაწესებული). ხმლის ვადა სწორია, ნახევარფერული დაბოლოებით. როგორც აღვნიშნეთ, ხმალი ძლიერ დაქანებულია.<sup>19</sup>

სამარხს ათარიღებს მასში აღმოჩენილი ისრისპირები და ბალთები. ისრისპირებს შორის არის ორკაპა პირით ანუ ბოძალი და რომბისებრი ისრისპირები, ანალოგიური ისრისპირები ფართოდ არის გავრცელებული განვითარებული შუა საუკუნეების (X-XIII სს.) ძველებზე.<sup>20</sup> ანალოგიური ბალთები კი გავრცელებული იყო ჩრდილო კავკასიის ძველებზე.<sup>21</sup> ვანში აღმოჩენილი ხმლის უშუალო ანალოგი შუა საუკუნეების არქეოლოგიურ ძეგლებზე ჯერ-ჯერობით უცნობია. ხმლის ვადის აგებულებით ვანის ხმლის ანალოგურია ზურტაკეთის სამარხში აღმოჩენილი გრძელი ორღვეთილი მახვილი. ეს ანალოგი აზუსტებს ვანის ხმლის თარიღს, რადგან ამ სამარხში აღმოჩნდა კონსტანტინე დეკა X-ის ოქროს მონეტა (1059-1067 წწ.). ვანში აღმოჩენილი სამარხიც, შესაძლებელია, XI საუკუნით დათარიღდეს.

ზურტაკეთ-ვომარეთის პლატოზე 1962 წელს ჩატარდა არქეოლოგიური გათხრები. როგორც ს. ჯანაშიას სახელობის სახ. მუზეუმში გამოფენილი ინვენტარიდან ჩანს,<sup>22</sup> ეს სამარხი მეომრის უნდა ვოფილიყო, რადგანაც მასში აღმოჩნდა ჯაჭვის პერანგი (ახჯარი) და მეომრის სრული აღჭურვილობა.

როგორც რელიეფებიდან ჩანს, სწორი ხმლის ეს ტიპი საქართველოში უკვე X საუკუნიდანაა გავრცელებული. იგი გამოხატულია ვაღეს ეკლესიის რელიეფზე. სრულიად ანალოგიურია ხმლის ვადაც. კრავად ფიქსირდება ტარების წესიც. რელიეფზე გამოსახულ კტიტორებს — მხედრებს ხმალი მარჯვენა მხარეს კიდია.<sup>23</sup> ვაღეს რელიეფი X საუკუნით თარიღდება.<sup>24</sup>

დამატებით უნდა აღვნიშნოთ, რომ როგორც მკვლევარები ფიქრობენ, ხმალი უკავშირდება უზანგის გაჩენას, მას შემ-



დევ. რაც მხედარს მიეცა საშუალება მყარად მხედარიყო უზანგი კი, როგორც ვეფლგან, ასევე საქართველოში, შუა საუკუნეებში განდა.

ვანში აღმოჩენილი ხმლის ანალოგი დაფიქსირებულია საფლავის ქვაზე ალგეთის ხეობაში.

საქართველოში ძველმა საფლავის ქვებმა მეტ-ნაკლებად გაუძლეს ფაშთა სიკვებს და შემოგვინახეს ჩვენი ერის პოლიტიკური, სოციალური თუ ეკონომიკური ისტორიის ამსახველი მრავალი უცნობი ფურცელი. საფლავის ქვების შესწავლას ვურადღებთ მიაქცია მ. ბროსემ და ბარტლომეიმ, ხოლო მათ შესწავლას დიდი ადგილი დაუთმო ივ. ჯავახიშვილმა, ე. თაფაიშვილმა. ნ. ბერძენიშვილმა და სხვ.

ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმმა მიზნად დაისახა საფლავის ქვების გამოვლენა და დაცვა.<sup>25</sup> ალგეთის ხეობაში ექსპედიციის შედეგად გამოვლინდა მრავალი საფლავის ქვა, რომელთა შორის ჩვენთვის ერთ-ერთი ძლიერ საინტერესოა წმ. გიორგის ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთით ოთხი მეტრის დაცილებით აღმოჩენილი საფლავის ქვა (სიგრძე — 168 სმ, სიგანე — 80 სმ.). მასზე ამოკვეთილია ქმედილის, კაბარჭის, მარცხენა მკლავის, ხმლისა და ხელის გამოსახულება. გამოსახულება რელიეფურია და დიდი ოსტატობითაა შესრულებული. ჯერჯერობით საფლავის ქვის თარიღი დაუდგენელია; მაგრამ იმ თვალსაზრისით მსგავსებამ, რომელიც ზემოთ ხსენებულ ვანისა და ზურტაკეთის არქეოლოგიურ მონაპოვარსა და ამ საფლავის ქვაზე გამოსახულ ხმალს შორის არსებობს, საშუალება მოგვცა დაგვეთარიღებინა X-XI საუკუნეებით, რადგან მასზე გამოსახული ხმალი ტიპოლოგიურად ამ საუკუნეებს განეკუთვნება. ცხადია, ოსტატი ქვაზე ამოკვეთდა იმ ხმალს, რომელიც იმ ეპოქაში იყო გავრცელებული.

ამრიგად, ერთი და იმავე ტიპის ან დეტალებით მსგავსი ხმლის გამოსახულება რელიეფებზე, სფილურ ქვებზე ან აღმოჩენილია სამარხეულ ძეგლებში. თითქოს ისიც გაირკვა, რომ სწორი „შეკტი“ ორლესული ხმლები X-XI საუკუნეებში გვხვდება. ხოლო XI-XII საუკუნიდან ხდება მათი მოხრა და ცალმხრივ ალესვა.

ვფიქრობთ, ივ. ჯავახიშვილის, ნ. ჩოფიაშვილისა და სხვათა თარიღი (მოხრაილი) ხმლის გავრცელების შესახებ საქართველოში, დასაზუსტებელია. ხმალი საქართველოში უკვე XII საუკუნეში მაინც უნდა შემოსულიყო და არა XIII-XIV საუკუნეში, როგორც ზემოთ დასახელებულ მკვლევარებს მიიჩნდათ; ამის სასარგებლოდ უნდა მეტყველებდეს ისიც, რომ ამ ტიპის იარაღი უკვე X-XII საუკუნეებში ფართოდ იხმარება კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით მცხოვრებ მომთაბარეებსა თუ სხვა ხალხებში. ხაზარებში იგი თითქმის უკვე VIII-IX ს-დანაა.<sup>26</sup> მათთან კი ქართველებს აქტიური ურთიერთობა ჰქონდათ. თუმც ისიც უნდა ითქვას, რომ ქართული ხმალი, როგორც ორლესული ზურტაკეტული, ისე ვანური, სრულიად ორიგინალური ჩანს ვადის ფორმის მიხედვით და აქ საქმე უცხო კოპირებასთან არ უნდა გვეკონდეს. ამასვე მხარს უჭერს საფლავის ქვისა და ვაღუს ეკლესიის რელიეფის მონაცემებიც.

ამრიგად, შუა საუკუნეების არქეოლოგიურ მასალაში ახლო შეტყეებით ბრძოლის მკვეთელი იარაღის აღმოჩენის ჯერჯერობით ორიოდე შემთხვევა გვაქვს ვანისა და ზურტაკეტის სამარხთა ხმლების სახით. სამარხეული კომპლექსითა თუ ანალოგიებით ვანური ხმალი XI-XII საუკუნეებით თარიღდება. თავისი განვითარების მხრივ იგი ჯდება ხმლების წარმომობა-განვითარების საერთაშორისო სკემაში. ამავე დროს, აბასიდებს ისეთი თავისებურებები, რომელნიც კიდევ ერთხელ ადასტურებენ იმ ფაქტს,

რომ ქართული ხელოვნების, კერძოდ, მუსიკურული არაფრით ჩამოუვარდებოდნენ იმ დროს ცივილიზებული სამყაროს ოსტატებს და განვითარებულ შუა

საუკუნეებში საქართველოს კულტურის წარმატებები მნიშვნელოვნად მათი მაღალი დონითა და მათი მათი სული.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართული ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, III, თბ., 1962, IV, საომარი საჭურველი და სამხედრო საქმე.
2. ნ. ჩოფიკაშვილი, ქართული კოსტუმი (VI-XIV სს.), თბ., 1962.
3. В. Артилакwa, Железнообрабатывающее ремесло в древней Грузии, Тб. 1976.
4. გ. ლომთათიძე, ბრინჯაოს სატყეურები და მახვილები სამთავროს უძველეს საზღვრებში, თბ. 1974.
5. გ. ლორთქიფანიძე, ვანი II, თბ., 1976. საბრძოლო და სამხედრო იარაღი.
6. А. М. Хазанов, Очерки военного дела Сарматов, М., 1971. А. И. Кирпичников Снаряжения всадника и верхового коня на Руси IX—XVIII в.
7. „და შემოსა სამოსელთა შით, რომელ ემოსა მეფეხა და შეაცვა ბეჭედი და ხაურე და სარტყელი თხი საქურ და ცხენი თორნოსანი, დროშია და შუბი“. — ქართული სამართლის ძეგლები, II, ძველი ერისთავთა, თბ., 1983, გვ. 104.
8. ქ. წახტარაიშვილი, ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში. მეც. 1979, თბ., გვ. 19.
9. ბულხან-ხაბა ორბელიანი, თხზ. VI-2, თბ., 1966, კრძალი.
10. ლ. ჭილაშვილი, ნაქალაქარი ურბნისი, თბ., 1964, გვ. 102.
11. ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშ. გვ. 243, ნ. ჩოფიკაშვილი, დასახ. ნაშ. გვ. 53.
12. ნ. ჩოფიკაშვილი, დასახ. ნაშ. გვ. 53.

13. XI-XIII სს. საქ. მატ. კულტ. გამოყენის გზამკვლევი, თბ., 1953, გვ. 24.
14. ნ. ჩოფიკაშვილი, ქართული კოსტუმი (VI-XIV სს.), გვ. 62.
15. ივ. ჯავახიშვილი, 1962, გვ. 253.
16. ნ. ჩოფიკაშვილი, დასახ. ნაშ. გვ. 62.
17. ვანი, IV, არქეოლოგიური მასალები, თბ., 1979, გვ. 8.
18. ნ. აფხაზავა, ქვემო ალვეი ადრეულ შუასაუკუნეებში, თბ., 1988, გვ. 51. სქოლიო 34.
19. მასალა ინახება ს. ჯანაშიას სახ. მუზეუმის შუა საუკუნეების არქ. განყოფილებაში.
20. З. В. Артилакwa, Указ. соч. Таб. 54-6, 8, 3, 4; 56-2; 57-1, 3, 4, 7.
21. В. Кузнецов, Аланские племена северного Кавказа, МИА 114, 22, სამსუხაროდ. ჯერჯერობით, ვერ გვეცანით ამ არქეოლოგიური გათხრების დოკუმენტაციას.
23. ნ. ჩოფიკაშვილი, 1964, სურ. 12-2, 39-1, 2.
24. И. А. Аладашвили, Монументальная скульптура Грузии, М., 1977, стр. 88-89.
25. ძველის მეგობარი, 34, რ. კეკელიძე, ხაფიაის ქუჩის ალგეთის ხეობიდან, გვ. 29-32, თბ., 1974.
26. Ю. С. Худяков, Вооружение Енисейских киргизов, М., 1980, стр. 49; С. А. Плетнева, От кочевий к городам, М., 1967, стр. 157, 159; С. А. Плетнева, Древности черных клобуков, САИ, М., 1973, стр. 15-17.



ზონა კვირეულისათვის

## ჩემი ანტიკონს

ანტიკონს, ბუნების ეს მშვენიერი ქმნილება, ალგაფროთოვანებს თავისი ზნეობრივი სიწმინდით. მისი კეთილშობილი სული ვერ ეგუება სიმდაბლესა და ორგულობას, რადგან პატიოსნება, კაცობიერება და, რაც მთავარია, მოვალეობის გრძნობა მიაჩნია მას ადამიანის არსებობის უმაღლეს დანიშნულებად. მისი მტკიცე, უკომპრომისო ხასიათი სამაგალითოა. მან თვითონ აღზარდა თავისი თავი ასეთად.

ბედისწერით გამოწვეულმა ოჯახურმა ტრაგედიამ ადრე ჩააფიქრა პატარა მეოცნებე გოგო და ასევე ადრე მიაჩვია დამოუკიდებელ აზროვნებას — განსჯას.

დიდმა სულიერმა ტკივილმა არათუ დათრგუნა გონიერი ბავშვის გრძნობათა ბუნება, არამედ უფრო მეტად გაამდიდრა და ნაადრევად დააბრძენა კიდევ. ჯერ კიდევ ადრეულ ასაკში ქჷონდა მას თავისი მყარი პოზიცია, თავისი მრწამსი და იქიდან აუასებდა მოვლენებს.

ანტიკონსმ სულ ოცი წელი იცხოვრა, მაგრამ ეს ხანმოკლე სიცოცხლეც კი საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ მას ზმამაღლა ეთქვა თავისი სათქმელი და, შარავანდედით მოსილი, ამჟამად წასულიყო ამა სოფლიდან.

როცა ანტიკონსმ მთელი სიცხადითა და სიმძაფრით შეიგრძნო უსამართლობის, ცინიზმისა და ბოროტების დამანგრეველი ძალა, სული მისი აღმფითდა,

ბოლო გონება მისი მთელის დატვირთვით ამუშავდა. ჩაფიქრდა, გააანალიზა რა კრეონის მიერ მის გარშემო ხელოვნურად შექმნილი მისთვის აუტანელი სიტუაცია, დაასკვნა: უარყოფ ვეღა და ვეველაფერი, რაც არ მოსწონს და რაც მის მომთხოვნ ბუნებას ეწინააღმდეგება. ამიტომ არ იხურება მან ის ეგრეთწოდებული „მშვიდი და მყუდრო“ ცხოვრება, შენიღბული ყალბი ბედნიერებით, როგორც კრეონი აღუთქვამდა, და შევსებულად აღიმადლა ხმა კრეონის და მისი სახით საერთოდ ძალადობის წინააღმდეგ.

ანტიკონსმ იცოდა, რომ სიკვდილით დასჯილენ ვეღას, ეინც კი მეფის ბრძანებას დაარღვევდა და პოლინიკს გეჰს დამარხავდა; იცოდა, მაგრამ არ შეშინდა, რადგან შიშს მოვალეობის გრძნობამ სძლია და შეეცადა დაემარხა მოუღანზე დაგდებული ცხედარი ტაბტის მემკვიდრისა — პოლინიკის, რომელიც სამეფო კარის ინტრიგების მსხვერპლი გახდა, მარტომ ღამით საკუთარი ხელებით დაგლიჯა ნარეკალი, გათხარა სამარე, რათა საყვარელი ძმის ცხედრისათვის მარადიული სასუფეველი მიეჩინა, მაგრამ... ბედმა უმტყუნა. მაშინვე ჩაფრებმა დაიჭირეს და კრეონს მიჰკვარეს, მართალია, ანტიკონსმ ბოლომდე ვერ მიიყვანა დაწვებული საქმე, მაგრამ მან მაინც პირნათლად აღასრულა თავისი



წმინდა ვალი, როგორც ადამიანმა, როგორც მოქალაქემ. ასე გამოუცხადა ბრძოლა მოძალადე კრეონსა და მის დამორგუნველ რეჟიმს.

პირველობისათვის ბრძოლას შეეწირა მისი მეორე მმა თუოკლეუც, რითაც ისარგებლა კრეონმა და სამეფო ტახტს დაეპატრონა. როგორც იქნა, აღისრულა დიდი ხნის სანუკვარი ოცნება. მოაოვე ბული მდგომარეობა რომ შეინარჩუნოს, ეს ანტიკონსტიტუციონერული, ქსოვის და ქსოვს გაუკონარი პოროტების ქსელს და სივ ახვევს ყველას, ვისზედაც კი ოღნა ეკვს მიიტანს. კრეონი გამჭრიახი გონების პოლიტიკოსია — პრაგმატიკოსი. მისთვის უცხოა ყოველგვარი ზნეობრივი ნორმები, უფრო მეტიც ყოველივე სასაცილოა, რადგან მას თავისი მორალი აქვს. მმართველობის საკუთარი პროგრამა-ფორმულა. ფორმულა სასტიკო, სისხლიანი, ცინიკური. მისი ცინიზმი რომ ზღვარს გადასულია, ამის დასტურად პოლინიკეს მაგალითიც კმარა.

როცა დანაშაულის მიხედვით კაცს სიკვდილს მიუსჯიან, ეს ვასაგებია, მაგრამ დასაჯო ცხედარი, არ დამარხო, გახრწნა და მერე თავი იმართლო, თითქოს სხევებს ამით ჭკუას ასწავლი, ეს აბსურდია, ეს სისასტიკის უმაღლესი ფორმაა — სადიზმი.

— ესროლე, მოკალ, მოსპე ყველა და ყველაფერი, ვინც წინ მოიწევს, ვინც წინ მოძვრება, რადგან დრო აღარა გაქვს, ვაარჩიო ვის ესროლო და ვის არა; მთავარია, გაჩერო, ვინც ზელს გიშლის, ვინც წინ ეღობება შენს ბედნიერებას — ასეთია დესპოტის ლოგიკა, მისი მტაცებლური პოლიტიკა. ანტიკონსტიტუციონერული ასეთი ტაქტიკა სრულიად გაუგებარია, უფრო მეტიც — მიუღებელი. მისი ღრმა რწმენით, ეს ღოზუნები მხოლოდ ხულმდაბალი და ამორალური პოლიტიკანების მოგონილია, რათა ამით შენიღბონ თავიანთი ბინძური სული და ბინძური საქმეები.

ანტიკონსტიტუციონერული და მეფის მიტვარებს. მეფე კრეონი იძულებულია თავისი ბრძანება აღასრულოს და დანაშაულები სიკვდილით დასაჯოს. თუკლეუც, როგორც თვითონ ამბობს, ვისი ვაკეობა მას არ სურს. არგუმენტი პირველი: — ანტიკონსტიტუციონერულია, და მეორე: — ანტიკონსტიტუციონერულია ვაჟიშვილის — ჰემონის საცოლეა.

კრეონი ორ ცეცხლს შუა მოექცა, საგონებელში ჩავარდა: რა ქნას, როგორ მოიქცეს? — გაორებულია: კრეონი — ადამიანი და კრეონი — პოლიტიკოსი. ვინ ვის?

როგორც პოლიტიკოსის, მისი პოზიცია ნათელია. იგი მონაა თავისი მდგომარეობისა და თავისი ბრძანებისა, მაგრამ როგორც ადამიანი?

როგორც ადამიანს კი — აი ახლა, ამ კრიტიკულ მომენტში, როცა საქმე ეხება მისი ერთადერთი ვაჟიშვილის სიკვდილს იცოცხლებს, სწორედ ახლა, ახლა მართებს მას თავისი ჰუმანიტარი სახის ჩვენება. იქნებ მოხდეს სასწაული და სძლიოს თავის თავს, იქნებ ახლა მაინც გაიღვიძოს მასში იმ თანდაყოლილმა გრძნობამ მშობლისამ, გრძნობამ, რომელიც შეახსენებს, რომ ის ადამიანია და, როგორც ადამიანი, ვალდებულია უკუაგდოს ყოველგვარი ცხოველური ინსტინქტები. იქნებ სიკეთისა და სიყვარულის მცირედი ნაწილი მაინც შერჩა მის გაუხეშებულ სულსა და ქვად ქცეულ გულს, იქნებ... მაგრამ არა!

კრეონმა ჩაფრებს უბრძანა, სასახლეში არავინ შემოუსვამთ, დანაშაულებს შეთვითონ დაკეთხავო, და დაითხოვა. დარწმუნე პირისპირ ორნი: ანტიკონსტიტუციონერი და კრეონი — ორი სხვადასხვა მსოფლმხედველობისა და ორი საპირისპირო ზნის ადამიანი.

სინუშა... არც ერთი არ იწყებს ღაპარაკს. ორივე ღუმს, მაგრამ იგრძნობა, რომ ორივე დიდი და მწვავე ბრძოლისათვის ემზადება.

კრეონი ღელავს... ეტყობა, უჭირს დაწყება, უჭირს საუბრის დაწყება, იმიტომ კი არა, რომ სათქმელი ვერ მოძებნა, არა! უბრალოდ, მას აღიზიანებს თვითონ ანტიკონსტიტუციონერი. მისი არსებობა საერთოდ.

ანტიგონე კი, რადგან მოსახდენი უკვე მოხდა, მშვიდად შესცქერის მოწინააღმდეგეს და საკმაოდ გულგრილი გამოემტყველებით მოელის განაჩენს. მეფე კრეონი არ ელოდა ასეთ გამოშვევ მედიდურობას და, გაოცებულმა, რატომ პატიებას არ მიზოვსო, ირონიით ვახუდა. ანტიგონე არ დაიბნა და კვლავ წარბშეუხრელი დგას მისი ბრწყინვალეების წინაშე.

კრეონმა რომ დაინახა სევდიოთა და ზიზღით სავსე მომლოდინე თვალები, შეცბა, მიხვდა: საჭირო იყო უკან დახევა, და უცებ ასეთი სვლა მოიფიქრა: ანტიგონეს საქციელი ბავშვურ ჭირვეულობად ჩათვალის და მის ნაშოქმედარს არსებითი მნიშვნელობა არ მიანიჭოს. ამიტომ, ვითომც აქ არაფერიაო, როგორც პატრონმა და ღიდად მოსიყვარულე ბიძამ, ერთობ ღმობიერად ჰკითხა:

— ხომ არავენ დაეინახა, იქით რომ მიდიოდი? — ანტიგონეს ისე სჭირდებოდა ახლა სიბოი და მზრუნველი ხმის გავონება, რომ უცებ დაავიწყდა, ვის წინაშე იდგა და, თანაგრძნობით გულაჩუყებულმა სწრაფად უპასუხა:

— არა, არავინ!

კრეონმა მაშინვე იგრძნო ბავშვური სისუსტე და ამით გათამამებულმა ოდნავ შეკაცო ტონით დაუმატა:

— დარწმუნებული ხარ?

— დარწმუნებული ვარ! — სულმოუთქმელად უპასუხა ანტიგონემ.

— მაშინ მომიხმინე, — აღარ დააყოვნა კრეონმა, რადგან აუცილებელი იყო ამ მომგებიანი სიტუაციის გამოყენება.

— ახლავ შეხვალ შინ, ხმას არ ამოიღებ და მოიქცევი ისე, როგორც მე გიბრძანებ.

— რატომ? — ზარივით გაისმა ანტიგონეს წკრიალა ხმა და თან ისეთი სუფთა თვალები შეანათა, რომ კრეონმა ვერ გაუძლო ასეთ გულუბრვეილობას და ღმილით უპასუხა:

— იმიტომ, რომ ვადაგარწინო, შე სულელი!

კრეონის პასუხი და ნათქვამის ტონალობა რატომღაც აირეკლა ანტიგონემ და, თითქოს ვიღაცამ თუ რაღაცამ უბი-

ტგაო, პირდაპირ შეტევაზე გადავიდა, რათა ჩაეშალა მოწინააღმდეგის წინასწარ მოფიქრებული მხედველობა, რომელსაც იგი გუშანით გრძნობდა. ამიტომ, თითქოს საბოლოო აზრი დაამთავრაო, კონკრეტულად დაუმატა:

— თქვენ ხომ იცით, რომ მე ჩემსას არ დავიშლი, — და შინაგანი კმაყოფილებით გასხვიოსნებული გამომწვევად მიაჩერდა კრეონს. კრეონის მახვილსმენას არ გამოჰპარვია იმ საბედისწერო სიმის გამოძახილი, რომლის აქდერებას ყოველთვის ელოდა და ეშინოდა კიდევ. ამიტომაც ენიშნა აუად ეს ნათქვამი: — თქვენ ხომ იცით... — იცის, როგორ არ იცის, საუბედუროდ, მან ძალიან კარგად იცის, ვისი მოდგმაც არის ანტიგონე და რაც შეუძლია ოიდიპოსის ნაშეირს.

პატივმოყვარე მტრმანებელი მიხვდა, რომ შეცდომა მოუვიდა და ამის გამო მოუსვენრობა დაეტყო. ვალიაში გამომწვეული მხეცივით აწრიალდა, წვალობდა, ბორგავდა გაუთვალისწინებელი მდგომარეობიდან გამოსვლას ღამობდა...

ანტიგონე ცნობისმოყვარეობით ადევნებდა თვალს სიბრაზისაგან აფოფრილ ბიძამისს, ზენუშითა და კბილთა ღრჭიანით რომ დააბოტებდა აქეთ-იქით. უპირატესობა იგრძნო და გაუხარდა.

კრეონმა უცაბედად თვალი მოჰკრა ანტიგონეს მომღიმარ სახეს და განრისხდა. შურისძიების გრძნობამ შეიპყრო, მაგრამ თაღი შეიკავა, რადგან მის წინ იდგა ერთი შეხედვით სუსტი, ფარატინა გოგო, რომელიც ყოველ მის მოძრაობაზე დამფრთხალი შველივით კრთოდა და ხელში გამომწვევეული ჩიტივით გული უსკდებოდა და, მიუხედავად ამისა, მაინც რომ თანატოლივით ეპაექრებოდა, ეს აცოფებდა კრეონს. კრეონი საბოლოოდ დარწმუნდა, წინასწარ მოფიქრებული გეგმით ვერაფერს ვახდებოდა და ამიტომ რადიკალურად შემოაბრუნა საქმის ვითარება.

— რატომ ცდილობდი შენი ძმის დამარხვას? —

— ეს ჩემი ვალია!

— კი, მაგრამ მე ხომ ავუკრძალე ყველას ჩემი ბრძანება არ მოგვისმენია, არ წავიკითხავს?

— მოვისმენია, წამიკითხავს!

— მერე?

— მე მაინც ვაღივებდი ვეფხვი, ასე მოეცემალიყავი.

კრეონი თანდათან წონასწორობას კარგავდა. ცოტაც და აღბათ ფიზიკურ ძალასაც იხმარდა, მაგრამ ისევ სძლია თავს და უყვირა.

— ის ხომ შეამბოხე იყო, მოლაღატე!

— ის ჩემი ძმა იყო! — ისეთი ვაწიფრული ხმა აღმოხდა ანტიგონეს, თითქოს გულიც თან ამოაფოლავო. ისეთი სასოწარკვეთა და თან იმდენი მუდარა ისმოდა ტკივილისაგან ვაბნარულ მის ხმაში, რომ კრეონს შებრალების მაგივრად გაშმაგება დაეუფლა.

არგუმენტი მართლაც ძლიერი იყო და მას ისღა რჩებოდა, თავდახაცაეად ახალი ხრიკი მოეფიქრებინა. მოიფიქრა კიდევ. გადაწყვიტა: საბრალდებო სკამზე დაესვა და ამით დაეფრთხო ბრძოლად შემართული გოგო (რაც მისი პოზიციიდან, რა თქმა უნდა, სწორი იყო).

— შენ იფიქრე, მეფის დისწული ვარ, მისი ვაჟის საცოლვე, და ჩემს დასჯას ვერ გაბედავენო?

ანტიგონე გაშრა. ამას კი აღარ ელოდა. ზიზღი მოჰკვარა ასეთმა იაფფასიანმა დიპლომატიამ.

— არა, მე ეს არ მიფიქრია.

— სტფუო! — იყვირა კრეონმა, მაგრამ ეს ვერილი ახლა უკვე ნინწამხდარი კაცის ყვირილი იყო. მან ხომ ვეულაზე კარგად იცოდა, რომ ანტიგონეს მართლა არ უფიქრია ამაზე, და არც მის გულწრფელობაში ეპარებოდა ეჭვი, მაგრამ სხვა გამოსავალი რომ არ ჰქონდა, ამიტომ თხზავდა და თხზავდა ახალ-ახალ ვერსიებს, რომ იქნებ როგორმე ხაფანგში მოეშვევდია იგი.

კრეონს ეგონა, — ეგონა კი არა, დარწმუნებული იყო, რომ ცილისწამებით შეურაცხყოფილი ანტიგონე აქტიურ წინააღმდეგობას გაუწყვდა, ეს კი ხელსაყრელი იქნებოდა მისთვის: როცა ემოცია წინ უსწრებს გონებას, მამინ აღ-

ვილად შეიძლება გზას აკედინო ვეულაზე ძლიერი მოწინააღმდეგე ყველაზე რამ მოხდა პირუკუ. ანტიგონეს სიყვარული იდგა თავჩაქინდრული და აქტიურად რაღაცაზე ფიქრობდა. კრეონიც ასევე, იდგა გაქვავებული, ერთ წერტილს ჩამტკერებული. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ისინი ვეღარ ხედავდნენ ერთმანეთს, რადგან ორივენი თავისი საფიქრალით ძალიან შორს იყვნენ ერთმანეთისაგან. პირველმა ანტიგონემ დაარღვია სიჩუმე. უცებ მოსწყდა ადგილს და მტკიცე ნაბიჯით პირდაპირ კარებისაკენ გაემართა.

— ხად მიდიხარ? — გამოფხიზლდა კრეონი.

ანტიგონე არც კი შეჩერებულა, ისე მიუგო პასუხი:

— თქვენ ძალიან კარგად იცით, სადაც მივდივარ!

— კი, მაგრამ, რას თამაშობ?

— მე არ ვთამაშობ, მე ჩემი ძმა უნდა დაემარხო, შენმა ჩაფრებმა ხელი შემისწალეს, ვასაუბრებო?

ჭირის ოფლმა დაახსნა კრეონს. ესეც ახალი ამბავი, — ფიქრობდა იგი. „მგლის თავზე სახარებას კითხულობდნენ და ის კი“... არა, რაღაცა უნდა მოიფიქროს, რაღაცა უნდა იღონოს, მაგრამ — რა? — როგორმე უნდა გააჩეროს, — მაგრამ როგორ?, ამიტომ, ჯერ სცადა აეხსნა მისთვის, რომ ეს ყოველივე სისულელეა, რომ მხოლოდ ფრჩხილებს დაიმტკერებს და მეტი არაფერი და თანაც მაშინვე დაიჭერენ.

— მართალია, მხოლოდ ფრჩხილებს დავიმტკერე. უკიდურეს შემთხვევაში ეს მაინც შემძლია, ვეულამ ის უნდა ვაკეთოს, რისი ძალაც შესწევს, და არ არის საჭირო ჩემი შეცოდება. გააკეთეთ ის, რაც გვეალებათ.

ისე სძულდა იმ წუთში ანტიგონე კრეონს, რომ მზად იყო, ენა ამოეგლიჯა მისთვის, ასე ამყად რომ ისროდა ყოველ სიტყვას, მაგრამ ისევ და ისევ შეიკავა თავი და ახლა სცადა დაემსებინა იგი.

— კი, მაგრამ, რომ გაწამონ?

— მე მაინც ასე მოვიქცევი!

აი, ეს კი ვეღარ მოითმინა კრეონმა

და მისდა უნებურად ყოვლად უღირსი საქციელი ჩაიდინა: მივარდა, სტაცა ხელი და გაავებით გვერდზე ისროლა. ანტიგონემ სიმწრით შეკეცულა და ძირს განერთხა. ვონს გადასული კრეონი სწვდა მკლავებში და მთელი ძალით თავისკენ მიიზიდა. ანტიგონე არ ნებადებოდა, პატარა მხეცივით სხმარტალებდა, ტკივილისაგან იკლავებოდა. კრეონი კი ისე დაუნდობლად უხედებოდა ყოველ მის გაბრძოლებას, რომ ანტიგონეს ხელები სულ მთლად გაუშემდა, მაგრამ მაინც არ ნებადებოდა და ჯიქურ განაგრძობდა წინააღმდეგობას. როგორ უძლებდა ეს კაფანდარა ვოვო ასეთ არაადამიანურ ფიზიკურ დატვირთვას, ანდა რა მატებდა მას ასეთ ძალას, არავინ იცის, მაგრამ სულგრძელობითა და მოთმინებით რომ სჯობნიდა და სჯობნიდა კიდევ კრეონს, ეს ამკარა იყო და ყველა ხედავდა ამას. ამკარა იყო ისიც, რომ ასეთი პრიმიტიული სვლა მას ხასიკეთოს არაფერს მოუტანდა და ამიტომ უფრო სასტიკი რამ უნდა მოეფიქრებინა, რომ დაემსხერია, მოედრიკა მოწინააღმდეგის ამავი სული.

კრეონს უკიდურესად დაეძაბა ნერვები, მაგრამ მაინც სძლია თავის თავს და მორქვენებითი სიმშვიდით გაიხადა ზედა მოხატმელი, დაიკაიანა ხელები და მოემზადა ძალზე მნიშვნელოვანი აქტის ჩასატარებლად. აღივსო მოთმინებით, მოუხზო მთელ თავის მჭკვერმეტყველურ ნიჭს და როგორც პატარა ბავშვს, რომელსაც ცხოვრების არაფერი გავეება, თანმიმდევრული სიზუსტით უხსნიდა ანტიგონეს და თან არწმუნებდა მას საკუთარი გადაწყვეტილების სისწორეში.

— შენ გგონია, მე არ მეზიზღება, ის ლეში მზეზე რომ ღებება? ხალაოს, როცა ნიავე დაჰბერავს, ყროლის სუნს სახალემდე აღწევს, გული მერევა, მაგრამ ფანჯრების დახურვის ნებას არავის ვაძლევ, გამოვიტყვებ: ეს უღირსი საქციელია, მაგრამ საჭიროა, თებემ უნდა და ისუნთქოს ამ მყრალი ჰაერით, რათა ხალხმა კარგად შეივნოს და შეივრძნოს კანონის ძალა.

გაოგნებული შესცქეროდა ანტიგონე ამ მოლაპარაკე ურჩხულს და შეიქრობდა: ნუთუ შეიძლება ასე დასძლილდეს, ისე დაკინდეს ადამიანის სული, რომ ასე მოურიდებლად, ასე ხელალებით მკვებოდეს ამ ენით გამოუთქმელ ბოროტებას; ანდა ისე დაწლუნდეს ადამიანის აზროვნება, რომ პირადი კეთილდღეობისათვის ღიბრი გადაიკრას არა მარტო თვალეზზე, არამედ ტვინზეც.

ანტიგონეს შესძულდა ყველა და ყველაფერი, საკუთარი თავიც კი, ამ ურჩხულის სისხლით ნათესავი რომ იყო. რა შეიძლებოდა ეთქვა მასზე, ან რა უნდა მოელოებინა? — არაფერი, გარდა იმისა, რომ მთელი თავისი ზიზღი და აღშფოთება ერთ სიტყვაში უნდა გადმოეხსნა და ზურგი შეექცია ამ სულმოკლე და სასტიკი კაცისათვის. ასეც მოიქცა, მაგრამ კრეონი არ მოეშვა. მას უნდოდა ბოლომდე გაეტანა ლელი და, როგორც ნათქვამია, — „უნება მბრძანებელია“, — სწორედ ასე მოხდა, როცა გადაწყვიტა აღსარება ეთქვა ამ წმინდა არსების წინაშე, მაგრამ მოტყუვდა, მოტყუვდა და მერე როგორ! მან ვერ განსაზღვრა, ვერ გაითვალისწინა, რომ ამით შეიძლება თვითონვე მოეჭრა ის ტოტი, რომელზედაც ის ნებიერად იჯდა და მბრძანებლობდა.

— ჩემი საქმე მოითხოვს ამას. შეიძლება იმაზე იკამათო, ითავებდი თუ არა ასეთ საქმეს, მაგრამ, რაკი იკისრე, მაშინ სწორედ ასე უნდა მოიქცე.

— რატომ ითავუთ ეს საქმე? — ბრალდებასავით გაისმა ანტიგონეს კითხვა.

— მე შეშვებლო უარი მეთქვა, მაგრამ თავი იმ მუშად წარმოვიდგინე, რომელიც სამუშაოდან თავის დაძვრენას ღამობს, ეს კი უსინდისობად ჩათვალე და დაუთანხმდი.

— მით უარესი თქვენთვის. მე კი არ დაუთანხმდებოდი. რა მესაქმება მე თქვენს საქმეებთან და თქვენს პოლიტიკისთან. მე ჯერ კიდევ შემიძლია უარის თქმა, უარი ვუთხარი ყველაფერს, რაც არ მომწონს იმიტომ, რომ ჩემი თავის მსაჯული მე თვითონ ვარ, თქვენ კი

თქვენი საქმეებით, თქვენი ჯარისკაცუბითა და მთელი თქვენი ბრწყინვალეობით უკვე ვედარაფერს მიაღწევთ, იმიტომ, რომ დათანხმდით და, რადგან დათანხმდით თქვენ მხოლოდ ჩემი დასჯა შევიძლიათ და სხვა არაფერი, — ანტიგონე ლაპარაკობდა ლაღად, ძალდაუტანებლად, დამაჯერებლად, რადგან ჰქონდა ამისი თქმის უფლება, რადგან მან ძალიან კარგად იცოდა, თუ რა არის სინდისი და რას ნიშნავს, იყო ადამიანი...

მიუხედავად იმისა, რომ ფარხმალდაყრილი იდგა ანტიგონეს წინაშე კრონის, მის მზაკვრულ და მოჭუტულ თვალებში მაინც იგრძნობოდა, რომ იგი ახალ ავანტიურას ამზადებდა. უბრალოდ, ამით დროს იგებდა, ფიქრობდა... ფიქრობდა, რა უნდა ელონა, რომ გაეტეხა, მოედრიკა ეს თავნება გოგო.

— შენ მე მართობ, — ყოველშემთხვევისათვის ისროლა სიტყვა კრონმა. ანტიგონემ მაშინვე აიტაცა ეს უბრალოდ გადმოგდებული ფრაზა და სწრაფად უპასუხა:

— არა, მე თქვენ გაშინებთ, — რომ კრონის მოულოდნელობისაგან კრუნხვები დაეშარათა.

ანტიგონემ სულს მოთქმა აღარ აცალა კრონს.

— დაბ, მე თქვენ გაშინებთ, აი, რატომ ცდილობთ ჩემს გადარჩენას. თქვენთვის ზომ გაცილებით უფრო ზელსაფრელია, რომ უთქმელი, პატარა ანტიგონე, რომელსაც თქვენ სიცოცხლე შეუნარჩუნეთ, სასახლეში დარჩეს. თქვენ ზედმეტი მგრძნობიარობა ვიშლით ზელს, რომ ნამდვილი ტირანი გახდეთ, ეს არის და ეს, და მიუხედავად ყველაფრისა, თქვენ მაინც მოგიწევთ ჩემი დასჯა. თქვენ ეს კარგად იცით და იმიტომ გეშინიათ, ო, რა საზიზღარია მამაკაცი, როცა რაღაცის ეშინია.

— ჰო, მე მართლა მომიწევს შენი დასჯა, მე კი ეს არ მინდა.

— მე კი ვერაფერს გამაკეთებინებს იმას, რაც არ მინდა. აი, თქვენ დაუთანხმეთ, იმიტომ ჩემს მასწავლებლად არ გამოდგებით. მე თქვენგან ვერაფერს ვი-

სწავლი და, თუ ახლა ჩაფრებენ არ ემახით, მხოლოდ იმიტომ, <sup>რადგან ვინც მხოლოდ მომისმინოთ.</sup> ~~რადგან ვინც მხოლოდ მომისმინოთ.~~

ანტიგონემ თავისი ძლიერი ლოგიკით თითქმის ყველა გზა მოუჭრა კრონს და, გამარჯვების სიხარულით ანთებულად, ამჟღად მიაჩერდა, თითქოს ამით ანიშებდა, ახლა შენი ჯერიაო.

კრონისათვის ეჭვს აღარ იწყებდა ის გარემოება, რომ, თუ რამე გატეხდა მართალი ადამიანის სიამაყეს, ეს რწმუნის შერყევა იყო. დაკარგო რწმენა — ნიშნავს, დაკარგო აზრი ცხოვრებისა, ეს კი ანტიგონესათვის სიკვდილის ტოლფასი იქნებოდა, იმიტომაც აღარ დააყოვნა კრონმა და ყველაზე მტკივნეულად იღვინა შეუხო:

— იცი, ვინ იყო შენი ძმა?

— ის კი ვიცი, რომ შენ მასზე კარგს არაფერს იტყვი.

— შენი საყვარელი ძამიკო სრულებითაც არ იყო ის, ვინც შენა გგონია. ეს თვინიერი შვილიკო უშუური სიტყვებით ელაპარაკებოდა მამაშენს და ხშირად სცემდა კიდევ. ხოლო, რაც შეეხება შენს მეორე ძმას, ეთოკლეს, არც ის ჩამოუვარდებოდა მას მზაკვრობაში. შენ კი მათთვის სიცოცხლეს არ იშურებ და საფრთხეში იგდებ საკუთარ თავს და, თუ ვინდა ბოლომდე იცოდე ყველაფერი, მაშინ იმასაც გეტყვი, რომ მათ, როგორც მოსისხლე მტრებმა, ისე დახოცეს ერთმანეთი ტახტისათვის.

კრონი ისე ლაპარაკობდა, თითქოს თვითონ სულიწმიდა ყოფილიყო, მაგრამ ამას აკეთებდა შეგნებულად, რათა როგორმე დაერწმუნებინა ანტიგონე საკუთარი თავგანწირვის უაზრობაში.

თავზარი დაეცა ანტიგონეს. თავზე თითქოს ცა ჩამოეშო. თვალთ დაუნებლდა. შივნით, სულში, რაღაცა ჩასწყდა, თავი დაუმიძმდა, მაგრამ ყურებში გაბმული ზარი მაინც რეკდა და ერთსა და იმავეს ჩასძახოდა: — ტყუილია! ტყუილია! უნდოდა ევერიო — ხმა არ მოსდევდა, უნდოდა ეთქვა — აზრი არ ჰქონდა, თანდათან ღონე ეცლებოდა. გაურკვეველი გრძნობა დაუფლავდა ყველაფერი აი-



რია, დატრიალდა, თვითონაც პატარა გამხმარი ფოთოლივით აფრიალდა, გადასურა სივრცე და წამით სადღაც გაქრა, გაქრა და... მერე უკვე აღარაფერი ახსოვს. ახსოვს მხოლოდ ის, რომ იღვასე იმ ადგილზე, მაგრამ უკვე სრულიად დაკლილი, დარბეული, უბედური, იღვასე უმწეოდ ასვეტილი, საცოდავი. უცებ კანკალმა აიტანა. შესცივდა და ბედურასავით აიბუზა. ანგარიშმიუცემლად გადაიღვა ფეხი და ახლად ფეხადგმული ბავშვივით მიფარფატდა კრეონთან, მის ზურგს უკან ჩაიძუხლა და მოჩინილების ნიშნად ფრთხილად დაადო მხარზე თავი.

მოხდა ერთი შეხედვით სრულიად აუხსნელი და დაუჯერებელი ამბავი, კაცი, რომელმაც ამდენი იომა, ამდენი ითვალთმაქცა, ამ ბედნიერი წუთისათვის რომ მიეღწია, არც კი განძრეულა. იჯდა გაქვავებული, მონუსხული, ხმას არ იღებდა, მხოლოდ სიგარეტს აბოლებდა და ბოლს ატანდა გამარჯვებული კაცის კმაყოფილებას. და იყო ასე ჩუმად ორი სხვადასხვა ზნისა და ხასიათის, ორი სხვადასხვა იდეისა და მსოფლმხედველობის მქონე ადამიანი, ნომარი, დაღლილი და მინც რაღაც განგების ძალით დაახლოებული. რამ დაახლოვა ისინი? რამ და — ბედისწერის ვარდუვალაობა.

— ახლა რას აძრებ? — კარგა ზნის მერე იკითხა კრეონმა. აი, ამჯერად კა მართლა გულწრფელი იყო მისი შეკითხვა.

ანტიგონემ მხრები აიჩეჩა, ხელები უმწეოდ გადაატრიალა და ასევე გულწრფელად უპასუხა. თითქოს მათ შორის აქამდე არაფერი მომხდარიყო.

— წავალ ჩემს ოთახში.

კრეონი მაშინვე გამოფხიზლდა და გონს მოეკო. მართალია, ნაღმი განმუხტა, მაგრამ ქვეშეინფულად გრძნობდა, რომ მოულოდნელობისაგან მინც არ იყო დაზღვეული და ამიტომ ფრთხილად მიადგა:

— ჰემონი ნახე დღესვე მხედრე ფეხადგებთ ქორწილს, — ამბობს კრეონმა ციციის გამყარებაც უნდოდა.

— კარგი, — გაისმა ანტიგონეს ხუსტი, დამყოლი ხმა.

კრეონმა შევებით ამოისუნთქა. მხრებში გაიმართა. თავისი ზედა მოსაცმელი მოისხა და დიდად კმაყოფილი ჩუმად აღიღინდა. გაჭრა, გაჭრა მისმა ფანდმა. ცბიერმა ჰკუამ ზუსტად გამოთვალა, როდის უნდა მიეყენებინა მოწინააღმდეგისათვის გამანადგურებელი დარტყმა და, აი, შედეგად — დაითანხმა, დაითანხმა და მერე ვინ? — ანტიგონე.

ბავშვივით უხაროდა გამარჯვება კრეონს, მაგრამ ის კი არ იცოდა, რომ ნაადრევი იყო მისი სიხარული. შეცდა, შეცდა ჩვენი სტრატეგია, ზედმეტი მოუვიდა. კერ განსაზღვრა, ვერ გაითვალისწინა, რა შეიძლება მოჰყოლოდა ასეთ აქცერბას, როცა წამოვარდა, ხელი მოხვია, გულში ჩაიკრა და აღტკინებული ეწურნულეობდა სიცოცხლეზე, სიხარულზე, ქორწინებაზე, მომავალ ბედნიერებაზე, მშვიდ და მყუდრო ცხოვრებაზე და კიდევ იმაზე, რომ არავინ არ ღირს იმად, თავი შესწირო, რომ ადამიანი ერთხელ ჩნდება ამ ქვეყანაზე და საკუთარ კეთილდღეობაზე უნდა ზრუნავდეს მხოლოდ და მხოლოდ.

გამარჯვებული გასცქეროდა ანტიგონე სივრცეს. რაღაცას იხსენებდა. რაღაცის აღდგენას ლამობდა, თანდათან ეწმინდებოდა დაბინდული გონება, თითქოს თვალში სინათლეც ჩაუდგაო, ძალაც დაუბრუნდა და სრულყოფილად იგრძნო თავი და, კრეონს რომ ეკონა, ფონს იყო გასული, ამ დროს დინჯად დაიწყო განსჯა ანტიგონემ.

— როგორი იქნება ჩემი ბედნიერება? ნუთუ ანტიგონე ბედნიერ ქალად გადაიქცევა? რანაირი უსინდისობის ჩადენა მოუწევს მას ყოველდღე, რათა თავისი ნამცეცი ბედნიერება მოიპოვოს? ვის უნდა გაუღიშოს, ვის უნდა მიჰყიდოს თავისი თავი, ვის სიკვდილს უნდა შეხედეს გულგრილად?



კრეონს ელდა ეცა. ფეხქვეშ მიწა გამოეცალა. საფრენი წერტილი დაკარგა. უნდოდა მოვევრებინა ახვართებული ენება, სტიქიასავით რომ გადაველოთ თავზე, მაგრამ დაბნეულობისაგან ვეღარაფერს ახერხებდა: ანტიგონეს კი თვალები ვარსკვლავებით უელავდა და ისეთი ბედნიერი წარმოთქვამდა ყოველ სიტყვას, თითქოს მღერისო.

— გაჟუმი! გაგივლი? გაიგონებს ვინმე და დაიღუპები! — პატარა ბიჭივით იფვირა კრეონმა. ამ ყვირილმა კიდევ უფრო დამუხტა ანტიგონე და უფრო ძლიერად შეუტია:

— კარი გააღე! მეც სწორედ ეგ მინდა, რომ გაიგონონ! — იგი კატეგორიულად მოითხოვდა პასუხს მისგან თუ რა უნდა ეკისრა იმისათვის, რომ მშვენიერად ეცხოვრა, ანდა რა უნდა გაკეთებინა იმისათვის, რომ ბედნიერი ყოფილიყო.

კრეონი ჩიხში მოექცა. ვერაფერი მოიფიქრა. ისინი სხვადასხვა განზომილებაში მოქმედებდნენ და, ამდენად ჭეშმარიტებასთან მიახლოება მიუწვდემელი იყო კრეონისათვის.

ანტიგონე მხოლოდ იმიტომ კი არ ებრძოდა კრეონს, რომ დაერწმუნებინა საკუთარი თვალსაზრისის სისწორეში, არა! მას უნდოდა ბოლომდე ეთქვა თავისი სათქმელი, რათა ბოლომდე ჩამოეხსნა ბიძამისისათვის მზრუნველი და კეთილი კაცის ნიღაბი, ასე ოსტატურად რომ უფარავდა ცბიერსა და სისხლიან თვალებს.

ანტიგონე ცოცხალი თავით არ დათმობს თავის პოზიციას. რა თქმა უნდა, — არც კრეონი. იგი ეცდება, რაღაც უნდა დაუჯღეს, დაიცვას თავისი მრწამსი და დაუმტკიცოს, რომ ეს ერთადერთი და სწორი გზაა ცხოვრებაში, თუ გინდა, რომ სწავლეს მიაღწიო. კაცმა რომ თქვას, ვიღაცისათვის ალბათ კრეონიც მართალია, მაგრამ გაანჩია, ვისთვის და რაში.

„წყალწაღებული ხავსს ეკიდებაო“ — სწორედ ისე გამოუვიდა; როცა ანტიგონეს უთხრა:

— შენ ჰემონი ხომ ვიყვარს?

— ჰო, ვიყვარს, ვიყვარს, ვიყვარს! — ისეთი გამწარებით და ისეთი მწუხარებით წარმოთქვა ეს სიტყვები ანტიგონემ, თითქოს საყვარელ შვილს ჰგლეჯდნენ გულიდანო. უყვარს და მერე როგორ! არც არავის უნახავს და არც არავის გაუგონია ასეთი ამადღებული და ასეთი ტრაგიკული სიყვარული, რადგან ჰემონი სულის ნაწილი იყო მისი და მისი გულის სწორი.

ანტიგონეს უყვარს თავისი მოღუშული ჰემონი, მასავით მომთხოვნი და ერთგული, მაგრამ თუკი მას აძებლებენ, ისეთივე ვახდეს, როგორც თეთომარქვია მამამისია: კაცთმოძულე, ეკოისტი, მამის ანტიგონეს აღარ ეყვარება და უარს იტყვის მასზე. ბევრს შესწევს განა უნარი, უარი თქვას სიყვარულზე, უზრუნველ ცხოვრებაზე და თვით სიცოცხლეზეც კი?! ანტიგონე ზნესრული აღამიანია და უღირსი არც ერთი უნდა და არც მეორე.

დამფრთხალი კრეონი აქეთ-იქეთ იფურებოდა, ეშინოდა, არავის გაეგონა ეს სიტყვები და ამის გამო ხან კარებს აწვდებოდა და ხან ანტიგონეს მივარდებოდა ყვირილით, რათა გადაეფარა მისი სიტყვები, მაგრამ ამაოდ: ცეცხლივით აბრიალებული ანტიგონე ტყვიასავით ისროდა ყოველ სიტყვას, მიზანი ზუსტი ჰქონდა და ზუსტადაც ახვედრებდა სათქმელს.

— რატომ გინდა, რომ გამაჩუგო, მართალი რომ ვარ, იმიტომ? თვალებზე გეტყობა, იცი, რომ მე მართალი ვარ, მაგრამ აღიარება გიჭირს და მზადა ხარ, დაიცვა შენი ბედნიერება, როგორც ძალმა, — გამოხრული ძვალი.

— ჩემი და შენი ბედნიერება, შე სულელო!

— ო, რა საზიზღრები ხართ მაგ თქვენი ბედნიერებითა და თქვენი ცხოვრებით; იძულებული რომ ხარ, გიყვარდეს, რანაირიც უნდა იყოს იგი. თქვენ გინდათ ბედნიერება. აი, თქვენ კი ნამდვილად მახინჯები ხართ, თქვენს შორის ყველაზე ლამაზიც კი მახინჯია, თქვენი ცქერა, ღიმილი ამახრხენია.

საოცარი შესახედავი იყო ამ დროს ანტიგონე. ეს პატარა, კაფანდარა ვოვო უცებ გაიზარდა, გაღამაზდა, ხოლო ამადლებული სული მისი ასხივებდა და ნათელს ჰფენდა იქაურობას.

კრეონი ამკარად ხედავდა, რომ მის თვალწინ ნამდვილი სასწაული ხდებოდა, ხედავდა, მაგრამ ამის დაჯერება მაინც არ უნდოდა, მაგრამ როცა გულში დანთებული ცეცხლით გამძვინვარებულმა ანტიგონემ წარმოთქვა:

— თუმცა ხელებზე ნაბორკილარი მეტყობა და შიმშისაგან გული მიმდის, მაინც მე უმეფობ და არა შენო! — აი, მაშინ კი დაიჯერა, დაიჯერა და საცოდავად შეჰბღალდა:

— მაშინ შემობრალე!

მაგრამ ანტიგონეს უკვე აღარაფერი ესმოდა. იგი დატყნობით მოითხოვდა კარების გაღებას, რათა ყველას გაეგო, ყველას სცოდნოდა მისი მოსაზრება ადამიანობაზე, პატიოსნებასა და სამართალზე.

ანტიგონეს მუდამ სულს უხუთავდა ისეთი ადამიანების გვერდში ფოფნა, როგორიც კრეონია, ისინი მომართულ თოჯინებს აგონებდნენ. დაპროგრამებულნი, უსულგულონი, მუდამ კმაყოფილნი და საკუთარი თავით აღტაცებულნი რომ დააბოტებდნენ დღის ხინათლზე. ანტიგონეს არ შეეძლო მათთან ურთიერთობა და ამას დაუფარავად აუღენდა, რადგან იგი სხვა რამისთვის იყო მოწოდებული და მოვლენილი ამ ქვეყანაზე.

ანტიგონეს არ სჭირდებოდა მოწყალეობა ცხოვრებისაგან. უნდოდა ყველაფერი ჰქონოდა, რაც მას ეკუთვნოდა, ბედნიერბაც ისეთი, ბავშვობიდან რომ იცნებობდა. თუ არა და — წინააღმდეგ შემთხვევაში სიკვდილს არჩევდა და არცა კიდეც.

ყველაფერი გაირკვა, ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. კრეონმა იგრძნო გარდაუვალობის მოახლოება, რადგან აუღერდა ის სიმიც, აგრერივად რომ ამინებდა, აკი უთხრა კიდეც, ზუსტად მამამწინებით ლაპარაკობო. ამჯერად კრეონი მართალი იყო.

— პო, ზუსტად მამამწინებით ჩვენ იმ-ათგანნი ვართ, ყველაფერი უნდა გინტერესებთ და არ ემონათ მანხნაც კი, როცა იმედის ნაპერწკალიც აღარ არსებობს — იმედისა, ჯერ კიდევ რომ ცოცხლობს, რადგან ბოლომდე არ დაუხრწიათ, — ტყვილიანი სიამაყით წარმოთქვა ბოლო სიტყვები ანტიგონემ და დაამთავრა კიდეც მასთან ლაპარაკი.

... და მართლაც, ოიდიპოსი, როცა დარწმუნდა, რომ ის იყო საკუთარი ოჯახის უბედურების მიზეზი, განა თვითონვე არ გამოუტანა თავის თავს განაჩენი და თვითონვე არ აღასრულა იგი? ასევე პატარა ანტიგონესაც არ შეშინებია, თავისი ჩანაფიქრის განხორციელებას როცა ცდილობდა, და არც ახლა ეშინოდა, როცა უკვე ყველაფერი დამთავრდა და წინ აღსასრული იყო მხოლოდ და სხვა არაფერი.

ასე შედიდურად, ასე წარბმუხურვლად, ასე ამკარად გააკრა ანტიგონემ სამარცხეინო ბოძზე თავისი მზრუნველი ბიძა და მეფე, მისი ბრწყინვალეობა — კრეონი.

გაწბილებულ კრეონს ვგონა, — ვგონა კი არა, დარწმუნებული იყო, რომ ეშმაკობითა და ფლიდობით თანაგრძნობას გამოიწვევდა მასში, მაგრამ მოხდა მოსახდენი. თვითონვე დაამარცხა თავისი თავი. ეს კანონზომიერი შედეგი იყო და ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან — „საკუთარი მონური ხვედრის მორჩილნი, ვმირისათვის შეუფერებელ წერილმან მისწრაფებებს ამკლავებენ და არ შესწევთ უნარი ბოლომდე ღირსეულად მიიგრონ მეფური სამოსელი, მათი მონვენებითი დიდება მხოლოდ ფუკი ნიღაბია და მეტი არაფერი“ — ეს შთახებით კაცი უცებ დაამატარა, დაიწუტა და უკვე აღარაფერს წარმოადგენდა გარდა ღვარძლით სახე სხულისა, რომელსაც მხოლოდ შურისსძიება შეეძლო და სხვა არაფერი, აკი მანაც აღარ დაყოვნა და გასცა ბრძანება:

— წაიყვანეთ!

ანტიგონემ შევებით ამოისუნთქა და ღმერთს მადლობა შესწირა, რადგან უკვე დამთავრდა ყველაფერი, დამთავრდა

სხვადასხვა მრწამსის, ორი საპირისპირო ხასიათის, ცივი პრაქტიკული კვანისა და საღი გონების, საღი განხევის ორთაბრძოლა.

ანტიგონე წაიყვანეს და დილეგში ჩაგდეს.

ზის დილეგში სიკვდილმისჯილი ანტიგონე ხელუბრალოდ, — თითქოს საღმე შექმლოს გაქცევა — ვიღაც უსულგულო, უხამსი ჩაფრის გვერდით და გარინდებული ჩამტვრუბია ერთ წერტილს.

ელვისისწრაფით გაურბინა მის თვალწინ მთელმა მისმა ცხოვრებამ.

— ნუთუ ვეღარაფერი დამთავრდა?! — ფიქრობდა იგი. — ნუთუ ვეღარახოდეს ვიხილავ დღის სინათლეს, გაზაფხულს, ხაფარულ ჰემონს, ძვარფას ძიძას, ჩემს სულელ დაიკოს?! ნუთუ არ შეიძლება და შეც მცხოვრა ჩვეულებრივი ადამიანური ცხოვრებით, მყოლოდა გვერდით ჰემონი... შეილება და — პირველად შეებრალა თავისი თავი. პატარა, უსუსური ბავშვივით აქვითინდა, შემდეგ სასოწარკვეთამ თანდათან იმძლავრა და ქვითინი გულის გამუმირავ გოდებაში გადაიზარდა. უცებ მოსწყდა ადგილს, ძირს დაეშო და ატირდა. ტიროდა მოთქმით... იგი დასტიროდა თავის ახალგაზრდობას, განუზოცოვლებელ სიყვარულს, შვილს დაბადება რომ არ ეწყრა და მხოლოდ ოცნებაში მოსულს, რომ შეუხაროდა და შეუფოფინებდა.

ანტიგონე ჩამოახრჩვეს. არაფერმა გასჭრა კრეონზე, არც ჰემონის თხოვნამულარამ, არც იმან, რომ მისი ერთადერთი ვაჟიშვილი შეიძლება მასთან ერთად მომკვდარიყო, — არაფერმა — და ასეც მოხდა. — რას იზამ, ძალა აღმართს ხნავსო, ვერაფერს გახდება.

ანტიგონე მოკვდა — ჩაქრა, მაგრამ გამარჯვებული სული მისი კვლავტარით აინთო და დღემდე ანათებს იმ სისორიდან, ვინაიდან გარდაცვალება იყო დაბადება მისი.

ასეთი იყო ჩემი ანტიგონე!

შეიძლება ვინმემ საკამათოდ მიიჩნიოს როლის ასეთი გააზრება, მხატვრული სახის ამდაგვარი გადაწყვეტა, მაგრამ

მე მხოლოდ ასეთნაირად მესახებოდა იგი და ჩემს წარმოსახვაში მისი ანტიგონე მიყვარდა. მიყვარდა უმეტესად, მიყვარდა სიამაყით, რადგან სულთა სი-ახლოვეს ვგრძნობდი, ეს კი რწმენას მშატებდა და მათამამებდა კიდევ საკუთარი ხვედა-ნადველის ამოსათქმელად.

როცა 1968 წელს მიხვილ თუმანიშვილმა მითხრა, ანტიგონე უნდა ითამაშო, იმდენად ვიყავი ამხანად საკუთარი ხატკივარით შეპვრობილი, რომ არათუ სიხარული, უბრალო კმაყოფილებაც კი არ გამომიტეკავა.

ბატონმა მიშამ, ვითარცა ბრძენმა, ისე შეაფასა ერთი შეხედვით ეს გულგრილი გამომეტყველება ჩემი, ოდნავ დაყოვნდა და შემდეგ ისევე განაგრძო საუბარი პიესის ღირსებაზე, მის ავტორზე ფან ანუ-იზე და, რაც მოეკარია, თვით ანტიგონეს მნიშვნელობაზე.

გაკვირვებული შევეცქეროდი და ვფიქრობდი: რას უნდა ნიშნავდეს ყოველივე ეს? ვაჟიდა დრო და შერეულა მიუხედი, რასაც ნიშნავდა. ის შინაგანი მდგომარეობა ჩემი, ის ფსიქოლოგიური მომენტი იყო მისთვის მოთავარი და აუცილებელი იმ პერიოდში რომ მაწვალებდა და მტანჯავდა, სწორედ ეს არ უნდოდა დაეკარგა. ის სულიერი ტრაგედია, მთლიანად რომ დაუფლდა მამინ ჩემს არსებას, ვეღარაფერთან ერთად ფიზიკურ ტკივილსაც მკვნიებდა და ამის გამო მართლა ავად ვიყავი.

ბატონმა მიშამ ეს ყველაფერი ძალიან კარგად იცოდა, იცოდა, მაგრამ არ დაშინდო და რეპეტიცია მაინც დანიშნა.

მივედი...

ასე დაიწყო ჩვენი ერთობლივი შემოქმედებითი ცხოვრების ის ბედნიერი და განუმეორებელი დღეები, მთელ ჩემს შემდგომ შემოქმედებით ცხოვრებას ნათელ სხივად რომ გამოქვეყნა.

კრეონი — ბატონი სერგო ზაქარიაძე. ამოუწურავი ფანტაზიისა და ფიზიკური ძალის მსახიობი. წოველთვის მიზანდასახული და შემოქმედებითი აღმაფრენისათვის მუდამ ფრთაშესხმული.

ბატონი მიშა თუმანიშვილი — კაცი ფანატიკოსი, ასკეტი. მისი ღვეზი — არაქინ და არაფერი თეატრის გარდა! მისთვის ჩვეული უმაღლესი რანგის პროფესიონალიზმით, საქმისადმი უანგარო და ერთგული დამოკიდებულებით იწყებდა ყოველ რეპეტიციას. მას, როგორც მოაზროვნეს და ანალიტიკურ გონების შემოქმედს, მუდამ ზუსტად და წინასწარ ქონდა გააზრებული მომავალი სპექტაკლის ქარა და სარეპეტიციო გეგმაც, ამიტომ მუშაობის დროს იგი უფრო მშვიდი მეჩვენებოდა, ვიდრე მე უყავი.

უცნაური რამ დამემართა, უჩვეულო. არ ვიცი, ბატონი სერგოს მსახიობური ძალისა თუ მასალის მიუწვდომლობის შიშის გამო, მიუხედავად ზუსტად განსაზღვრულ-დადგენილი ამოცანებისა, მოვლენათა რიგისა და ა. შ. სულერთიანად დავიძაბე. უნდო გავხდი, მოსვენება დაეკარგე. ყველაფერი მალიზიანებდა, ყველაფერი უარეაქციას იწყებდა ჩემში. ტკივილი ტკივილს ემატებოდა, არაფერი აღარ მინდოდა და წავედი. წავედი გულშეკუმშული, დამძიმებული, უკიდურესად დაძაბული, სასოწარკვეთილი, რადგანაც ვერ ვხსნიდი ჩემს საქციელს, თუმცა მაშინ ვერ ვხსნიდი, თორემ ახლა კი ზუსტად ვიცი, რომ ეს იყო: ახალ გარემოსთან შეგუების, მომხდარი ამბის დაჯერების, სახესთან მიახლოებისა და საკუთარ ვრძნობათა ბუნების სხვა ტალღაზე გადართვის პროცესი, სხვისი სიყვარულის, სხვისი სატკივარის ჩემად ქცევის — გათავისების პროცესი, და ამაღ მჭირდებოდა თურმე ის დრო.

დაებრუნდი. დაებრუნდი საკმაოდ აგრესიული, თითქოს ვინმე სხვა ყოფილიყო დამნაშავე ჩემს უღამაზო და გაუმართლებელ საქციელში.

შემრცხვა... მართალია, არავის არაფერი უთქვამს, მაგრამ ვიგრძენი, რომ ბატონ მიშას და ბატონ სერგოს ძალიან უტყინე ამით გული და, იმის მაგივრად, რომ ბოდიში მომეხადა, პირდაპირ შეტევაზე გადავედი, თუმცა საფუძველიც ქონდა: წავედი იმიტომ, რომ მათთვის

მუშაობაში ხელი არ შემიშველა და ჩვეულებრივი დაძაბულობა ამრეიდებინა, მით კი რა ქნეს? — ვერ გაიგეს და დუმილით მისაყუდურეს. ამ გაუგებრობამ კარგი მარცვალი ნააგლო ჩვენს შემდგომ შემოქმედებით ურთიერთობაში, კარგი ის იყო, რომ ამ გაუგებრობის გამო უკვე რაღაცნაირად დაუუპირისპირდით ერთმანეთს და ჩვენს შორის გაჩნდა უმნიშვნელო, მაგრამ მაინც ბზარი. რაც მთავარია, ბატონ მიშას არც უცლია განემუხტა ეს დაძაბული სიტუაცია და, როგორც შემდეგ გაიგე, თურმე განგებ ვერაიდებდა თავს. ბრწყინვალე პედაგოგი, როგორც წესი, კარგი ფსიქოლოგიც არის და მან სწორად განჭვრიტა, რომ ბედად შექმნილ ჩვენს შინაგან უთანხმოებაზე შეიძლება აღმოცენებულიყო ის მთავარი და არსებული სიკეთისა და ბოროტების, მარადიული და მწვავე უხასრულო ორთაბრძოლა, მისი ფილოსოფიური საწვისი ასპექტი.

— რატომ ავირჩიეთ ანდა რისთვის ედგამთ ამ პიესას? რა არის ჩვენი საბოლოო მიზანი? რა უნდა ეუთხრათ ამით მაყურებელს, ხალხს! — აი, კითხვები, რომლებითაც დაიწყო პირველი რეპეტიცია ბატონმა მიშამ.

ამ კითხვებზე სწორი პასუხის გაცემა მთავარი, ამაშია თეატრის ძალა, მისი ფუნქცია. აუხსნა, დაანახე, გაახარო, სინათლე ჩაუდგა, სიცოცხლე შეავლო, იმედი და ძალა შემატო, დაარწმუნო ადამიანი საკუთარ შესაძლებლობებში, რათა შემდგომ კეთილ საქმეთა ქმედებაში დაიხარჯოს და გადმოიღვაროს.

ბატონი მიშა დიდხანს და გატაცებით ლაპარაკობდა პიესის ღირსებაზე, იდეაზე, ამდენად — ანტიგონესა და კრეონზე, რადგან ძირითადი იდეის მატარებელი ჩვენ ვიყავით. ვადგენდით ამოცანებს, მოვლენებს ყოფილი ნაკვეთებად, ვთხზავდით გმირთა ქცევის წინაპირობას, ამას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ბატონი მიშა. ხსნიდა გამჭოლ მოქმედებას. ერთი სიტყვით, როლისა და სპექტაკლის ზეამოციანისაკენ გეკაფავდა გზას.



— საჭიროა შეიქმნას სახის მოდელი, ჩონჩხი და შემდეგ ამ შენეულ მოდელს უნდა შთაბეჭერო შენივე საკუთარი სული, რომ გააცოცხლო, ამოქმედო, ამოცხველო, — მუეზნება ბატონი მიშა.

— შენ რას ფიქრობ, ვინ არის და როგორია შენი გმირი?

— როგორი და, — როგორიც უნდა იყოს. მაღალი სულისა და კეთილი საქმეებისათვის მოწოდებული ადამიანი, — სხაპასხუებით უკაპასხუე გუნებაში, ხმა კი არ გამოიღია. რატომ ვიწყინე შეკითხვა, არ ვიცი. მახსოვს მხოლოდ, რომ ერთობ უცნაურად, გამოძწევად მივაპყრობი მხერა ბატონ მიშას.

— ჰო, რას მიყურებ, ვიფიქრია თუ არა, როგორ დადის, როგორ ლაპარაკობს, როგორი ხმა აქვს, ვესმით თუ არა მისი ხმის ტემბრი, რა სძულს, რა უყვარს?

— სძულს ყველაფერი, რაც მე! — ისევ ვაგრძელებდი უსიტყვო ბრძოლას გუნებაში, თან თვალს არ ვამორებდი.

ბატონმა მიშამ მიყურა, მიყურა და მერე უხერხულად გაიღიმა, არაფერი მიმხრა, მაგრამ, როცა ბატონმა სერგომ მრავალმნიშვნელოვნად ჩაახველა და ადგილზე შეიშმუშნა, მიეხედი, რომ ცუდად ვიქცეოდი. ყელში ბურთივით რაღაცა გამეხიარა, თვალები ამეწეა. ტირილი მინდოდა, მაგრამ არა! არ ვიტყვებ, არაფერი დამიშავებია. ხმა არ გამოიღია, რა უნდათ, რას მერჩიან?! ღმერთო, რა უბედური ვარ! — ვფიქრობდი, — რა უბედური ვარ, რატომ მირთულდება ყველაფერი ასე, რატომ არ ესმით ჩემი? — მაგრამ თურმე ვეღებოდი: მით ყველაფერი კარგად ესმოდათ და ყველაფერს კარგად ხედავდნენ.

ასე ტაატიმ, ასე ძველად, ასე წვალეებით ვეძებდი როლის დასაყრდენს, მახთან შეხების წერტილს სადღაც, ირეალურ სამყაროში და არა ჩემში, რადგან მიჭირდა გაცნობიერება იმისა, რასაც გუმანით ვგრძნობდი, რასაც ინტუიცია მკარნახობდა.

გუმანი, ინტუიცია — ეს ხომ მაგიური ძალაა, თუ რა თქმა უნდა, გამოცდილებაც გაქვს და, ამასთანავე, შეგწევს

უნარი, სწორად წარმართო ეს იმპულსები, რომლებიც ქვეცნობისა და უცნობის იქმნება შენში.

... და იდგა ჩემს წინ ორი დიდი ხელოვანი, ორი ჭეშმარიტი ჰედაგოგი, ორი კეთილად განწყობილი ადამიანი, მე კი — სრულიად უსუსური, მიუხედავად თეატრში განვლილი ჩემი გარკვეული შემოქმედებითი გზისა, მათი პრაქტიკისა და ოსტატობის ფონზე ერთობ საყოლადად გამოვიფურებოდი. ამის გამო ვიტანჯებოდი, მტანჯავდა სურვილი, სწრაფვა, ფინი ამოუცნობის ამოცნობისა, სიმაღლის დაძლევისა და ვოკალიკე ერთად აღებული ჩემში ქმნიდა შინაგანი და გარეგანი დაძაბულობის ისეთი ძალის ენერჯიას, რომ თავს ვედარ ვიმორჩილებდი, უხერხულობა მიყვრობდა, მაფორიაქებდა, გზას მაყენდა და სახონარკვეთილი თავბრუს ვიწვევდი. ასე დამთავრდა ჩემი პირველი რეპეტიცია.

მთელი დამე არ მიძინია...  
 ვფიქრობდი... ვფიქრობდი...  
 ფიქრიც მოუსვენარი მქონდა, აღგზნებული და აფორიაქებული აღმა-დაღმა დამაქროლებდა. ხან სად მიუხეცებოდი და ხან — სად, ხან კი სულ გაქრებოდა და აი, მაშინ, მაშინ სრულ სიციარელებს ვგრძნობოდი...

— რატომ გამწვლდა ასე, რატომ? თითქოს ყველაფერი ნათელია, ექსპოზიციური ნაწილის ამოცანა დადგენილია, სიტუაციაც გარკვეულია. მაშ, რაშია საჭმე? იქნებ მე ვართულებ ყველაფერს და ამიტომ მიჭირს პირველი ნაბიჯის გადადგმა, ამიტომ მერიდება პირველი სიტყვის წარმოთქმა, რამ შემოჭრა ასე უსაშველოდ, რამ?

— იფიქრე აზრზე, სიტყვები თავისთავად მოვა, — გარკვევით ჩამესმა ბატონი მიშას ხმა.

— ღმერთო ჩემო, უაზროდ ლაპარაკი შეიძლება ვანა? ანდა რატომ ვკონია ბატონ მიშას, რომ არ ვფიქრობ, არ ვეძებ როლთან (სახესთან) მიახლოების გზებსა და საშუალებებს?

როგორც იქნა, გათენდა.

გათენდა უხალისოდ, უიმედოდ, რადგან ახალი ვერაფერი მოვიფიქრე და რეპეტიციისათვის მზად არ ვიყავი. მაგრამ უნდა წაესულიყავი და წავედი. მივდიოდი და ფეხები უკან მრჩებოდა, მაგრამ სარეპეტიციო ოთახის კარები მაინც შევაღე.

არავინ დამხვდა.

გამიხარდა.

ის იყო, უკან უნდა გამოვბრუნებულიყავი, რომ ბატონი სერგო ფეხდაფეხ მომეყვა. უცხოებით მივესალმეთ ერთმანეთს და ადგილები დავაკავეთ. ის მაგიდის თავში იჯდა ჩაფიქრებული, მებოლოში.

მომეჩვენა, თითქოს ბატონი სერგო ვიღაცას ელაპარაკებოდა, თუმცა არა: კი არ ელაპარაკებოდა, ეკამათებოდა. ბატონმა სერგომ ძალიან აქტიური და სახიერი ფიქრი იცოდა რეპეტიციაზე. თუ ვინმე ყურადღებით თვალს მიადევნებდა, უპიკველად მოწმე გახდებოდა იმ მაგიური ძალის გამოვლენისა, საჯარო მარტოობა რომ ჰქვია.

საჯარო მარტოობის გრძნობა — უცილობლად გადამწყვეტი და აუცილებელი ფაქტორია სამსახიობო ხელოვნებაში.

მოზიბლული შევცქეროდი და ვფიქრობდი: თურმე რამდენი შესძლებია ადამიანის დაკვირვებულ თვალს, მის ფანტაზიას და მხატვრულ წარმოსახვას. მონუსხული ფრთხილად წამოვდექი და ახლოს მივედი, მინდოდა დამეჭირა, ჩაწველოდი საკუთარ თავზე მუშაობის საიდუმლოებას. გამოველაპარაკე. მან შემომხვდა, მიპასუხა კიდეც, მაგრამ ამცარად ვგრძნობდი, რომ ვერ მხედავდა. უერ შევცბი, მერე დავაკვირდი და მივხვდი, რომ მიუხედავად ჩემი ჩარევისა, იგი მაინც განავრძობდა წარმოსახულ სამყაროში განცხრობით ნებიურობას, პარტნიორებთან ურთიერთობას. აი, სწორედ ეს იყო მხატვრული სახის შექმნა — შეთხზვის ბედნიერი წამი. შიშნარევი ცნობისმოყვარეობით შევცქეროდი და შევნატროდი ხელოვნების ნიჭიერებას, მის მაღალ პროფესიონალიზმს, ვითარცა აღტაცებული შევირდი — თავის ოსტატს.

მნელია აღწერი მოვლენათა თანმიმდევრული მონაცვლეობის შესწავლა. რი თვალთ ნახო, უნდა შევხარნი შევგრძნო, რომ დარწმუნდე თეორიული ცოდნის პრაქტიკულ განხორციელებაში. ეს ხომ ვვლას არ ძალუძს. ეს მხოლოდ გამოჩნულთა ხვედრია. ეს ნამდვილი ღვთიური მადლია და რა მადლობელი ვარ იმ ბედნიერი შემთხვევისა, ამ მადლის გამოვლენის უნებლიე მოწმე და მონაწილე რომ გამხდა! აი, მაშინ მივხვდი, მაშინდა გახდა ჩემთვის ნათელი, რომ ზოგიერთებს მხოლოდ თავისი უსუსურობა და პატივმოყვარეობა ალაპარაკებდათ, როცა ბატონი სერგოს როგორც პარტნიორის მიმართ გამოთქვამდნენ ხოლმე საყვედურს: „არ გვაცლის, ბატონო, ვვლას მაგივრად თამაშობს, არ გვიყურებს“ და ასე შემდეგ.

სულ მაინტერესებდა, რას აკეთებდა ბატონი სერგო რეპეტიციაზე ისეთს, რასაც შევძლო მსგავსი რეაქციის გამოწვევა. აი, რას: რეპეტიციის მსვლელობის დროს, როცა მისი სცენა არ იყო, იგი ყოველთვის მაგიდის მოშორებით იჯდა და დაფიქრებით ჩასცქეროდა თავის ტექსტს. დროს არ კარგავდა: სწავლობდა, შიფრავდა, მაგრამ არა მარტო თავის როლს, არამედ მთელ მონაკვეთს, მთელს მოვლენას. ბუნებრივია, რომ წარმოსახვით პარტნიორებთანაც ამყარებდა კავშირურობას, ამიტომ ზოგჯერ ცოტა ხმამაღლა წასვლბოდა ხოლმე ფიქრი და ბუნებრივია, სიტყვასაც მოაფოლებდა. სწორედ ეს იწვევდა მათში უკმაყოფილებას, არასწორ შეფასებას.

ანდა კიდეც: თუ რომელიმე მსახიობი არამუსატყვისი ინტონაციით, ანუ არასწორი კვებტექსტით წარმოთქვამდა თავის ხათქმელს, აქაც ბატონ სერგოს მისდა უნებურად მქონდა ხოლმე რეაქცია. მხოლოდ იმიტომ, რომ ვერ იტანდა სიტყვის უპატივემულოდ, უხეშად წარმოთქმას, მაგრამ თუ ვინმე კეთილგანწყობით ყურს მიუთხოვდა მის თუნდაც ასეთ უცნაურ შენიშვნას, აუცილებლად გაუქრბოდა მისდამი წყენაც და სიბრაზეც და ადვილად მოძებნიდა როლის ხასია-

თის ამოსავალ წერტილს. მაგრამ იმისათვის, რომ შენიშვნა გავიო და მიიღო, საჭიროა შენც გქონდეს ხატოვანი ახროვნების უნარი, მხატვრული თვითშეგრძნების უტყუარი აღლო და შექმნების დაუოკებელი სურვილი, - რის გარეშეც შეუძლებელია ჩასწვდე აქტიორული ტექნიკის იმ ფაქიზ ხვეულებს, რომელთა გარეშეც არ არსებობს ნამდვილი, ჰუმანიტარული ხელოვნება. ისე გავერთე ბატონი სერგოს ყურებით, რომ ჩემი სატკივარი სულ დამავიწყდა.

გაიღო კარი და ოთახში ბატონი მიშა შემოვიდა. შემოვიდა გაბრწყინებული, ხაქმიანი. არც გამკვირვებია, რადგან სარეპეტიციო ოთახი და თვით რეპეტიცია ყველაზე სანუკვარი ადგილი და რიტუალი იყო მისთვის. სწორედ აქ, ამ წმინდათაწმიდა ადგილზე, როგორც თვითონ იტყოდა ხოლმე, შექმლო მას ფიქრი, ოცნება და განცდა, სახეზე იდუმალი დიმილი დასთამამებდა, - ალბათ, რადგან საინტერესო უნდა მითხრას, - ვაიფიქრე, მაგრამ, როცა ჩანთა მაგიდაზე ხმაურით დაავდო და ასევე ხმამაღლა და ხაზგასმით წარმოთქვა, - აბა, რა გქონდათ დავალებული? - მეწყინა და თავი ჩავლუნე.

- გუშინ რაზე შევთანხმდით?

- რომ მოვიფიქრებდით პირველი მონაკვეთის წინაპირობას, - თვითონვე უპასუხა თავისთავს, - ე. ი. მოძებნილით ისეთ შინაგან სველებს, რომლებიც დაგვხმარებოდათ სწორი თვითშეგრძნების მოძებნაში და შესატყვისი ტონალობის მიგნებაში.

ბატონი მიშა დიდ ყურადღებას უთმობდა სწორ სცენურ მეტყველებას, სიტყვის წარმოთქმის კულტურას საერთოდ და, თუ თეთრი ლექსი იყო, - მით უმეტეს.

- სპექტაკლს ისევე სჭირდება კამერტონი, როგორც მუსიკალურ ნაწარმოებს, - ხშირად იმეორებდა ხოლმე ამ ფრაზას ბატონი მიშა.

- ყოველ სპექტაკლს თავისი მელოდია, თავისი ელერადობა უნდა ჰქონდეს, მაშინ იქნება ის მხატვრულად გამარ-  
10. „მნათობი“, № 5-6.

თული, სრულყოფილი, ამცნობდა ბატონი მიშა, - ეს ჰუმანიტარული სპექტაკლიც ხომ ორკესტრია, სადაც ყოველი შემსრულებელი, ყოველი მსახიობი თავის განუყოფებელ ბეგრას უნდა გამოსცემდეს, ხოლო ყველა ერთად ერთ მოლიან პარმონიად უნდა იღვრებოდეს, მაგრამ იმისათვის, რომ იგრძნო, უპირველეს ყოვლისა უნდა დაინახო უნდა გავიო. ასე არ არის? - მეკითხება ბატონი მიშა.

მე არ ვუპასუხე.

- გასაკვებია, ჩაილაპარაკა თავისთვის და ჩანთიდან გულმოდგინედ დაიწყო ფურცლების ამოლაგება.

- მაშ ასე, - თქვა და ახლა ფურცლების ჩალაგებას შეუდგა.

- მოქმედება იწყება იქიდან, როცა ანტიგონე, გამთენიისას ბრუნდება შინ, მისი ამოცანაა, რაც შეიძლება ფრთხილად, შეუმჩნეველად შევიდეს თავის ოთახში, რომ არავინ გააღვიძოს და პირველ რიგში საკუთარი ძიძა.

კაცმა რომ თქვას, აქ თითქოს არაფერია გაუგებარი და ძნელი, მაგრამ ეს - ერთი შეხედვით. ერთია, როცა თეორიულად გვსმის საქმის ვითარება და მეორეა მისი პრაქტიკული განხორციელება. ეს მეორე მიჭირდა სწორედ. ო, როგორ მიჭირდა პირველ ეტაპზე მაინც!

სპექტაკლი იწყებოდა აქის მომასწავლებელი მუსიკით. თანდათან ქრებოდა სინათლე და სრულ სიბნელეში, სცენაზე გამოდიოდა სპექტაკლის ყველა მონაწილე და ყოველი მათგანი იკავებდა მისთვის განკუთვნილ ადგილს. შემდეგ, ასევე წელა ნათდებოდა სცენა და შუბერტის მშვიდი კეთილზმოვანი აკორდების ფონზე, მაყურებლის დარბაზისაკენ მიემართებოდა მიხრობელი გურამ საღარაძე და თავისი მომწუნხველი ხავერდოვანი ხმით მაყურებელს ამცნობდა კაცობრიობის საზარელი ტრაგედიის - „ანტიგონეს“ წინა პირობას, ყოველი პერსონაჟის ვინაობას, მათ ხასიათს, საქმიანობას. მიხრობელზე დიდად იყო დამოკიდებული სპექტაკლის ტონალობის განსაზღვრა. ამიტომ შუარჩია ბატონმა მიშამ გურამ საღარაძე, სცენაზე



მოქმედების მისული ჩვევები და თავისებურება, მეტყველების გრადაციები და ოპერტონები ზუსტად შეესატყვიებოდა ტრაველის ხმიანობას. იგი, როგორც ქურში, ისე მიუძღოდა ტრაველის პერსონაჟებს მყურებელთა გულებსავე. და სტოვებდა მათ სამხეაგროზე. ამის შემდეგ მსახიობები თანმიმდევრულად გადიოდნენ სცენიდან, რათა მომზადებულყვნენ, თავისი როლების შესასრულებლად, ხოლო თვით წამყვანი გ. საღარაძე კი გვერდიდან აღევნებდა თვალს სპექტაკლის მსვლელობას. მე... უროულესი ამოცანის წინაშე ვიდექი, რადგან იქვე კრჩებოდი ფეხმორთხმით ბოძთან და გარინდებული ველოდი ჩემს დროს, როცა ანტიგონედ უნდა ვქცულიყავი.

ბატონმა მიშამ საამისოდ იდეალური პირობა და გარემო შემქმნა. მომცა სრული თავისუფლება. იქვე, მყურებლის თვალწინ. დათვლილ წამებში უნდა აუმაღლებულიყავ და ანტიგონედ მეგრძნო თავი, არადა, როგორი მიცდუნებელია, ეს ხომ მთელი ფილოსოფიაა. უცებ, ყოველგვარი დამატებითი საშუალებების გარეშე, გარდაისახო, გარდაიქმნა, ამტყველდა და მყურებელს მოეკლინო უკვე სხვად — ანტიგონედ. გაქაპებული ვიჯექი. მანუხებდა ირგვლივ ყველაფერი, დარბაზი, რომელიც სულგანაბული იცდიდა, უნდობლობა ყველას მიმართ და, პირველ რიგში — საყუთარი თავის მიმართ. მიჭირდა, მრცხვენოდა ბოლომდე მომეშვა გრძნობისა და გონების სადაკვები, ამიტომ ვიყავი ასე დაზფრული, დამფრთხალი და კრიჭაშკრული.

— იფიქრე აზრზე, სიტყვები თავისთავად მოვა, — ისევე ჩამიმარცვლა ბატონმა მიშამ.

— ვფიქრობ, ბატონო, ვფიქრობ, — მიმტყუნეს ნერვებმა.

— არა, ეგ ფიქრი არ არის, ეგ ფიქრი კი არა, მოუთმენლობით გამოწვეული ფუსფუსია. შენ ვინდა, არა, შენ ვკონია, რომ უცბად უნდა მოხდეს ყველაფერი, შენ იფიქრე, რომ, რადგან...

— არა, მე ეს არ მიფიქრია, არა, დამთავრებინე სიტყვები, რადგან უკვე მიეხვდი, რისი თქმაც უნდოდა. მოულოდნელობისაგან თვალები გაუფართოვდა ბატონ სერგოს. ერთი ამოიხუნწა, მერე სწრაფად წამოდგა და ფართო ნაბიჯებით ოთახი გადასერა. ჩემდა უნებურად ნათქვამმა მევე დამაფრთხო და შეწუხებული ხან ბატონ მიშას შევექერილი, ხან — ბატონ სერგოს.

ბატონმა მიშამ თვალი ამარიდა. რაღაც თქმა უნდა, ეს საკმარისი აღმოჩნდა ჩემთვის. აუღექი, გულდაგულ ავალაგე მავიდიდან ჩემი ნივთები და კარებისაკენ გავექართე.

— სად მიდიხარ? — მომამახა ბატონმა სერგომ.

— შინ! — მოკლედ და მშვიდად უპასუხე.

ბატონი მიშას თავშეკავებულ სიცილში კმაყოფილება შევნიშნე. ბატონმა სერგომ კი თავისი დიდი ხელები ვამალა, როგორღაც უცნაურად თავი გვერდზე გადახარა და ღიმილნარევი ხმით წარმოთქვა: — ა, ელაპარაკე ახლა ამას! —

მე ადვილზე გავეკავდი. აღბათ ისეთი უბედური გამოშეტყველება მქონდა, რომ ბატონ მიშას შევეცოდე და შინ გამიშვა.

გზაზე რომ მივდიოდი, უცნაურ აღტკინებას ვგრძნობდი, თან დროდადრო უკან ვიხედებოდი, თითქოს ვიღაცა მომდევდა და ეშიშობდი, არ დამწვიოდა.

— რა მოხდა, რამე მიბიძგა, რატომ ვინჯარე, რა შეუხო ჩემს თავმოყვარეობას, რატომ არ დავამთავრებინე სათქმელი ბატონ სერგოს? — შემეშინდა? მერედა, რისი, ანდა ვისი?

არა, კი არ შემეშინდა, შეურაცხყოფილად ვიგრძენი თავი: მე ხომ მართლა არ მიფიქრია, რომ ზურგს უკან მქონდა უკვე თეატრში გატარებული ათი წელი, ტკივილიანი და სიხარულიანი ათი წელი. ესე იგი, შეუხო თუ არა ჩემს პროფესიონალურ თავმოყვარეობას არასწორი შეფასება, თავისთავად იფეთქა

ჩემში პროტესტმა. პროტესტი კი აქტიური, შინაგანი ფიზიკური ქმედებაა, რომელიც გამოიხატა, ანუ გამოვლინდა ჯერ ჩემს მოძრაობაში, შემდეგ კი — სიტყვაში. ღმერთო ჩემო, ეს ხომ ადრეც ვიცოდი და თითქოს ახლა მივხვდი, ახლა გავიგეო.

იხვე მივევები ანალიზს: რომ გეტკინოს, საჭიროა კონკრეტულად შეგებოს. ამბავმა უნდა შეეძრას ისე, რომ გულმა ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადაინაცვლოს... მაშინ დაიბადება სიტყვა მართალი, სიტყვა ქმდითი. საოცა. რია იმ წუთში ზუსტად ის შინაგანი მდგომარეობა მქონდა და იმ ტალღაზე ეიყავ მომართული კრეონთან ჭიდილში რომ მჭირდებოდა.

უცებ გამეხსნა გონება, უცებ გაჩნდა ხალი კონკრეტული აზრები. ანტიგონესაც ხომ ანტიგონეობდა, შფოთავდა. მთელი დამე არ სძინებია, დროს ელოდა, რომ აღესრულებინა თავისი წმინდათაწმინდა ვალი, მაგრამ ამისათვის საჭირო იყო მოთმინება, მოთმინება და კიდევ მოთმინება, რომ გადაეღება ყველა დაბრკოლება: სახლი, გზა და ბოლოს მიწა — ადვილი საყვარელი ძმის ცხედრისათვის საკუთარი ხელებით რომ უნდა მოეთხარა, გონებით დაზვერვამ და სულის ლაბირინთებში ხეტიალმა კარგ გუნებაზე დამაყენა, მხრებიდან ტვირთი გამოშხსნა და შვება ვიგრძენი, გული სიამით მიელავდა. სიმღერა მომინდა.

□ ბაზრამღმება იმეება □

რედაქცია კვირეულობით

## საქართველოს მხარეთა კავშირი

1917-1997

(მთავარ მოვლენათა ქრონიკა)

60-იანი წლები

ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის მწერლებს პირველი დამუშავებული ყრილობისათვის (1934) იყო მცდელობა საბჭოთა ხალხების მწერლობები 1917 წლის შემდეგ წარმოედგინათ ერთიან საბჭოთა ლიტერატურად.

და ამას წინ სწორედ ქართველი მწერლები აღუდგნენ.

ეს განზრახვა შემდეგაც არ ასვენებდა იმპერიის მხაზურთ. ამიტომ ჩვენი მწერლებიც ფხიზლად იყვნენ: მოსკოვში გამართულ სამ თათბირზე (1960. იანვ., 1961, დეკ., 1963, დეკ.) ეროვნული ლიტერატურების ურთიერთკავშირისა და ზემოქმედების შესახებ და „საბჭოთა მრავალეროვნული ლიტერატურის ისტორიის“ გეგმის თაობაზე, ჩვენი ეროვნული ინტერესები დაიცვეს ბ. ჭლენტმა და გ. ლომიძემ.

1961 წელს ამ საკითხს გ. ციციშვილმა უძღვნა ვრცელი და საინტერესო წერილი „საბჭოთა ლიტერატურის ისტორიის შექმნის ამოცანა და მასთან დაკავშირებული პრობლემები“ („ლს.“, 1961, № 48-50).

აი, კიდევ ერთი მაგალითი იმპერიული ცენტრის მიერ საქავშირო თუ ადგილობრივი ორგანიზაცია-დაწესებულებ-

ებისა და პრესის საშუალებით ჩვენი ეროვნული ინტერესების დათრგუნვისა: „კომუნისტმა“ (1952. 26. XII) ერთი ამბავი დააწია „ლიტერატურულ გაზეთს“ ც. ტა ხნის წინ (21. XII) მისი რედაქტორის გ. ნატროშვილის მიერ დაწერილი კონსტანტინე კაპანელის ნეკროლოგის დაბეჭდვისათვის (ძირითადად ფაქტების აღნუსხვისა და იმის აღიარებისათვის, რომ კ. კაპანელის სიკვდილმა ქართულ ლიტერატურულ საზოგადოებაში ღრმა მწუხარება გამოიწვია). სერგი დაწვლიასთან ერთად 1949 წელს შერისხული ამ ცნობილი მწერლისა და მეცნიერის გარდაცვალებაზე გამოხმაურება მხოლოდ ამ გაზეთში დაბეჭდა.

„ლიტერატურა და ხელოვნების“ რედაქცია იძულებული შეიქნა ეღიარებინა, რომ შეცდომა დაუშვა, გამოაქვეყნა რა ნეკროლოგი, რომელშიც უკომენტაროდ იყო დასახელებული კ. კაპანელის იდეოლოგიურად მცდარი იდეალისტური შრომები.

1956 წლის აგვისტოსა და სექტემბერში „ზარია ვოსტოკამ“ ორი სარედაქციო წერილით სასტიკად გააკრიტიკა ლიტერატურული გაზეთი მ. ქელიძის ლექსისათვის, რომელიც „უხამს დეკადენტურ გამოვლინებად“ მიიჩნია (გ. ნატროშვილი. „ლს.“, 1991, 8, XI).

არც საკავშირო პრესა ვეკლებდა ფურადლებას: „ლიტერატურნაია გაზეტა“ ისე გვიყურებდა, როგორც ბატონი ხელკვეითებს. ვასალებს რომელთაც, რასაც გინდა უბრძანებ და როცა მოგვეყვინება, იაუის შექცევის მიზნით, კიდევ დასცივნებ. სწორედ ასეთი დაცინვა იყო „ლიტ. გაზეტას“ 1955 წლის 14 ივნისის ნომერში გამოქვეყნებული ფიმი ჩაოვეციკის ფელეტონი „ტკბილად მოკიკინე თხები“ (გ. ნატროშვილი, „ლს.“, 1992, 24. II).

გ. ნატროშვილმა „ზარია ვოსტოკასა“ და „ლიტერატურული გაზეტის“ ფურცლებზე გასცა პასუხი ამ ფელეტონს, რომელიც მწერალთა კავშირის პრეზიდენტად დაემო.

1960 წელს იმავე „ლიტერატურნაია გაზეტაში“ (№ 144) დაბეჭდილ ვრ. ბაკლანოვის მოთხრობის „მკედრებს აუგი არ ეთქმის“ ერთ თავში პირუტყვად იყო გამოყვანილი ქართველი კაცი. ქართველის აუხად ავადების ხაზგასახმელად მწერალმა ამ ქართველ ორდინარეს ვეარად ბაგრატიონი შეურჩია. ამის გამო გ. ნატროშვილმა მკაცრი წერილი გამოაქვეყნა „ლიტერატურულ გაზეტაში“.

1962 წლის 15 ნოემბერს (№ 136) „ლიტერატურნაია გაზეტამ“ ძალზე ტენდენციურად მიმოიხილა ჩვენი გაზეტით, შარი მოხდო — რუს მწერალთა ნაწარმოებებს არ ბეჭდავსო. ხვდა უსაფუძვლო ხავედურებიც გამოთქვა.

კვლავ უპასუხა გ. ნატროშვილმა („ლგ“. 1962. № 47) ვრცელი დასაბუთებული „რეპლიკებით“.

„ლიტ. გაზეტამ“ ისევე მკაცრი პასუხი გამოაქვეყნა „შეცვლიან თუ არა რეპლიკები თვითკრიტიკას?“ (1962, № 143).

ფოველივე ამას ის მოყვა, რომ ხამდიუნომ აღნიშნა: გ. ნატროშვილს კოლევიასთან შეუთანხმებლად უფლება არ ჰქონდა „რეპლიკები“ დაბეჭდვა, რედაქციამ და რედკოლეგიამ „ლიტ. გაზეტას“ კრიტიკის გათვალისწინებით უნდა იმუშაოსო.

მაღე. 1963 წლის თებერვალში მოს-

კოვის გაზეტის რედაქტორის მოთხოვნით გ. ნატროშვილი მოხსენებდა.

ვინ იცის, ასე უსაფუძვლოდ და უსამართლოდ რამდენჯერ გვლანძღვე. მაგრამ ქართველ მწერლებს უმეტესად პასუხის გაცემის საშუალებას არ აძლევდნენ, — ჩვენს მოძმეებს არ ვაწვევინოთო. ეს „მოძმეები“ კი უსინდისოდ გვედავებოდნენ იხუმბდნენ ჩვენს წარსულსა და მიწა-წყალს.

ზოგიც იმპერიისა და ადგილობრივი მარიონეტების განწყობილებას უწვედა ანგარიშს და თავს იკავებდა, ზოგიც თავს არ უფადრებდა არამეცნიერულ, უსაფუძვლო გამოხდომებს.

რისკის, პარტიული ხელმძღვანელობისაგან საყვედურების გამოცხადების, უფრო უარესი სახეჯელის მოლოდინის ფასად უჯღებოდან ღირსეულ ნაწარმოებთა დაბეჭდვისათვის ბრძოლა თავიანთი რედაქტორობის დროს ვ. ჭელიძეს („ციხკარსა“ თუ „ლიტერატურულ საქართველოში“) და ჯ. ჩარკვიანს („ციხკარში“).

1963 წელს მწერალთა კავშირის გამომცემლობების „საბჭოთა მწერლისა“ და „ზარია ვოსტოკას“, აგრეთვე „ხელოვნების“ ბაზაზე შეიქმნა ერთი გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“ და იგი შეიყვანეს სახელმწიფო ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის სისტემაში.

მწერალთა კავშირი ვერ ურიგებლობდა იმას, რომ მისთვის ასე მნიშვნელოვანი საკუთარი გამომცემლობა და სტამბა სახელმწიფომ დაიკუთმებარა და კინაიდან ზემდგომმა ორგანოებმა მოსკოვის გამომცემლობა „სოვეტსკი პისატელი“ 1963 წელს კვლავ საკავშირო მწერალთა კავშირს დაუბრუნეს, საქართველოს მწერალთა ფედერაციის სამდიუნომ დაადგინა (1966. 5. V): აღიძრას შუამდგომლობა სათანადო ინსტანციებთან რათა გამომცემლობა სტამბიანად ისევე მწერალთა კავშირს გადაეცესო.

საქართველოს მინ. საბჭომ 1967 წ. 17 ივნისის დადგენილებით გამომცემლობა მართლაც დაუბრუნა მწერლებს, მაგრამ იმავე წელს (11. XI) ეს დადგენილება

გაუქმდა და გამოცემლობა ისევ ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტს გადაეცა — კომუნისტურ ხელისუფლებას ყველაფერი თავისი უშუალო კონტროლის ქვეშ უნდა ჰქონოდა!

უკვე აღინიშნა ამ ათწლეულში გაჩენული ზრუნვა მწერლობის ახალ თაობაზე. საერთოდ მწერლების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვისაც გადაიდგა ნაბიჯები: 60-იანი წლების დასაწყისში მწერალთათვის კიდევ ერთი საცხოვრებელი სახლი აშენდა — 1962 წლის 22 ნოემბერს პრეზიდენტის სხდომაზე განაწილდა ბინები ყოფილ პლენარის გამზირზე № 181 სახლში, სადაც შესახლდნენ: მ. ლებანიძე, ა. გაბესკირია, ო. ჭილაძე, მ. მაჭავარიანი და სხვ. იქვე გადავიდა „საქლიტფონდი“, რომელიც მანამდე განლაგებული იყო იმავე გამზირზე, № 117 სახლში.

სამწუხაროდ ამასთან ერთად გამოერეოდა ზოგიერთი ღირსეული შემოქმედისადმი უგულო მიპყრობის მაგალითები:

1960 წლიდან „მნათობს“ სათავეში ჩაუყენეს ვ. აბაშიძე. „დროშიდან“ მას წაყვანა ნ. აგიაშვილი, ვ. შატბერაშვილი და ე. ვიფიანი. მათ რედაქციაში დახვდა ა. სულაკაური, რომელიც, როგორც თვითონ ამბობს („ახ. კომ.“, 1985, № 6), სრულიად ახალგაზრდა, 1957 წელს ს. ჩიქოვანმა მიიყვანა განყოფილების გამგედ. ასე რომ, კარგი კოლექტივი შეიკრიბა.

ს. ჩიქოვანს კი გამოუტანეს მიზეზი და გაუშვეს: მან 1958 წელს „მნათობში“ დაბეჭდა ო. ჩხეიძის რომანი „მკერეჩი“. რომელსაც გამკრიტიკებლად მარტო ის გამარჯვებული კრიტიკოსი ვყოფოდა, რომელიც რომანში „ოქროსთავიანი კაცის“ სახელით იყო გამოყვანილი — მან მართლაც ერთი ამბავი ატეხა: „მკერეჩი“ ქვეყნის დამტკევი ნაწარმოებიაო.

ბოლოს, ს. ჩიქოვანის წახსატყვევად გამოიყენეს 1960 წელს „მნათობში“ (№ 5, გვ. 28-57) დაბეჭდილი ნაწყვეტი „ვაუთხრული სამარე“ ვიორჯი ქავთარაძის წიგნიდან „უცნობი ჯარისკაცის წერი-

ლები“ — ანტისაბჭოურია, როგორ შეიძლება პიტლერულ გერმანულ ნაწარმოებში ნახაზი ჰქონდეს? **ლიტერატურა**  
ეურნალი შეაჩერეს, ნაწყვეტი სხვა მასალით შეცვალეს და ს. ჩიქოვანი გაანთავისუფლეს.

მაინც არ ვატყდა, თუმცა ავადმყოფობაც მოერია, — პირიქით. ლექსების კარგი ციკლი „განჯვის დღიურიც“ კი დაგვიტოვა.

ბარემ აქვე მოვიტან უგულისყურობის კიდევ ორ მაგალითს შემდეგი ათწლეულის ლიტერატურული ცხოვრებიდან:

ილია ჭავჭავაძის საიუბილეოდ მოსკოვში, ლიტერატორთა ცენტრალურ სახლში გაიმართა (1987, 26, XI) ქართული პოეზიის საღამო, რომელზეც ვ. აბაშიძემ, რ. აბაშუკელმა, ხ. ვაგუამ, ნ. გურუშიძემ, დ. მადრაძემ, ა. სულაკაურმა, ჯ. ჩარკვიანმა და ფ. ხალვაშმა წაიკითხეს ლექსები. დიდაზმა დიდი ინტერესი გამოიჩინა ქართული პოეზიისადმი. ერთმა რუსმა მსმენელმა საღამოს წამყვანი ვარდის ტოტზე მიმავრებული ბარათი გაუგზავნა. ო. სუროვიცევმა ეს წერილი დამსწრეებს წაუკითხა და სხდომის თანათავმჯდომარე ვ. ციციშვილს გადასცა ბარათი: „რატომ არ ამშვენებს ამ საღამოს თქვენი შესანიშნავი პოეტი ანა კალანდაძე? ვთხოვთ გადასცეთ ეს ვარდი და ჩვენი თავიანთიცემა მას და მისი სახით მოელ ქართულ პოეზიას“.

სამწუხაროდ, ბარათმა და ვარდმა ანა კალანდაძემდე ვერ მიადღწია. ამაზე პრეზიდენტში მსხდომთ, უპირველეს ყოვლისა კი, მწერალთა კავშირის ხელმძღვანელებს უნდა ეფიქრათ. საკმარისი იყო ჩემთვის ვადმოეკათ (მე იქ, დარბაზში გახლდით. სწორედ მსგავს დაჯალბათა შესასრულებლად) და ქალბატონ ანას ნაბარდებოდა. საღამოს დამთავრების შემდეგ რომ გვიკითხებ, ვერავენ ვერაფერი მოთხრა, არც ვარდი ჩანდა, არც ბარათი.

მაგალითი მეორე: ერთ-ერთ სხდომაზე (1989, 25, I) ვ. ფანჯიკიძემ გაიხსენა: ვალაკტიონის იუბილეზე მოსკოვში ფო-

ტოკორესპონდენტმა კარზანოვმა პრეზიდენტში მსხდომ ქართველებს გადასცა გალაკტიონის საუცხოო სურათი. როცა საღამო დასრულდა, სურათი ყველამ მიიღო. ალბათ ყველამ ითაკილა ხელში დაეჭირა. ბოლოს ე. ვიფიანს წამოუღია და დღესაც მის ოჯახშიაო.

60-იან წლებში ორი დიდი იუბილე ჩატარდა. პირველის შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის გრანდიოზული საერთაშორისო მასშტაბის იუბილეს ღირსეულ დონეზე მოწყობას დიდი ამაგი დასდო მწერალთა კავშირის მთავარმა ხელმძღვანელმა ი. აბაშიძემ.

ამაში მას ისიც დაეხმარა, რომ განამდგე 1960 წლიდან ქართველმა მწერლებმა გზა გაიკვლიეს 1958 წელს იტალიაში შექმნილ ევროპის მწერალთა ასოციაციაში, რომელშიც შეიკლა ბაქანთან, ილია ერენბურგთან, კონსტანტინ პაუსტოვსკისთან, პავლო ტინიანისთან, კონსტანტინ ფედინთან, მიხაილ შოლოხოვთან ერთად აირჩიეს საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი. პოეტი-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე („ლიტ. გაზეთი“, 1960, 20. X), ხოლო 1961 წელს ამ ასოციაციის წევრები გახდნენ გ. აბაშიძე, გ. ლეონიძე, ი. ნონეშვილი, ბ. ჟღენტა, ს. ჭილაია, ს. ჩიქოვანი („ლგ.“ 1961, № 13).

1960 წლიდან, განსაკუთრებით კი 1965 წლის იანვრიდან, როდესაც შეიქმნა სამთავრობო საიუბილეო კომისია, დიდი მუშაობა ჩატარდა როგორც შინ (რუსთაველისადმი მიძღვნილი მოხსენებები, გამოკვლევები, მწერალთა კავშირის სამდივნოს, პრეზიდენტისა და გამგეობის სხდომები). ისე გარეთ (ცნობილი ექსპედიცია პალესტინაში, ურთიერთობის დამყარება იუნესკოსთან, ევროპის მწერალთა ასოციაციასთან, ცნობილ ევროპელ მწერლებთან).

ყველაფერი ამის კოორდინატორი იყო ი. აბაშიძე.

და აი, 1966 წლის 26 სექტემბერს რუსთაველის თეატრში ჩატარდა საკავშირო მწერალთა კავშირისა და საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა-

თა გაერთიანებული საიუბილეო პლენუმი, რომელმაც მოისმინა შემსწავლებლები: საკავშირო საიუბილეო კომისიის მდივან-ჯღომარის ნ. ტიხონოვისა – „შოთა რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში“ და საქართველოს მწერალთა კავშირის მდივნის ბ. ჟღენტისა – „შოთა რუსთაველი და თანამედროვე ქართული ლიტერატურა“. სიტყვით გამოვიდა საბჭოთა კავშირის რუსუბლიკათა და საზღვარგარეთელი ბევრი ცნობილი მწერალი.

27. IX-1. X – ბორჯომსა და თბილისში გაიმართა იუბილეზე ჩამოსულ მოუტოთა მსოფლიო ფორუმი. ეს იყო დასაყვებისა და აღმოსავლეთის პოეტებს შორის ათი წლის განმავლობაში მიმდინარე გაცხოველებული დისკუსია-დიალოგის ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი.

პოეტები შეიკრიბნენ, რათა უკეთ გაეცნოთ ერთმანეთი, გამოეთქვათ თავიანთი შეხედულებანი და მოსაზრებანი პოეზიის რაობასა და დანიშნულებაზე, მის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე, მის პრობლემებზე, ეროვნულ ტრადიციებზე („ინოსტრანნიია ლიტერატურა“, 1967, № 2; „შნათობი“, 1967, № 3).

სიტყვებით გამოვიდნენ: ავსტრალიიდან – ჯეფრი დატონი, ავსტრიიდან – ჰუგო ჰუპერტი, ალფირიდან – ქათებ იასინი, ბულგარეთიდან – ცვეტან ანგელოვი და დორა ვაბე. ვგრ-დან – ალფრედ კურელა, ვფრ-დან – პანს მანუს ენცესბერგერი, ესპანეთიდან – რაფაელ ალბერტი, ხუან გოიტისილო და ხესუს ლოპეს პანკო, ვიეტნამიდან – ტე ლან ვიენი, ინგლისიდან – ჯეიმს ოლდრიჯი, იტალიიდან – კარლო ლევი, მარიო ლუცი, ლენე პაჩინი და ედუარდო სანგვინეტი, კანადიდან – ჯო უოლესი, პოლონეთიდან – იულიან ჰშიბოსი, რუსეთიდან – ვიგენი ვეტუშენკო, მიხაილ ლუკონინი, ვიკტორ პერცოვი, რობერტ როცდესტვენსკი, ალექსეი სურკოვი და ბორის ზურკოვი, საქართველოდან (თუმცა ქართველები, ისევე როგორც ყაბარდო-ბალყარელები და, რა თქმა უნდა, რუსები

ოფიციალურად იხსენიებოდნენ სსრკ-ის წარმომადგენლებად) — გრიგოლ აბაშიძე, ირაკლი აბაშიძე, გურამ ახათიანი, გიორგი მარგველაშვილი, ვლადიმერ მაჭავარიანი და თამაზ ჭილაძე, საფრანგეთიდან — პიერ გამარა. ივ განდონი, გილეკი და მაქს-პოლ ფუშე, უნგრეთიდან — დიულა იიეში და ანტალ ჰიდაში. ყაბარდო-ბალყარეთიდან — ყაბარდოელი ალიმ კეშოკოვი და ბალყარელი ვაისინ ვულოვი, ჩეხოსლოვაკიიდან — ვიტიკ მიაგალიკი და ჩეხი ირვი ტაუფერი.

ბორჯომის ფორუმის გახსნის შემდეგ (ი. აბაშიძე) პირველმა გამომსვლელმა, ცნობილმა გერმანელმა მწერალმა პანს მაგნუს ენცესბერგერმა ერთი მხრივ წამოჭრა საკითხი, რომ არსებობს „მსოფლიო ლიტერატურა“, „თანამედროვე პოეზიას იქვს საკუთარი მსოფლიო ენა“, რომ მას, ენცესბერგერს, ამის ურთიერთ ზეგავლენით ახსნას ურჩევნია იფიქროს, „რომ აქ საქმე გვაქვს რაღაც დამოუკიდებელ პროცესთან. რაც მჭიდროდაა დაკავშირებული ეკონომიკურ პროცესებთან და ტექნიკის განვითარებასთან, რომლებიც, ჩვენი ნების გარეშე, გადააქვევს მსოფლიოს, სადაც ჩვენ უცხოვრობთ, ერთ მთლიანობად“.

მისივე აზრით: „ამავე დროს ეს მიდრეკილება ინტეგრაციისაკენ, „მზგავსებისაკენ“, უნივერსალიზაციისაკენ ბადებს შიშს, რადგან ერთფეროვნება — ნიშანია უბედურებისა და იქნება ფრიად და ფრიად დასანანი, თუ ოდესმე კვლავ ვეწვევით საქართველოს და ჩვენ აქ მოვისმენთ იმავე ლექსებს და გავგიმასპინძლებდით იმავე საკმელებით, როგორც ყოველ სხვა ქვეყანაში. მაგრამ მე მეონია, პოეზიას მოეპოვება რაღაც ისეთი თანდაყოლილი თვისება, რომელიც ავჯადუნებს ესოდენ საეპალლო ზეგარს“.

ლაპარაკია ეროვნული თავისებურებების შენარჩუნებაზე, მაგრამ ენცესბერგერს ტერმინი „ნაცია“ არ მოსწონს და მას ამჯობინებს ტერმინ „პროვინციას“.

ტექნიკური პროგრესის მიერ გამოწვეული მიდრეკილება ინტეგრაციისაკენ, „მზგავსებისაკენ“, უნივერსალიზაციისაკენ

პოეტებში ბადებდა შიშს, ისინი ეტებდნენ გამოსავალ გზებს წინააღმდეგობით, ისეთი მრავალრიცხოვანი ეროს შეილება, როგორიცაა საფრანგეთი და იტალია, ენცესბერგერზე უფრო ხაზგასმით ხსნას ზედადნენ ეროვნულ ფესვებში:

„ვერცერთი პოეტი ვერ გახდება მსოფლიო მნიშვნელობის პოეტი. უკეთ თუ ვიტყვით, პოეტი ყველასათვის, თუკი არ მიწედა თავისი მშობლიური ენის ღრმა ფესვებს“. „მე ვფიქრობ, რომ პოეტი ვერ გახდება მსოფლიო პოეტი, თუ იგი მთელი სიცხადით, მთელი განმჭკვრეტელობით და დამაბულობით არ იცხოვრებს, უწინარეს ყოვლისა, თავისი ხალხის და მერე მთელი კაცობრიობის ცხოვრებით“ (გილეკი);

„ჩვენი დროის ისტორია გუასწავლის, რომ შეიძლება მივიდეთ ინდუსტრიულ განვითარებაზე ისე, რომ არ უარვყოთ ისტორია“ (კარლო ლევი).

რა გასაკვირია, რომ პოეზიის განვითარების საფუძველად ეროვნულობა დაენახა მცირერიცხოვანი ქვეყნის, ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელს, ჩეხ პოეტ ირვი ტაუფერს:

„ნამდვილი პოეზიის იღუმალი ძალა მოთავსებულია ფესვებში, რომელიც მას, მხატვარს, აკავშირებს ეროვნულ ნიადაგთან“;

მითუმეტეს, არ შეეძლო ეს არ დაენახა ქართველ პოეტს თამაზ ჭილაძეს, რომელიც დისკუსიაზე გამოვიდა იმის წინააღმდეგ, რაც „მკვეთრად უპირისპირდება ეროვნული ენისა და ამგვარად ეროვნული კულტურის განვითარების საკითხს. ეროვნული საკითხი კი ჩვენს ელექტრონულ-კოსმოსურ ეპოქაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო აქტუალური საკითხია. ახლა ჩვენს თვალწინ ცალკეული ქვეყნები კი არა, თითქმის მთელი კონტინენტები თავისუფლდება ეროვნული ჩაგვრის უღლისაგან“.

ამის თქმას მაშინ დიდი გაბედულება ესაჭიროებოდა.

მეორე უმთავრესი პრობლემა იყო პოეზიის განვითარებისათვის ახალი, მა-

გრამ კონკრეტული გზების ძიება, რომ პოეტები ერთმანეთს არ დამსგავსებოდნენ:

კარლო ლევი — „თავისთავად ცხადია რომ დიდა სამრეწველო განვითარების შემოქმედება და ჩვენ არ შეგვიძლია ამას ანგარიში არ ვაუწყოთ, მაგრამ ეფიქრობ, არა ვაქვს უფლება დავუბრუნდეთ იმას, რასაც წარმოადგენდა მაგალითად, ფუტურისტების პოეზია“;

ვილჟიკი წინააღმდეგი იყო ისეთი ავანგარდიზმისა, რომელსაც მიაჩნია, რომ „შთავონება სხვა არაფერია, თუ არა ლიტერატურული შემთხვევითობის ნაყოფი“.

ცეცხან ანგელოვი (ბულგარეთი) — ცრუნოვანოვური პოეტები „ისწრაფვიან რა შური იძიონ სიტყვების სტანდარტიზაციაზე ანდა უბრალოდ შთაბეჭდილება მოახდინონ, წერენ „რაციონალურ“ (სინამდვილეში კი „ირაციონალურ“) ლექსებს. რომლებიც თითქოს ყვრიან: „ხედავთ რა შეუძლია ჩვენს ავტორს!“ ამგვარ პოეზიას არ ძალუძს დაფაროს თავისი ქედმაღლური ზიზღი ადამიანისადმი. დაფაროს შემოქმედებითი უილაჯობა“.

ქართულმა პოეტებმა და კრიტიკოსებმა აქაც ტოლი არ დაუდეს დისკუსიის მონაწილე დასავლეთულ თეატრალური პოეტებს, რომლებიც ამით რამდენაღმე გაკვირვებულ-გაოცებულნიც კი დარჩნენ. თავად განსაჯეთ, როგორი იყო ქართველების გამოხატვა:

გურამ ასათიანმა პოეზიის შემდგომი განვითარების გზების ძიება ისე და ისე ეროვნულობის საკითხს დაუკავშირა მჭიდროდ: „დღევანდელი ქართული მწერლობის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მისი ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი, დღეს თავისი ნიჭისა და შეძლებისდაგვარად ცდილობს ფსევდოხალხურობისა და მდარე პრიმიტიული ტრადიციონალიზმის უკვე გაბზარული ეგვიპტის საბოლოო გარღვევას. ეს არის შეგნებული მიბრუნება ეროვნული კლასიკის საუკეთესო ტრადიციებისაკენ და ამავ

დროს, ჭეშმარიტი ნოვატორობის ერთადერთი გზა“;

ერქიანული გრივოლ აბაშიძე — „მეტივენი მისივე დიდა, გზების სიმრავლეც კარგია!“;

თამაზ ჭილაძე მიესალმა ისეთ პოეტურ ექსპერიმენტებს, ნოვატორობას რომელიც „არის დიდი ბრძოლებითა და წინააღმდეგობებით აღსავსე პროცესი“ და რომელსაც შეუძლია განავითაროს ტრადიცია.

ვლადიმერ მაჭავარიანიც მომხრე იყო ისეთი ავანგარდიზმისა, რომელიც „აღმოაჩენს და გახსნის სამყაროსა და ადამიანის ახალ წახნაგებს... მაგრამ დეე, მან ეს გააკეთოს არა აბსტრაქტულ-ლოკური დეფინიციების მოშველიებით, არამედ სიტყვების შემწეობით, ისეთი სიტყვების საშუალებით, როგორიც ეკადრება სულიერად და გონებრივად მდიდარ ადამიანს — შემოქმედს“.

დისკუსიის შედეგების შესაფასებლად მიზანშეწონილად მიმართა სიტყვა მივეც არა მასპინძლებს. არამედ ალექსეი სურკოვს: „ახლანდელი „მრგვალი მაგიდა“, ჩემი აზრით იმით სჯობის ადრე ჩატარებულ პოეტთა საერთაშორისო შემოქმედებით დისკუსიებს, რომ საუბრის მონაწილეებმა თავიდანვე მიაგნეს ყველასათვის საინტერესო თემას და მიუხედავად იმ ინფორმაციის სიმცირისა, თუ ვინ, ხად და რას წერს, მაინც წამოაყენეს საერთო, პოეტებისათვის ერთნაირად ამაღლებელი საკითხები“.

დაეუბრუნდეთ საიუბილეო დღეების სხვა ღონისძიებებს:

რუსთაველის თეატრში მოეწყო ინტერნაციონალური პოეზიის საღამო.

30 სექტემბერს შედგა ხელისუფლების სახეიშო სხდომა, რომელზეც მოხსენებით „პოეტის უკვდავება“ გამოვიდა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ი. აბაშიძე (ეს თანამდებობა შეიქმნა 1964 წელს).

— ჯერ კიდევ 1963 წელს ი. აბაშიძემ წინადადებით მიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს — განეხილა საქართველოში ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში შოთა რუსთა-



ველის სახელობის პრემიის დაარსების საკითხი (ლხცსა 8-2-196-1), ვინაიდან, მიუხედავად მრავალჯობის წარდგენისა, სსრკ სახელმწიფო (ყოფილი სტალინური), მით უმეტეს, ლენინურ პრემიებს არა და არ ანიჭებდნენ ქართველებს, გადაქონდათ რა სტალინის სიძულელი მთელ ქართველ ერზე.

1964 წლის 10 მარტს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო ასეთი დადგენილება. 1965 წლის თებერვალში კი ცნობილი გახდნენ რუსთაველის პრემიის პირველი ლაურეატი მწერლები: ი. აბაშიძე (ლექსებისათვის „პალესტინა, პალესტინა“) და კ. გამსახურდია (რომანისათვის „დავით აღმაშენებელი“).

აქვე უნდა მოვიხსენიოთ რუსთაველის პრემიის ყველა ლაურეატი მწერალი: 1969 – გ. ლეონიძე (გარდაცვალების შემდეგ); 1971 – კ. ლორთქიფანიძე, ა. სულაკაური; 1973 – მ. ლებანიძე, მ. მრეველიშვილი; 1975 – ნ. ლუმბაძე, მ.

ნიშნიანიძე, ნ. კეცხოველი და მ. გლოვანი (გარდაცვალების შემდეგ); 1977 – რ. ინანიშვილი; 1979 – ს. ხაბაძე; 1981 – ი. ნონეშვილი (გარდაცვალების შემდეგ), გურამ ფანჯიკიძე, რ. თაბუკაშვილი; 1983 – ო. ჭილაძე, რ. ჯაფარიძე; 1985 – ანა კალანდაძე, ე. ჩარკვიანი; 1989 – მ. მაჭავარიანი, ა. სალუქვაძე, 1992 – ჭ. ამირეჯიბი, ტ. ჭანტურია, თ. ჭილაძე; 1995 – რ. ჭვიშვილი; 1998 – გ. გვეგეჭკორი, რ. მიშველაძე.

„ვეფხისტყაოსნის“ სხვადასხვა ენებზე თარგმნისათვის: 1966 – მიკოლა ბაგინი, 1975 – ნიკოლაი ზაბოლოცკი, 1981 – მუშნი ლასურია, 1987 – ბორის გაპონოვი (გარდაცვალების შემდეგ).

ქართული მწერლობის სხვადასხვა ენებზე თარგმნისათვის: 1966 – ნიკოლაი ტიხონოვი, 1985 – ბაგრატ შინჭუბა, 1987 – ალექსანდრ მეფიროვი, 1989 – ბორის პასტერნაკი (გარდაცვალების შემდეგ).

□ ბაზრამილება იმეობა □



პიორაი შაყულაშვილი

## შეხვედრები რომ არ განეორღვს

ჩვენი ქვეყნის არცთუ დაღბინებულ ინტელექტუალური ცხოვრების მოღუნებულ რიტმში შეუმჩნეველად შემოიჭრა ერთი მეტად სახიამოუნო და იმედის მომცემი სიახლე — დაიბეჭდა ენციკლოპედია „საქართველოს“ პირველი ტომი. ეს მოვლენა თვისობრივად 1975 წელს მომხდარი ფაქტის ანალოგიაა, როდესაც გამოსვლა დაიწყო „ქართულმა საბჭოთა ენციკლოპედიამ“. ეს მამინ უდიდესი კულტურულ-ისტორიული ზასიათისა და მნიშვნელობის მოვლენა იყო ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მართალია, როგორც საენციკლოპედო, ისე ლექსიკოგრაფიული საქმიანობის საქმით ტრადიციები ვკჭონდა, მაგრამ თანამედროვე, უნივერსალური ენციკლოპედიური გამოცემა, რომელიც მხოფლით ცივილიზაციის მონაპოვარს, გაგვაცნობდა, დღეანაზე არ გაგვჩანდა.

საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ „ქართული ენციკლოპედიის“ რედაქციას მრავალი მნიშვნელოვანი და საინტერესო ჩანაფიქრი ჰქონდა. მან ძალზე დიდი სამუშაო შეასრულა და მეტად საჭირო დარგობრივი ენციკლოპედიულექსიკონების გამოხატვამდე ემზადებოდა, თუმცა უკანასკნელი წლების რთულმა სოციალურ-პოლიტიკურმა კატაკლიზმებმა, სხვა უამრავ წამოწყებასთან

ერთად ესეც შეაჩერა. მაგრამ „ქართული ენციკლოპედიის“ რედაქცია თურმე თავგამოდებით იღვწოდა და ამზადებდა ეროვნული ცხოვრებისა და ნაფიქრის, ცოდნისა და გამოცდილების ამსახველ წიგნს, „საქართველო“ რომ ჰქვია. არ ვიცი, სახელმწიფო რა ჯილდოს ვაილებს ამ ადამიანებისათვის, ერთი კი უდავოა, მათ ერისგან პატივი და სიყვარული უთუოდ დაიმსახურეს.

ახლადგამოსული ენციკლოპედიის ერთ-ერთი თვალშისაცემი სიკეთე ისიც არის, რომ ძველისგან განსხვავებით, თავისუფალია კლასობრივ-იდეოლოგიური წნეხის საფუძველზე შემუშავებული მეთოდოლოგიისაგან, რის გამოც წარმოდგენილი მასალა-ინფორმაცია განუზომლად მრავალმხრივი, ობიექტური და აკადემიურია. დაინტერესებული მკითხველი ჩვენი ქვეყნის ისტორიული და თანამედროვე ცხოვრების მრავალ კიბხეაზე მიიღებს საჭირო ცნობებს, პირველივე ტომი ამის გარანტიას იძლევა. წიგნი უხვად არის ილუსტრირებული. ტომში მოთავსებულია 24 ფერადი ჩანართი ილუსტრაცია, 12 ფერადი ჩანართი რუკა და 1230-ზე მეტი ილუსტრაცია და სქემა. ტომს ერთვის საქართველოს სამეფო საგვარეულოს ბაგრატიონთა გენეალოგია.

ყოველივე ეს მხოლოდ ნაწილია იმ დადებითისა, რასაც ჩვენი ენციკლოპე-

დია შეიცავს. ალბათ ამაზე კიდევ არაერთხელ ითქმის და დაიწერება. მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანი და ზნობრივია აღინიშნოს ნაკლიც, მითუმეტეს, რომ თვით რედაქცია იძლევა ამის იმპულსსა და ინიციატივას, როცა მკითხველს შეახსენებს, — დიდი მადლობით მივიღებთ და გავითვალისწინებთ პირველ ტომთან დაკავშირებულ ყველა საქმიან შენიშვნასო. სამწუხაროდ, ახალ ენციკლოპედიაში არის ფაქტობრივი უზუსტობანი, არასწორი ინფორმაციები, რომელთა შედეგებიც არასახურველი იქნება ჩვენი ეროვნული კულტურისათვის; ამიტომ, ვფიქრობ, რომ მათი აღნიშვნა და დიფიქსირება სამომავლოდ საჭირო და სასარგებლო იქნება როგორც ენციკლოპედია „საქართველოს“ შემდგენელთათვის, ისე მკითხველებისთვის.

მოსალოდნელი იყო, რომ ახალ ენციკლოპედიაში გამოყენებული იქნებოდა ძველის მასალები. ასეც მოხდა, რედაქციის განცხადებაში ვკითხულობთ — „რედაქციის მთავარი დასაყრდენი იყო პირველი ქართული უნივერსალური „ენციკლოპედია“. მიუხედავად იმ უდიდესი ღირსებისა, რაც „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიას“ — გაანდა, პქონდა ბევრი დასახანი ხარვეზიც. თუ ზოგიერთისაგან თავის დაღწევა ძნელი არ იყო და ახალ გამოცემაში იგი დამლეულია (იგულისხმება ცალმხრივი იდეოლოგიზაციის პრობლემა), სხვა ნაკლები შეიძლება შეუმჩნეველი დარჩენილიყო. მხედველობაში მაქვს ის, რომ ზოგიერთი სტატია არაკვალიფიციურია, შეიცავს ფაქტობრივ შეცდომებსა და მიუღებელ მოსაზრებებს, ზოგი მთავანი ვსეის ფორმისაა. საენციკლოპედიო სტატია კომპაქტური, ქრესტომათული, მეცნიერული ღირებულებისა უნდა იყოს და ასახავდეს ობიექტურ რეალობას. არ უნდა ატარებდეს საოლემპიკო ხასიათს.

ენციკლოპედია ფართო მკითხველისთვის უფროა გათვალისწინებული და არასწორ ინფორმაციას შეუძლია არა-

ჯანსაღი განწყობილება შექმნას საზოგადოებაში, ზოგჯერ მძინარე უნივერსიტეტის ამა თუ იმ კუთხეში, იმ ურის კულტურის მონაპოვარს. შემოთქმულის საილუსტრაციოდ მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიყვან და მკითხველი ადვილად დარწმუნდება, რომ ენციკლოპედია „საქართველოში“ გადმოსატან ზოგიერთ სტატიას სერიოზული კორექტივი ესაჭიროებოდა.

უნივერსალური ენციკლოპედიის მეშვიდე ტომში დაბეჭდილია სტატია „მუხამბაზი“.

„მუხამბაზი“ მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების კლასიკურსა და ე.წ. აშუღურ პოეზიაში დამკვიდრებული ხალექსო ფორმაა, რომელსაც მუსიკაში შეწყობილი აქვს რიტმიკის თვალსაზრისით მეტად მდიდარი და ორიგინალური მელიოდა. „მუხამბაზი“ იმდერება კიდევ. ამდენად, ენციკლოპედიაში იგი ორივე თვალსაზრისით უნდა ყოფილიყო განმარტებული. ასეც არის, ავტორიც ორია — მუსიკათმცოდნე გრ. ჩხიკვაძე და ლიტერატურათმცოდნე აღ. გვახარია. მხოლოდ აქ განმარტება საჭირო — სტატია დაწერილია ცალ-ცალკე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. შემდეგ გაერთიანებულია რედაქციის მიერ. ასეთი პრაქტიკა საენციკლოპედიო მუშაობაში მიღებულია. ამის თქმა იმიტომ არის საჭირო, რომ ვერსიფიკაციულ კონსტრუქციაზე, პროფესორ აღ. ვქსანდრე გვახარიას მიერ შესრულებულ სამუშაოზე არავითარი პრეტენზია არ გამაჩნია. მინდა ვისაუბრო მხოლოდ „მუხამბაზის“ მუსიკალურ-ეპოკალურ ასპექტზე, რომელიც არასწორ დებულებებს შეიცავს და ნებით თუ უნებლიედ ქართული ლიტერატურის გარკვეულ პერიოდსაც მრუდე სარკეში წარმოგვისახავს.

აი, რას ვკითხულობთ იქ: „აღსანიშნავია, რომ მუხამბაზის ბრწყინვალე შესრულებისათვის ბესიკმა არანის შაქისაგან ბრილიანტებით მოჭედული თარი მიიღო, ხოლო ერეკლე მეორემ საიათნოვას „მუხამბაზის“ ქარ-



თულად შესრულებისათვის ხალაით უბ-  
ოდა“.

სტატიაში ინფორმაცია წარმოდგენი-  
ლია საენციკლოპედიო ეტიკეტის დაც-  
ვით როგორც ფაქტი. სტატიისთვის გა-  
მოყენებული ლიტერატურა მიგვაჩინი-  
ნებს, რომ ავტორი ვერდნობა გიორგი  
ლუონიძის შრომას — „ბესიკი და მისი  
დრო“.

როგორც ითქვა, საენციკლოპედიო  
სტატია შეცნიერული კვლევის შედეგად  
მიღებულ დასკვნებს უნდა ემყარებო-  
დეს. ეს ინფორმაცია საიმედოდ არ შე-  
ჩვენა. იქ ასე ეწერა:

„გადმოცემით, რომელიც თავის დროს  
სპ. ჩიტორელიძეს ჩაუწერია, ბესიკის  
სიმღერით აღტაცებულმა ყაენმა ბრი-  
ლიანტებით მოჭედილი ხაგვარეულო  
თარი აჩუქა“.

დაუკვირდეთ, გ. ლუონიძის თქმით,  
ბესიკის დასაწერების ამბავი არის არა  
უპყველი ფაქტი, არამედ გადმოცემა,  
ვილაცის მონათხრობი. მეორეც, მუხამ-  
ბაში საერთოდ ნახსენები არ არის.

გ. ლუონიძეს ამ გადმოცემის წყაროც  
აქვს მითითებული — „ივერია“, 1889 წ.  
№88. „ივერიაში“ ასე წერია:

„...გადმოცემით ვიცით, რომ როდუ-  
საც, რასაკვირველია დიდი ხანი იქნება  
მას შემდგომ, — ბესიკ გაბაშვილმა თა-  
რის დაკვრით ისე განაცვიფრა ფაენი  
თვით თვირანში ელჩობის დროს, რომ  
ყაენმა თავისი საოჯახო ბრილიანტებით  
მოჭედილი თარი აჩუქა“

საოცარი და სამწუხაროა, გ. ლუონი-  
ძესთან ველარ იცნობთ „ივერიის“ ინ-  
ფორმაციას, ხოლო საენციკლოპედიო  
სტატიაში — გ. ლუონიძის ნათქვამს.

„ივერიის“ მიხედვით, ბესიკმა სპარ-  
სეთის ყაენი თარის დაკვრით მოხიზლა,  
გ. ლუონიძის თქმით — სიმღერით, ხო-  
ლო „ქართული საბჭოთა ენციკლოპე-  
დიით“ — „მუხამბაშის“ შესრულებით...

სამწუხარო აქ მარტო ის კი არ არის,  
რომ დაშვებულია შეცდომა, რომ მო-  
ძებნილი არ არის ამ ინფორმაციის პი-  
რველწყარო, რომ თვით გ. ლუონიძის ნა-  
თქვამიც დაზიანებულია, სამწუხარო

ის უფროა, რომ საკმაოდ გულუბრყვი-  
ლო გადმოცემა (1778 წ. წყარო) და  
დიპლომატის სტატუსის მქონე მკვლევარ-  
კი თარის დაკვრითა და სიმღერით ერ-  
თობა და სხვადასე ართობს). ენციკლოპე-  
დიაში შეტანილია როგორც უპყველი  
რეალობა. ეს ფაქტი ერთგვარად ოფი-  
ციოზურ ხასიათს აძლევს ჩვენს ლიტე-  
რატურათმცოდნეთა ერთ ნაწილში დამ-  
კვიდრებულ სრულიად დაუსაბუთებელ  
მოსაზრებას ბესიკის შემოქმედების აღ-  
მოსავლურ ორიენტაციის თაობაზე. თუ-  
მცა დღემდე არავის არ უცდია კონკრე-  
ტული საილუსტრაციო მასალით ეჩვე-  
ნებისა, რა იყო ის აღმოსავლური, რაც  
ბესიკის პოეზიაში იქნა შემწუნული. ბე-  
ვრი უცნაური და კურიოზულიც ითქვა  
ამის შესახებ, მაგრამ ყოველგვარი და-  
საბუთების გარეშე. ერთადერთი, რაც  
მართლაც, აღმოსავლური მხატვრული  
სიტყვის კუთვნილებაა და რასაც ბესი-  
კი ბრწყინვალედ იყენებს, არის ლექსის  
ვერსიფიკაცია. მაგრამ მხოლოდ ამ პი-  
რობით არ შეიძლება განისაზღვროს  
ლიტერატურული ორიენტაცია. არა და,  
ბესიკის პოეზია და სწორედ მისი სატ-  
რფიადლო ლირიკა, რომელიც ლიტერა-  
ტურათმცოდნეთა ერთ ნაწილს სა-  
ბაბს აძლევს ზემოხსენებული განწყო-  
ბისას, ბევრ ისეთ ელემენტს შეიცავს,  
რომლითაც არა თუ უახლოვდება, არა-  
მედ უპირისპირდება კიდევ აღმოსავ-  
ლური პოეზიის სპეციფიკას. ამის გარ-  
და, უკანასკნელი ნახევარი საუკუნის  
განმავლობაში ჩატარებული გამოკვლე-  
ვები შუა საუკუნეთა კულტურის, მისი  
ტიპოლოგიური თვისებების შესახებ  
ხრულიად სხვა პლანში წარმოგვიდგენს  
კულტურათა ურთიერთკავშირსა და ურ-  
თიერთზეგავლენებს, რომელთა გათვა-  
ლისწინებით ახლებურად წარმოდგება  
ჩვენს წინაშე ბესიკ გაბაშვილის ლიტე-  
რატურული მემკვიდრეობაც და ლიტე-  
რატურული ორიენტაციაც. ვიდრე ბე-  
სიკის შემოქმედება შესწავლილი არ  
იქნება შუა საუკუნეების აღმოსავლური  
ლიტერატურული და ე.წ. კულტურათა  
ტიპოლოგიურობის მეთოდების შუქზე,

მანამდე მის ლიტერატურულ ორიენტაციაზე საუბარი თუ მინიშნება, განსაკუთრებით საენციკლოპედიო სტატიაში, ლიტერატურულ მკრეხელობად უნდა ჩაითვალოს. თორემ, გუშინ დაუსაბუთებლად ითქვა — ბესიკი აშუღურ ლექსებს წერდაო, დღეს — ბესიკი საიათნოვას შემკვიდრეაო, მოულოდნელი არ არის ხელ გამოგვიცხადონ — ბესიკი შამში-შელქოს ნიჭიერი მოწაფე იყო... და ჩვენივე არაკომპეტენტურობით მე-18 საუკუნის ქართული მხატვრული სიტყვის ბრწყინვალე წარმომადგენელი ჩვეულებრივ ეპიგონად ვაქციეთ...

სტატიაში სხვაგვარი შეცდომაც შეინიშნება. „მუხამბაზი“ წარმოდგენილია როგორც აღმოსავლური სიმღერის ზოგადი ტერმინი... შეცდომასაც ხომ უნდა ქონდეს თავისი ლოგიკა!

სამწუხაროდ, ჩვენს მუსიკათმცოდნეებს უფურადღებოდ დარჩათ აღმოსავლური მუსიკალური კულტურის ბევრი ისეთი პრობლემა, რომელთა მეცნიერული შესწავლა ეროვნული ინტერესების შემცველია. ზემოთთქვენილი მაგალითიც ამ ფაქტის გამოხატულებაა.

როგორც მკითხველს ახსოვს, საენციკლოპედიო სტატიიდან შევიტყვეთ, რომ ერეკლე მეფემ მუხამბაზის ქართულად შესრულებისათვის საიათნოვას ხალათი უბოძა. ანალოგიური შეცდომა შეორდება, — იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ ამ შემთხვევის შესახებ თვით საიათნოვა მოკვითხრობს:

„მე ვიცოდი ჩონგური კარგად და ამასთან სპარსულ ხმებზედ გავაკეთე ქართული ლექსები. ჯერ არ იყო შემოდებული, და როდესაც მეფემან ირაკლი იწება მეჯლიში, და მივეყვანეს მოსაკრავები, მაშინ მე სპარსული ხმით ქართულად ვიმღერე; ბატონს დიდად იამა და ხალათიც მიბოძა“.

სრულიად გასაგებად არის ნათქვამი — საიათნოვამ რომელიმე სპარსულ მუსიკალურ კილოზე იმღერა ქართულენოვანი ლექსი. ვვალა აღმოსავლურ მუსიკალურ კილოს ქართულად მუხამბაზი ეწოდება?

მკითხველისათვის ყველაფერი ნათელი უნდა იყოს. მაგრამ სტატიის შემოვლელადონ, ეს სტატია ანალოგიურად ენციკლოპედიაში ჯერ არ დაბეჭდილა, წინასწარ განსჯა საფუძველსმოკლებული იქნებაო. მითუმეტეს, რომ რედაქციის თქმით, ბევრი სტატია „როგორც წესი ხელახლა დაწერილი ან განახლებული და გადამუშავებულია“.

მართლაც, მძიმე შრომა გაუწევია „ქართული ენციკლოპედიის“ რედაქციას ამ თვალსაზრისით. ამის დანახვა არ არის ძნელი, ვინც იცნობს „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ მასალებს, თუმცა მაინც მგონია, რომ ამ ოპერაციებს ყოველთვის სასურველი შედეგი არ უნდა მოჰქონდეს. მაგალითად, „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიიდან“ „საქართველოში“ გადმოიბეჭდილია სტატია „ამქრული წყობა“, რომელიც ბევრ საჭირო და საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის საქართველოს ქალაქების ისტორიული, სოციალური ეკონომიკური თუ პოლიტიკური ცხოვრების გასაცნობად. სტატია „გადამუშავდა“ იმ თვალსაზრისით, რომ სრულიად აღარ ერთვის გზისმკვლევე დამატებითი ლიტერატურა. ასევე, მართლაც კარგად გადამუშავებულ სტატიას „ამქარი“, არ ერთვის დამხმარე ლიტერატურა. უცნობია, რა პრინციპით ხელმძღვანელობდა რედაქცია, მაგრამ საკითხის ღრმად და ფართოდ გაცნობის მოსურნე მკითხველს ენციკლოპედია რომ ვერ დაეხმარება, ნათელია. ენციკლოპედიის ერთერთი დანიშნულება კი ესეც არის.

ერთი, თითქოს და უმნიშვნელო საკითხიც. ცნობილია, რომ ქართული ამქარი და ქართული ამქრული წყობილება, მიუხედავად თავისი ხანგრძლივი განვითარების ისტორიული, ეროვნული პროცესისა და პროფილისა, დიდადაა დაკლებული აღმოსავლური ამქრული ორგანიზაციისაგან, რომელიც ფაქტიურად რელიგიურ-ხელოსნურ გაერთიანებას წარმოადგენდა (ამაზე მეტყველებს თვით საენციკლოპედიო სტატიაში ნახსენები ტერმინები). ამის გამო ქართულ



ამქარში, პროფესიული ტერმინოლოგიის გარდა, ორთოდოქსული ისლამისა თუ სექტანტურ-სუფიური ან რინდულ-ჯგვანმარდული ელემენტი დამკვიდრდა, რომელიც ხან ამქარად, ხან კი ფარულად თავს იჩენდა ამქარის წევრთა — ყარაიოხელთა და შემდგომ — კინტოთა პროფესიულ საქმიანობაში, გარდერობისა თუ ეთიკურ-ზნეობრივი ცხოვრების პერიპეტეიებში. სტატეებში ამის შესახებ მინიშნებაც კი არ არის, რის გამოც შეიძლება ვთქვათ, რომ ზემოაღნიშნული ქართული ეროვნული ცხოვრების, კულტურის, შემეცნების ორგანულ ფენომენად გამოაცხადონ. ანალოგიური შემთხვევა არაქართულ სამეცნიეროსა თუ პუბლიცისტურ ლიტერატურაში არავითხელ მომხდარა.

კიდევ ენციკლოპედიაში „საქართველო“ არის პატარა სტატია „ამულური სიმღერები“, რომელიც თავისი საენციკლოპედიო სტატუსით ამგვრებს იმ გაუგებრობებს, რომლებიც, სამწუხაროდ, ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობასა და მუსიკათმცოდნეობაში დღემდე დამკვიდრებული. საქმე ეხება აღმოსავლურისა და ძველი თბილისის კულტურის პრობლემებს.

ამ სტატიაში აღნიშნულია, რომ ამულური სიმღერისათვის „დამახასიათებელია განვითარებული ვოკალურ-საკრავიერი ფორმები — დასთან, ბაიათი, მუხამბაზი და სხვა“.

ეს უკანასკნელები, პირველ ყოვლისა, ლიტერატურული ფორმებია და არა ფორმები. დასთან კიკური ფორმის ფორმა, ბაიათი და მუხამბაზი — ლირიკული ფორმისა. თუ ფორმა ასე აღვიქვით, მაშინ დაზალიც, ყოშმაც, მუსტაზადიც და ბევრი სხვაც მუსიკალურ ფორმად უნდა მივიჩნიოთ. სტატიაში ფორმის მნიშვნელობა არასწორად არის გაგებული.

ამის გარდა, ნათქვამია, რომ თბილისში ამულური სიმღერა იხვეწებოდა და ეროვნულ იერს იღებდა.

სრულიად სხვა პროცესებს ქონდა ადგილი ამულური სიმღერა. მუსიკა, კუ-

ლტურა როგორც მის სამშობლოში, ისე თბილისში, როგორც სინკრეტულ სექციონების ტიპური ფორმა, უნდა იქნებოდა შეცვალა ესთეტიკურად უფრო მაღალმა ანსამბლურმა ხელოვნებამ და, რაც მთავარია, ქართულმა მუსიკალურმა კულტურამ. ასე, რომ თბილისში ამულური სიმღერა არც დახვეწილა და არც ეროვნული იერი შეუქმნია.

სტატიაში ვკითხულობთ: „საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან გამოხული მომღერლები ამულური მანერით ასრულებდნენ ქართულ ხალხურ პანგებს“.

ამულური მანერა გულისხმობს, სინკრეტულად წარმოვიდგინოს ლექსი, სიმღერა, მუსიკა, ცეკვა, იმპროვიზაცია. ამ მანერით მომღერლები არანაირ პანგებს არ ასრულებდნენ. ესენი იყვნენ პროფესიული მომღერლები, რომლებიც ანსამბლებთან ერთად გამოდიოდნენ. ასეთებად უნდა მივიჩნიოთ სათარა, ბაგრატ შულავერი, ჩვენს დროში გლახო ზახაროვი და თუნდაც ანსამბლ „სონინარის“ მომღერლები. ამულური პოეზია და მუსიკა დამეტრალურად განსხვავებულა ამ უკანასკნელთა მუსიკალური თუ ლიტერატურული კულტურისაგან.

ამ შემთხვევაში ჩვეულებრივ შეცდომასთან ვკავებს საქმე, რაც ტიპურია ქართული მუსიკათმცოდნეობისათვის, როცა საუბარია აღმოსავლურსა თუ ძველი თბილისის მუსიკალური კულტურის პრობლემებზე.

შესაძლოა, კვლავ შემოვივლით, ამგვარ შეცდომებზე საუბარი არ დირო. მე კი მგონია, რომ დირო და ამ პრობლემებზე სპეციალური სტატეებიც უნდა იწერებოდეს, იმიტომ, რომ ასეთი შეცდომები და გაუგებრობანი ქართული კულტურის მთელი რივი სფეროების თვითმყოფადობას ეჭვის ქვეშ აყენებს.

ამულური ხელოვნება, მიუხედავად იმისა, რომ ძველ თბილისშიც იყო დამკვიდრებული, ქართული ეროვნული კულტურის შემადგენელი ნაწილი არასოდეს არ ყოფილა. ასეთმა დამოკიდებულებამ იქამდე მიგვიყვანა, რომ საქართ-

ველოში აშუღური პოეზიის ოფიციალური მეკვლე საიათნოვა მე-18 საუკუნის ქართული მხატვრული სიტყვის ერთ-ერთ შთავედ იქნა აღიარებული. ალბათ, ბევრი მკითხველი, მითუმეტეს პროფესიონალი ლიტერატურათმცოდნე გაიღიმებს, მაგრამ ეს ღიმილი ვეღარ ამოშლის მას, რაც ჩვენშიც და ჩვენს გარეთაც დაიბეჭდა. ეს იყო დაუსაბუთებლად ნათქვამი, დარდიმანდული განწყობილების გამოხატველი „კონცეპცია“. ფოველივე ამაზე დაფიქრებაა საჭირო, რამდენადაც ენციკლოპედიის თვით უმნიშვნელო სტატიაც კი ოფიციალური სტატუსის მატარებელია.

მე მხოლოდ ამ რამდენიმე უნიშვნით დაკმაყოფილები, სათქმელი ხვასაც ექნება. „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“ ჩვენი ხალხის სულიერი ცხოვრების ნაწილად იქცა, ასევე იქნება „საქართველოც“. ახალი გამოცემა ნაკლისაგან რომ დაზღვეული იყოს, საზოგადოებას საშუალება უნდა მიეცეს, დაეხმაროს რედაქციას. ამისთვის მარტო

რედაქციის განცხადება არ კმარა. „ქართული ენციკლოპედია“ რედაქციის ტერიტორიული მდებარეობა გარკვეულ სიძნელეებს ქმნის ინფორმაციის მისაწოდებლად. ხომ არ იქნებოდა შესაძლებელი ქალაქის ცენტრალურ ნაწილსა და ზოგიერთ კულტურულ-სამეცნიერო დაწესებულებაში (მაგალითად, მეცნიერებათა აკადემია, სახელმწიფო უნივერსიტეტი და სხვა) დაიდგას სპეციალური საფოსტო ყუთები სათანადო წარწერით. ამის შესახებ საზოგადოებას ეცნობოს პრესით, რადიოთი და ტელევიზიით. ეჭვი არ უნდა ეიქონიოთ, ენციკლოპედიის რედაქცია მიიღებს სათანადო და საჭირო ცნობებს, საქმიან უნიშვნებს, სურვილებს. „ქართული ენციკლოპედია“ გამოცემა საშური საქმეა, ეროვნული პრობლემაა. მან ჩვენი ეროვნული სახელმწიფოს ინტელექტუალური ცნობიერების ჩამოყალიბების პროცესში უნდა მიიღოს მონაწილეობა.



●  
თბილისი რესპუბლიკის ქ. № 28

●  
ბელარუსში: მთ. რედაქტორის — 99-51-61,  
ქ/მე. მდივნის და განყოფილებების — 99-91-00.

გადაეცა ასაწეობად 10.03. 98 წ. ზელმოწერილი დასაბეჭდად 18.06. 98 წ., ასაწეობის ზომა, 71/4X12, ქაღალდის ფორმატი 70X108. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 10. პარობითი ნაბეჭდი ფურცელი 14. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 9.4. ტირაჟი 500. შეკვეთა 302. ევრონალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო“. კოსტავას ქ. № 14.

სფ 75/3



შანი ობი ღაბი

ნომრის სპონსორია შუაღუღული  
პასუხისმგებლობის საზოგადოება  
**„ე ა ზ გ ე გ ი“**